

ამბ

**ივერეთის მშვიდ
სტუმარს II-ის
უთვამთავარი
და პრეზენზია ბაზის
მეგობრობაზე**

6-09

N42 (43) 20... 3ანი 80 თეთრი

1168
2008


**ვინ
აკონტროლებს
ქართულ
მედიაინფრსტრუქტურას
და...**

**ვინ ააზიკრა
მანია ასათიანი და
ირაკლი მანისურაძე**



**მსახიობი ქალის
სიყვარული და
ოჯახური იდილია**

ქართველი ვაგაპირები



**„ჯოჯს, ჩვენთან არ
დაიჭირონ საქმე!“**



**სასურველი ქართველი
სანიშნო „გოგათა
ბანაკიდან“**



იტალ - დეკორი


კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433



დეკორატიული საღებავები
და გათქაშები იტალიიდან



„ლიდერთა სკოლის“ ლიდერის ინტელექტი



სანამ საცხოვრებლად ამერიკაში გადავიდოდა, მეპირად ბევრი ლექსი იყო. მართალია, უცხო ქვეყანაში მყოფს, არაერთი ლექსი დაავიწყდა, მაგრამ ყოველთვის ახსოვს „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია“.


28



№42 (436)
16 - 22 ოქტომბერი, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

ფრთხილად, კალგატონებო!

საქართველოში „ჩაგა“, „სკაიპი“ და გაცნობის სხვადასხვა სერვისი, ბოლო დროს საკმაოდ პოპულარული გახდა. მართალია, ამ საშუალებებით ბევრმა კარგი ოჯახი შექმნა ან მეგობარი შეიძინა, მაგრამ უფრო მეტმა უკვე შექმნილი ოჯახი დაანგრია.



20

საქართველოში მემკვიდრეობის

საქმენო, ნოველით ქება დამოიხნე

საქართველოში მემკვიდრეობის საკმარისად არ არის აღიარებული. მემკვიდრეობის საკმარისად არ არის აღიარებული. მემკვიდრეობის საკმარისად არ არის აღიარებული.



ჩვენი ჩვენი საქმენო

მშვენიერებები



თუ სიძვირძაღის ღმრის
ახვადი თავისით
თნისა და ხახუმი,
მოხვდა, მაშინ იყვებ
დაძვანაძა უნდა დაიძინა.



ჯონსულბაცია

35

პროკომპატი
დამოუკიდებლობა პუბლიცისტულად ანუ „აუხაზითი და მსეთი აუხაზებისა და მსების გარეშე“ 5

ოკუპაცია
გალუი „ვაინი გოროდოი“ ახენდება 6

სახელმწიფო
„ოპიუმისტურ განწყობილებას ვერ გავიზიარებ“ 7

ჯანსაღი სსოვრება
„თეითმკველ ადამიანს არა აქვს შენდობა“... 9

დიდგვაროვნები
ერთი დღე გეფის ოჯახთან ერთად ანუ რა დავაშავეთ ქართველებმა? 10

ქურდლისტის როლი
ვინ ამონებროლებს ქართულ მედიანოვრებს 12

გარათონი
ყველაზე სწრაფები სოხვაში 16

ქოლვა
20 ოქტომბრიდან რადიომეფლებათან „დილის პალიტრა“ გეაგეფებათ 17

თევა
✓ გულწრფელი სიყვარული თუ შეგმა გემორჩენის ვიზნით 20
✓ სსოვრება სხვის სარჯზე ანუ გემორჩენი და თაღლითები 22

ოჯახი
მსანიოგი ქალის ოჯახური იღილია 24

სანიქო
სანუკველი ქართველი სანიქო „გოშათა განაქიდან“ 26

– სად არის ცხედარი? – სწრაფად ჰკითხა ჰასანმა.

– ცხედარი არავის უნახავს, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ ის კაცი დაიღუპა, – უპასუხა მოხუცმა.

– ცხედარი თუ არავის უნახავს, როგორ გაიგეთ მისი დაღუპვის შესახებ? – გაუკვირდა ჰასანს.

– სოფელში მის მოსახლამს მიადგენს. მთლიანად სისხლით იყო გაქვნილი...



დიდგვარის სხვა ფიგურა ის აქვარი

78

თვალეები – თქვენი ნარკოტიკების იარაღი



ყოველ დღით, გლეძნებისთანავე, თვალეები ჩაის მაგარი ნაყენით ამოიბანეთ. ეს სიწითლისა და დაღლილობის შეგრძნებას მოგიხსნით.

76

რა საერთო აქვთ ჯავახს, გერმანულსა და სიათნოვას?

„მე თავისუფალი შემოქმედი ვარ, თუმცა მატერიალური თვალსაზრისით – შემღვდული“.



67

„არ ვინდა, იფიქრონ, რომ ომის თემა პოპულარობისთვის გამოვიყენებ“



„თეთრკანიანებსაც გვაქვს პრობლემები – მართალია, არ გვღვინან, მაგრამ მაინც ამიგომაც, ჩვენი სიმღერების ტექსტები ბევრად აზრიანია, ვიდრე – მათი“.

30

მარკოსის წიგნი

– ანრი... – გაისმა მომაკვდინებელ სიჩუმეში გოგონას ხმა.

პირაღმა მცველმა თავი ასწია.

– რაო, პაგარავე?

– რაღაც ძალიან გავსუქდი, თან სუნთქვაც მიჭირს. რაზე ხომ არ გამირთულდა?

ირაკლის ცივმა ოფლმა დაასხა.

– რაგომ გვინია?

– აბა, შეხედულები დამედო, – თავი მუცელი წინ გამოსწია და მუც დაიხედა, – არადა, ნამდვილად არ ვცხამ ბევრს



70

- **ერკლიტი**
„ლიდართა სკოლის“ ლიდარის ინტერვიუ 28
- **ანტიდარკონი** 30
- **შოკოლეტი**
„არ ვინდა, იფიქრონ, რომ ომის თემა პოპულარობისთვის გამოვიყენებ“ 30
- **ჯანმრთელობა**
ბრივი – სეზონური დაავადება 32
- **ქართული ქართული**
✓ მსოფრთხი 35
✓ გზავნილები 51
- **შემოქმედი**
რა საერთო აქვს ჯავახს, გერმანულსა და სიათნოვას? 67
- **ქართულები**
„გლახის ნაფორის“ მოქმედის სახე, ღვთისა და მოყვანისთვის შენიღული სიმომხედა 69
- **რომანი**
სება კვარაცხელია. მორიდის ნიშანი (გაგრძელება) 70
- **ბივი-ბივი** 74
- **საქონთაჲი ქალაქისთვის**
✓ შინაური პილინივი 76
✓ რაზე შეხვედრებს მამაკაცის ნაოქავი 76
- **ისტორიული რომანი**
გონა მანელიძე. დიდგორის ხაზი შრინდა ის ჯვარი (გაგრძელება) 78
- **ნამდვილი ანგავი**
ზარკავი შალიძკი 83
- **თინეიჯერიული პოეტავი**
✓ მსხვერპლად ქმეული მომონების ბრავიუული ანგავი 84
✓ „არა მონია, შენი ნამება შეწყვიტოს“... 86
- **ვარსკვლავები** 88
- **ქრიმინალი**
განზრახ მკვლელობის მხელაოგავი ბრალდებულს თაჲვდ დაზარალბულის ექონამება... 91
- **ასპარეჲი**
„ქივიროსული ზღაპრის“ ქართული შემოქმედი 93
- **აბბო** 95
- **სქანეოქრი** 96
- **ბუსტი** 97
- **პროგნოზი** 98

გარემბანა: ირმა ლიპარტილიანის კოლაჲი

საზოგადოებრივ-კოლიტიკური შურნალი „გზა“ გაომოდის კვირაში მრთხელ, ხუთშაბათოვით გაზმთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ფურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რელაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რელაქტორი: ზურაბ აბაშიძე

მთ. რელაქტორის მოდელირები: ლალი ფაცია, ლიკა ქეჯავა მენვეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, იოსებძიძის ქ. №49
ტელე: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63, email: gza.fantazia@gmail.com
რელაქამი „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

26014

დამოუკიდებლობა პუცინისეულად ანუ „აფხაზეთი და ოსეთი აფხაზებისა და ოსების გარეშე“



ლუქსემბურგში შეკრებილმა „ევროლიდერებმა“ იმხელა სიხარული გამოხატეს რუსეთის მიერ საქართველოდან ჯარის გაყვანის გამო, რომ ეს სიხარული ამ ჯუჯა ქვეყანაში ვერ დაეცა და მთელ ევროპას გადასწვდა. მოკლედ, ჩვენ მაგიერ უხარიათ და ჩვენც უნდა გვიხაროდეს — აბა, რა ევროპული ოჯახის წევრები ვართ, თუ მათი სიხარული ჩვენც არ გავგვიხარდა, მით უმეტეს, რომ სიხარულის მიზეზი ჩვენ ვართ.

არა, გახარებით როგორ არ გვიხარია?! რუსმა „საღდათებმა“ ქართული სოფლები რომ დატოვეს და უამრავი ძვირადღირებული ნაღმიც რომ „დარჩათ“, მაგრამ იმდენი არაყი დალიეს აქ ყოფნაში, რომ სადაღა ახსოვთ 7 აგვისტოს პოზიციები და ახლა ახალგორში თხრიან სანგრებს. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ მათ გენერლებსაც სერიოზული „ზაპოი“ აქვთ აკიდებული და სულ დაავიწყდათ დარჩენილი ჯარისკაცები. ისინიც, დაეხეტებიან მშვირები და რასაც წაენვიან, იმას ჭამენ. არადა, ისეთი ამტანები არიან, რომ ცეცხლსაც „მიირთმევენ“ და ნავთსაც აყოლებენ, პრეტენზია არა აქვთ, მაგრამ სადაა ამდენი ცეცხლი და ნავთი?!

ასე ზრუნავს რუსეთის ხელისუფლება თავის ერთგულ ჯარზე და ასევე იზრუნებს იმ ახალ მოქალაქეებზეც, რომლებსაც ძალით შეაჩერა ხელში რუსული პასპორტები და ამ გამოშტერებულებს რა უხარიათ, ნეტავ, თუ ხვდებიან?.. გვინდა, ვიყოთ დამოუკიდებლები, რუსეთის შემადგენლობაშიო, — რომ ურახუნებენ ლოზუნგებს, ან დამოუკიდებლობა თუ იციან, რა არის და ან — რუსეთის შემადგენლობაში ყოფნა?!

„ბატონი“ კოკოითი დიდი ტვინიტ რომ ვერასოდეს გამოირჩეოდა და რაც ჰქონდა, ისიც ტატამზე დაატოვებინეს, ვიცოდი, მაგრამ ჩრდილო ოსეთის გადასარევი მაგალითი აქვს და ნამყოფი თუ არაა გვირახებს გაღმა, ნათესავი მაინც არ ჰყავს, რომ დაურეკოს და გაიგოს, რა „კარგად“ ცხოვრობენ რუსეთის დროშის ქვეშე?! იცის, როგორ არ იცის, მაგრამ თავისი ხალხის ბედი ისევე ანალვებს, როგორც პუტინს, ხოლო პუტინის აზრით, ეს ხალხი ძალიან ბევრია და ამდენი არაა საჭირო.

კრემლის მიერ ნაჩუქარმა დამოუკიდებლობამ უკვე გამოისხა პირველი ნაყოფი აფხაზეთში: რატომღაც, ბალაფში ყოველთვის უფრო ჭკვიანი კაცი მეგონა, ვიდრე კოკოითი და თუ გახსოვთ, მისი გაპრეზიდენტება არც მოსკოვს უნდოდა, მაგრამ მეც და მოსკოვიც შევცდით და არ უნდოდა კი არა, უერთგულეს მონად გამოადგა და ისიც დიდი მონდომებით უკოცნის საჯდომს. შედეგმაც არ დააყოვნა და რუსეთის გენერალიტეტმა უკვე გააძევა(!) აფხაზური მილიციაც და ჯარიც გალის ტერიტორიიდან. ცუდია, მაგრამ რას იზამ?! გალი რუსულ სამხედრო ქალაქად გამოცხადდა და იქ, ისევე, როგორც ოჩამჩირეში, სადაც სამხედრო ბაზა შენდება, აფხაზს უკვე აღარაფერი ესაქმება.

ხალხს გავასახლებთო, უკვე თქვეს; რუსი ოფიცრების ოჯახებს ჩამოვასახლებთო, ესეც თქვეს; აფხაზეთის სრული საზღვაო ზოლიც რუსებით უნდა დასახლდესო, ხომ თავიდანვე თქვეს?!. ანუ გამოდის, რომ აფხაზეთი აფხაზეთის გარეშე დარჩება და თქვენ ისევე ასახლდებით მაღალ მთებში, როგორც ჩამოსახ-

ლდით და შერვაშიძეებისა და ემუხვარების აფხაზობა მოირგეთ. ადექი ახლა, „პრეზიდენტო“ და „ხალხის რჩეულო“ „სერგო ორჯონიკიძე“-ბალაფში, ძველი „ზილის“ მაცივარივით რომ დაარჩინებთ მაგხელა თავს და ქინძის ფოთლისხელა ტვინი არ გიდევს იმ „მაცივარში“, უფრო კარგად დაუკოცნე უკანალი შენი სულის მყიდველ ეშმაკ პუტინს. ან უფრო გჭირდება, რომ შენივე ხალხის რისხვას ისევ რუსეთში დაეშალო.

როგორი ხანმოკლე აღმოჩნდა შენი და კოკოითის დე ფაქტო სიხარული, დუმაში ჩასულებმა გამარჯვების კოცნა რომ „დაუზახეთ“ ერთმანეთს, — უკვე დამოუკიდებლები ვართო! ნეტავ, ვისგან ხართ დამოუკიდებლები, როცა ტულეშშიც ვერ შედისართ, მოსკოვიდან თანხმობის გარეშე?! ისეთივე დამშუული ჯარისკაცებით რომ აგვესებათ სოფელ-ქალაქები, დღეს რომ ახალგორის სოფლებში დაეხეტებიან და გალს ვინ დაეძებს, — გაგრას,



ბიჭვინთასა და სოხუმსაც რომ დაგატოვებინებენ, „დამოუკიდებლობა“ მაშინ ნახეთ!.. თუმცა შენ რა გენალვლება?! ისევე აფხაზმა და ქართველმა ხალხებმა იკითხონ, ვისაც უყვარს და ვისიცაა ეს მხარე, თორემ შენ არ დაგიკარგავს ამაგს მადლიერი მოსკოვი და ბოლოს და ბოლოს, ერთ ჩავარდნილ სუპერმარკეტს, უფრო სწორად — გასტრონომს მაინც ჩაგაბარებენ, ციმბირის რომელიმე ქალაქში და კაცი პროფესიონალი გამყიდველი ხარ, გასტრონომს ვერ ამოქაჩავ?! მოადგილედ კოკოითი დაისვი და მოლარედ — ჩოჩიევი...

აფხაზეთს კი ჩვენ მივხედავთ, ისევე, როგორც ცხინვალის საბოლოოდ ჩვენი მისახედი — მაგ ჭკუაზეა მსოფლიო, რუსეთის თავგასულობის

პრეცედენტი დაუშვას და თქვენი დამოუკიდებლობით, რისკის ქვეშ დააყენოს მთელი ევროპის უსაფრთხოება!.. არც რუსული გაზია შეუცვლელი, გერმანიისა და საფრანგეთისთვის, ბათუმის ლობიო არ იციან ჯერ მაგათ!..

- P.S. პუტინის ზარი ბალაფშიან:
- რა ხდება შენთან, მშვიდობაა?
 - დიახ, ბატონო, მშვიდობაა, მაგრამ თქვენი ჯარისკაცები გალს იკავებენ და ჩემი ხალხი გაყარეს. ალბათ გაუგებრობაა, ხომ?
 - რა თქმა უნდა, გაუგებრობაა, სერგო. ნუ ლელავ, ახლავე ვუბრძანებ, რომ სასწრაფოდ დატოვონ გალი და... გაგრა და სოხუმში დაიკავონ.

გალში „ვაენი გარადოკი“ აუხდება

„სამუდამოდ რუსეთის ეკონომიკაზე დამოკიდებული გავსდებით“...

ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შემდეგ, ყველა დარწმუნდა, რომ აფხაზეთში რუსეთს საკუთარი ინტერესები აქვს და „თავისი მოქალაქეებიც“ ამ ინტერესების განხორციელებისთვის სჭირდება... ახალადიარებული „დამოუკიდებელი აფხაზეთის“ უახლესი ისტორია დაახლოებით ასე გამოიყურება: რუსეთმა ომის შემდეგ, დრო იხელთა და საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა აღიარა. თუმცა მალევე გაირკვა, რომ აფხაზეთის უსაფრთხოებისთვის 150 ათასი რუსის ჩასახლება იგეგმებოდა. ადგილობრივები ამ გადაწყვეტილებას სიხარულით არ შეხვედრიან, მაგრამ როგორც გაირკვა, მეგობარი რუსეთისთვის „ქართველების მიერ დაჩაგრული პატარა ერის“ პოზიცია მნიშვნელოვანი სულაც არ ყოფილა...

სამხედროებს გალში ბიზნესინტერესებიც აქვთ.

— დიას, ასეა. მაგრამ ეს ქართველებისა და აფხაზების ერთობლივი ბიზნესი იყო, საიდანაც სარგებელი ორივე მხარეს ჰქონდა. გალი აფხაზეთის ეკონომიკის ხერხემალია და რუსების მიერ მისი სრულად ათვისება და იქ სამხედრო ქალაქის აშენება ნიშნავს, რომ სამუდამოდ რუსეთის ეკონომიკაზე დამოკიდებულსა და ინვესტიციებზე დამოკიდებულს გავსდებით.

თორმეტი კილანაპა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გალის რაიონის მიმართულების კოორდინატორი:

— საქართველოს დანარჩენი ტერიტორიებიდან გასული რუსული საოკუპაციო ძალები გალის რაიონის ქვედა ზონაში, ე.წ. მოსაზღვრე სოფლებში არიან განლაგებული. მათ მთლიანად დაკავებული აქვთ ქალაქი გალი და რაიონის რამდენიმე სოფელი — ფიჩორი, განახლება, ნაბაკვი, თაგილონი, საბერიო, დიხაზურგა და ჭუბურხინჯი. რამდენიმე დღის წინ ე.წ. სამართალდამცველებს განუცხადეს, რომ მათ ფუნქციებს თავად შეითავსებენ. იგივე აფხაზ მესაზღვრეებსაც უთხრეს.

როგორ შეხვდა ამას აფხაზური ადმინისტრაცია?

— როგორც ვიცი, ამ მოთხოვნას აფხაზებსა და რუსებს შორის ურთიერთობის გაშენება მოჰყვა, მაგრამ ორივე მხარე ცდილობს, ეს დაპირისპირება მიჩქმალოს. რუსებს უნდათ, ამ რაიონში მოქმედი, ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ორგანო ე.წ. „ვაენი გარადოკის“ ფუნქციებს დაექვემდებაროს. გარდა ამისა, ლაპარაკია იმაზეც, რომ ნებისმიერი სახის გადაადგილება და პირადი ურთიერთობებიც კი მათთან უნდა შეთანხმდეს. „სამხედრო ქალაქში“ რუსები შინაგანანებს შემოიღებენ, რომელსაც კველას ერთნაირად დაუმორჩილებენ. აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ოჩამჩირისა და გალის რაიონში, ბესიკ არშბას პირდაპირ განუცხადეს, რომ მან ადგილობრივი

ლალი კაპასკირი


მართალია, გასულ კვირას აფხაზეთის ლიდერმა ძალიან თავდაჯერებულად განაცხადა, — გალსა და ზუგდიდს შორის სახელმწიფო საზღვარს აფხაზი მესაზღვრეები დაიცავენო, — მაგრამ რამდენიმე დღეში რუსეთმა გალის რაიონში „ვაენი გარადოკის“ აშენება გადაწყვიტა და გალის ტერიტორიის დატოვება, ქართულ მოსახლეობასთან ერთად, აფხაზ სამხედროებს, ე.წ. მესაზღვრეებს, საგადასახადო ინსტრუქციასა და მილიციასაც მოსთხოვა. მართალია, ამაში ქართული მხარისთვის საბარბიელო არაფერია, მაგრამ საგულისხმოა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: რუსეთის პოზიციაზე აფხაზურ მოსახლეობას „მეგობარი“ ქვეყნის „თანადგომის ფაქტი“ თანდათან დაანახა. ამ პრობლემის შესახებ უფრო

მინისტრაციული ხელმძღვანელობის ფუნქცია რუსულ სამხედრო ნაწილს გადაეცემოდა. „რუსული პროექტის“ თანახმად, ოჩამჩირის საზღვაო ფლოტის კონტროლი მთლიანად რუსეთის ხელში გადადის. გალსა და ოჩამჩირეს შორის საავტომობილო გზის სასწრაფოდ აღდგენა იწყება და ამ მონაკვეთზე ყაზარმა და მცირე ზომის კორპუსები აშენდება, სადაც სამხედრო პირების ოჯახები განთავსდებიან.

— თქვენ ნახეთ ეს პროექტი?

— არა, მაგრამ პროექტის დანიშნულებასა და მასშტაბში გამარჯვებს. მათივე თქმით, ამის აუცილებლობა იმით იყო გამოწვეული, რომ ადგილობრივი მოსახლეობა აფხაზურ მილიციაზე მეტად, რუს „სამშენებლოებს“ უნდობა და ამიტომ, რამდენიმე დღეში აფხაზ სამართალდამცველებსაც მოუწვევთ იარაღის ჩაბარება.

— 10 ოქტომბერს რუსეთის სამხედრო ნაწილის ერთ-ერთი მეთაური, ბულგარენკო ოჩამჩირის რაიონის ადმინისტრაციულ სამმართველოში მოვიდა და მითხრა, — ნაბრძანები გვაქვს, ეს პოსტი უნდა გაუქმდეს, რადგან თქვენს ფუნქციას უკვე ჩვენ ვითავსებთ... შენობის დასაცვლელად 3-4 დღე მოგვცეს. სასწრაფოდ დაუკავშირდი სოხუმის ხელმძღვანელობას, ვიფიქრე, რომელიღაც რუსმა გენერალმა ეს გადაწყვეტილება არაფხიზელ მდგომარეობაში მიიღო-მეთქი. სოხუმში მითხრეს, ყველაფერს



— გამოდის, რომ რუსები აფხაზ სამხედროებისა და ძალოვნების განაარაღებას იწყებენ?

— ასე გამოდის... თუმცა ახლაც შემიძლია გითხრათ: აფხაზი ხალხი ამას არ მოითმენს. ჩვენი სამხედროების უმეტესობას ახლო და ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა გალის რაიონის ქართველ მოსახლეობასთან და არ დაუფუჭებთ, რომ ისინი საცხოვრებელი სახლებიდან აყარონ.

— ქართველ მოსახლეობასთან „კარგი“ ურთიერთობის გარდა, აფხაზ

თვითმმართველობის ორგანოების მოქმედების არეალი უნდა შეამციროს და ნებისმიერი ცვლილება რუსეთის სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელთან შეთანხმდეს. როცა არშბამ განაცხადა, ენგურის ხიდი უნდა ჩავეჭლოთო, — მას განუპარტეს, რომ ე.წ. საზღვრის ჩაკეტვის საკითხს რუსული მხარე წყვეტს, ამიტომ, ასეთი გაცხადებით მან საკუთარ უფლებამოსილებას გადააჭარბა და თანამდებობიდან დათხოვნილაც დაეუქრნენ.

— ცნობილია, რომ გალში ე.წ. „სამხედრო ქალაქის“ მშენებლობის



„ოპიზისტურ განყოფილებას ვერ გაპიზიარებ“

საერთაშორისო ზენოლის მიუხედავად, მოსკოვი ომამდე არსებული სტატუს კვოს აღდგენას არ აპირებს. ამასთანავე, თუმცა რუსული საჯარისო შენაერთები ახალგორში, კოდორსა და საჩხერის რაიონის სოფელ პერევეში კვლავ იმყოფებიან, დმიტრი მედვედევი აცხადებს, რომ თავისი ვალდებულებები უკვე შეასრულა. როგორც ყოველთვის, კრემლი თბილისის მიერ დაშვებული შეცდომებით ამჯერადაც სარგებლობს და ახალგორიდან გაუსვლელიობის მიზეზად, საქართველოს პარლამენტის მიერ ორი წლის წინ მიღებულ კანონს ასახელებს, რომლის მიხედვითაც, ეს ქალაქი ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაში შევიდა. რამდენად საფუძვლიანია მოსკოვის ეს არგუმენტი და რას უნდა ველოდოთ ლუქსემბურგსა და უენევაში გამართული მოლაპარაკებების შედეგად? — ამ კითხვებით პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს მივმართეთ.

დამწყობსთანავე ადგილობრივი ქართველები იქაურობის დატოვებას აპირებენ. თუმცა ასეც რომ არ იყოს, რუსი სამხედროები სახლებიდან მათი გაყვანით იმუქრებიან.

— დიას, ჩემი ინფორმაციით, ენგურის ხიდიდან კილომეტრნახევრიან ზონაში მცხოვრები ქართველები გავრთხილებული არიან, რომ ე.წ. სახელმწიფო საზღვარი უნდა გაკეთდეს და მათ საცხოვრებელი სახლების დატოვება მოუწევთ.

გურამ ყიფიანი, საბერიოს მკვიდრი:

— ამას წინათ რუსმა სამხედროებმა ჩამოიარეს და გვიტხრეს, — რამდენიმე კორპუსიდან ხალხს გასვლა მოუწევს, რადგან იქ სამხედრო პირები უნდა შეასახლონო. თან დასძინეს, ეს ყველაფერი თქვნივე უსაფრთხოებისთვის კეთდება, რათა გალში გორის მოვლენები არ გამეორდესო — ანუ ქართველებს გალის დაბრუნების ამბიცია არ გაუჩნდეთო.

კომპენსაციის სახით რაიმე თანხაც ხომ არ შემოუთავაზებიათ?

— კონკრეტული თანხა არ დაუსახელებიათ, მაგრამ გვითხრეს, რომ საცხოვრებელი სახლის ფულად კომპენსაციას აფხაზური ადმინისტრაციული ერთეულისგან მივიღებთ; თუ ეს საკმარისი არ იქნება, თავისი მოქალაქეების დაბინავებაზე საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იზრუნოსო... არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ბოლო დროს უკიდურესად დამძიმდა სოციალური ფონი, მოსავლის აღებისა და დაბინავების საშუალება არ გვაქვს, თხილის ფასი, ქართული ვალუტის კურსით, 1 ლარამდეა, მაგრამ ჩვენ მისი ჩაბარების საშუალებაც არ გვაქვს. ერთბაშად რამდენიმე რუსი სამხედრო ჩამოუვლის ხოლმე და ყველაფერი მიაქვთ, რაც კი ხელში მოხვდებათ, — თხილი, სიმინდი, საქონელი... მართალია, გალის რაიონში შეტაკებები, სისხლიანი გარჩევები, ადამიანის გატაცებები, სროლები და მძიმე დანაშაულებები ხშირად ხდებოდა, მაგრამ ჩვენი ხალხი არსებულ ვითარებას მტანჯულად შეგუებული იყო, ჩვენი ქერი გვექონდა და რალაცინარად მაინც ვარსებობდით. ბოლო დროს ზოგმა გარისკა და სიმწრით შეგროვებული ფულით სახლიც კი გაარემონტა მან, ვისაც ომის დროს გადაუნჯეს, დამწვარ კედლებზე ახალი ააშენა, ზოგმა — იძულებით, ზოგმაც — საკუთარი ნებით...

რას ნიშნავს „იძულებით“?

— ფულის სახლში შენახვას ვერავინ ბედავდა მოსავალში აღებულ თანხას ან აფხაზი წაართმევდა, ან რუსი და ან ქართველი კრიმინალი. ამიტომაც ზოგი ბლოკს ყიდულობდა, ზოგი — ქვიშას, ზოგი — ცემენტს, ფიქრობდნენ: ოდესმე მაინც იქნება ნორმალური ცხოვრება და აქ დაბრუნებულ ჩემს შვილებს სამშენებლო მასალებს მაინც დავახვედრებო. ზოგმა უკვე აშენა. ახლა კი აუშენებელიც და ასამენებელიც რუსებს დარჩათ... ერთს ჩემს მეზობელს შვილი და შვილიშვილები რუსეთში ჰყავს და ამას წინათ მითხრა, — მე მოსკოვში ნავალ, მაგრამ შენ რა გემუვლებათ?! — მე ტყეში ნავალ, პარტიზანად და იქიდან ვიბრძოლებ, რომ რუსმა ჩემს მიწაზე ფეხი ვერ მოიკიდოს-მეთქი, — ვუპასუხე. თუკი ეს გავაკეთე, არც „კვენი გარადოკში“ მცხოვრებ ქართველს დავეინდობ, რადგან ჩემთვის ისიც რუსი იქნება...

„აუხილავლად მოუხავთ, საქთაშორისო სასაქართველოში თავის პართლავა“

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო სოსო, დაუშვათ თუ არა შეცდომა ჩვენმა ხელისუფლებამ, როდესაც ზემოთ ხსენებული კანონი მიიღო?

— რა თქმა უნდა, ეს სერიოზული შეცდომა იყო. დღეს რუსები ამ დოკუმენტს ყველა საერთაშორისო შეკრებაზე აგვიფრიალებენ. ფაქტია, რომ ახალგორი ოლქის შემადგენლობაში საქართველოს ხელისუფლებამ შეიყვანა. ევროსაბჭოს მინისტრებმა შეიძლება, რუსებს ანგარიშიც კი გაუწიონ ამის გამო. კოკოითს არანაირი პრეტენზია არ გააჩნდა ახალგორზე. „უკვანტო საქმე საკვანტოდ გავიხადეთ“. სამწუხაროა, რომ ასეთი სარისკო ნაბიჯის გადადგმას თავის დროზე ხელი ვერავინ შეუშალა. არ მესმის, რატომ მოუნდათ ისედაც ფართო ავტონომიის გაფართოება. ეს ის შეცდომაა, რომლის გამოსწორებაც თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ ამის პრაქტიკულად განხორციელება ძალზე რთულია.

თეორიულად ამ პრობლემის მოგვარება როგორ გეახებათ?

— კოკოითს და ბალაფშს არავინ არაფერს ვკითხება. მხოლოდ რუსეთთან უნდა ვანარმოოთ მოლაპარაკებები. დიპლომატიური გზებით აუცილებლად უნდა ვიბრძოდეთ ახალგორის დასაბრუნებლად, იმიტომ, რომ ამ ტერიტორიას ჩვენთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და ის მაშინაც კი არ უნდა შევიდეს ე.წ. სამხრეთ ოსეთის შემადგენლობაში, როდესაც ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას აღვდევნით. ახალგორიდან დუშეთამდე მხოლოდ 17 კილომეტრია. ღმერთმა ნუ ქნას, მა-

გრამ თუ ახალი კონფლიქტი წარმოიშვა, რუსული ტანკები ტურისტული ლაშქრობის მონაწილეებით გამოვიღიან ამ გზას...

— ფაქტია, რომ ახალგორსა და კოდორში რუსული ჯარის დარჩენას ევროსაბჭოს მინისტრების უმრავლესობა კრიტიკულად აფასებს. რამდენად შესაძლებელია, რომ რუსებს ამ ტერიტორიების მიკუთვნების სურვილი ძვირად დაუფჯდეთ?

— ანუ ფიქრობთ, რომ ჩვენთვის „ზოგი ქირი მარგებელი“ გახდება?.. მე ამ ოპტიმისტურ განწყობილებას ვერ გავიზიარებ. ერთხელ საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე ერთ-ერთი „სამთავრობო-არასამთავრობო“ ექსპერტი (სახელსა და გვარს არ გავამხეღ) იმასაც მიმტკიცებდა, — რუსები აფხაზეთში სასტუმროებსა და სხვა ობიექტებს რომ ყიდულობენ, კარგია: როდესაც აფხაზეთს დავიბრუნეთ, მათი ქონებაც ჩვენს ხელში აღმოჩნდებაო. ასეთი მოსაზრებები კარგს არაფერს მოგვიტანს. რეალურად უნდა შევხედოთ შექმნილ ვითარებას.

უნიალური საგვარეულო რეკავებითსიროფი „ვლანტა“
 მსტ 5000 7970-001-2006

- ჩიყვი; ჩირქოვანი გლანდები;
- ადენოიდები — ხვრინვა;
- მასტოპათია (კვანძები);
- ფიბრომა, კისტა, უნაყოფობა;
- შეპატიტი, კოლიტი, კუნჭები;
- შაკიკი, კლასტერი.

ტელ.: 59-59-82
 მობ.: 877 496148 ენვერი



ეს ის შეცდომაა, რომლის გამოსწორებაც თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ...

— ლუქსემბურგსა და ჟენევაში გამართული მოლაპარაკებების შესახებ რას იტყვი?

— საბოლოო შედეგებზე ვერაფერს ვიტყვი. მართალია, გარკვეული გადანყვებილებები უკვე მიიღეს, მაგრამ თუ მათი შესრულების მექანიზმი არ შეიმუშავეს, მხოლოდ ფარატიანა ქალაქი შეგვრჩება ხელში. სიმართლე რომ გითხრათ, ჩვენს სასარგებლოდ სიტუაციის რადიკალურად შეცვლას არ ველოდები. ევროპელ მეგობრებს მაძღობა უნდა გადაუხადოთ, თუ როგორმე, ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი მოგვარდა.

— ქართულ მხარეს რა სირთულეს შეუქმნის ის ფაქტი, რომ ჟენევაში სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლებიც გაემგზავრნენ?

— ძალიან ცუდია, რომ სეპარატისტები მოლაპარაკების სუბიექტები ხდებიან, მაგრამ რას ვიზამთ?! დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მოლაპარაკების ფორმატს ჩვენ ვვლარ ვკარნახობთ. ჩვენი ერთადერთი ნუგეში ის არის, რომ ამერიკა სოხუმისა და ცხინვალის წარმომადგენლებს გაეროს სხდომებზე დასასწრებად ვიზას არ აძლევს.

— შესაძლებელია თუ არა, რომ ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნებაზე პასუხისმგებლობა სოხუმსა და ცხინვალს დაეკისროს?

— ლტოლვილთა უპირობო და უსაფრთხო დაბრუნებაზე პასუხისმგებლობა რუსულ მხარეს უნდა დაეკისროს. კოკოითი და ბაღაფში მილიონ საბავს მოძებნიან სამისოდ, ქართველები უკან რომ არ დააბრუნონ და ვითარების ხელოვნურად დაძაბვას დაიწყებენ. ბაღაფშთან და კოკოითთან მოლაპარაკება ან მათზე რაიმე პასუხისმგებლობის დაკისრება იმიტომაც არ ღირს, რომ აფხაზეთის ბატონ-პატრონად უკვე რუსები მოგვევლინენ. მალე ანალოგიური ვითარება შეიქმნება ცხინვალშიც. მე თუ მკითხავთ, ჩვენთვის კარგიც არის, რომ აფხაზთა ბანდფორმირებებს გალიდან ოჩამჩირეში „ყრიან“.

— გალში რუსული ჯარის ჩადგომა

უნდა გვიხაროდეს?..

— ეს იმ მხრივ კარგი, რომ ლტოლვილებს, დაბრუნების შემთხვევაში, ნაკლები საფრთხის ქვეშ მოუწევთ ცხოვრება რუსმა ჯარისკაცებმა ადგილობრივი მოსახლეობისგან შეიძლება, მხოლოდ არაყი მოითხოვონ, აფხაზები კი თხილის სეზონის დაწყებისთანავე, ქართველების დაყაჩაღებასა და ძარცვას დაიწყებენ. ბუთბას მსგავსი დაჯგუფებების თარეშს, ისევე მთვრალი რუსების ატანა სჯობია, ისინი სახლებს მანაც არ გადანავენ.

ჩვენი ხელისუფლების მიერ დაშვებული იმ შეცდომის შესახებ, რომელსაც დღეს

კრემლი სათავისოდ იყენებს, კომენტარი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარეს, შოთა ბალაშვილსაც ვთხოვეთ.

— ბატონო შოთა, აღიარებს თუ არ ხელისუფლება, რომ ახალგორის ენ. სამხრეთ ოსეთის შემადგენლობაში შეყვანით, სერიოზული შეცდომა დაუშვა?

— რუსები არღვევენ 12 აგვისტოს ხელშეკრულებას, სადაც ნერია, რომ მათ უნდა დატოვონ ყველა ზონა, სადაც არ იმყოფებოდნენ 6 აგვისტომდე. ყველა იცის, რომ 6 აგვისტომდე ისინი არ იმყოფებოდნენ ახალგორში, საჩხერესა და ზემო აფხაზეთში. ჩვენი ხელისუფლების გადასაწყვეტია, რომელ სოფელსა და ქალაქს მიაკუთვნებს ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ერთეულს, და დარჩება თუ არა ის საქართველოს ტერიტორიაზე და არა — რუსების.

— ლაგოჯის მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტი, ოლქსათვის ახალგორის მიკუთვნების თაობაზე, კუშნერმა საკმაოდ საფუძვლიან პრეტენზიად მიიჩნია.

— თბილისში ყოფნისას კუშნერმა აღნიშნა, — საჩხერეში, ახალგორსა და ზემო აფხაზეთში რუსული ჯარის დარჩენით, მოსკოვი 12 აგვისტოს ხელშეკრულებას არღვევს. საქართველოს ხელისუფლებას საჩხერის სოფლები არც ერთი ადმინისტრაციული ოლქისთვის არ მიუკუთვნებია, მაგრამ რუსული ჯარი იქაც დგას. ასე რომ, ლაგოჯის უკუღმართი ლოგიკიდან გამომდინარე კი, ეს პრეტენზიები სამართლებრივად, აბსოლუტურად უსაფუძვლოა და ასეთი ფაქტებით მანიპულირებას მოსკოვი დიდი ხნის მანძილზე ვერ შეძლებს. საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის მთავარი თემა — ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნებაა.

ამ საკითხთან დაკავშირებით, სულ მალე შემუშავდება საერთაშორისო ფორმატი და კონფლიქტურ ზონებში ევროკავშირის მონიტორები განლაგდებიან.

— ერთ-ერთ კონფლიქტურ ზონაში ანუ გალში რუსეთი უკვე სამხედრო ქალაქს აშენებს ინცებს...

— ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ლაგოჯი იტყუება, როდესაც ახალგორის დაკავების მიზეზად, ადმინისტრაციულ „გადაადგილებას“ ასახელებს. რუსეთის ხელისუფლება თავადვე აძევებს აფხაზეთის ტერიტორიიდან იმ ხალხს, რომელსაც დამოუკიდებლობა მიანიჭა. მალე ზუსტად ასეთი ვითარება შეიქმნება ცხინვალშიც და ყველა, მათ შორის საერთაშორისო საზოგადოებაც, მიხედვით, რომ მოსკოვი აფხაზებისა და ოსების დამოუკიდებლობაზე არ ზრუნავს და მხოლოდ ტერიტორიების მითვისებისთვის იბრძვის. წესით, კრემლის ეს ქმედებები აფხაზ ხალხს უნდა აღიზიანებდეს, მაგრამ მათ დე ფაქტო სტრუქტურებში არ არსებობენ ისეთი ძალები, რომლებსაც წინააღმდეგობის უნარი შესწევთ.

— აფხაზების ერთი ნაწილი უკვე ხედება, რომ რუსეთმა ისინი საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენა და შემდეგ — გასწირა. საქართველოს ხელისუფლება მათთან მოლაპარაკებებს არ დაიწყებს?

— ჩვენ ამ მხრივ, პრობლემა არ გვაქვს — აუცილებლად ვისაუბრებთ იმ აფხაზებთან და ოსებთან, რომლებსაც თვითმყოფადობის შენარჩუნება სურთ. მაგრამ ქართველების ეთნონიმენდას, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას არასოდეს დავარქმევთ. მსოფლიო საზოგადოება ამბობს, რომ რუსებმა, დე ფაქტო, ხელისუფლებებთან ერთად, დანაშაული ჩაიდინეს. ამიტომ მათ აუცილებლად მოუწევთ საერთაშორისო სასამართლოში თავის მართლება. ჩვენ ოსებს შორის უკვე გამოვჩახეთ ადამიანები (ქარქუსოვი და სანაკოვეი მყავს მხედველობაში), რომლებსაც მართლა სურთ თვითმყოფადობის შენარჩუნება. ასეთი პიროვნებების მოძიება აფხაზურ ეთნოსშიცაა შესაძლებელი, მაგრამ ისინი ჯერჯერობით არ ჩანან...

ძალიან ცუდია, რომ სეპარატისტები მოლაპარაკების სუბიექტები ხდებიან



„თვითგკვლად აღაშინან არა აქვს შენოვა“...

ეკლესიასთან არსებულმა სრულიად საქართველოს ახალგაზრდულმა საზოგადოებამ — „სულიერი ლაშქარი“ — გლდანის ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვრის — დეკანოზ მიქაელის ხელმძღვანელობით, ნიკოტინის საწინააღმდეგო აქცია მოაწყო, ლოზუნგით — „სიგარეტი ძირს!..“

აქცია დაახლოებით, 1 საათს გაგრძელდა. მისი მონაწილენი ქალაქის ქუჩებში ხალხს სიგარეტს სთხოვდნენ. შემდეგ — ყუთში აგროვებდნენ, რათა აქციის დასასრულს, ადამიანის ჯანმრთელობის მტერი — სიგარეტის ლერები ეკლესიის ეზოში დაენვით. ამ იდეის ინიციატორი 15 წლის ფიძრია მატიაშვილი გახლდათ.



ეთო ყორღანაშვილი

— ახალგაზრდული საზოგადოება „სულიერი ლაშქარი“, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი მამა მიქაელი გახლავთ, საინტერესო და სასარგებლო აქციებს ხშირად მართავს. გვინდა, რომ საქართველოს უფრო ლამაზი, კეთილი და ჯანმრთელი ახალგაზრდობა ჰყავდეს. ამიტომ გადავწყვიტეთ, ხალხს აუხსნათ, თუ რატომ არ შეიძლება სიგარეტის მოწევა. მწველი ადამიანი საკუთარ ჯანმრთელობას ვნებს. ის თვითმკვლეელია, თვითმკვლელ ადამიანს კი არ აქვს შენობა — არც ღვთისა და არც კაცობრიობის წინაშე.

— შენ თუ მოგიწევია სიგარეტი?

— არასოდეს! ამის სურვილიც კი არ მქონია!.. მინდა, ჩემს თანატოლებს და ასევე უფროსებს მოვუწოდო, რომ მოწევას თავი დაანებონ.

აქციის მონაწილეებს შორის 19 წლის **გიორგი იმყოფებოდა**. ის სიგარეტის აქტიური მომხმარებელია:

— 11 წლის ასაკიდან ვწევი. 16 წლის რომ გავხდი, გადავწყვიტე, სიგარეტის მოწევისთვის თავი დამეხებინა. ასეც მოვიქეცი, მაგრამ ნიკოტინის გარეშე ზუსტად 14 თვე გავძელი. მერე პირადი ცხოვრება ამერია — შეყვარებულს, რომელიც უკვე ცოლად უნდა შემერთო, დავშორდი და ნერვიულობის ნიადაგზე, მოწევა ისევ დავიწყე!

— ხალხისთვის, რომელსაც მოვუწოდებ, რომ სიგარეტი გადაადგოს, სამაგალითო უნდა იყო, შენ კი —

— ვგრძნობ, ჯანმრთელობა ნელ-ნელა მიფუჭდება, მაგრამ მავნე ჩვევას თავს ვერ ვანებებ... ამიტომ, თქვენ მაინც ნუ მოსწევთ!..

31 წლის **როშო შარია** აქციის მონაწილეებმა სიგარეტის ლერი „ნართვეს“ და მოუწოდეს — დღესვე უარი თქვი სიგარეტის მოწევაზე და გაიმარჯვე სიკვდილზეო! თურმე რომეოს სიგარეტის „გადაგდება“ ისედაც გადამწყვეტილი ჰქონია:

— ჯარისკაცი ვარ. ერაყში ვიყავი. ომის გამო საქართველოში ჩამოვედი. მოწევა 10 აგვისტოს დავიწყე. ვიცი, რომ ეს ცუდია, მაგრამ დარდს ვიქარებ... სიგარეტისთვის თავის დანებებას ვაპირებდი, ამ ბავშვების მოწოდების შემდეგ კი უფრო მეტად შევეცდები.

საბა სანია, 9 წლის:

— მამაჩემი ესპანეთში ცხოვრობს. სულ მპირდება, რომ მოწევას თავს დაანებებს, მაგრამ... გუშინ ტელეფონით ვესაუბრე და მითხრა: საქართველოში რომ დავბრუნდები, სიგარეტს მერე „გადავაგდებ“, ახლა ამის გაკეთება მიჭირს, რადგან უზომოდ მენატრები და დარდს მოწევით ვიქარებო... ქუჩაში, ჩემს მოწოდებას ბევრი არასერიოზულად შეხვდა — პლაკატზე გამოსახული, სიგარეტის მოწევისაგან ჩონჩხად ქცეული ადამიანის დანახვაზე სიცილით კვდებოდნენ. ამის გამო, გული დამწყდა... მსურს, რომ ყველა ჯანმრთელი იყოს და ლაღად ცხოვრობდეს!..

სედა და დარდი არც საბას ბებიისთვის — **ლამარა ფარცულიან-ისთვია** უცხო. ბევრისგან განსხვავებით, ის ცხოვრებისეულ სირთულეებს არა სიგარეტით, არამედ ლოცვით უმკლავდება:

— სოხუმში ვცხოვრობდი. წლების წინ, ჩემი 11 წლის ბიჭუნა და მეზობლის პატარა გოგონა ტრაგიკულად დაღუპნენ. ეზოში სანთლის ფორმის ხელნაკეთი მონფეთქებელი მონფობილობა იპოვეს, სახლში შემოიტანეს, ცეცხლი მოუკიდეს და აფეთქდნენ... ასე დაასრულეს სიცოცხ-

ლე უმნიკლო ბავშვებმა, რომლებსაც არაფერი დაუშავებიათ. ეკლესიური ცხოვრებით, მხურვალე ლოცვით გადავიტანე ეს უბედურება... მიხარია, რომ ჩემმა შვილიშვილმა — საბამ უკვე იცის კარგისა და ცუდის გარჩევა. ნიკოტინის საწინააღმდეგო აქციაში მეც სიამოვნებით ვმონაწილეობ. რამეზე დარდი თავის გამართლების საშუალება არაა იმისთვის, რომ მოწევა დაიწყო!..

აქციის დასასრულს, ბავშვებმა მოქალაქეებისგან შეგროვებული სიგარეტის ლერები ეკლესიის ეზოში დანვეს.

დავანოზი შიძალი (ასათიანი):

— ეს აქცია ბავშვებისთვის ჩატარდა. ვიდრე ჩემთან მოვიდოდნენ, ბევრ მათგანს ეგონა, რომ თუ სიგარეტს არ მოსწევდნენ, გოიმებად მიიჩნევდნენ. რატომღაც, სიგარეტი ელიტური საზოგადოების ატრიბუტად მიიჩნდათ. ახლა აცნობიერებენ, რომ ნიკოტინი ეშმაკისეულია. ამ კასრში, რომელშიც ჩვენ მიერ მოგროვებული სიგარეტის ლერებს ცეცხლი უკიდია, ფაქტობრივად, ეშმაკი იწვის!.. ღმერთმა ადამიანის სხეული სიცოცხლისთვის შექმნა. ნუ დააქცევთ, ნუ განირავთ თქვენს სხეულს — ცოცხალ ტაძარს, ღვთის სულის სამყოფელს — მარადიული სიკვდილისათვის.

„რომ-ღიაბნოსტიკის“ და „მიკროლაიზის“

ოფიციალური წარმომადგენლები საქართველოში გთავაზობთ ძველარული წარმოების:

- სისხლში გლუკოზის რაოდენობის მზომ აპარატებს არჩევანით.
- სისხლის წნევის მზომ აპარატებს, არჩევანით და ორწლიანი გარანტიით.

გთავაზობთ აპარატებზე უფასო ტექნიკურ მომსახურებას შპს „მირკოსთან“, არსებულ საღიაგნოსტიკო ცენტრში.

მის: თბილისი; აპიენის 15-ის ახლგაზრდული. ავთიამი „მირკო“; ტელ: 37-98-73 (24 სთ)



სოლომონ ბაგრატიონი, მამა აკაკი და ლელიკო ნიქარაძე

კახაბერი მართლაც, დაქორწინდა ქართველ გოგონაზე და 21 სექტემბერს მემკვიდრე — სოლომონ III გაუჩნდა. ოჯახს გადანყვებილი აქვს, პატარა სოლომონი ისე აღზარდოს, როგორც მეფეს შეეფერება.

— ბავშვს ისე აღზარდით, რომ ხალხმა მეფედ თვითონ აღიაროს, არა ზიზღითა და სიძულვილით, არამედ — სიყვარულით. ხალხმა უნდა იცოდეს, რა არის მონარქი. მონარქი არავის არაფერს ართმევს, პირიქით — მოწყალეობას იღებს და ეს სიამოვნებას ჰგვრის. ის ასრულებს შუამავლის როლს ხალხსა და მთავრობას შორის.

ბატონ სოლომონს ერთადერთი და ჰყოლია, რომელიც ინგლისში ცხოვრობდა.

როდესაც კახაბერის მეუღლე შვილს ელოდა, მამამთილი მამინვე შეუთანხმდა, რომ ბავშვი დაბადებისთანავე მისი „კუთვნილება“ გახდებოდა და მომავალ მეფედ და ტახტის მემკვიდრედ აღზრდიდა. ეს კი ბევრ სიძნელესთან და სირთულესთანაა დაკავშირებული. ვიდრე ფეხს აიდგამს, ბავშვი ოჯახში იქნება, შემდეგ — გელათის მონასტერში წაყვანენ და 10 წლამდე მის აღზრდას იქ განაგრძობენ, ამის მერე კი, 16 წლის ასაკამდე — საბერძნეთში, ათონის მთაზე გაგზავნიან და შესაბამის განათლებასაც იქ მიიღებს. მეფობაზე პრეტენზია, რა თქმა უნდა, სხვა ბაგრატიონებსაც გაუჩნდებათ, მაგრამ ბატონი სოლომონი პირველი აღმოჩნდა, ვინც ტახტის მემკვიდრეობაზე პრეტენზია განაცხადა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კახაბერისა და ლაშარელის მეფედ კურთხევაზე უარი განაცხადა, რადგან ისინი დიდები არიან, თანაც, საქართველოდან შორს, თავისუფალ ქვეყანაში, თავისუფლად ცხოვრობდნენ და შესაბამისი აღზრდა არ მიუღიათ.

— მე მეორე ვაჟიც მყავს და მასაც ცოლდება შვილი. ისიც ეკლესიაში გაიზრდება და მათგან რომელიც ხალხის რჩეული იქნება, ის გახდება მეფე. სხვა ბაგრატიონებსაც შეუძლიათ, თავიანთი შვილები თუ შვილიშვილები მომავალ მეფეებად აღზარდონ და ხალხი თავად აირჩიეს მეფეს. რით არის ცუდი, რომ საქართველოს მეფე ჰყავდეს?! რატომ არ არის ღირსი საქართველო, რომ მეფე ჰყავდეს?! რა დააშავებს ქართველებმა?! თუ რაიმე კარგი მომხდარა ისტორიაში, ყველაფერი მეფეს უკავშირდება. მე არ ვამბობ, რომ მაინცდამაინც ჩემი შვილიშვილი უნდა გახდეს მეფე. თანახმა ვარ, ჩემმა სოლომონ მესამემ უფრო ღირსეულს დაუთმოს ტახტი. დადგეს ყველა ბაგრატიონი და ხალხმა გადანყვიტოს, ვინ იქნება მათი მონარქი. არა ვარ იმის მომხრე, რომ სოლომონი 18 წლის ასაკში მეფე გახდეს. ამ

საქართველოში სულ 2 წელი იცხოვრა.

— იმერეთის მეფე, სოლომონ II ერთადერთი მეფე იყო, რომელმაც რუსეთს უნდობლობა გამოუცხადა და მის წინააღმდეგ გაილაშქრა, ვინაიდან რუსს ვერ იტანდა.

...შოდა, თავის დიდ წინაპარს არც ბატონი სოლომონი ჩამორჩენია და აგვისტოში, ომის დაწყებისთანავე მოხალისედ ჩაწერილა და საბრძოლველად წასულა. მანქანაში მის გვერდით კიდევ ერთი მოხალისე მჯდარა და უკითხავს: ბიძაჩემო, შენ აქ რა გინდაო? — რა გვარის ხარო? — უკითხავს სოლომონს. — რამიშვილიო. — მერე შე დალოცვილო, რამიშვილები და ჯინჯვლაშვილები ომში მიდის ართ და ბაგრატიონი შინ როგორ დავჯდეთო?!

— დიდი პატივი მცეს, თბილისისკენ მომავალ მანქანაში ჩამსვეს და უკან გამომიშვეს. მინდოდა, ჩემი სამშობლო დამეცვა, მაგრამ მომიფრთხილდნენ, რომ არ დავლუპულიყავი და შინ დამაბრუნეს.

კახაბერის ცოლი დედამთილ-მამამთილს „ბატონო მამას“ და „ქალბატონო დედას“ ეძახის. ამ მომხიბვლელი გოგონათი მთელი ოჯახი აღფრთოვანებულია და ბატონი სოლომონი მეორე ვაჟისთვისაც საცოლეს ეძებს. როგორც მეფის შთამომავლებს შეეფერებათ, შვილებისთვის ცოლებს მამა არჩევს — ასე იყო კახაბერის შემთხვევაში და ასე იქნება ლაშარელის შემთხვევაშიც. სოლომონის გარშემო არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მას უბრალოდ, სოლომონს კი არა, სიტყვებით — „თქვენო ბრწყინვალეობა“ და „დიდო მეფეო“ მიმართავენ. თვითონ ბატონი სოლომონი ამ დროს თავს უხერხულად გრძნობს, რასაც იმით ხსნის, რომ მეფისთვის შესაფერისი

აღზრდა არ მიუღია და ასეთი ბრწყინვალეობისთვის მზად არ არის. ერთ-ერთი ასეთი ადამიანი, ვინც სოლომონს საკადრის პატივს მიაგებს, ბატონი როინ ლიპარტელიანი ვახლავთ, რომელსაც სოლომონი მდიდარ, ბერძენ საცოლეს ურჩევს. თუმცა...

— ნეტავ, მეფის ნათლობამდე ჩამოვა ის ქალი? — კითხულობს როინი.

— შეიძლება ჩამოვიდეს, — იღიმება სოლომონი.

— კაცო, დაურეკე და უთხარი, — თუ მოდის, ჩამოვიდეს, თორემ მოკვდები ამ ვიავრის სმით, 1.000 დოლარის ვიავრა მქვს უპვე დალეული და ის კი არ ჩანს...

— მაგი წინასწარ კი არა, მამინ უნდა დალიო, როცა ჩამოვა, — გუცინა სოლომონს.

— ვაჰ, მამინვე რომ არ იმოქმედოს, მერე რა ვქნა?! ამიტომ, წინასწარ ვჯობია...

ასე დასრულდა ერთი დღე ჩემი და მეფური ოჯახის ცხოვრებაში. ისინი კმაყოფილები იყვნენ იმით, რომ ქველმოქმედება ჩაიდინეს, მე — იმით, რომ ერთი მშვენიერი ინტერვიუ ჩავეწერე. უკმაყოფილო მხოლოდ როინ ლიპარტელიანი იყო, რომელიც ვიავრის სმით დაიღალა და ახლა საბერძნეთიდან საცოლის ჩამოსვლას ელოდებოდა. თუმცა პატარა სოლომონ III-ის ნათლობისთვის (ნათლობა 30 ოქტომბერს, გელათში შედგება) და სარდლობისთვის დიდი მონდომებით ემზადება („თუ როინი არ გვისარდლებს, ხმაღს არ მოვკიდებთ ხელსაო“).

გამომცემლობა აალიზრა L

კომპიუტერული პროგრამების სასწავლო კურსი

კომპიუტერული პროგრამების სასწავლო კურსი
 Adobe Photoshop CS2
 Adobe Premiere Pro 2.0
 Adobe After Effects CS3 PRO

საუკეთესო გაკვეთილები კომპიუტერული პროგრამების შესასწავლად

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში

ლალი შატიანი

ქვეყნისთვის — მაია ასათიანი
რუსოლოვნი — ირაკლი მაისურაძე

— ირაკლი, შენი დაქორწინების ამბავი ფილმის — „ჩარიჩაშა“ სიუჟეტს ჰგავს, რას იტყვი?

— ყველაფერი მთლად „ჩარიჩაშას“ რომ არ დამსგავსებოდა, ამიტომაც კვითხე ჩემს ძმას: 22-ში ცოლი მომიყავს და 17-ში შენ მოიყვან-მეთქი? კიო, — დამეთანხმა... 4 წელი ჩემმა ძმამ ითამაშა „მეყვარებულობანა“, ორი წელი — მე და მაგდა ვიყავით შეყვარებულები, ბოლოს კი ერთად ყოფნა გადაწყვიტეთ. მაგრამ თუკი რაიმე რაჭული გენი არის ჩვენში, ის მხოლოდ ჩემს ძმამი — ვანოში იყრის თავს. მძიმე, დაღვინებული ადამიანია. გადაწყვეტილებებს დიდი ფიქრის შემდეგ იღებს. ცხოვრობს პრინციპით — 100-ჯერ გაზომე — ერთხელ გაჭერი. მე ცოტა ჩქარი ვარ. ამიტომაც აღმოვჩნდი ის ფითილი, რომელმაც ვანო „ააფეთქა“, ცხოვრების ახალ რელსებზე გადაიყვანა ცოლები სწორედ ერთი კვირის ინტერვალით მოვიყვანეთ.

— მართლაც, იშვიათი ოჯახი გაქვთ, რადგანაც შენი მეუღლის გარდა, თითქმის ყველანი ურუნალისტები ხართ.

— სხვათა შორის, ჩემი მეუღლე ტელევიზიაში გავეიცანი. ის მაშინ გადაცემებზე მუშაობდა... მე რე მაგდა მიხვდა, რომ ოჯახს ერთი „ტელემანიაკი“ ჩემი სახითაც ვყოფოდა და თავის პროფესიას დაუბრუნდა.

— ახლა თქვენს ოჯახში არის სამი „მანიაკი“ — შენ, შენი ძმა და ძმის ცოლი.

— მე და ჩემმა რძალმა მოვაგვარეთ ურთიერთობა და ერთ ტელეკომპანიაში მოვიყარეთ თავი. ძმა კი ნაკლებად კონკურენტუნარიანი არჩნებოდა. იცი, რა? მთლიანად ვაკონტროლებთ მედიასივრცეს (იციინა).

— როგორც ვიცი, თქვენს გვარს ძალზე საინტერესო ისტორია აქვს.

— ჩვენი გვარის ფუძე „დიდიძე“ გახლავთ. ეს გვარი ვარძიის მახლობელი სოფლიდან არის, საიდანაც მოვიღივართ. წინაპრები, რამდენადაც ვიცი, მოჭიდავეები და საუკეთესო მეფოლადეები იყვნენ. იმის გამო, რომ საუკეთესო იარაღი ჰქონდათ და ომსაც იგებდნენ, აზნაურ მაისურაძეებს რაჭაში ცხოვრების უფლება და ადგილ-მამულები უბოძეს. ძლიერი გენეტიკური ხაზის პატრონებიც აღმოვჩნდით, უსამუველოდ გაემრავლდით. დღესდღეობით, არა მგონია, საქართველოში რომელიმე კუთხე იყოს, სადაც ერთი-ორი მაისურაძე მინც არ გამოვიყოს.

— „კურიერის“ „ნოუსრუმი“ ხშირად მინახავს შენი შვილები. რატომ?

— იმის გამო, რომ სახლში ერთი წუთით ამოსუნთქვის საშუალება არ მაქვს და რასაც ვსუნთქავ — სულ „კურიერშია“ (მანამდე კი „მზეში“ ვსუნთქავდი). ამიტომ, ბავშვები სამსახურში მავითხავენ. ყოველი დილა იწყება ასე: მამი, წავიდეთ სამსახურში?

— ვკრახებ რომ გხედავენ, მაშინ

ვინ აკონტროლებს ქართულ მედიასივრცეს

ორივე ერთი კომპანიის ტელესახება, ნიჭიერი ურუნალისტი. კარიერაში საკუთარი სათქმელი უკვე რა ხანია, თქვენს და არცთუ ურიგოდ მათ ხალხი ცნობს. მაყურებელს თითოეული მათგანი უყვარს და ენდობა. ალბათ, პროფესიული გამარჯვებაც ეს არის.

მაია ასათიანი და ირაკლი მაისურაძე ჩვენს რუბრიკაში მონაწილეობის მისაღებად, რედაქციაში გვეწვინენ. უნდა ვაღიარო, რომ ურუნალისტების „დატყვევება“, მათი მოუტლელობის გამო, ძალიან გაჭირდა. თუმცა საბოლოოდ, ჩვენთან შეხვედრისთვის მაინც გამონახეს დრო. ასე რომ, საუბარი შედგა და ახლა ის თქვენს სამსჯავროზე გამოგვაქვს.



და ვინ ააბიჩა მაია ასათიანი და ირაკლი მაისურაძე

რას ამბობენ?

— არანაირი რეაქცია არა აქვთ: ვა, მამი!

— და გაივლიან...

— შენ ხარ ის ტელენამყვანი, რომელსაც კარგა ხანს უცვლელი ტელეპარტნიორი ჰყავდა ამიტომ ბევრს, შენ და სოფო ხუნარია ცოლქმარი ვგონებ.

— კი, ასე იყო. ერთხელ სოფო გადაღებაზე აფთიაქში მივიდა, სადაც სიყვარული აუხსნეს და იქვე უთხრეს: ძალიან გვიყვარს თქვენი ქმარიცო. — ირაკლის საიდან იცნობთო? — გაუკვირდა სოფოს (მის ქმარსაც ირაკლი ჰქვია, ჩემი ტოლია და ჩემსავე ით, ისიც ტყუპია ზოდიაქოს ნიშნით). — როგორ, ყოველ საღამოს ერთად გხედავთ ეთერშიო!.. — უპასუხეს...

— შენ იყავი ის ადამიანი, რომელსაც აგვისტოს მძიმე დღეებში მთელი საქართველო ელოდებოდა.

— კი, ელოდებოდა, მაგრამ იმ დღეებში, ზუსტად ვიცი, როგორ ვძულდი ადამიანებს. ჩემი დანახვა კი უნდოდათ, მაგრამ თან ეშინოდათ, რადგანაც იმდენი ცუდი ამბის გამოცხადება მინევდა!..

— რა განცდა გქონდა, როდესაც ცუდი ამბების მაუნყებელი იყავი?

— მაქსიმალურად ვცდილობდი, ემოციები მომეთოკა, რადგანაც ძალიან გაღიზინებული ვიყავი იმ ერის მიმართ, რომელმაც საქართველოს წინააღმდეგ დიდი ძალა გამოიყენა — ტვინი ნამდვილად არ გამოუყ-

ენებია... ასე რომ, აგრესია მქონდა რუსების მიმართ, მაგრამ ოკუპანტებზე საუბრისას, როგორც აღვნიშნე, თავს ვაიძულებდი, სახეზე არაფერი დამტყობოდა და არანაირი სუბიექტური კომენტარი არ გამეკეთებინა.

— მასსოფს, დიდი ეშით წაიკითხე ინფორმაცია ოკუპანტების მიერ უნიტაზების მოპარვის შესახებ...

— მისხარია, რომ საქართველოდან მეტი ვერაფერი წაიღეს... რაც მთავარია, მოეწონათ მეორადი უნიტაზები. ეს, რა თქმა უნდა, იმაზე მეტყველებს, თუ რა საფეხურზე გახლავთ იმ ადამიანების განვითარება...

— ირაკლი, ცხოვრებაში აბსოლუტურად განსხვავდები იმ ტიპაჟის ადამიანისგან, ვისაც ყოველდღიურად ვკრახებ ვხედავთ: იქ ძალიან სოლიდური, სერიოზული ხარ. ცხოვრებაში კი — ლალი, ორიგინალური, მზარული, ტიპური ქართველი.

— მოდი, დავინწყოთ იქიდან, რომ ვარ ტყუპის ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანი. ამიტომ, უხასიათო ტყუპი, რომელიც მუდამ სერიოზულია და არ იღიბება, ეთერს მიგვაჯაჭვ, მეორე ტყუპი, რომელიც მზიარული, საყვარელია — ცხოვრებას დავუთმე.

— ერთმანეთში თავიდანვე მერეოდით შენ და შენი ძმა.

— სხვათა შორის, ბევრს ვერეოდით. ერთი შეხედვით კი ვგავართ, მაგრამ რომ დაგვაკვირდება ადამიანი, ჩვენ შორის

არანაირი მსგავსება არ არის. ვანო ჩემზე უფროსია, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს მე უფრო ვგავარ უფროსს. ყოველთვის ვურევავ მას რჩევისთვის — ის ძალიან ნიჭიერი ადამიანია.

— რატომ გადანწყობით ორივემ უფრნალისტობა?

— მე სტომატოლოგი ვარ და ყბა-სახის ქირურგობას ვაპირებდი. უფრნალისტობა ვანომ გადანწყობა. მერე უბრალოდ, მეც მომეწონა ეს საქმე. თავის დროზე, ვანომ მიმიყვანა „საქართველოს ხმაში“ და მითხრა, — ტელევიზიაში რა საქმეც მოგნონს, მოდი, იქიდან დავიწყეთ.

— და რა მოგწონდა მაშინ?

— „ნიუსრუმი“ და იქიდან დავიწყე, სადაც დავრჩი და დავრჩი.

— არ გიფიქრია, რომ ოდესმე ეს ყველაფერი შეიძლება დამთავრდეს, რადგანაც მოვლენ ახლები, ჩვენზე უმცროსები...

— მიფიქრია და ყველას შევუწყობ ხელს. მაგრამ ამ ნუთისთვის ვამბობ, რომ ძალიან ვნაღვლობ, რადგანაც ვერ ვხედავ სწრაფად მზარდ და საიმედო მომავალ თაობას...

— იქნებ ეს ჩვენი ბრალია? ჩვენც ხომ გავზარდეს და იქნებ, ჩვენც უნდა გავზარდეთ ისინი?

— ტრაბახში არ ჩამომართვა, მაგრამ ძალიან ბევრი უმცროსი მეგობარი მყავს, რომლის გულისთვისაც თავი გადამიდვია, კვლავაც გადავდებ, დავუხმარებ, როცა კი დაეჭირდები...

— სათვალე რატომ არ გიკვთია ყოველდღიურ ცხოვრებაში?

— სამაგიეროდ, ღინზები მიკეთია.

— სათვალეს ეკრანზე სოლიდური იერისთვის იკეთებ?

— სათვალე შუქისგან მიცავს, რადგანაც სეზონურად, ალერგია მანუხებს. ნამლები თუ არ ჩავინვეთე, ისე ქუჩაში ვერ გავალ.

— ვინმეს შენ მიმართ პროფესიული შური თუ შექონია? ხომ არ შეიძლება, ყველას უყვარდე?

— კი, გამიგონია რაღაცები ჩემზე, მაგრამ არ მჯერა, რადგანაც ჭორაობა არ მიყვარს და მით უფრო — ჭორების მოსმენა. შეიძლება, ბევრმა ადამიანმა ჩემზე რაღაც თქვა, მაგრამ თუ პირადად არ მოვისმინე, მანამდე არ დავიჯერებ. კეთილი შურით კი ბევრის შემშურებია. მაგალითად, ჩემი კოლეგები საომარი მოქმედებების დროს რომ მიდიოდნენ ცხელ წერტილებში, იქ ყოფნა მეც მინდოდა, მიუხედავად იმისა, რომ მიმანჩნდა — არანაკლებ საქმეს ვაკეთებდი: დიდიდან საღამომდე ეთერი მიმყავდა, თან ისე, რომ მე და ქეთი კვაჭანტირაძეს რომ არ შეგვეცვალა ერთმანეთი, ალბათ რომელიღაც აუტილებლად წავიქცეოდით.

— კრიტიკას როგორ აღიქვამ?

— ღირსეული კრიტიკა ყოველთვის მისაღებია, მაგრამ სხვა შემთხვევაში, გულთან ახლოს არაფერი მიმაქვს. ეს ბოლო პერიოდში შეეძელი — გამოვიმუშავე.

— არ გღლის შენი პროფესია?

— კი, ბევრჯერ მიფიქრია და ჩემთვის მითქვამს, — რატომ ფეხი არ მომწყდა, როცა ვანოს ტელევიზიაში გავყვი-მეთქი?! — მაგრამ მეორე ნუთში აზრი შემიცვლია. ამ სფეროში უამრავი

მეგობარი შემძინა... ახლა შევცვალეთ როლები და კითხვებს მე დაგისვამ.

ქვეყნისტი — ირაკლი მაისურაძე რესპონდენტი — მამია ასათიანი

— ყოველ შენს გადაცემას უზარმაზარი ემოცია ახლავს თან, როგორ უძლებ ამდენ ემოციას?

— ძალიან მოქმედებს, ძალიან განვიცდი. ზოგიერთი გადაცემა მოსამზადებლად, მართლაც რთულია. ბევრი ადამიანის თავგადასავალი შუქდება და ამ ამბების მოსმენა აღსაქმელად ძნელია, გასაშუქებლად — მძიმე. ხანდახან, რეალური ცხოვრებიდან ერთ-კვირიანი ამოვარდნა მაქვს, რადგანაც იმ პიროვნებების ბედით ვცხოვრობ. ეს ადამიანები სტუდიაში რომ მოდიან, მაქსიმალურად ვცდილობ, საკუთარი თავი მოვთოკო და ემოციებს არ აყვავებ.

— გადაცემის დროს თუ გიტორია?

— არა, თუმცა ისე, ძალიან მტირალა ვარ. მიტირია, როდესაც სიუჟეტს ვუყურებ, როცა ადამიანი მიყვება თავის ამბავს. სტუდიაში კი, მიმანჩნია, რომ ჩემი ემოციების გამომჟღავნების არც დროა და არც — ადგილი. თუ ჩემს გადაცემაში მეც ვიტირე, მაშინ, წასულია საქმე.

— გიტორის თემების მოძებნა?

— არა, უბრალოდ, თუკი, ვთქვით, ერთი გადაცემა საყურებლად ცოტა მძიმე, სვედიანი იქნება, მინდა, რომ მეორე — პირიქით, მხიარული იყოს...

— „მხიარულხარ“ საინფორმა-



ყოველ ხუთშაბათს მიიღეთ ამომხურავი **სიასლა**

ციო სამსახურშიც და „იხარშები“ ახლა ტოქმოუში. რომელი უფრო მოგწონს?

— დამწყებ ჟურნალისტებსაც ამას ვუბნები: მიმაჩნია, რომ ჩვენს კარიერაში არის რაღაც ეტაპები: თუ საინფორმაციო სამსახურის „ნენში“ არ „მოიხარშე“ და ეს პრაქტიკა არ გაიარე, არაფერი გამოვა, რეალობას მოწყვეტილი იქნები. წლების წინ, „კურიერში“ რომ არ დამწყეო მუშაობა, ჩემგან არაფერი გამოვიდოდა. ახლა სულ ვამბობ, — რომ დამსვა დაუსახლებელ ადგილას, სადმე უდაბნოში, იქაც შევძლებ გზის გაკვლევას, რადგანაც ტიპური რეპორტიორის უნარ-ჩვევები გამოიმუშავდა.

— მე კი იმდენად მიყვარს „ნოუსი“, რომ არჩევანი სხვა „ეტაპის“ სასარგებლოდ ვერასდროს გადავკეთებ. შეიძლება, ჩემი თავი უკვე ამოწურე კიდეც ამ სფეროში, მაგრამ იმდენად მიყვარს სიჩქარე, რომ იმ საქმეს, რომელსაც დღეს ვაკეთებ, ვერ ველევი-არ შემიძლია, სხვა შემთხვევაში მუშაობა, თუ დრო „ყურთან არ იწვის“. ემოციებისგან განტვირთვას როგორ ახერხებ?

— საქმეში როცა ვარ, ვერ ვახდენ განტვირთვას და ვარ გაბერილი ბუსტიკით... მაშინ ვისვენებ, როდესაც სახლში მივდივარ და „კლასიკური პენსიონერი“ ვხდები. მუშაობის დროს განტვირთვა თუ დავიწყე, მგონია, რომ საქმე აღარ გამოვა. არადა, ბევრს ძალზე სენტიმენტალურ და რომანტიკულ ადამიანად მივაჩნევარ და ვარ კიდეც, მაგრამ საქმეში — პრაგმატიკული. შემიძლია, მაგალითად, ბანალურ კომედიაზე ვიტყვი. პირველად რომ ვნახე მელოდრამა — „ნოთინგ ჰილი“, მის სასიყვარულო ფინალზე ვიტყვი.

— ეს ფილმი მეც მიყვარს და ბევრჯერ მინახავს. მასში ფანტასტიკური, ბრიტანული იუმორია.

— კონკრეტულ ამბავია, რომელზეც, წარმოიდგინე, რომ მიტყვი.

— ოღონდ კონკრეტულ ამ შემთხვევაში, მამაკაცია.

— ესეც ახალი დროის პროდუქტი გახლავთ, რომ მამაკაცების უმეტესობა კონკრეტულად...

— მე, მაგალითად, განტვირთვის დროს ვყვირ ხოლმე ერთს მაგრად დავიყვირებ და სტრესი მესხნება.

— მე რომ დავიყვირო, ხმა საერთოდ აღარ მქვენება (იცინის).

— შეილი ტელევიზიაში არ დაგყავს?

— მას არ უყვარს ტელევიზია: ეს ის დანტეხულობაა, რომელიც დედას ართმევს. მისი მთავარი კონკურენტია ტელევიზორი, სადაც დედა ჩანს. ამიტომ, იშვიათად უყურებს. ხანდახან მიმყავს, იცის — რა

როგორ კეთდება, ახლოს იცნობს ჩვენი სამსახურის სპეციფიკას. ამას წინათ ვუთხარი, ტელევიზიაში წაგიყვან-მეთქი და როგორც აღმოჩნდა, ძალიან განანწყებულნი ყოფილა, იმ გადაცემაში რომ არ მივიყვანე სტუმრად, რომელშიც ჩემი კოლეგების შვილები მყავდნენ მონკეული. ბოლო დროს მსაყვედურობს — რატომ არ ვიცი კარგი საქმელების კეთება. მე თავს იმით ვიმატობ, რომ ასე თუ ისე, ნორმალური სიუჟეტების მომზადება შემიძლია. მაგრამ როცა მარტო ვრჩები საკუთარ თავთან, ძალიან განვიცდი. ხანდახან ვფიქრობ, — ნეტავ, სწორი იყო ჩემი პროფესიული არჩევანი? ხომ არ ჯობდა, რომ „კლასიკური დიასახლისი“ გავეხდარიყავი-მეთქი?..

— სამაგიეროდ, უნდა აუხსნა ბავშვს, რომ მისი დედიკო ის ადამიანია, რომელსაც ქუჩაში ცნობენ.

— ეს მისთვის ჩვეულებრივი რამ არის...

— როგორ გსვდება ადამიანები ქუჩაში?

— როცა ქუჩაში გადიხარ, შენი შრომის შედეგს ხედავ. ცხოვრებაში ეკრანისგან მკვეთრად განსხვავებული იმიჯი მაქვს, ძალიან სადა, უბრალო. ძირითადად, ქალები მაჩერებენ და მეუბნებიან, — ცხოვრებაში რა სხვანაირი ყოფილხარო!.. ვინმეს ერთი კო-



მპლიმენტი, თბილი სიტყვა ძალიან სასიამოვნოა, მაშინვე სხვა ხასიათზე მაყენებს.

— საიზარი მოქმედებების დასრულების შემდეგ მაყურებლებმა თბილი სიტყვები მომწერეს. კონკრეტულად ჩადებული წერილი მოიტანეს და „რუსთავი 2“-ში დატოვეს. როგორც დაეადგინე წერილის ავტორები მეგობარი ქალბატონების ჯგუფია, უფრო — დიასახლისების. იქ იმდენი თბილი, სამადლობელი სიტყვა ეწერა, წარმოიდგინე მე — გულქვა ჟურნალისტს — გული ამოწყვეს და ცრემლებიც კი გადმოვყარე. მინდა, ამ ადამიანებს მადლობა გადავუხადო. ძალიან ვწაბობ, რომ მათი მისამართი არ მაქვს, რომ საპასუხო წურაღლება გამოვიჩინო. სად ისვენებ ყველაზე კარგად?

— ყველაზე ბედნიერი ვარ, როდესაც ჩემს შვილთან მარტო ვრჩები.

— ადგილს არა აქვს მნიშვნელობა?

— არა, თუნდაც დადგეს დრო, რომ

ორი კვირით ვიყოთ მარტო და — ერთად. ჩემი 10 წლის შვილი იაპონური კულტურით არის გატაცებული. ძალიან აინტერესებს ამ ქვეყნის ნახვა. სულ მთხოვს, წაგიყვანო იაპონიაში, რაც ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ სიხარულით წაგიყვანდი, ოცნება რომ აუხდინა, მიუხედავად იმისა, რომ მე პარიზი მიჩვევია. ისე, „კლასიკურად“, მაინც ზღვაზე დასვენებას ვანიჭებ უპირატესობას.

— იქნებ გაიხსენო ყველაზე დასამახსოვრებელი სოფელი, „ნოუსი“, რომელიც გაგიკეთებია?

— ჩემს კარიერაში ყველაზე დასამახსოვრებელი, „ვარდების რევოლუცია“ იყო. მაშინ ყველაზე დიდი გამოცდილება მივიღე. როგორც ჟურნალისტმა კი პროფესიული კმაყოფილება ფერეიდანში განვიცადე.

— შენ ხარ მაია ასათიანი, ტელევიზორში ძალიან სასიამოვნო გარეგნობის ჟურნალისტი. როგორი რეაქცია აქვთ მამაკაცებს? ალბათ შენს თავყვანისმცემელთა რიცხვი ასეულს ითვლის, არა?

— არც ასეულია და არც — ათეული. რა თქმა უნდა, არიან ადამიანები, ვისაც მოსწონთ ის მაია, რომელსაც ეკრანზე უყურებენ. მაგრამ განებივრებული არა ვარ დიდი ყურადღებით. ჩემი ცხოვრება ორად არის გაყოფილი: ერთი ნაწილი ეთმობა საქმეს, მეორე — შვილს. „მესამე ხაზი“ მთლად კარგად არ მაქვს გავლუბული...

— დრო არ გრჩება?

— არც მრჩება და არც ვარ ისეთი ტიპი, პაემნებზე ვიარო, ბარში დაეჯდები, ვიკვლავსო.

— როცა ქალს ამის სურვილი არ უჩნდება, ეს მამაკაცების ბრალია. სამწუხაროდ, ისინი მართლაც კონკრეტი გამხდარან.

— შეიძლება უჩინდებოდეთ...

— მაგრამ რა, ობიექტი არ არსებობს?

— არა, არა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მამაკაცებში კონკრეტი მომრავლებულან...

— შენთვის რას ნიშნავს ცნება „ქართველი ქალი“?

— როდესაც გადაცემაზე ვმუშაობთ, ჩემი პროდიუსერი მეუბნება, — ეკრანზე, ძალზე ემანსიპირებული ქალის იერი გაქვსო. მიუხედავად იმისა, რომ რეალურად მართლაც ემანსიპირებული ქალის ცხოვრებით ვცხოვრობ — მაქვს სამსახური და მარტო ვზრდი შვილს, — მხრებზე მაინც, ტრადიციებზე აღზრდილი ქალის ტვირთი მანევს, რაც ჩემზე გავლენას ახდენს. ეს ბარიერი ვერაფრით გადავლახე. ანგარიშს ვუწევ ყოველთვის იმას, თუ რას ამბობენ ჩემზე. სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი, რომ ემანსიპირებული ქალი ვარ...

— მადლობა ინტერვიუსთვის!

— შენ გაიხარე!.. წარმატებები მინდა გისურვო.

„გაერთიანებული ტელეკომის“ და კომპიუტერული ტექნიკის მალაზიები ერთობლივ აქციას ატარებენ

„გაერთიანებულმა ტელეკომმა“ კომპიუტერული ტექნიკის მალაზიების მეშვეობით ინტერნეტგაყიდვები დაიწყო. ის კომპანიები, რომლებიც აქამდე მხოლოდ კომპიუტერულ ტექნიკას სთავაზობდნენ მომხმარებელს და IT მომსახურებით ან ინსტალაციით იყვნენ დაკავებული, უკვე სრულდასოვან სერვისს გაყიდიან — კომპიუტერულ ტექნიკას ინტერნეტთან ერთად.

მალაზიებმა „სოფთმასტერმა“ და „ვისტიმ“ ინტერნეტპაკეტებზე ერთნაირი ხელშეკრულების გაფორმება უკვე დაიწყო. აბონენტს „მინი“ პაკეტი თვეში 25 ლარი (გლობალური 128 კბ — 512 კბ-მდე; ლოკალური 2 მგბ-მდე) დაუჯდება, (ერთი წლით — 300), ხოლო ლეპტოპებზე გათვლილი „ეკონომპაკეტი“ — თვეში 35 ლარი ღირს (გლობალური 160კბ — 640 კბ-მდე; ლოკალური — 4 მგბ-მდე) წლიური გადასახადი 420 ლარია.

აბონენტს მალაზიიდან მიაქვს მზა მოდემი და ინსტალატორის გარეშე, შესაბამისი ინსტრუქციის მეშვეობით, თავად აერთებს კვების წყაროს. ერთნაირი ტარიფის გადასახადში გათვალისწინებულია მონტაჟის ღირებულებაც და აბონენტს ინტერნეტქსელში ჩართვისთვის დამატებითი თანხის გადახდა აღარ უწევს.

„გაერთიანებულმა ტელეკომმა“ ერთი წლის წინ (2007 წლის სექტემბერში) დაიწყო ინტერნეტსერვისის შეთავაზება DSL ტე-

გაერთიანებული ტელეკომი

კომპიუტერული ტექნიკის მალაზიები

კომპიუტერი +
DSL ინსტალაცია

SoftMaster

სერვისი + კომპიუტერი
WIFI ინსტალაცია

☎ 100-100


ქნოლოგიით. როგორც კომპანიაში აღნიშნავენ, აბონენტთა რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება და უკვე ბაზრის 20% აქვს ათვისებული.

შეუფერხებელი და მალალსიჩქარიანი ინტერნეტსერვისისთვის კომპანია საკუთარ აბონენტებს ერთდროულად რამდენიმე ალტერნატი-

ული არხით ემსახურება. „გაერთიანებულმა ტელეკომმა“ მალალი ტევადობის ინტერნეტმიწოდება უკვე განახორციელა გერმანიასთან, თურქეთსა და აზერბაიჯანთან და თავის აბონენტებს სთავაზობს მაღალსიჩქარიანი ინტერნეტს ყველაზე ლიბერალური ტარიფით.

მსოფლიოს ყველაზე სწრაფი ჩვილის ტიტულს სერბიელი გოგონა — ოლივერა ნედიელა ინარჩუნებს. გოგონა 10 თვის იყო, როდესაც სერბიაში, ქალაქ კიკინდაში გამართულ ყოველწლიურ მარათონში მიიღო მონაწილეობა, სადაც პატარები — არც მეტი, არც ნაკლები — ერთმანეთს სწრაფ ხოხვაში ეჯიბრებიან. მსოფლიო ჩემპიონმა ხოხვაში 4-მეტრიანი დისტანცია 8,6 წამში დაფარა და 2006 წლის შემდეგ, ამ რეკორდის მოხსნა ვერც ერთმა „მხოხავმა“ მარათონელმა ვერ შეძლო.

საბავშვო მარათონი სწრაფ ხოხვაში ცოტა ხნის წინ საქართველოშიც გაიმართა. თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე ერთმანეთს ხოხვაში 30-მდე პატარა ეჯიბრებოდა. გამარჯვება და შესაბამისად, ყველაზე სწრაფად მხოხავის ტიტული პატარა ანასტასია ჯავახიშვილს ერგო.



ყველაზე სწრაფები ხოხვაში

იმა ტყუილი

ბარიკა ლომაძე, შეჯიბრების ორგანიზატორი ფარმაცევტული კომპანიის მარკეტინგისა და პიარის მენეჯერი: — ამ მარათონის ჩატარების იდეა ჩვენს კომპანიასა და მის გერმანულ პარტნიორს, ბავშვის საფენების მწარმოებელ კომპანიას

არო, რომ არ ველოდით, ეს მარათონი მშობლების ასეთ ინტერესს თუ გამოიწვევდა. შეჯიბრებაში 8 თვიდან ერთ წლამდე ასაკის პატარები მონაწილეობდნენ. ვაკის პარკის ტერიტორიაზე სპეციალური, 8 მეტრის დისტანციის ბილიკი მოეწყო. მშობლები ბავშვებზე მეტად აქტიურობდნენ: მარათონის მონაწილე შვილებს შეძახილებით ამხნევებდნენ, ზოგი, შვილს ფინიშსკენ სათამაშოებით იტყუებდა, ზოგიც — სანოვარა ბოთლით. მარათონი სამ ტურად ჩატარდა და მასში სამი გამარჯვებული გამოვლინდა. პირველი ადგილი ერგო ანასტასია ჯავახიშვილს, მეორე ადგილზე — გიორგი ნიკოლაიშვილი, ხოლო მესამეზე ელენიკო მახვილაძე გავიდნენ. ვინაიდან მშობლები მარათონის მსვლელობისას ძალზე აქტიურობდნენ, გადავწყვიტეთ, ჯილდო ყველაზე აქტიური მშობლისთვისაც გადაგვეცა. ყველაზე აქტიური გულშემატყვირის ტიტული მარათონის გამარჯვებულის მამამ დაიმსახურა.

უკან, სტარტისკენ მოხოხავდნენ.
— გამარჯვებულებს რა ერთგოთ საჩუქრათ?

— პირველ ადგილზე გასულისთვის დავამზადებინეთ სპეციალური თასი და გადავცით საზეიმო ვითარებაში. გამარჯვებულებს ასევე გადავცით სიგელები, მედლები, საფენები და გერმანული კომპანიის სხვა საბავშვო პროდუქცია. მართალია, მედლები ისეთი მძიმეა, რომ პატარებს მათი ტარება უჭირთ, მაგრამ დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ დამსახურებულ ჯილდოს. სიმბოლური საჩუქრები გადავცით ასევე მარათონის ყველა მონაწილეს.

— ამ მარათონს ერთჯერადი ხასიათი ჰქონდა თუ მომავალშიც აბრებთ მსგავსი ღონისძიების მოწყობას?

— ჩვენი კომპანია ცდილობს, რომ საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაცია გასწიოს. მანამდეც ჩაგვიტარებია მარათონი სირბილში უფროსებს შორის, მაგრამ შეჯიბრება სწრაფ ხოხვაში საქართველოში პირველად გაიმართა. ეს მარათონი ისეთი ემოციური და სახალისო გამოვიდა, რომ გვინდა, ტრადიციად დავამკვიდროთ.

— მშობლებს არ უჭირდათ პატარებში სპორტული ინტერესის გაღვივება?

— ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდნენ საბავშვო სტუდია „ბასტი-ბუბუს“ აღსაზრდელები, ანიმატორები. კონკურსის წამყვანი იყო ყველა ბავშვისთვის საყვარელი ტელენამყვანი, გიორგი გოგიჩაიშვილი, იგივე გოგიჩა, ამიტომ მარათონის ყველაზე ცნობისმოყვარე მონაწილენი სწორედ ამ სანახაობით იყვნენ გართული. ისეთი პატარებიც იყვნენ, ვინც გარკვეული დისტანციის შემდეგ, მშობლების შეძახილების მიუხედავად,


ეკუთვნის. გვსურდა, რომ მათი პრეზენტაცია ქართული მომხმარებლისთვის ორიგინალური სახით მოგვეწყო. სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებით გამოვაცხადეთ. მარათონში მონაწილეობის მსურველთა მიღება და რამდენიმე კვირაში 30-მდე ჩვილმა გაიარა რეგისტრაცია. უნდა ვალი-

ვარელი ტელენამყვანი, გიორგი გოგიჩაიშვილი, იგივე გოგიჩა, ამიტომ მარათონის ყველაზე ცნობისმოყვარე მონაწილენი სწორედ ამ სანახაობით იყვნენ გართული. ისეთი პატარებიც იყვნენ, ვინც გარკვეული დისტანციის შემდეგ, მშობლების შეძახილების მიუხედავად,



20 ოქტომბერიდან ჩაერთვება „დილის პალიტრა“ პოპულარულ

ორშაბათიდან, 20 ოქტომბრიდან რადიო „პალიტრა“ მსმენელს კიდევ ერთ ახალ და საინტერესო დილის გადაცემას შესთავაზებს. პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული სიახლეების შეტყობასთან ერთად, რადიო „პალიტრის“ ერთგულ მსმენელებს დილის ტოქშოუში საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხების შესახებ საკუთარი აზრის გამოთქმაც შეეძლება. გადაცემას გამოცდილი ჟურნალისტი — მირანდა ბაზლბაძე გაუძღვება და მსმენელის კარგ განწყობილებაზეც იზრუნებს.



„მსმენელმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ მისთვის ვმუშაობთ“

კლავი პაპასკირი

— ყოველ დილით, 8-დან 10 საათამდე ჩვენ დავსვამთ აქტუალურ კითხვებს და „დილის პალიტრის“ მსმენელებს ათის ნახევრიდან 10 საათამდე საშუალება ექნებათ, დაგვირეკონ და პირდაპირ ეთერში საკუთარი აზრი გამოხატონ. დროის ამ მონაკვეთში გადაცემას ძირითადად, ინტერაქტივის სახე ექნება. თუმცა, პროექტის მიხედვით, მანამდე სტუდიაში, რამდენიმე ცნობილი ადამიანის სატელეფონო ჩართვაც გვექნება, რომელიც ამა თუ იმ აქტუალურ პრობლემაზე საკუთარ შეხედულებას გაგვიზიარებს. შევეხებით როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ და საზოგადოებრივ საკითხებს. ასევე დავსვამთ კითხვებს ნებისმიერ საინტერესო სფეროსთან დაკავშირებით, რომელიც საზოგადოებას აინტერესებს. გადაცემის მთავარი მიზანია, ადამიანებმა მოისმინონ ერთმანეთის აზრი. ოღონდ გადაცემის ფორმატი არ ითვალისწინებს ომის შედეგად გაღებულ მსხვერპლსა და ზოგადად, ამ მოვლენით გამოწვეულ დანაკარგებზე სჯაბაას, რადგან ეს დილის ფორმატის გადაცემაა და ჩვენი სურვილია, მსმენელს

ხალისიანი განწყობილება შევუქმნათ.
— კულტურის სიახლეებზეც იქნება ლაპარაკი?
— დიას, აუცილებლად ვისაუბრებთ კულტურაზე, გადავხედავთ კალენდარსა და აფიშას, გვექნება ასევე „დილის რეცეპტი“, მიმოვიხილავთ ჟურნალ-გაზეთებს და რა თქმა უნდა, იქნება პოლიტიკური ინფორმაცია, ყოველ ნახევარ საათში.
— ერთი სიტყვით, ყველაფერი იქნება იმისთვის, რომ მსმენელის რადიომიმღებები 8 საათიდან, „დილის პალიტრაზე“ იყო „მომართული“?
— დიას, ჩვენი სურვილია, დილით სახლიდან გასულ ადამიანს, რომელიც სამსახურში ან თუნდაც სხვა, პირად საქმეზე მიიჩქარის, სრული წარმოდგენა

შეექმნას იმაზე, თუ რა ხდება ქვეყანაში, რა პრობლემები აწუხებს საზოგადოებას და ამასთან ერთად, საინტერესო ინფორმაციასაც გაეცნოს. ანუ თუ დილიდან მოყოლებული, ის ჩვენთან ერთად იქნება, არ ინანებს და, რაც მთავარია, ამ დროს დაკარგულად არ მიიჩნევს.

— „დილის პალიტრა“ ყოველდღიურად გავა ეთერში?

— დიას, შაბათ-კვირის გარდა, ყოველდღე გავა ეთერში, რასაკვირველია — მუსიკის თანხლებით, რადგან მარტო ინფორმაცია, მონოლოგის რეჟიმში, საინტერესო არ იქნება.

— მირანდა, „დილის პალიტრისთვის“ რაიმე განსაკუთრებული სტილის მუსიკა ხომ არ გაქვთ შერჩეული?

— საერთოდ, მიმაჩნია, რომ რადიო „პალიტრა“ ძალიან კარგი ფონოთეკა აქვს. ახლა, რადიოს მუსიკალურ პროდიუსერთან ერთად, გემოვნებიანი მუსიკალური ნაწარმოებებიდან ყველაზე დინამიკური, დილის განწყობილებისთვის შესაფერისი მელოდიები შევარჩიეთ, რომელსაც ჩვენი გადაცემის გასაფორმებლად გამოვიყენებთ. ბოლოს დავძენ, რომ 20 ოქტომბერს, დილის 8 საათიდან ნებისმიერ მსურველს შეეძლება, დაგვირეკოს ტელეფონის ნომერზე: 37-10-39 და გაგვიზიაროს საკუთარი აზრი მისთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხზე.

— წარმატებას გისურვებთ!

— გმადლობ! შეხვედრამდე რადიო „პალიტრის“ დილის ეთერში.

საინფორმაციო გაუწყობლობის ახალი ფორმატი

103.9

ფაქტები რეალურ დროში!

რადიო „პალიტრა“

სამართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სად ცხოვრობენ ყველაზე ლამაზი ქალები

სამოგზაურო ჟურნალმა — Travelers Digest მსოფლიოს იმ ქალაქების რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც ყველაზე ლამაზი ქალები ცხოვრობენ. შედეგით კი ის ჟურნალის ექსპერტებმა მას შემდეგ შეადგინეს, რაც რამდენიმე წლის განმავლობაში გულმოდგინედ შეისწავლეს ძლიერი სქესის იმ წარმომადგენელთა აზრი, რომლებიც მთელ მსოფლიოში მოგზაურობენ.

მას ასე: ლამაზი ქალებით „განებიერებული“ ქალაქების ათეულს ამსტერდამი ხსენის. ამ ქალაქის ქუჩებში ქალები ავტომობილს, ველოსიპედზე „ამხდრებას“ ამჯობინებენ. გარდა იმისა, რომ ჰოლანდიელი ქალები ზედმინევენით სპორტულები არიან, მათ ყოველთვის მოდურად აცვიათ და საკმაოდ ლაღებიც გახლავან. „ეს ყველაფერი მათ ძალზე შეენის და მამაკაცებს მათთვის მეტი დროის გამოწახვასა და ყურადღების მიქცევას აიძულებს“, — წერს ჟურნალი.

გამოკითხულ მამაკაცთა დიდი ნაწილის აზრით, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე


ვარულის ენაზე ურთიერთობის ტოლფასია. მამაკაცს, რომელსაც მონრეალელი ქალბატონის გულის დაპყრობა სურს, მარტო საკუთარ სტილზე ზრუნვა კი არა, რამდენიმე სერენადის ფრანგულ ენაზე შესრულებაც მოუწევს.

ვენესუელა ის ქვეყანაა, სადაც კონკურსის — „მის მსოფლიო“ ყველაზე მეტი გამარჯვებული ცხოვრობს. ასე რომ, იქ ლამაზი ქალები საკმარისზე მეტნიც კი არიან. თანაც, ვენესუელელ ლამაზმანებთან ურთიერთობაც ადვილია, რადგან მათ დროის მხიარულად გატარების ყადრი ნამდვილად კარგად იციან.

რეიტინგის მეხუთე ადგილი მოსკოველ ქალებს ერგოთ. „აქაური მაღალი, ცისფერთვალება, ქერა ქალები მხოლოდ გარეგნობით კი არ გამოირჩევიან, არამედ მათი უმეტესობა მამაკაცის აზრსაც გულისყურით ეკიდება და ყველანაირად ცდილობს, პარტნიორმა მასთან თავი კარგად და კომფორტულად იგრძნოს. ეს კი ქალის გარეგნობისა და ხასიათის ის უნიკალური შეხამებაა, რომლის გამოც, ბევრი მამაკაცი ყველანაირად ცდილობს მოსკოვში მოხვედრას“, — ნათქვამია Travelers Digest-ში.

ლოს-ანჯელესელ ქალებზე აუღელვებლად ლაპარაკი შეუძლებელია, მაგრამ მათ დანახვზე მამაკაცები, როგორც წესი, მეტყველების უნარს საერთოდ კარგავენ. იქაური ქალები ამერიკის ყველა სხვა ქალაქის ქალებისგან გარეგნობითაც განსხვავდებიან და ყოველ კვადრატულ კილომეტრზე, შთამბეჭდავი რაოდენობითაც. სწორედ ამ მიზეზის გამო ცდილობს კალიფორნიაში საცხოვრებლად გადასვლას ლამის ყველა ამერიკელი მამაკაცი.

მეექვსე ადგილზეა ბულგარეთი, უფრო კონკრეტულად კი — ქალაქი ვარნა. ეს ის ქალაქია, სადაც ყველა მამაკაცური ოცნების რეალობად ქცევა შესაძლებელია. იქ არ არსებობს კანონი ნარკოტიკების შესახებ, სამაგიეროდ, არის იაფი არაყი, ლამაზი სანაპირო და უამრავი ისეთი ადგილი, რომელიც თავისი ბუნებრივი სილამაზით გამოცეხს. ვარნელი გოგონები კარგად აღზრდილები, თავაზიანები და მოვლილები არიან. საერთოდაც, სილამაზე და შარმი ყველა ბულგარელი ქა-



მონრეალი

ლის „საფირმო ნიშანია“. მერვე ადგილზე ბუენოს-აირესელი გოგონები გავიდნენ. ამდენ ბუნებრივად ლამაზ ქალს არგენტინის ვერც ერთ სხვა ქალაქში ვერ შეხვდებით.

მეცხრე ადგილზე გასული დანიელი ქალები მართლაც, ლამაზები, მეგობრულები და ცოტა ბისექსუალურებიც არიან. კომპენზავენს, სექსუალურად თავისუფალი ქალების რაოდენობით, მსოფლიოს ვერც ერთი სხვა ქალაქი ვერ შეედრება.

რეიტინგში ბოლო, მაგრამ მაინც საპატიო ადგილი სტოკჰოლმს ერგო. ექსპერტების აზრით, ამ ქალაქში ყველა ქალი ლამაზია. „ნებისმიერ მაღაზიაში დახლთან ნამდვილი ფოტომოდელი გხვდება, — ვკითხულობთ Travelers Digest-ში, — თანაც, როგორც საქმეში ღრმად ჩახედულნი ირწმუნებიან, ეს საკმაოდ განათლებული, გულელია და მეგობრული ქალები ცხოვრებას არანაირი აკრძალვით არ იმძიმებენ“...



თელ-ავეჯი

უფრო ლამაზი გოგონები ისრაელში ცხოვრობენ. თელ-ავიველი ქალები მამაკაცებს განსაკუთრებით, მარტო თავლისფერი კი არა, დამაინტრიგებლად მწვანე, მეტყველი დიდი თვალებით იზიდავენ. თუმცა ებრაელ მანდილოსნებზე მონადირე მამაკაცებმა არც ის უნდა დაივიწყონ, რომ ისრაელში 18 წელზე უფროსი ასაკის ნებისმიერი ქალი სერიოზულ სამხედრო სამსახურს გადის, ამიტომაც, თუ მამაკაცი მის ლალატს გადაწყვეტს, უსიამოვნო შედეგებისთვისაც უნდა მოემზადოს. „მოკლედ, ეს ყველაფერი ფრიად სარისკო, მაგრამ ძალიან ამაღელვებელიცაა“, — ასკვნიან ექსპერტები.

ლიდერთა საშუალო მონრეალი ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქი საფრანგეთიდან საკმაოდ შორს მდებარეობს, იქ მაინც არაერთ ფრანგული შარმის მქონე ლამაზმანს შეხვდებით. მონრეალში ბევრი უნივერსიტეტი და კოლეჯია, ქალაქი საკმაოდ ახალგაზრდა, ლამაზი სახეებით, მოდურად ჩაცმული ქალიშვილებით, რომელთაგან ბევრი ფრანგულადაც ლაპარაკობს, რაც სიყ-



ამსტერდამი

„ბაგრატიონი 1882“ — გაუმჯობესებული ხარისხით და განახლებული იერსახით

ქართული ბაზრის ლიდერის — „ბაგრატიონი 1882“-ის პროდუქციას ყველანი ვიცნობთ და ერთგული მომხმარებლებიც ვართ... აბა, რომელ დღესასწაულს ჩაუვლია მისი ცქრილა ღვინოების გარეშე? კომპანია დღითი დღე ვითარდება და ამიერიდან კიდევ უფრო მაღალი ხარისხითა და განახლებული იერსახით შემოგვთავაზებს თავის ნაწარმს.



სს „ბაგრატიონი 1882“ წარმოგიდგინთ სერიას — „კლასიკური“, გაუმჯობესებული ხარისხითა და განახლებული იერსახით.

ოქტომბრიდან, მომხმარებელს საშუალება მიეცემა, შეიძინოს 4 განსხვავებული გემოს მქონე ახალი „ბაგრატიონი კლასიკური“:

— „ბაგრატიონი კლასიკური ბრუტი“ — კლასიკური შამპანურის გემო — გამოარჩევთ ეტიკეტის ბოლოს შავი ზოლით;

— „ბაგრატიონი კლასიკური მშრალი“ — გამაგრებული, მშრალი გემო — გამოარჩევთ ეტიკეტის ბოლოს ვერცხლისფერი ზოლით;

— „ბაგრატიონი კლასიკური ნახევრადმშრალი“ — საქართველოში ყველაზე პოპულარული გემო — გამოარჩევთ ეტიკეტის ბოლოს ოქროსფერი ზოლით;

— „ბაგრატიონი კლასიკური ნახევრადტკბილი“ — სასიამოვნოდ მოტკბო გემო — გამოარჩევთ ეტიკეტის ბოლოს ყვითელი ზოლით.

რებრენდინგის მოსამზადებელი სამუშაოები საკმაოდ ხანგრძლივი და შრომატევადი გახლდათ. ერთდროულად მიმდინარეობდა ქარხნის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა და პროდუქციის გარეგნული იერსახის გაუმჯობესება.

„ბაგრატიონის“ გარეგნული იერსახის ცვლილებებზე მუშაობა პირველ რიგში, კომპანიის ლოგოს შეცვლით დაიწყო.

მსოფლიოში ცნობილი ბრიტანული კომპანიის — „CLAESSENS“-ის მიერ შეიქმნა „ბაგრატიონი 1882“-ის ახალი ლოგო. საგულისხმოა, რომ აღნიშნულმა კომპანიამ დიზაინი შექმნა ისეთი ცნობილი ბრენდებისათვის, როგორც არის: Guinness, Chivas Regal, Campari, Jonny Walker და სხვა.

„ბაგრატიონი 1882“-ის ახალი ლოგო მთლიანად მოიცავს კომპანიის ფილოსოფიას, რაც ქართულ მეფურ ტრადიციასთანაა დაკავ-

შირებული.

„ბაგრატიონი 1882“-მა, პროდუქციის გარეგნული იერსახის ცვლილება, ცქრილა ღვინის დიზაინში სპეციალიზებულ ცნობილ გერმანულ კომპანია „HAMMERLE“-სთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად განახორციელა. ჩატარებულმა თვისობრივმა კვლევამ, გამოააშკარადა პროდუქციის მომხმარებლისთვის მისაღები იერსახე. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პროდუქციის ფასი დაახლოებით 7%-ით გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე, „ბაგრატიონი 1882“ ყველასათვის ცნობილი „ბაგრატიონი ოქროს“, „ბაგრატიონი ვარდის“ და „ბაგრატიონი ნილის“



განახლებულ ვერსიასაც შესთავაზებს მომხმარებელს. ხოლო მომავალ წელს დაგეგმილია ტრადიციული მეთოდით დამზადებული, განახლებული „ბაგრატიონი რეზერვი“ ბრუტის, მშრალისა და ნახევრად მშრალის გამოშვება.

ვიორჯი რაიჩვილი — „ბაგრატიონი 1882“-ის გენერალური დირექტორი:

— რებრენდინგი დაჯდა 100.000 ევრო. ეს გამოიწვევს პროდუქციის გაძვირებას. ფასი მოიმატებს დაახლოებით 7%-ით.

— როდის შეგვეტება ამ პროდუქციის შექმნა?

— დაახლოებით ორ კვირაში განახლებული ცქრილა ღვინო „ბაგრატიონი კლასიკური“ უკვე სავაჭრო ქსელში იქნება.

— ყოველწლიურად რამდენ ბოთლი „ბაგრატიონი“ იყიდება?

— ამ კომპანიაში სულ ორი წელია, რაც ვართ. შარშან გაიყიდა 2 მილიონი ბოთლი... ეს ადგილობრივ ბაზარზე გვაქვს საექსპორტო გაყიდვაც... ვაპირებთ, წარმოება 5 მილიონ ბოთლამდე გავზარდოთ. ეს ჩვენ მიერ დასახულ 5-წლიან გეგმაში შედის.

ვილარიუს კუტცი — მეღვინეობა-მევენახეობის მთავარი სპეციალისტი:

— ქარხანაში ტექნოლოგიური საშუალებების მნიშვნელოვანი განახლება განხორციელდა დამონტაჟდა და ამუშავდა ჩამოსხმის ახალი ხაზი. ინვესტირების შედეგად, შექმნილ იქნა მსოფლიოში სახელგანთქმული კომპანია „WILLMES“-ის წიხეი, რომელიც ყურძნის დამზადებისას უმაღლეს ხარისხს უზრუნველყოფს. დღეისათვის ქარხანა მთლიანად მოდერნიზებულია უახლესი იტალიური დანადგარებით. ღვინის შამპანიზაცია წარმოებს როგორც ბოთლური, ასევე რეზერვუარული მეთოდით. ჩვენი წარმოების ცქრილა ღვინო არ ჩამოუვარდება სხვა მაღალგანვითარებული კომპანიის ნაწარმს. მეტსაც გეტყვი, ერთ-ერთმა ცნობილმა ბრიტანელმა ექსპერტმა „ბაგრატიონი 1882“-ის გასინჯვის შემდეგ აღნიშნა: ეს იყო ჩემთვის ყველაზე დიდი და კარგი სიურპრიზი ბოლო წლებშიო.


„ბაგრატიონი 1882“-ს აქვს საკუთარი ვენახები საქართველოს ყველაზე პრესტიჟულ მიკროზონებში. მათი საერთო ფართობი 200 ჰექტარია. აქ მოჰყავთ ყურძნის ჯიშები — ჩინებული, გორული მწვანე, პინო, შარდონე და ციცვა.

პარლ ზაფი — მარკეტინგისა და გაყიდვების დირექტორი:

— 2008 წელს ჩვენი პროდუქციის 20%-ს გავიყიდათ ექსპორტზე. ეს დაახლოებით 500000 ბოთლი იქნება. უმთავრესი ბაზარი უკრაინაა, ასევე პროდუქცია უკვე გავაქვს ჩინეთშიც. უახლოეს მომავალში ბალტიის ქვეყნებში, სომხეთში, აზერბაიჯანში, გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც დავიწყებთ ექსპორტს. მსოფლიო ბაზარი გადატვირთულია ნებისმიერი სახის ალკოჰოლით. ძალიან რთულია, დაიკავო შენი ადგილი, მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ „ბაგრატიონი 1882“-ის ხარისხი არაფრით ჩამოუვარდება სხვა ცქრილა ღვინოების ხარისხს და ნელ-ნელა უცხოელი მომხმარებელი გაიცნობს და შეიყვარებს მას.

გუნდჯუმი სიყვარული თუ შეშა ბაჟოჩხინის მიზნით

საქართველოში „ჩატი“, „სკაიპი“ და გაცნობის სხვა-დასხვა სერვისი, ბოლო დროს საკმაოდ პოპულარული გახდა. მართალია, ამ საშუალებებით ბევრმა კარგი ოჯახი შექმნა ან მეგობარი შეიძინა, მაგრამ უფრო მეტმა უკვე შექმნილი ოჯახი დაანგრია, ზოგი თაღლითობის მსხვერპლი გახდა და ზოგმაც ვირტუალურ სამყაროში უბრალოდ „თავი დაკარგა“. მიუხედავად იმისა, რომ ეკა სუთიძეს (სახელები შეცვლილია) უკვე ოფიციალური საქმრო ჰყავდა, ტელეფონის საშუალებით ახალი რომანი გააჩაღა. შედეგად კი საქმროც დაკარგა, მესაჯებით გაცნობილი შეყვარებულები და 1.500 დოლარიც. ეკა ჯერ მხოლოდ 20 წლისაა, მაგრამ ფიქრობს, რომ ცხოვრებისეული მწარე გამოცდილება უკვე მიიღო. საკუთარი თავგადასავლის მოსაყოლად თავად გვესტუმრა და იმედი გამოთქვა, რომ მისი ამბავი, სხვა გოგონებისათვის ჭკუის სასწავლებელი გახდება.



რას მოგვიტანს ვირტუალური ურთიერთობები ანუ ურთილად, ძალბატონებო!

ხათუნა ბახტურიძე

— ეკა, ტატო როგორ გაიცანი?
— მობილურზე ოთხი რვიანი ავკრიბე და დავრეგისტრირდი. ტატო თავად გამოძებნა. სამი თუ ოთხი კვირა მხოლოდ ვეხილავდით. ძალიან ყურადღებიანი და თბილი იყო. დილით რომ ვიღვიძებდი, მისი მესიჯი მხვდებოდა. ყოველთვის აინტერესებდა, სად ვიყავი, რას ვაკეთებდი, თავს როგორ ვგრძნობდი. ერთხელ გავცივდი და სიცხემ ამინია. ყოველ ერთ საათში მიმესიჯებდა ან მირეკავდა და ჩემს ამბავს კითხულობდა. დეტალურად აინტერესებდა, რამდენი გრადუსი სიცხე მქონდა, რა ნამლებს ვსვამდი და როგორ ხასიათზე ვიყავი. ერთხელაც შეხვედრა მთხოვა. უარი არ მითქვამს. ძალიან სიმპატიური იყო და ერთი ნახვით შემიყვარდა.
— მაგ დროისათვის შენ სომ უკვე შეყვარებული იყავი?
— კი, მაგ დროისათვის უკვე საქმრო მყავდა. მე და ზურა ერთ უბანში ვცხოვრობდით და ერთ სკოლაში ვსწავლობდით. მერე კურსელებიც გავხდით. ბავშვობიდან ვუყვარდი, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი. ბევრი თავყვანისმცემელი მყავდა და არჩევანის გაკეთება მიჭირდა. საბოლოოდ არჩევანი ზურას სასარგებლოდ გავაკეთე, რადგან მეც შემიყვარდა. ჩვენი ოჯახები ერთმანეთს კარგად იცნობდნენ და ისინიც გვეულმემატიკრობდნენ. სიმართლე რომ გითხრა, თავს ბედნიერად ვგრძნობდი. უკვე დაქორწინებასაც ვაპირებდით.
— ასეთი შეყვარებული და ბედნიერი თუ იყავი, სხვისი გაცნობა რატომ გადანწყობი?
— ბიჭების გაცნობა ჩემთვის და

ნატოსათვის (ჩემი დაქალია) გასართობი საშუალება იყო. როდესაც „ოთხ რვიანზე“ დავრეგისტრირდი, საკმაოდ ბევრი ვინმე გამოგვეხმაურა. ბიჭებს ჯერ ვეძებოდი, მერე შეხვედრებზე ვთანხმდებოდი. პაემანზე მისულს, შორიდან ვაკვირდებოდი. თუ ბიჭი ძალიან „ბანძი“ იყო და მის გვერდით გავლა „ტეხავდა“, დავუმესიჯებდი — მოსვლა ვერ მოვახერხებ-მეთქი.
— შენ და ნატო ბიჭებს პაემანს ერთად უწევდით?
— არა, ცალ-ცალკე, მაგრამ ბიჭის „დასათვალისწინებლად“ ერთმანეთი მიგვყავდა. თუ მოგვეხილებოდა, შესახვედრად ორივე მივიდოდით და თავს კაფესა ან რესტორანში დავაპატიუებინებდით.
— პაემანზე მისულ ბიჭს, ერთი გოგოს მაგივრად ორი რომ გამოეცხადებოდა, რას ამბობდა?
— ვუბნებოდი — ჯერ კარგად არ გიცნობ და მარტო შეხვედრა ვერ გავებ-მეთქი. თუ ორივეს გამაჰმობდას მარტო საკუთარ თავზე აიღებდა, გავყვებოდი, თუ მშაკაცის მოყვანასაც მოინდომებდა, მაშინვე ვემშვიდობებოდი.
— რატომ?
— საქმრო ნატოსაც ჰყავდა. თუ შემთხვევით მისი საქმრო შეგვხვდებოდა, ვეტყოდით, რომ ბიჭი ჩემი ნათესავი იყო; თუ ზურა გადამეყვებოდა სადმე, ყველაფერს ნატოს დავაბრალებდი. ჩემს ან ნატოს საქმროს კაფეში, ორ ბიჭთან ერთად მჯდარი რომ ვენახეთ, კარგი დღე არ დაგვადგებოდა.
— ამ ბიჭებს თავიდან როგორ იშორებდით?
— ძალიან მარტივად. კაფეში დანიშნული რამდენიმე პაემანის შემდეგ ვეტყ-

ვდი, რომ გავთხოვდი და ისინიც თავს მანებებდნენ. თუ ბიჭი არ მოგვეხილებოდა, იმას კაფეში არ მივყვებოდი, მაგრამ ტელეფონზე ანგარიშს ვავსებინებდით.
— ამას როგორ ახერხებდით?
— ზარს გავუშვებდი და როცა გადმორეკავდა, ვეტყოდი — შენთან ლაპარაკი მინდა, მაგრამ სამესიჯო არ მაქვს-მეთქი. უმრავლესობა დეპოზიტს მაშინვე მივსვებდა. მერე მასთან ლაპარაკი რომ მომბეზრდებოდა ან ახალი ვინმე გამოჩნდებოდა, სიტყვაზე გამოვეკიდებოდი, ავუშარდებოდი, გამოვლანძღავდი და ვეტყოდი — აღარ დამირეკო, შენი სახელის გაგონებაც აღარ მინდამეთქი.
— ტატოს შემთხვევაში რა მოხდა?
— ტატო რომ დავინახე, ისე ძალიან მომეწონა, რომ ნატოს ვთხოვე, მარტო შეხვედრები-მეთქი. ძალიან სიმპატიური იყო. სპორტული აღნაგობა, ლამაზი ვარცხნილობა და ძალიან, ძალიან მომხიბლავი ღიმილი მქონდა. სპორტის სასახლესთან შეხვედით. არსად დავუპატიუებდვარ, იქვე ვილაპარაკეთ. სამარშრუტო ტაქსიში რომ ჩავჯექი, გზის ფულიც კი არ გადამიხადა, მაგრამ ამას ყურადღება არ მივაქციე. იმ დღეს სახლში აფორი-აქებული დავბრუნდი. საღამოს ზურამ დამირეკა და მთხოვა, რომ მეგობრის დაბადების დღეზე გავყოლოდი. გავყევი, მაგრამ საშინელ ხასიათზე დავდექი, ერთი სული მქონდა, წვეულებიდან რომ დავიშორებოდი. თვალწინ გამუდმებით ტატოს თვალები და ღიმილი მედგა. მეორე დღით, მობილური ტელეფონი ჩავრთე თუ არა, ტატოს მესიჯი მომივიდა. სიხარულისგან ხტუნვა დავინწყე. იმ

დღიდან მოყოლებული, თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს.

მერე ზურა?

— მე და ზურას თანდათან გაგვიფუჭდა ურთიერთობა. სულ ვჩხუბობდით. ზურამ სიტუაციის გამოსასწორებლად, ნიშნობის დაჩქარება გადაწყვიტა. ამან საერთოდ გამომიყვანა ნონას-ნორობიდან. პირში მივახალე — აღარ მიყვარხარ და თავი დამანებე-მეთქი. საქმეში მშობლებიც ჩაერივნენ, მაგრამ რას იზამდნენ, XVI საუკუნე ხომ არ იყო, ძალით რომ გავეთხოვებინე? ბევრი მელაპარაკნენ, მეჩხუბნენ კიდევ და ბოლოს თავი დამანებეს. ზურა ძალიან ცუდ დღეში ჩავარდა და ნერვიულობის შედეგად სმა დაიწყო.

ტატომ თუ იცოდა, საქმრო რომ გყავდა?

— არა, არ მითქვამს; მეშინოდა, ამის გამო ჩემთან შეხვედრაზე უარი არ ეთქვა. რვა თვე ძალიან ბედნიერი ვიყავი, სიხარულისაგან მეცხრე ცაზე დავფრინავდი. სხვა ბიჭებთან მესიჯობა და მათი გაბრიყვება უკვე აღარ მართობდა. ტატოს გარდა აღარავინ და აღარაფერი მაინტერესებდა. მართალია, საჩუქრებით არ მანებივრებდა, მაგრამ მაინც ყველას მერჩივნა. ერთხელ გამომიცხადა — სამსახურში პრობლემები შემექმნა, თუ ფულს არ მივიტან, მარტო ადგილს კი არ დავკარგავ, ციხეში ამოვყოფ თავსო. სულ 5 ათასი დოლარი სჭირდებოდა. კიდევ კარგი, მე მარტო ათას ხუთასი დოლარის შოვნა მოვახერხე. იმ ფულის მიცემის მერე, ტატო თვალითაც აღარ მინახავს.

ტელეფონზე აღარ გაპასუხობდა?

— არა, ალბათ ნომერი შეცვალა. არადა, ის ფული, იცით, როგორ მოვაგროვე? ჩემი და ნატას ოქროს სამკაულები ბანკში დავაგირავე. ჩემი ოქროსლობა ჯანდაბას, იმის დაკარგვაზე მეტად,

ტატოს დაკარგვა განვიცადე, მაგრამ ნატა იმ დროისათვის, სულ რაღაც თვე-ნახევრის გათხოვილი იყო და ქმრისა და დედამთილის ნაჩუქარი ოქროსლობა მათხოვა. საშინელ დღეში აღმოვჩნდი. ათას ხუთას დოლარს ვერანაირად ვერ ვიშოვიდი, ამიტომ ნატამ თავისი ქმარი მოატყუა, რომ სამკაულები სახლიდან დაკარგა. მეც იგივე ვუთხარი ჩემს მშობლებს. ერთი პირობა ვიფიქრე, რომ ეს ამბავი პოლიციაში განმეცხადებინა, მაგრამ გადავიფიქრე. ვერ ერთი, საქმე გახმაურდებოდა და ჩემები ნამდვილად მომკლავდნენ; მეორეც, მიუხედავად იმისა, რომ ტატომ ასე მატკინა გული, მაინც ვერ გავიმეტე პოლიციაში დასასმენად.

მისი მეგობრების საშუალებით არ სცადე ტატოსთან დაკავშირება?

— მის მეგობრებს არ ვიცნობდი. რამდენჯერაც ვთხოვე, თავისი მეგობრები ან ნათესავეები გაეცნო ჩემთვის, იმდენჯერ მიპასუხა — ჯერ ადრეა, მერე გავაცნობო. არც ჩემების გაცნობა მოინდომა, არადა, სულ ვეპატივებოდი სახლში.

არც ის იცო, სად მუშაობს?

— ასე მითხრა, საიდუმლო დავალებებს ვასრულებ და ვერ გეტყვი, კონკრეტულად სად ვმუშაობო. ალბათ ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გათვლილი. ახლა ძალიან ცუდად ვარ. თავი სიზმარში მგონია. სულ რამდენიმე თვეში ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა, ყველაფერი თავზე დამემხო. ზურაც გაუაზრებლად და საკუთარი თავიც. ახლა აღარც საყვარელი ადამიანი მყავს გვერდით,

აღარც საქმრო და დაქალის ვალიც დამედო, თანაც — როგორი ვალი, საქორწინო საჩუქრები დავუკარგე.

იქნებ ზურამ გაპატიოს?

— იცით, ყველაზე ცუდი რა არის? ზურასთან ვერ დავბრუნდები, იმიტომ, რომ ტატო ისევ მიყვარს. მიუხე-



დავად იმისა, რომ უკვე ორი თვეა, არ შემხმინანებია, ყოველდღე მის მესიჯს ველოდები. როდესაც ვიღვიძებ, პირველ რიგში, ტელეფონს ვნახულობ.

რომ დაგიბრუნდეს, აპატიებ?

— თუ თავისი საქციელის მიზეზს ამიხსნის, ალბათ ვაპატიებ.

შენდობის დიდი უნარი გქონია.

PS. იმის გასარკვევად, თუ რა კატეგორიის ხალხი სარგებლობს გაცნობის სერვისით, „ოთხ რვიანზე“ „პარტიზანულად“ შევიპარე... ვისაც კი თავისი საქმიანობის შესახებ ვკითხე, ან სოლიდური კომპანიის თანამშრომელი „აღმოჩნდა“, ან ბრძოლის უინით ანთებულ ჯარისკაცი. ყველაზე მოკრძალებულეები დაცვის პოლიციელობას იბრალებდნენ. სხვათა შორის, იქ ჩემს ნაცნობ ცოლშვილიან მუშა კაცსაც ნაფანჯდი, რომელიც თავს დასაქორწინებელ ყმანვილად ასალებდა და დაცვის პოლიციელობას იბრალებდა. ასე რომ, ფრთხილად, ქალბატონებო! ქართველი მამაკაცები მანდილოსნებთან ურთიერთობაში მაინცდამაინც გულწრფელობით არ გამოირჩევიან. ისე, მე თუ მკითხავთ, სიფრთხილის გამოჩენა მამაკაცებსაც არ აწყენდათ. როგორც აღმოჩნდა, გოგონებიც ერთობიან ბიჭების გულუბრყვილობით და დანაზოგს კაფე-ბარებში ან საკუთარ ტელეფონზე დეპოზიტის შესაგებად ახარჯვინებენ.

ქალაქის მოსახლეობა

იჭვიანი ქმრის მსხვერპლი

იტალიის ქალაქ ტრენტოს საავადმყოფოში გულის არემი ტკივილის ჩივილებით შესულმა 70 წლის ქალმა ექიმებს აცნობა, რომ იგი იჭვიან ქმარს 50 წლის განმავლობაში სახლში გამომწყვდეული ჰყავდა. ექიმებმა პოლიციაში დარეკეს და პროკურორიც გამოიძახეს. როგორც გაირკვა, წყვილი 1958 წელს დაქორწინდა. მას შემდეგ, ქმარი ცოლს არავისთან ურთიერთობის ნებას არ აძლევდა, სახლიდან გასვლას უკრძალავდა, შვილებს არ აკარებდა და ტელევიზორის ყურების უფლებასაც კი არ აძლევდა. როდესაც იჭვიანი იტალიელი სახლიდან გარეთ გადიოდა, კარსა და ფანჯრებს გულმოდგინეთ რაზავდა. ქალაქ ტრენტოს პროკურორის ბრძანების თანახმად, გამოძიების დასრულებამდე იჭვიანი ქმარი ცოლისგან განცალკევებით იცხოვრებს.



საქციელმა ისე გამოაცხადა, რომ მადლო-ბის თქმა ძლიერ მოგახერხებ. ერთ ადგილას ვიდექი და იდიოტივით ვიღიმებოდი, თან ვფიქრობდი: რა კეთილი ყოფილა-მეთქი.. მეორე დღეს მას უნივერსიტეტის კიბეზე შევეჩხებე. მაშინვე ვიცანი და დავეძახე. თვითონაც მიცნო, მომიკითხა. შემდეგ, ტელეფონის ნომრები გავცვალეთ და ისევ სასწრაფოდ გაიქცა... სალამოს დამირეკა და ვისაუბრეთ. მკითხა, შეყვარებული მყავდა თუ — არა. როცა უარყოფითი პასუხი მიიღო, მითხრა: „ლოვე“ არც მე მყავს, მაგრამ ბევრს მოვწონვარ — ბიჭებსაც და გოგოებსაც... მისი ნათქვამი ხუმრობად მივიღე. თურმე სულაც არ ხუმრობდა! ჩემთან საუბრისას აღნიშნა: როცა ქალებს ერთმანეთი უყვართ, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავო.

— იქნებ, სექსუალური უმცირესობის მიმართ მხოლოდ საკუთარი აზრი დააფიქსირა?

— არა, გენაცვალე, ისიც მკითხა: გოგოსთვის თუ გიკოცნიანო?.. ეს უკვე ნამდვილი შოკი იყო! ავუხსენი, რომ „ლესბიანკა“ არა ვარ, მაგრამ ჩემთვის მისი ცხოვრების სტილს მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარი — კარგი ადამიანური თვისებები იყო და მეგობრობა შევთავაზე. არ ვიცო, ჩემი ნათქვამი როგორ მიიღო, მაგრამ მობილურ ტელეფონზე სასიყვარულო მესიჯების გამოგზავნა დაიწყო. რამდენჯერმე ვკითხე: „მეჩალიჩები“ თუ მეჩვენებამეთქი? — არა, ჩემო სიხარულო, მე აქეთ მბაბუნო, — მეუბნებოდა.

— ანუ ინიციატივას შუნგან ელოდა?

— რას ელოდა, არ ვიცო, მაგრამ ერთმანეთთან მეგობრობას ვაგრძელებდით. მინდოდა, სწორ გზაზე დამეყენებინა. ჩემს რჩევა-დარიგებას ყურადღებას არ აქცევდა. მპირდებოდა: თვითონ „გამოგასწორებო“! ტკბილულს, სათამაშოებს, ტანსაცმელს მჩუქნიდა. ისე მექცეოდა, როგორც ჩემზე შეყვარებული ბიჭი! ჩემს საყვდურებზე — ამდენ ფულს ნუ მახარჯავ-მეთქი, — მპასუხობდა: მსიამოვნებს, როცა საუკეთესო მეგობარს საჩუქრებს ვუკეთებო. სიმართლე გითხრა, მეც „მისწორდებოდა“ — მისი ნყალობით, ყოველთვის მოდურად მეცვა. გასართობად ისეთ ადგილებში დავდიოდი, სადაც წინათ მოხვედრის შანსი არასდროს მქონია.

— მშობლებს რას ეუბნებოდი, როგორ უხსნიდი — ამდენი ტანსაცმლის საყიდელი ფული საიდან გქონდა?

— მშობლებისთვის არაფერი დამიმაღავს თამთას სექსუალური ორიენტაციის გარდა. ჩემი მეგობრის საქციელით აღფრთოვანებული იყვნენ — „კეთილ ფერიად“ „მონათლეს“. ახლა კი ძალიან უკვირთ, მე და თამთა რატომ დავმორდით ერთმანეთს.

— რატომ დაშორდით?

— ძალიან „გაუბერა“ და იმიტიმ. ერთხელ თავისი ნათესავის დაბადების დღეზე წამიყვანა. კარგად გავერთეთ, ბევრი დავლიეთ, ცოტა ვიცეკვეთ... თამთა იმ სალამოს უცნაურად მიყურებდა თვალბეჭდით... მისი ნათესავის სახლიდან ერთად წამოვედით. შემომთავაზა: ჩემთან ავიდეთ, თორემ შენმა მშობლებმა მთვრალი რომ გნახონ, გეჩუბებინანო. თამთას ნათქვამი ჭკუაში დამიჯდა და გავყვირი... გადამეკიდა: უნდა გაკოცო, მაინტერესებს, როგორი ტუჩები გაქვსო. სერიოზულად შემეშინდა და გამოვიქეცი. ცხოვრებაში ბიჭისთვის არ მიკოცნია ტუჩებში და გოგოს ვაკოცებდი?! მას შემდეგ აღარ ვეკოცა ტუჩებში. თვითონ ტელეფონზე დღემდე მიგზავნის მესიჯებს: „მატყუარა ხარ“, „შენ მე გამომიყენე“ და ა.შ. გამოყენება რა

— აქ არავითარი ნატალი არ ცხოვრობსო, — მიპასუხა ვილაც მამაკაცმა. სიბრაზისგან კინალამ ყურმილი გადავყლაპე! რაღას ვიზამდი? ვილაც ლლაპმა მშვენივრად მომატყუა... დაახლოებით ერთი კვირის წინ ძმაცაცის ოჯახში სტუმრად ვიყავი მისული. სურათების ალბომს ვათვალიერებდი და ერთ-ერთ ფოტოზე ჩემი „გულუბრყვილო გოგონა“ აღმოვაჩინე. არაფერი შევიმჩნიე და ისე, სასხვათაშორისოდ, სურათზე გამოსახული ლამაზმანის ვინაობა ვიკითხე. ძმაცაცის დამ მითხრა: ეგ გოგო ჩემი ჯგუფელია; მაგარი ვინმეა, ცდილობს, ცხოვრებისგან მაქსიმალური სიამოვნება მიიღოს — ქობულეთში 200 ლარით წასული, ყოველდღე რესტორნებში „გრიალდება“, ვილაც ბებერი თაყვანისმცემლის ხარჯზეო. თავის შეკავება გამიჭირდა, მაგრამ ხმა

ქობულეთში 200 ლარით წასული, ყოველდღე რესტორნებში „გრიალდება“, ვილაც ბებერი თაყვანისმცემლის ხარჯზე

შუაშია?! მისთვის იმედი არასოდეს მიმიცია. თავიდანვე ავუხსენი, რომ ბიჭები მომწონდა. მსურდა, ნორმალურ გოგონად მექცია, მაგრამ მის თვალში მხოლოდ ცუდი ადამიანის შთაბეჭდილება დავტოვე, რაც ძალიან სამწუხაროა.

ბიორბი, 32 წლის:

— ადამიანის გამოყენება ქალებზე მეტად არავის ეხერხება. გასულ ზაფხულს ქობულეთში დასასვენებლად წავედი. შემთხვევით, ძალიან ლამაზი, საყვარელი და გულუბრყვილო გოგონა გავიცანი — ყოველ შემთხვევაში, მასზე ასეთი წარმოდგენა შემექმნა. ღმერთს ლამის მადლობა შევნირო, ასეთი ანგელოზი რომ გამომიგზავნა. ცოლი ჯერ კიდევ არ მყავს და არც არასდროს მყოლია. ვიფიქრე: „თუ ურთიერთობა ავანყვეთ, იქნებ...“ ძალიან მომწონდა და ჩემ მიმართ ინტერესს თვითონაც აშკარად იჩენდა. მოკლედ, ქობულეთში სამი დღით წასულმა, მის გამო დასვენება ერთ კვირამდე გავიხანგრძლივე. ერთმანეთს ძალიან დავუახლოვდით. თბილისში დაბრუნება მასზე ადრე მომიხდა. ორ დღეში თვითონაც აპირებდა ჩამოსვლას. მისი ტელეფონის ნომერიც ვიცოდი და მისამართიც, მაგრამ მობილურზე რომ დაუკავშირე, გამორთული ჰქონდა. ძალიან ვინერვიულე. შემდეგ ვიფიქრე: ალბათ, ტელეფონი დავარგა ან მოჰპარეს-მეთქი. ამიტომ ბინის ნომერზეც დავურეკე.

არ ამომიღია. ალბათ გავნითლდი — სიბრაზისა თუ სირცხვილის გამო, რადგან ძმაცაცის დამ მკითხა: რა იყო, რა ფერიფური გადაგდის, ხომ არ მოგეწონა? იცოდე, მისი გული უკვე დაკავებულიაო. ჩემს ძვირფას ნატალის (რომელიც სულაც არ ყოფილა ნატალი — ნინო გახლავთ და წერეთლის გამზირზე კი არა, გლდანში ცხოვრობს) თურმე შეყვარებული ჰყოლია.

— მასთან შეხვედრა აღარ გიცდი?

— მის შესახებ ჯერ ყველაფერი კარგად უნდა გავარკვიო, შემდეგ კი შეხვედები და სამაგიეროს გადაუხადი.

— ამას როგორ აპირებ?

— ჯერ არ ვიცო, მაგრამ მინდა, რაღაც „გაუჩლიჩო“. როგორც ქალი, აღარ მაინტერესებს. უბრალოდ, ისეთ აზარტში ვარ შესული, თავს იოლად ვერ დავანებებ! ვასწავლი, როგორ უნდა „ბებერი თაყვანისმცემლის“ მოტყუება!.. ლამის მთელი თვის ხელფასი მაგას დავხარჯე და იმის ღირსიც არ ვიყავი, რომ სახელი მაინც გაემხილა?! მის საქციელს თაღლითობა ჰქვია.

— დახარჯული ფული დაგანანა?

— თავმოყვარეობა შემელახა. მოკლედ, ვიდრე ახალშექმნილ მეგობრებთან ერთად, ერთ ფუთ მარილს თუ არა, რაიმე „მლაშეს არ შეჭამო“, მანამდე თქვენს ბიუჯეტს გაუფრთხილდით.

მსახიობი ქალის ოჯახური იდილია



„თამამად შემძლია ვთქვა, რომ მეგობრობით დაწყებული სიყვარული გამართლებულია“, — ამბობს მსახიობი ნანა შონია, რომელმაც ოჯახი 14 წლის წინ შექმნა. დღეს კი უკვე 2 შვილის დედაა. უფროსი — თომა 13 წლისაა, უმცროსი — გაბრო — 3-ის. ქალბატონი ნანა ამბობს, რომ ოჯახი მისგან დიდ პასუხისმგებლობას, დაულალავ შრომასა და ენერჯიას მოითხოვს. როგორ ასერხებს ის ოჯახში სრული იდილის შენარჩუნებას და რა საკითხზე კამათობს მუუღლესთან, ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.

„ოჯახის შენარჩუნებისთვის მოკვარი — ურთიერთგაგება“...

მინდოდა, ის ჩემთვის მხოლოდ მეგობრად დარჩენილიყო. გრძნობის გაჩენის შემდეგ ურთიერთობა უფრო იძაბება, შეიძლება, იმ დროს არ დაგირეკოს, როცა ელოდები ან შესაბამისი ყურადღება ვერ გამოიჩინოს და უკვე პრეტენზიები გიჩნდება. მეც სწორედ ამის მეშინოდა, თუმცა ყველაფერი კარგად აენყო. მიმანია, რომ საუკეთესო შემთხვევაა, როცა მუუღლემ პირველ რიგში — მეგობარია. დამიჯერეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სრულყოფილი ოჯახი ვერ შეიქმნება.

— შეგიძლიათ, თქვენი პირველი შეხვედრა გაიხსენოთ?

— ...პირველი შეხვედრა იყო ზღვაზე, დიდი ხნის წინ, როგორც წლების შემდეგ გაირკვა... ერთმანეთს გამოვუტყდით, რომ თურმე პირველად ზღვაზე მოგვინებია ერთმანეთი. თუმცა მაშინ ახლოს არ გავიცინია ერთურთი. მე, როგორც ქვეყნარტი ქართველი მანდილოსანი (იციან), მორიდებული და მოკრძალებული ვიყავი და შოთიკოც პასიური ტიპი აღმოჩნდა. შემდეგ ბედმა ერთმანეთს ისევ შეგვავხვედრა...

— ალბათ, თქვენი შეხვედრის ადგილი, ძირითადად, თეატრი იყო, არა?

— ოფიციალური პაემანი არ გვექონია. სამუშაო ერთი გვექონდა, სამეგობრო წრეც საერთო გვყავდა, ამიტომ ჩვენი ურთიერთობა ძალიან ბუნებრივად განვითარდა. უკვე 14 წელია, ერთად ვართ. დრო ძალიან მალე გავიდა...

— პირველად მუუღლემ რით მოგხიბლათ?

— თავდაპირველად, გარეგნობით მომეწონა. მერე, როცა გავიცანი, გარეგნობაზე მეტად მისმა შინაგანმა სამყარომ

სოფო ჭონიშვილი

— 28 წლის ვიყავი, როცა გავთხოვდი. რომ გითხრა, ჩემს პასუხისმგებლობასა და მოვალეობას ვაცნობიერებდიმეთქი, მოგატყუებ. ეს ყველაფერი მერე, თანდათან ვიგრძენი. გარკვეული პერიოდის შემდეგ მივხვდი, რომ ოჯახი დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს.

— შეყვარებულობის პერიოდში წველები ყველაფერს ნათელ ფერებში ალიქვამენ, დაქორწინების შემდეგ კი ცხოვრებისეულ სიძნელეებთან შებრძოლება ძალიან უჭირთ. თქვენს შემთხვევაში როგორ იყო?

— გარკვეული სირთულეები გაჩნდა, რაზეც დაქორწინებამდე არც მიფიქრია. მაგრამ როცა სიყვარული და თანაგრძნობაა, ეს ყველაფერი აბსურდობა ოჯახის მოვლა-შენარჩუნება საკმაოდ რთულია. ოჯახს ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ბავშვობიდანვე ყველაფერს, ოჯახურ გარემოში ყოფნა მერჩინა. ამიტომ, დედა „სახლის კატას“ მეძახდა. მერე, როცა ნამოვიზარდე და თინეიჯერი გავხდი, ნელ-ნელა გარეთ გავსულა დავინწყე. სტუდენტობის პერიოდში კი სახლში მთელი დღეები არ ვიყავი. თუკი თავისუფალი დრო მქონდა, მეგობრებთან გავრბოდი. სტუდენტობიდან გათხოვებამდე, შეიძლება ითქვას, სულ გარეთ ყოფნა მიწვედა: იყო გადაღებები, რეპეტიციები გასტროლები... ვერაფერს ვაკლდებოდი, რადგანაც ჩემი პროფესია ამ ელემენტების გარეშე ნარმოუდგენელია.

— ოჯახის შექმნისას გადამწყვეტილების მიღება არ გაგიჭირდათ? არ გიფიქრიათ, რომ მომავალი მუუღლემ თქვენს პროფესიულ საქმიანობაში ხელს შეგიშლიდათ?

— არა, ასეთი მომენტი არ მქონია, იმიტომ, რომ ჩემი მუუღლემ პროფესიით თეატრის მხატვარია. ძირითადად, ერთად ვმუშაობდით, ჯერ — რუსთაველის თეატრში, მერე — „თეატრალურ სარდაფში“. ახლა კი ის კინოსახიობთა თეატრის მთავარი მხატვარია. მეც აღნიშნულ თეატრში სპეციალური მონვევით ვმუშაობ.

— ერთმანეთი სად გაიცანით?

— რუსთაველის თეატრში. შემდეგ ნაცნობობა მეგობრობამ შეცვალა. საკმაოდ დიდი ხანი კარგი მეგობრები ვიყავით. მერე მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა. აღმოჩნდა, რომ მეგობრობით დაწყებული, სიყვარული გამართლებულია. დიდი ხნის მანძილზე ვგრძნობდი, რომ შოთიკოს მოვწონდი და ჩვენი ურთიერთობა მარტო მეგობრობა არ იყო, მაგრამ არ ვიმჩნევდი, რადგანაც

კალიფორნია

„ხერხი სჯობია ღონესა“...

კამბოჯელმა ცოლ-ქმარმა მორიგი ოჯახური სკანდალის შემდგომ სახლი ორ ნაწილად გახერხა! 40-წლიანი ქორწინების შემდეგ, წყვილის განქორწინების მიზეზი ცოლის საქციელი გახდა, რომელმაც ავადმყოფი ქმრის მოვლა არ ისურვა. სახლის „გაყოფის“ ინიციატორმა ქმარმა შენობა გადახერხა, ცოლს დანარჩენი ქონებაც შუაზე გაუყო, სახლის საკუთარი ნახევარი მშობლების სახლთან გადაიტანა და ახალი ცხოვრება დაიწყო. სოფლის მამასახლისმა



უურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ დანგრეული ოჯახის წევრებს პრესასთან ურთიერთობა არ სურთ. წყვილს განქორწინება ოფიციალურად ჯერ არ გაუფორმებია. განქორწინება ძალაში მხოლოდ მას შემდეგ შევა, როდესაც ოჯახი პროვინციის დედაქალაქში ჩასვლასა და დოკუმენტების გაფორმებას მოახერხებს. ■



გაგაოცოს. მას მუუღლის პატივსაცემად არ სჭირდება ღირსშესანიშნავი თარიღი. ის საკმაოდ ჭკვიანი და საინტერესო ადამიანია. ამ ყველაფრით, როგორც იტყვიან ხოლმე — „დამაბა“ (იციან).

— თქვენზე რას ამბობს — რით დადიმასხურეთ მისი სიმპათია?

— შოთიკო ყოველთვის აღნიშნავს, რომ პირველი ეფექტი, მასზე ჩემმა გარეგნობამ მოახდინა. გაცნობის დღიდან, ხმაბალა ამბობდა, რომ ჩემი გარეგნობით მოხიბლული იყო. მერე, როცა შეყვარებულები გახდით, თავს იკავებდა, რცხვენოდა. ჩემი კოსტიუმის ესკიზს, როგორც ამბობს, ყოველთვის სიამოვნებით ხატავდა. მასსოვს, ერთხელ სახელოსნოში ისეთი მონდომებით და სიამოვნებით მუშაობდა მასზე, რომ ჭოლამ უთხრა — კარგი, მორჩი, ქალადლი ნუ გახვრიტო (იციან).

— ქორწილი გქონდათ?

— ქორწილი არ გქონია. უბრალოდ, ერთ დღეს გადავწყვიტეთ, გუდაურში წავსულიყავით. მართლაც, წავედით და ჩვენი დაქორწინებაც იქ აღვნიშნეთ. იქიდან დაბრუნებულებმა ჯვარი ძალიან ვინრო წრეში დავინერეთ. ისე, ძალიან ვნანობ, რომ ქორწილი არ გადაგვიხდია. ყოველთვის ვამბობ, ბრინჯაოს ქორწილს მაინც გადავიხდი-მეთქი.

— ოჯახის შექმნის შემდეგ ცალკე ცხოვრობდით?

— დაქორწინებიდან 4 წელი დედაჩემთან ვცხოვრობდით. ამ პერიოდში ცოტა გაუწვალდით, რადგანაც ბინა. პატარა იყო, ფაქტობრივად არ გვეყოფნო. 4 წლის შემდეგ, საცხოვრებლად ცალკე გადავედით. მახ-

სოვს, ჩემმა უფროსმა ბიჭმა პირველად მაშინ გააცნობიერა, რომ ჰყავდა დედა-მამა. მარტო ცხოვრება თავიდან გამიჭირდა, მთელი ოჯახის საქმე მარტოს დამაწვა, მაგრამ ყველაფერს გავეუქლავდი.

— თქვენი მუუღლე თქვენი მშობლებ-ისთვის მისაღები სიძე აღმოჩნდა?

— შოთიკოს მიმართ, ჩემი მშობლები თავიდანვე კარგად განწყვენ. დედაჩემი ძალზე თბილი ადამიანია. შოთიკოსა და მას კარგი, მეგობრული ურთიერთობა აქვთ. სიძე-სიდედრს ერთმანეთი ძალიან უყვარს. შეუძლიათ, დილაძე იხსდნენ და ისაუბრონ.

— თქვენ როგორი რძალი ხართ?

— ჩემს დედამთილთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს, ძალიან მიყვარს და პატივს ვცემ. თავიდან პატარ-პატარა უსიამოვნებები გვექონდა, მაგრამ მალე ყველაფერი დალაგდა.

— მუუღლე საოჯახო საქმეებში თუ გეხმარებათ?

— არა, არ მეხმარება (იციან). ერთადერთი, რასაც დაუხარებლად აკეთებს, ყვავილების მოვლაა. უყვარს ძალიან. ხედავთ, რომ ბევრი ყვავილი გვაქვს. მათ თვითონ იძენს, რწყავს. რაც შეეხება სახლის რემონტს, ამ საქმეში სერიოზული წვლილი მიუძღვის. მას ორი პროფესია აქვს — ის არქიტექტორიცაა. ამიტომ, რემონტის დროს თავისი პროფესიის გამოყენება მოუხდა.

— ბაზარში რომელი დადის?

— ბაზარში ორივე ერთად მივიდივართ, მარტო არ მიდის, ჩემთან ერთად წასვლა უყვარს. ბაზარში სიარული არ მეზარება, პირიქით, ეს პროცესი მსიამოვნებს, პროდუ-

ქტს ყოველთვის ჩემი გემოვნებით ვარჩევ. ქალის არჩეული მაინც სხვა არის. შეიძლება, 20 თეთრისთვის ბაზარში კილომეტრიც კი გავიარო (იციან).

— მუუღლისგან რჩევებს თუ იღებთ?

— რა თქმა უნდა. მის რჩევებს ყოველთვის



ვითვალისწინებ. უკვე ვიცი, მას რა მოსწონს და რა — არა. შოთიკოს ჩემი ჩაცმის სტილი ძალიან მოსწონს.

— ერთმანეთზე თუ ეჭვიანობთ?

— დაქორწინებიდან დიდი ხნის განმავლობაში ვფიქრობდი, რომ შოთიკო ეჭვიანი არ იყო. რამდენჯერმე გადაღებების პერიოდში, შინ გვიან დავბრუნდი. მიუხედავად იმისა, რომ მან ამის შესახებ იცოდა, შევატყვე, არ ესიამონა. ამით პატარა გამოცდილება შევიძინე და ახლა ყველაფერს ისე ვაკეთებ, რომ მისი წყენა არ დავიმსახურო, არ გავალიზიანო. ჩემთვის მას თავად არასოდეს მოუცია ეჭვიანობის საბაბი.

— მუუღლის ნამუშაო ყველაზე ძვირფასი ნივთი რა გაქვთ?

— მისი ნამუშევრები. საერთოდ, ძალიან ცოტას ხატავს. რადგან ამისთვის დრო, ფაქტობრივად, არ რჩება. ამიტომ მის ნამუშევრებს ძალიან ვუფრთხილდები.

— თქვენი პორტრეტი თუ დაუბატავს?

— კი, როგორ არა. ერთხელ ავად ვიყავი, ლოგინში ვინექი და ზუსტად 5 წუთში დაბატავს. ძალიან ბუნებრივი და კარგი გამოვიდა.

— რას ურჩევდით ახალდაქორწინებულებს — როგორ უნდა მოიქცნენ, რომ ოჯახი ბოლომდე შეინარჩუნონ?

— ოჯახში მამაკაცია დომინანტი. ქალი ცოტა დამთმობი უნდა იყოს, გაითვალისწინოს ის, რაც მის მუუღლეს მოსწონს და უყვარს. მთავარი, სიყვარულისა და ოჯახის შესანარჩუნებლად — ურთიერთგაგებაა!..

მხარდაჭერა ქართულ წარმოებას!!!

„კვირის პალიბრის“ მედია სხლი ისევ თქვენ გვირდითა და საქართველოში შექმნილი რთული პირობების გამო

გთავაზობთ უპრობლემო უსაღაპრეს ქართული პროდუქციის რეკლამის განთავსებაზე

რადიო „პალიბრაში“ FM 103.9

და დღეისათვის ყველაზე წარმატებულ შარანაღვი „გზა“ და „არსენალი“

ხეხაშის ლიხაბელება — ფასდაკლება საბაზო ტაქსიფაზიან -50%

იოსებოიკი 49 37-78-07; 38-78-70

სასუკუფიდი ქაჩუკუფიდი სასიკომო „აოუაოუა ზანაჰიდეან“ ...

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, ნიკა კუჭავაძე, საზოგადოების დიდმა ნაწილმა, სერიალიდან — „ჩიფსების თაობა“ — გაიცნო. როგორც აღმოჩნდა, ნიკა ბევრი გოგონასთვის საოცნებო მამაკაცი ყოფილა. მასთან ინტერვიუ დილის 10 საათზე ჩავწერეთ, ამ დროიდან მის მობილურზე უცნობი თაყვანისმცემლების ზარები არ წყდება. ნიკას ფანებო! გაითვალისწინეთ, რომ მას ზედმეტად თამამი გოგონები არ მოსწონს.



„უნახლოდ ლამაში ქალები არ მომწონს“

სოფო ჭონიშვილი

— გეტყვით, რომ დიდი ოჯახი მაქვს. მყავს დედა, მამა, ორი და, ორივე — დაოჯახებული. უკვე ბიძაც ვარ, ორი დისშვილი მყავს. მახსოვს, ბავშვობიდან მოყოლებული, სახლში ყოველთვის ბევრი ვიყავით. ჩემს სახლს „ბოშათა ბანაკს“ ვეძახდი. მამა პროფესიით ინჟინერია, დედა — ფილოლოგი. ჩემი დებიც ფილოლოგები არიან. მსახიობი ჩემს წინაპრებშიც (იციანის) კი არააინ ყოფილა.

— მსახიობობა თავად გადაწყვიტე?

— ბავშვობიდან ძალიან ლაღად ვიზრდებოდი, მშობლები არასოდეს არაფრით მზღუდადნენ. პროფესიული არჩევანის გაკეთებაც მე მომანდევს, მსახიობობა თავად გადავწყვიტე. მანამდე სპორტით ვიყავი დაკავებული. 11 წელი ჩოგბურთს ვთამაშობდი.

— სპორტს რატომ არ გაჰყვები?

— ვერ გაყვები (იციანის): ვალი-არებ, რომ ზარმაცი ვარ.

— ჰოროსკოპით რა ხარ?

— ლომი. მართალი გითხრა, ჰოროსკოპების კითხვა არ მიყვარს. თუ შემთხვევით ხელში ჩამივარდება, შეიძლება გასართობად წავიკითხო. ასეთი რაღაცების არ მჯერა. ცრუმორწმუნე არ ვარ.

— რამდენი წლის ხარ?

— 25-ის.

— ბევრი უარყოფითი თვისება გაქვს?

— (იციანის) არც ისე. ჩემი ყველაზე ცუდი თვისება არის ის, რომ ძალიან ეჭვიანი ვარ. მინდა, ეს ეჭვიანობა დავძლიო, მაგრამ არ გამომდის. კიდევ... ძალიან ჯუჯულუნა ადამიანი ვარ. ლევან წულაძემ ზედმეტი სახელიც კი შემირჩია — ჯაჯულანას მეძახის. სულ ვწუწუნებ, სულ

რაღაცით უკმაყოფილო ვარ.

— რაზე ან ვისზე შეიძლება ეჭვიანი?

— მხოლოდ და მხოლოდ საყვარელ ადამიანზე ვეჭვიანობ. მიმაჩნია, რომ ეს ჩემი დიდი მინუსია, რის გამოც ცხოვრებაში ბევრი უსიამოვნება შემხვდა. ვცდილობ, ეს თვისება მოვიშორო, მაგრამ რაც დრო გადის, ვხვდები, რომ ადამიანი ვერ გადაკეთდება, როგორცაა, ბოლომდე ისეთად დარჩება.

— ის მაინც თუ შეგიძლია, ეჭვიანობა არ გამოხატო?

— რა თქმა უნდა, მიცდია, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ, დაგროვებული ეჭვები მაინც გამომიოქვამს.

— ბოლმიანი ადამიანი ხარ?

— ბოლმიანი ნამდვილად არ ვარ, წყენას გულში არასოდეს ვიდეხ. მალე ვიციწყებ. თუმცა წყენასაც გააჩნია.

— შენ თქვი, რომ შეყვარებულს დაშორდი. ამის მიზეზი შენი ეჭვიანობა ხომ არ იყო?

— მთლად ეჭვიანობას ვერ დავაბრალებ. თუმცა ჩემმა ამ ცუდმა თვისებამ ჩვენს დაშორებაში დიდი როლი ითამაშა. შეყვარებული საკმაოდ დიდი ხანი — 6 წელი ვიყავი. მყარი და ჩამოყალიბებული ურთიერთობა გექონდა, მაგრამ...

— დადებითი თვისებებიც ჩამოთვალე. შეგიძლია, თავი შეიქო კიდევ?

— ჩემს დადებით თვისებებზე საუბარი მიჭირს, მაგრამ ერთის აღნიშვნა თამამად შემიძლია: მხიარული ადამიანი ვარ, იუმორის გრძნობა მაქვს. შემიძლია, მოწყენილი საზოგადოება გავახიარო. აქვე გეტყვით იმას, რომ ძალიან პუნქტუალური ვარ. შეხვედრებზე არასოდეს ვიგვიანებ.

— განონასწორებული ხარ?

— ოო... ამაზე ჰასუსხის გაცემა მიჭირს. ძალიან ფიცხი ხასიათი მაქვს. წონასწორობას უცებ ვკარგავ. ემოციებს ვერასოდეს ვიოკებ.

— მშობლები რაზე გასაყვედურობენ?

— (იციანის) ფულის ფლანგვის გამო. ფულის ხარჯვა ძალიან მიყვარს. არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ ბოლო დროს ძალიან კარგი შემოსავალი მქონდა, გადაცემა მიმყავდა, „ჩიფსების თაობაშიც“ ვთამაშობდი, თეატრშიც ბევრ სპექტაკლში ვარ დაკავებული, ყოველთვე დაახლოებით, 3.000 ლარს ვიღებდი, რაც საქართველოში სოლიდური გასამრჯელოა. ხელფასის აღებიდან მე-3 დღეს უკვე ვალები მქონდა დაგროვილი... კიდევ რაზე მსაყვედურობენ მშობლები? აა... როგორ შეიძლება, სახლში ყოველთვის დილის 5 საათზე დაბრუნდო?!
— დეპრესიული ადამიანი ხარ?

— დეპრესიაში ერთადერთხელ ჩავვარდი — როცა შეყვარებულს დავშორდი, რაც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. ჩვეულებრივ დავდიოდი რეპეტიციაზე, გადაღებებზე, მაგრამ ამ ყველაფერს გულგრილად ვეკიდებოდი. ყველაფრის მიმართ ინტერესი დავკარგე. დეპრესია ძალიან ცუდი რამ ყოფილა. კიდევ უფრო ცუდია ის, რომ მიუხედავად გარკვეული პერიოდის გასვლისა, ამან ჩემში რაღაც კვალი მაინც დატოვა. ამ მდგომარეობიდან გამოსვლაში ჩემი მეგობრები დამეხმარნენ.

— ახლა შეყვარებული ხარ?

— შეყვარებული არ ვარ, მაგრამ არსებობს ადამიანი, რომელიც ძალიან მომწონს. არ ვიცი, მომავალში რა მოხდება. როცა მას ჩემი სიმპათიის შესახებ ვუთხარი, უარი მტკიცა, მაგრამ მაინც ვმეგობრობთ.

— „ჩიფსების თაობაში“ მექალთანე კაცის როლს თამაშობდი. ცხოვრებაშიც მექალთანე ხარ?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ხშირად მიწევს (იციინის). „მეკაცთანობას“ (ხვდებით ალბათ, რასაც ვგულისხმობ), მექალთანეობა სჯობს... ჩემი გმირი „ჩიფსების თაობაში“ ამაზრუნენი მექალთანე იყო. ისეთი მექალთანე ნამდვილად არ ვარ.

— „ჩიფსების თაობის“ მსახიობების ჯგუფმა ახალი სერიალი — „ჩვენი ოფისი“ შემოგვთავაზა, სადაც არც შენ და არც ჯუგლაძე არ ჩანხართ. რატომ?

— სერიალის ფორმატი გაიზარდა. მსახიობებს ყოველდღე მუშაობა უნევთ. ამ გრაფიკს, მე და ჯუგლაძე თეატრის გამო, ვერ მოვერგეთ. მიუხედავად იმისა, რომ იქ უფრო მეტი შემოსავალი გექონდა, ვიდრე თეატრში, მაინც სცენა ვარჩიეთ. თეატრი — ჩემი ოჯახია.

— ქართული ტრადიციები მოგწონს?

— არსებობს ქართული ტრადიციები, რომელთაც ცოტა ირონიულად ვუყურებ. ძალიან მომწონს ქართული სუფრის კულტურა. მთაში შემორჩენილია ის ტრადიცია, რომ ქალი სუფრასთან არ უნდა იჯდეს. რამდენიმე წლის წინ სტუმრად ფშავში ვიყავი. მეგობარმა ხატობის დღესასწაულზე დამპატიყა. როცა სალამოს სუფრა გაშალეს, მამაკაცები ცალკე დაესხედით, ჩვენგან ცოტა მოშორებით ქალები დასხდნენ — დაბალ სუფრასთან, რაც იმის მანიშნებელია, რომ მამაკაცი ქალზე მაღლა დგას. ცოტა რომ დავთვერი, მერე გოგონებთან საცეკვაოდ მივედი. ჩემი მეგობარი გამიგიჟდა — არ შეიძლება, შენს ადგილზე დაჯექი, არავინ აგხანძლოსო (იციინის). მეც, რა თქმა უნდა, უსიტყვოდ დავემორჩილე. ეს ტრადიცია ნამდვილად არ მომწონს.

— ნიკა, როგორი გოგონები მოგწონს? თამამები თუ შედარებით მორიდებულები?

— ოო... ეს რთული საკითხია. ბევრი ისეთი გოგო მინახავს, რომელიც თავხედურად აქტიურობს, რაც ძალიან გამაღიზიანებელია. ასეთი გოგონები ჩემს სიმპათიას არ იმსახურებენ. მათ სითამამე ხშირად თავხედობაში გადასდით. არც ზედმეტად მორიდებული გოგონები მომწონს — ისეთები, რომ ვერ გაუგებ, რა მოსწონთ და რა — არა. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ქალი ნაკითხი და განათლებული უნდა იყოს. ჩემი თაობის გოგონებში საშინლად მაღლიზიანებს ხელოვნურად „დაყენებული“ ლაპარაკის მანერა. ამას წინათ, ერთ-ერთი,

რალაცას მიყვებოდა: „გუშინ მე და ჩემი მეგობრები მეგობართან ავედით და მერე იქ რალაცა და რალაცა...“ ვგიჟდები ასეთ ლაპარაკზე. რას ნიშნავს „რალაცა და რალაცა“?! (იციინის). მე ასეთ გოგონასთან ვერ ვიმეგობრებ. არ გეგონოთ, რომ თავი ყოვლისმცოდნე მგონია. სკოლაში ორიანიც ბევრი მყავდა და წიგნებსაც ნაკლებად ვკითხულობდი, მაგრამ როცა თეატრალურში ჩავაბარე, მაშინ მივხვდი, რომ ბევრი რამ არ ვიცოდი. ძალიან ნიჭიერი და განათლებული ჯგუფელები მყავდა. წიგნებს სტუდენტობის დროს ჩაუფუჭეჭი. მე-ნ კლასის პროგრამიდან დავინწყე და რაც თავის დროზე არ ნამიკითხავს და არ მისწავლია, ვისწავლე. ერუდიცია აუცილებელია. გაუნათლებელ ადამიანთან ურთიერთობა ძალიან უინტერესოა.

— გარეგნულად როგორი გოგონები მოგწონს?

— ზოგი ამბობს, გარეგნობას მნიშვნელობა არა აქვსო. მე ასე არ ვფიქრობ. თუ გოგო გარეგნულად არ მომეწონა, მის სულში „ძრომიალს“ არ დავინწყებ. ძალიან ლამაზი გოგონებიც არ მომწონს. ვგიჟდები ლივ ტაილერზე, უნაკლო ქალია, მაგრამ გვინეტ პელტროუ, რომელსაც პატარა ნაკლი — ცოტა დიდი პირი აქვს — უფრო მომწონს. მოკლედ, უნაკლოდ ლამაზი გოგონები არ მომწონს, რალაც ნაკლი უნდა ჰქონდეს (იციინის)...

— „აზიატი“ ხარ?



— ჩემს „აზიატობას“ ხაზს უსვამს ის, რომ ექვიანი ვარ. რაც შეეხება იმას, ჩემი ცოლი ქალწული უნდა იყოს თუ არა, — ამ საკითხში „აზიატი“ არა ვარ. ყოფილი შეყვარებული, ქმარს გაცილებული და შვილიანი იყო, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია: თუკი ახალგაზრდა ქალს ოჯახი დაენგრა, ცხოვრება ხომ უნდა გააგრძელოს?! მთავარია, მიყვარდეს.

— საოჯახო საქმეებს თუ აკეთებ? პერანგის დაუთოება თუ შეგიძლია?

— ოო... ნამდვილად რთული საქმეა. ხანდახან, როცა შინ მარტო ვარ (დედა, უკვე 6 წელია, ამერიკაშია და ჩემი დებიც აქ არ არიან), სხვა გზა არ მაქვს, რალაცას ვახერხებ. ისე, რომ არ შევრცხვე, გარეცხვას კიდევ რა უნდა! მანქანა რეცხავს. გამოვიღებ და გავფენ.

— საქმელების მომზადება გეზერხება?

— არა, ძალიან თუ მშობია, შეიძლება, რალაც მოვახერხო. ერთდერთი, რასაც ვამზადებ, ეს არის „მწვადის გარნირი“ (მამაჩემმა მასწავლა). სხვათა შორის, გემრიელი გამომდის.

— ოჯახის წევრები დაქორწინებაზე არ გელაპარაკებიან?


— კი. თუმცა ჩემი დაოჯახება, ჯერჯერობით სერიოზული თემა არ არის. მამაჩემი მასხენებს ხშირად, რომ ცოლი უნდა მოვიყვანო, მე კი ვპასუხობ, — არავინ მიყვარს და ვინ შევიერთო-მეთქი?! დაოჯახების, ცოტა არ იყოს, მეშინია. ალბათ პასუხისმგებლობას გავურბივარ. ბევრი ჩემი მეგობარი დაოჯახებულია და ბედნიერიცაა, მაგრამ როცა ვეჭყვი, ცოლი უნდა შევიერთო-მეთქი, — მოიცა, რა გეჩქარებაო?! — კი, მაგრამ შენ ხომ ბედნიერი ხარ-მეთქი? — კი, მაგრამო... აი, ამ „მაგრამში“ რას გულისხმობენ, ვერ ვხვდები, ჰოდა, სწორედ ეს მაშინებს (იციინის)...

— ამ ინტერვიუს დაბეჭდვის შემდეგ, ჩემს მობილურზე შენი თაყვანისმცემლების მესიჯები მოვა; მათთან შეხვედრის წინააღმდეგი ხომ არ იქნები?

— არა, პირიქით — გამიხარდება. მთავარია, საამისოდ დრო მქონდეს. მთელი დღეები რეპეტიციები მაქვს. მაგრამ მაინც ვეცდები, რომ მათთან შესახვედრად მოვიცალო.

P.S. მოკლედ, გოგონებო! მშვენიერი „სასიძო“ წარმოგიდგინეთ. იაქტიურეთ, გამომიგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე 898 23.09.21 ნიკა თქვენთან შესახვედრად აუცილებლად მოიცლის.

ის ყველაზე ხშირად ისტორიულ, პოლიტიკურ, ფილოსოფიურ ლიტერატურას კითხულობს. თანამედროვე ქართველი მწერლებიდან საუკეთესოდ აკა მორჩილაძეს მიიჩნევს. პოეზიაც უყვარს, განსაკუთრებით — გალაკტიონის. სანამ საცხოვრებლად ამერიკაში გადავიდოდა, ზეპირად ბევრი ლექსი იცოდა. მართალია, უცხო ქვეყანაში მყოფს, არაერთი ლექსი დაავიწყდა, მაგრამ ყოველთვის ახსოვს „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია...“ კითხვაზე — ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად ვის აირჩევდით? — დაუფიქრებლად მპასუხობს: პიპას, კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენიდან“. მაშ ასე, „ერუდიტის“ სტუმარია „ლიდერთა სკოლის“ ლიდერი ბიბ მანისაშვილი.



„დიდერთა სკოლის“ დიდების ინცედექტი

აპირებს თუ არა ბურჯანაძესთან და ნოლაიდეთან გაერთიანებას

თამუნა კვინიკაძე

პრემიუმის მაგიერ

— ბატონო გია, ბოლო დღეებში ვრცელდება ინფორმაცია ნინო ბურჯანაძესთან და ზურაბ ნოლაიდეთან თქვენი გაერთიანების შესახებ. რას იტყვით? — საქართველოში ყველაფერს ლაპარაკობენ. ამუშადა „ლიდერთა სკოლის“ საქმეებით ვარ დაკავებული... — ეი, პოლიტიკური ტაიმ-აუტი აიღეთ? — საქართველოში პოლიტიკა არ არსებობს. აქ არის ერთი მმართველი კლანი, თავისთავად ოპოზიციით. მათ, საზოგადოების დეგენერაციის ფონზე, ქვეყანა უფსკრულსკენ მიჰყავთ. დღევანდელი პოზიციური პოლიტიკური ელიტის იმედი აღარ მაქვს... ამიტომ ამ ეტაპზე „ლიდერთა სკოლით“ ვარ დაკავებული. ხვალ-ზეგ რა მოხდება, არავინ იცის. — ხვალ-ზეგ მათგან შემოთავაზება რომ მიიღოთ, დათანხმდებით? — ყველა შემოთავაზებას გარკვეული წინა პირობა აქვს და რაღაცის გამო ხდება. მე ასეთ წინა პირობას ვერ ვხედავ. — რა თვისებით უნდა გამოირჩეოდეს ლიდერი? — ლიდერი ბევრი თვისებით უნდა გამოირჩეოდეს. როცა ის სხვა ადამიანთან კონტაქტში შედის, უნდა შესწევდეს იმის ძალა, ეს ადამიანი იმაზე უკეთესად აქციოს, ვიდრე მასთან შეხვედრამდე იყო.

— ამ ქვეყნიდან შეიძლება მსოფლიოს გადმოხედო, რადგან იქ უამრავი მაღალი მწვერვალი იყრის თავს. მას ყველაზე „მაღალ“ სახელმწიფოსაც უწოდებენ. რომელია ეს ქვეყანა? — ჩემი აზრით, ეს ქვეყანაა ნეპალი. — რა ერქვა სომალდს, რომლითაც მაგელანის ექსპედიციის წევრები ესპანეთში დაბრუნდნენ? — წარმოდგენა არა მაქვს. — „ვიტორია“. რომელი ქალაქი იყო 1800 წლამდე აშშ-ის დედაქალაქი? — ვაშინგტონამდე? — დიას. — (ფიქრობს) ფილადელფია. — რომელი ოკეანის აუზს მიეკუთვნება მდინარეები: სობისწყალი, ენგური, რიონი? — ეს მდინარეები შავ ზღვაში ჩაედინება, შავი ზღვა კი ატლანტის ოკეანის აუზს მიეკუთვნება. — რომელი სრუტეა მსოფლიოში ყველაზე განიერი? — არ ვიცი. — მიგანიშნებთ, ეს სრუტე ატლანტისა და წყნარ ოკეანებს აკავშირებს ერთმანეთთან; ამ სრუტით 1578 წელს ერთ-ერთმა მოგზაურმა იმოგზაურა. — (ფიქრობს) ვერ გიპასუხებთ. — დრეიკის სრუტე ეს მოგზაური — ფრენსის დრეიკი გახლდათ.

— გამასხნდა, დრეიკი ბრიტანელი იყო. მას დედოფალმა ლორდის ნოდება მიანიჭა. გეოგრაფიაში მაქვს გამოცდა (იცინის)? — არ მარტო გეოგრაფიაში. რა პქვია რიცხვთა ჯამის განაყოფს ამ რიცხვთა რაოდენობაზე? — საშუალო არითმეტიკული. — რა ერქვა დავით აღმაშენებლის ყოვალ მეუღლეს? — გუ... (ფიქრობს) გურანდუხტი, არა? — დიას. რა არის ანხელი? — არ ვიცი. — რატომ ჩქარობთ? მოსაფიქრებელი დრო გაქვთ. აქვე მინიშნებასაც გეტყვით: „ანხელი“ სამხრეთ ამერიკაშია. — ჩანჩქერს გულისხმობ? — დიას. რას მივიღებთ, თუ 1-იანს 12 ნულს მივუწერთ? — ტრილიონს. — „ზოდიაქო“ ბერძნული სიტყვაა, რას ნიშნავს იგი ქართულად? — არ ვიცი. — ცხოველთა წრეს. თქვენი ზოდიაქოს ნიშანი რომელია? — მშვილდოსანი ვარ. — ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონში“ რომელი ეკლესიის მოძღვარი იყო მამა იორამი? — არ ვიცი. — ორთაჭალის სამების. ამ ამერიკელმა მწერალმა ლიტერატურული მოღვაწეობა ციხეში დაიწყო. — (ფიქრობს) ვერც ამ კითხვაზე გიპასუხებ. — ო პენრომ. ალექსანდრე მაკედონელის მიერ მოწყობილ ამ შეჯიბრებას 41 კაცის სიცოცხლე შეენირა. გამარჯვებულმა პრომაქოსმა, რომელსაც მეფემ ოქროს გვირგვინი საკუთარი ხელით დაადგა თავზე, 3 დღეც ვეღარ იცოცხლა. რაში მოაწყო შეჯიბრება ალექსანდრე მაკედონელმა? — არ ვიცი. — ლენის სმაში. ვინ იყო ალექსანდრე მაკედონელის მამა? — ფილიპე II. — რომელ ციურ სხეულებს ეძახდნენ კუდიან ვარსკვლავებს? — წარმოდგენა არ მაქვს. — კომეტებს. ფაშისტური გერმანიის რომელი თავაყცის ნამდვილი გვარია შიკლგრუბერი? — პიტლერის. — მითოლოგია გიყვართ? — ზომიერად. — მითოლოგიური პერსონაჟებიდან, რომელი იყო ცალთვალა? — ციკლოპი. — ვინ შემოიღო პირველად ხმარებაში ტელესკოპი? — არ ვიცი. — გალილეო გალილეიმ და ეს 1612 წელს მოხდა. დაალბაგეთ ქვემოდან ზევით დიპლომატიური რანგები: ატაშე, ელჩი, დესპანი.

— ატაშე, დესპანი, ელჩი.
 — ვის ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „გველსა ხერეთით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი?“
 — შოთა რუსთაველს.
 — მოგვსენებათ, ირანი და ავღანეთი მოსაზღვრე ქვეყნებია. ხშირად მათ შორის საზღვარი ადგილს ინაცვლებს; ამის გამო ათეულობით კვადრატული კილომეტრი, სადაც ირანელები ცხოვრობენ, ავღანეთის საზღვრებში ექცევა; ხდება პირიქთაც, რატომ?
 — ვერ გიპასუხებ.
 — საზღვრად მიჩნეულია მდინარე გილმენდი, რომელიც... (მანყვეტინებს) ...რომელიც კალაპოტს ხშირად იცვლის. ის „მოხეტიალე“ მდინარეა.
 — XVII საუკუნის ბოლოდან 1793 წლამდე ამ კუნძულის დასავლეთი ნაწილი საფრანგეთის კოლონია იყო. მაშინ მას სან-დომინგოს ეძახდნენ. რას უწოდებენ ამჟამად?
 — პატის.
 — 1993 წელს პარიზში 100 ტილო გამოფინეს, მათ შორის — მანეს, პრიანიშნიკოვის, რენუარის, სეროვის ნამუშევრები. რა პრინციპით შეარჩიეს ეს ტილოები?
 — ვერ გიპასუხებ.
 — მათი დაბატვიდან 100 წელი იყო გასული. რომელია ჩრდილოეთ ამერიკის ყველაზე მაღალი მწვერვალი?
 — „მაკკინლი“.
 — ჩამოთვლილი ქვეყნებიდან: პოლონეთი, რუმინეთი, ნორვეგია, მალაიზია — ტერიტორიულად რომელია ყველაზე დიდი?
 — მალაიზია, შემდეგ ნორვეგია (ფიქრობს), პოლონეთი და რუმინეთი.
 — ბრძოლის წინ სომხეთისთვის წელზე ნიჭის გალას ვეჯაროსნები შემოირტყამდნენ ხოლმე თუ გლადიატორები?
 — როგორც მახსოვს, ასე გლადიატორები იქცეოდნენ.
 — დიას. „ჭრიჭინა“, „მაგდანას ლურჯა“, „მდე პირველი, დღე უკანასკნელი“, „შეხვედრა წარსულთან“ — ამ ფილმებიდან რომელი არ არის სიკო დოლიძის გადაღებული?
 — (ფიქრობს) „მაგდანას ლურჯა“.
 — თუ გახსოვთ, ვინ არის ამ ფილმის რეჟისორი?
 — რეზო ჩხეიძე.
 — ტენგიზ აბულაძესთან ერთად ვინ არის გამოსახული 2-დოლარიან კუპურაზე?
 — ამ კითხვაზე უნდა გიპასუხო... (ფიქრობს) ვერ გავისხენე. ვინ არის?
 — ვეფერსონი.
 — ჩემი საყვარელი პრეზიდენტია.
 — რა აქვს საერთო კარბის, ხმელთაშუა, ეგვიპტის, ბალტიის ზღვებს?
 — ზღვებია (იციინის)...
 — ყველა, ატლანტის ოკეანის აუზს განეკუთვნება. რომელი დინასტიის წარმომადგენელი იყო ინგლისის მეფე, შექსპირის ერთ-ერთი ტრაგედიის გმირი რიჩარდ III?
 — არ მახსენდება.
 — იორკების. სირია, პაკისტანი, თურქეთი, საბერძნეთი — მათგან რომელი სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია ვილაიეთი?
 — თურქეთის.
 — 1981 წლიდან რა აეკრძალათ აშშ-ის სამხედრო საზღვაო ფლოტის ოფიცრებს — ბანქოს თამაში, ლოთობა თუ წვერის ტარება?
 — ალბათ ბანქოს თამაში.
 — ცდებით, მათ წვერის ტარება აეკრძალათ. ესპანეთის რომელ ქალაქში ტარდება ყოველწლიურად დალაქთა საერთაშორისო კონკურსი, რომელსაც როსინის ერთ-ერთი ნაწარმოების პოპულარობას მიანერენ?
 — სევილიაში.
 — ბოლივია, კანადა, კოლუმბია, პერუ — მათგან რომელი არ მიეკუთვნება ლათინური ამერიკის ქვეყნებს?

— კანადა.
 — „ნაპოლეონი“, „პოლ რობსონი“, „ირმის ენა“, „მაზურკა“ — რა აერთიანებს მათ?
 — (ფიქრობს) ნამცხვრის სახეობები ჩამოთვალეთ, არა?
 — დიას. გერმანული ანდაზის მიხედვით, ოქროს ცვეცლი გამოცდის, ქალს — ოქრო, მამაკაცს?
 — მამაკაცს? (ფიქრობს) ქალი.
 — რომელი ქართული პოეტი მონაწილეობდა რუსეთის დაპყრობით ომებში ჩრდილოეთ კავკასიაში?
 — გრიგოლ ორბელიანი.
 — რამდენკალიბრიათა სანადირო თოფის ყველაზე დიდი ჰილზი?
 — არ ვიცი.
 — 12-კალიბრიათი. რომელი ცვეცლასაროლი იარაღის სახელწოდება ითარგმნება ლათინურიდან „ეზხადე ომისთვის“?
 — იარაღთან არანაირი კავშირი არ მაქვს. არც ნადირობა მიყვარს.
 — სწორი პასუხია „პარაბელუმი“. ორმა მუშამ 100 ლარი ისე გაიყო, რომ ერთს მეორეზე 42 ლარით მეტი შეხვდა რამდენი ლარი შეხვდა მეორე მუშას?
 — (ფურცლებზე ანგარიშობს) 100 ლარს გამოვაკლოთ 42, მივიღებთ 58 ლარს. შემდეგ 58 გავყოთ 2-ზე, მივიღებთ 29-ს. ეს არის პასუხი.
 — რა რიცხვზე უნდა გავყოთ 28, 8 რომ მივიღოთ?
 — 16 : 2 = 8.
 — ბატონო გია, მგონი, კითხვა ვერ გაიგეთ.
 — ერთხელ გამიმეორე. (გამეორების შემდეგ) თითქოს ძალიან მარტივია, მაგრამ დავიბენი (ფიქრობს). გამოვიცანი: 0,25-ზე, არა?
 — დიას. მილის 2-ად გაჭრა 5 თეთრი ლირს. რა ელირება იმავე მილის 12 ნაწილად გაჭრა?
 — 60 თეთრი.
 — დაფიქრდით, ბატონო გია.
 — 12-ჯერ 5 — 60 არ არის?
 — 12 ნაწილი რომ მივიღოთ, მილი რამდენჯერ უნდა გადავჭრათ?
 — (ფიქრობს) 11-ჯერ. ე.ი. სწორი პასუხია 55
 — რომელ წელს გაიხსნა საქართველოში პირველი რკინიგზა?
 — 1864 წელს.
 — ცდებით, 1871 წლის 14 აგვისტოს. ჩვენ ბინებს და სახლებს საცხოვრებელი ფართის მიხედვით ვაფასებთ. ინგლისში კი XIX საუკუნის შუამდე სახლის მფლობელებისგან გადასახადი სხვა პრინციპის მიხედვით იკრებოდა, რაც ინგლისურ სახლებს კიდევ უფრო პირქუშს ხდიდა. როგორ გროვდებოდა გადასახადი?
 — რადგან სიტყვა „პირქუში“ ახსენე, ე.ი. — ფანჯრების რაოდენობის მიხედვით.
 — რომბუკის მონასტერი ჩინეთისა და ნეპალის საზღვარზე მდებარეობს. რის გამო მოხვდა ეს მონასტერი გინესის რეკორდების წიგნში?
 — ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე მონასტერია.
 — რა ერქვა ავაზაკს, რომელიც იესო ქრისტეს დასჯის სანაცვლოდ გაათავისუფლეს?
 — ბარაბა.
 — სად არის ისლამის დაამარსებლის, მუჰამედის საფლავი?
 — მექაში.
 — ცდებით, მედინაში. რა ერქვა ძველ რომში მოქალაქეთა თავშეყრის ადგილს?
 — ძველ რომში არ მახსოვს, მაგრამ საბერძნეთში აგორა ერქვა.
 — ფორუმი. სპორტის რომელი სახეობისთვის არ არის განსაზღვრული სათამაშო დრო?
 — ფრენბურთისთვის.
 — რომელ მდინარეზეა „უინვალუქსი“?
 — არაგვზე.
 — დაასრულეთ მონტენის ცნობილი გამონათქვამი: „დამიანი, რომელიც ცოტას საქმობს, მეტისმეტად ყბუდია, ვინც ცოტას ფიქრობს, იგი...“
 — „...იგი ნაკლებად ბრძენია“.
 — „იგი ბევრს ლაპარაკობს“.



ინფორმაციულ-საინჟინერო-ტექნოლოგიური კომპანიები

ეონი დვალის უბის წიგნაკიდან:

1. სოფიკო ჭიაურელი ერთადერთი საბჭოთა მსახიობი ქალია, რომელიც საერთაშორისო კონკურსებზე შვიდჯერ არის დაჯილდოებული პრემიით „ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის“.
2. პირველ მსოფლიო ომს ფრანგი მამაკაცების 27 პროცენტი შეეწირა.
3. რგოლი, სატურნის გარდა, მის ერთ-ერთ თანამგზავრ რეასაც აქვს.
4. ექვმიტანილის თავდებით გათავისუფლება პირველად ძველ რომში შემოიღეს.
5. ჯონ უინსტონ ლენონი — ეს გახლდათ მომღერლის სრული სახელი და გვარი.
6. ბუტანი პირველი ქვეყანაა მსოფლიოში, რომელმაც თამბაქოს გაყიდვა აკრძალა.
7. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში პირველად 1950 წელს გამოაღწეს ფოლადი.
8. ქალაქ ნიუ-იორკში სამსახურში ყოველდღიურად 131 ათასი ადამიანი მგზავრობს ველოსიპედით.
9. ლისტენშტაინის სახელმწიფო ბიუჯეტის 10 პროცენტს საფოსტო მარკების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს.
10. რუსი კომპოზიტორები — პეტრე ჩაიკოვსკი, ნოვოლოზ რიმსკი-კორსაკოვი და სერგეი რახმანინოვი თავიანთ ნაწარმოებებში უკრაინულ ხალხურ მელოდირებს იყენებდნენ.
11. „გერმანელი ხალხის კეთილდღეობისათვის ყოველ 15-20 წელიწადში ომის დაწყებას უნდა ვესწრაფოდეთ“, — წერდა ადოლფ ჰიტლერი „მაინ კამპფში“.



12. გალაკტიონის მუზა, მერი შერვაშიძე 1921 წელს სტამბოლში გამართული სილამაზის მსოფლიო კონკურსის გამარჯვებული გახდა.
13. უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი 1873 წელს მდინარე დუნაის მოპირდაპირე სანაპიროებზე მდებარე ორი ქალაქის — ბუდასა და პეშტის გაერთიანების შედეგად წარმოიქმნა.
14. მიხაილ მიხალკოვი, სერგეი მიხალკოვის ძმა, რომელმაც საბჭოთა კავშირის ჰიმნი დაწერა, „ენკავედეს“ აგენტი იყო ნაცისტურ გერმანიაში, მოგვიანებით კი „გულაგის“ პატიმარი გახდა.
15. 1964 წელს ჟან-პოლ სარტრმა უარი განაცხადა ნობელის პრემიის მიღებაზე. იგი მიიჩნევდა, რომ ამ პრემიას მხოლოდ სიკვდილის შემდეგ უნდა გადასცემდნენ, რადგან ცოცხალმა ადამიანმა ყოველთვის შეიძლება შეიცვალოს აზრი ან შეცვალოს თავისი მოღვაწეობა.
16. ბრილიანტით დამუშავებული საქორწინო ბეჭედი მოდაში XV საუკუნეში შემოვიდა. ასეთი ბეჭედი მიუძღვნა მომავალ

«არ ვინა, იფიქრონ, რომ ომის თემა პოპულაროზისთვის გააოვიყენეთ»

„ფიქრობ, რომ ომის თემა მანამდე იქნება აქტუალური, ვიდრე ორი ქონდრისკაცი — ბუტანი და მედვედევი საქართველოს ერის“, — ამბობს 23 წლის რეპერი ლამურა, რომელმაც რეპერულ „ქებნილებთან“ ერთად სიმღერაზე სახელწოდებით — STOP RUSSIA კლიპი გადაიღო. სამწუხაროდ „ქებნილების“ წევრებთან ინტერვიუს ჩანერა, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, ლამურა ახალი კლიპს (და არა მხოლოდ) შესახებ ამომწურავად მესაუბრა.



ეთი ყორღანაშვილი

— ალბათ, გახსოვს, რომ საქართველოში, რამდენიმე წლის განმავლობაში ქართველი მომღერლების „ბუმი“ იყო: ვთქვათ, კვირადღეს რომელიმე მომღერალი (ან თუნდაც, მომღერლები) სპორტის სასახლეში კონცერტს მართავდა, რომლის ღირებულებაც 5 ან 7 ლარი გახლდათ. ხუთშაბათს იმავე მომღერლის უფასო კონცერტი რუსთაველზე ეწყობოდა. ამან გამოიწვია ის, რომ კონცერტზე დასწრების მსურველი ფიქრობდა — ბილეთებში ფული რატომ გადავყარო? ავდგები და ხუთშაბათს კონცერტზე უფასოდ წავალ... შემდეგ უცხოელი მომღერლები ჩამოიყვანეს და ამან ქართველებს კონცერტების გამართვის თვალსაზრისით ყველანაირი გზა მოგვიჭრა. მხოლოდ საქართველოში ხდება ასეთი რამ: თუ მომღერალი ცნობილი არ არის, ფულს სთხოვენ, მისი კლიპი ტელეარხებზე რომ „დაატრიალონ“. ასე თუ გაგრძელდა, ჩვენს ქვეყანაში კიდევ დიდხანს არ იარსებებს შოუბიზნესი. საქართველოში არ არსებობს ნორმალური საკონცერტო დარბაზი (ფილარმონიას თუ არ ჩავთვლით), არც პროფესიონალებით დაკომპლექტებული შემოქმედებითი ჯგუფები გვყავს. წარმოიდგინე, კლიპის გადაღებისას საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი ლამაზი გოგონა,

რომელიც კამერის ჩართვისთანავე, ნაცვლად იმისა, რომ იცეკვოს, საფრთხობელასავით დგას! არადა, პოპულარობა სურს; მოსწონს, როცა ქუჩაში ცნობენ და უღიმინ. მაგრამ კლიპის გადაღებისას ფიქრობს — ვიმი, მამამ ან ძმამ რომ მნახოს? მოდი, გამომწვევად არ მოვიქცევიო!.. ეს უკვე „ქართული“ კომპლექსია. თუნდაც ჩემს კლიპებს რომ გადახედო, იქაც იგივე მდგომარეობაა.

— და მაინც, გარკვეული შემოქმედებითი პაუზის შემდეგ ისევ გამოჩნდი...

— მე, „ქებნილები“ და კიდევ რამდენიმე რეპერი ყოველთვის მუშაობის პროცესში ვართ. უბრალოდ, ნაგებაზე მუშაობა არავის სურს: არც — ჩვენ და არც — სტუდიებს. რა აზრი აქვს დისკის თუ კასეტის გამოშვებას, თუკი არ გაიყიდება? არც ის მინდა, რომ ჩემი სიმღერები სახელში „მედოს“ და მხოლოდ ახლობელს მოვასმენინო. ამიტომ, დაახლოებით ორ თვეში ჩემს ახალ ალბომს გამოვუშვებ, რომლის სახელწოდებაც გახლავთ „თერთმეტი“.

— ?..

— მოგხსენება, რეპი მაინც ზანგებისაა. წინათ შაკვანიანებს სდევნიდნენ, ისინი კი თავიანთ პრობლემებზე მღეროდნენ, ახლა გამდიდრდნენ — კარგი მანქანები, კარგი ქალები ჰყავთ, ბევრი ოქრო და ბრილიანტი აქვთ და სწორედ იმ თემებზე მღერიან, რაც საინტერესო აღარაა. ახლა ჩვენ, თეთრკანიანებსაც გვაქვს პრობლემები — მართალია, არ გვდევნიან, მაგრამ მაინც... ამიტომაც, ჩვენი სიმღერების ტექსტები ბევრად აზრიანია, ვიდრე — მათი.



— „თერთმეტში“ შენი და „ძებნილების“ ახალი სიმღერა STOP RUSSIA-ც შევა?

— დიას, მაგრამ არც მე და არც „ძებნილებს“ ამ სიმღერაზე კლიპი იმიტომ არ გადაგვიღია, რომ ხალხმა ტაში დაგვიკრას და ქუჩაში რომ გავალთ, გაგვიღიმოს!.. ამ სიმღერით ჩვენი პოპულარობის გაზრდა არ გვსურს, არც კომერციულ მხარეზე ვფიქრობთ. როცა ქვეყანაში ისეთი საშინელება ხდება, რასაც ომი ჰქვია, ყველა თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულებას უნდა შეუდგეს: ჯარისკაცმა — იბრძოლოს, მშენებელმა — დანგრეული სახლი ააშენოს, მომღერალმა — იმღეროს... ჩვენ, რეპერებმა ჩვენი სათქმელი ვთქვით, მაგრამ ეს ქართული ტელეარხების წარმომადგენლებმა ვერ გაითვალისწინეს.

— რას გულისხმობთ?

— მე და ჩემმა მეგობრებმა — „ძებნილებმა“ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო, გადავწყვიტეთ, სიმღერა STOP RUSSIA ჩავკვინერა. 11 სექტემბრისთვის სიმღერა მზად გვქონდა, 1 კვირაში კლიპის გადაღებაც დავასრულეთ. ჩვენი ნამუშევარი რამდენიმე ტელევიზიაში მივიტანეთ, მაგრამ ასეთი პასუხი მივიღეთ: STOP RUSSIA-თი ხალხი დაიღალა და ასეთი კლიპის ეთერში გაშვება გვეკრძალებოდა — ანუ მარტივად რომ ვთქვათ, თქვენი სიმღერა აქტუალური აღარაა! მიმაჩნია, რომ STOP RUSSIA მანამდე იქნება აქტუალური, ვიდრე საქართველოში ერთი რუსი „სამშვიდობო“ მაინც იქნება!..

— მოდი, სიმღერის ტექსტზე მესაუბრე...

— თავდაპირველად, ტექსტთან დაკავშირებით ასეთი იდეა გვქონდა: გვინდოდა, ნ-ენოვანი ტექსტი მაინც ყოფილიყო. ძირითადად, იმ


ქვეყნების ენებზე ვიმღერებდით, რომლებიც საქართველოსთანაა დაკავშირებული: რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი... იმ პერიოდში, თბილისში ვერავენ ვიპოვეთ ისეთი, ვისაც ტექსტის ნორმალურად დანერა შეეძლო. ძალიან გვინდოდა, ბევრ ადამიანს სწორად გაეგო-ის, რისი თქმაც გვსურდა. საბოლოოდ, მხოლოდ ქართულ-მოლდავეური ტექსტი დავტოვეთ: „ძებნილების“ ერთ-ერთი წევრი, ფრედო, მართალია, საქართველოში დაბადებულ-გაზრდილია, მაგრამ წარმოშობით მოლდაველია. სიმღერის მისამღერი ინგლისურ ენაზეა. ინგლისური საერთაშორისო ენაა და ბევრი ადამიანი გაიგებს ჩვენს სათქმელს.

— კლიპის გადაღების პროცესი რთული იყო?

— რთული იყო, რადგან რეჟისორიც, ოპერატორიც და მონტაჟისტიც მე ვიყავი. კლიპი, ძირითადად, ისეთი კადრებითაა დაკომპლექტებული, რომელშიც ჩვენ, მომღერლები ვჩანვართ. არ გვინდოდა, ნამუშევარი ომის სისხლიანი კადრებით გაგვეჯერებინა და ხალხი „დაგვეპანიკებინა“. ომის კადრები ინტერნეტით მოვიძიეთ, რადგან ტელევიზიებმა დახმარებაზე უარი გვითხრეს, უფრო ზუსტად — ფული მოგვთხოვეს. როცა საქმე ომის თემას ეხება, ვგონებ, ვაჭრობა სათაკილოა... ინტერნეტით ჩვენი კლიპი მოლდავეთშიც გავგზავნეთ და ამერიკაშიც. იქ ეს თემა დღემდე აქტუალურია, ზოგი ქართული ტელევიზიისგან განსხვავებით. თუ ჩვენი სიმღერა ტელეარხებზე არ იტრიალებს, არა უშავს — არ მინდა, ვინმეს ეგონოს, თითქოს ომის თემა პოპულარობის გაზრდის მიზნით გამოვიყენეთ.

— სიმღერაში ასეთი ფრაზაც გაქვთ — „ბოლო შევითხვა მაქვს: როდის მორჩება ომი“?

— ეგ შევითხვა ორ პატარა კაცთან — პუტინთან და მედვედევთან, ასევე — საქართველოს მთავრობასთანაც მაქვს. პოლიტიკაში მაინცდამაინც კარგად ვერ ვერკვევი, მაგრამ ერთი ვიცი: რუსეთმა თავი უნდა დაგვანებოს, გაერთიანებული საქართველო დაგვიბრუნდეს და ქართველმა ხალხმა მშვიდად ვიცხოვროს!..



ინფორმაციულ-შეხვედრებითი კოლაჟი

ეოზა დვალის უბის წიგნაკრან:

მეუღლეს, მარია ბურგუნდიელს ჰერცოგმა მაქსიმილიან ავსტრიელმა.

17. ინგლისში, ქალაქ ლიუტონ-ბედფორდშირის ქუჩების გამწვანებისას ვერც ერთმა დეკორატიულმა მცენარემ ვერ გაუძლო მანქანების გამოწვანებულ მონამლავ ნივთიერებებს. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ჩვეულებრივი კომბოსტოს ამტანობამ, რომლითაც დაამშვენეს კიდეცა გაზონები.

18. ჰიტლერის თვითმკვლელობიდან რამდენიმე საათის შემდეგ, სახალხო განათლებისა და პროპაგანდის რაიხსმინისტრმა იოზეფ გებელსმა, ცოლთან ერთად, ექვსივე მცირეწლოვანი შვილი მოწამლა და თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

19. ერთხელ ბერნარდ შოუ ბუკინისტურ მაღაზიაში საკუთარ წიგნს წააწყდა, რომელიც მან თავის დროზე საჩუქრად მიართვა მაღალი წრის ერთ ქალბატონს. პირველ გვერდზე შემორჩენილი იყო წარწერა: „მეგობრული სურვილებით“. შოუმ იყიდა წიგნი. პირველ მიძღვნას ქვეშ მიანერა — „ახალი სურვილებით“ და ისევ უკან გაუგზავნა პატრონს.

20. გაეროში ყველაზე ხანგრძლივი სიტყვით ფიდელ კასტრო გამოვიდა. კუბის პრეზიდენტის სიტყვა 4 საათსა და 29 წუთს გრძელდებოდა.

21. ტიტერიკუს I გალების უკანასკნელი იმპერატორი იყო.

22. პეტროს ადამიანის სახელობის თბილისის სომხური დრამატული თეატრი ერთადერთია მსოფლიოში, რომელიც სომხეთის ფარგლებს გარეთ სახელმწიფო თეატრის სტატუსით ფუნქციონირებს.

23. დედამიანის შინაგანი აგებულების უკეთ შესწავლის მიზნით, 1995 წელს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიიღეს გადაწყვეტილება, გაბურღონ დედამიანა გულამდე ჭაბურღილის გაკეთება გერმანიის ტერიტორიაზე ნავარაუდები.

24. 1355 წელს ოქსფორდში, ორ სტუდენტსა და ადგილობრივ მკვიდრს შორის ლუდის გამო ატეხილ არეულობას 63 სწავლულის სიცოცხლე შეენირა, რის გამოც ქალაქი 440 წლის განმავლობაში უხდიდა უნივერსიტეტს ჯარიმას.

25. ერთხელ ერთმა კაცმა ანტიკვარი-ათით მოვაჭრესთან გასაყიდად მიიტანა საათი და არწმუნებდა, — იგი 1740 წელს ჩემი წინაპრების მიერ არის შექმნილი. ცრუპენტელა მყისვე იქნა გამოჭერილი ტყუილში. მენდელსონი, რომლის მარშსაც საათი უკრავდა, 1809 წელს იყო დაბადებული.



გრიპი — სეზონური დაავადება

გრიპი მძიმე ვირუსული ინფექციაა, რომლითაც ნებისმიერი ასაკის, სქესისა და ეროვნების ადამიანები ავადდებიან. მას ზოგჯერ სიკვდილიანობაც ახლავს, განსაკუთრებით — მცირეწლოვნებსა და მოხუცებში. როგორც წესი, გრიპის ეპიდემია ნელინადის ცივ სეზონზე იწყება ხოლმე და მსოფლიოს მოსახლეობის 15%-ს აავადებს.

გრიპით ადამიანი სიცოცხლის მანძილზე რამდენჯერმე შეიძლება დასნებოვნდეს და ავად ყოფნის დღეები რომ შევკრიბოთ, ერთი წელი მაინც გამოვა. ამ ხნის მანძილზე იგი ქმედუნაროა, აქვს სიცხე, თავის ტკივილი, სხეულში მტკრების შეგრძნება. ერთი სიტყვით, აღენიშნება გრიპის ვირუსის „შაშიანი“ ცილებით ორგანიზმის მოწამვლის ყველა ნიშანი. გრიპი თანდათანობით აქვეითებს ორგანიზმს ფუნქციონირებას. მძიმე ფორმების შემთხვევაში, ყალიბდება შეუქცევადი ცვლილებები გულ-სისხლძარღვთა სისტემაში, სასუნთქ ორგანოებსა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაში.



უპიკო

უპიკოზე ლაბარაკობენ მაშინ, როცა ერთ ქვეყანაში გრიპით ერთდროულად ბევრი ადამიანი ავადდება. იგი, როგორც წესი, 3-6 კვირა გრძელდება.

გრიპის ყველაზე მძიმე და ცნობილი პანდემია 1918 წელს იყო. სავარაუდოდ, იგი ჩინეთიდან დაიწყო, თუმცა სიკვდილიანობის პირველი შემთხვევები 1918 წლის მარტში დაფიქსირებულია აშშ-ში, საფრანგეთში, ესპანეთსა და იტალიაში. 10 თვეში ინფექციამ მთელ მსოფლიოს გადაუარა და შეინარა უამრავი ადამიანის სიცოცხლე (დაიღუპა 20 მილიონი ადამიანი). განმეორებითი აფეთქებები მოხდა 1919-1920 წლებში და დაავადდნენ მხოლოდ ისინი, ვინც 1918 წლის გადაურჩნენ გრიპის ეპიდემიას.

გავრცელება

გრიპი სეზონური დაავადებაა. როგორც წესი, მისი უპიკო ჩრდილოეთ ნახევარსფეროში შემოდგომასა და ზამთარში იფეთქებს, სამხრეთ ნახევარსფეროში კი — გაზაფხულსა და ზაფხულში. გრძელდება 1-3 თვე და შემდეგ ქრება. დანარჩენ დროს სად ცირკულირებს და როგორ ხდება ვირუსის ახალი ტიპების ფორმირება, ბოლომდე ნათელი არ არის. სავარაუდოდ, ვირუსი ცირკულირებს ეკვატორის მიმდებარე რაიონებში — ტროპიკულ გრიპს სეზონურობა არ ახასიათებს, მისი შემთხვევები მთელი წლის მანძილზე ფიქსირდება, რაც ხშირად ამინდის ცვალებადობას უკავშირდება.

ნელინადის ცივ დროს გრიპით ავადობის სისხირის მატება აიხსნება იმით, რომ ცივ და ნალექიან ამინდებში, დაბურულ შენობებში ადამიანების რაოდენობა მატულობს.

დაავადების

გავრცელების წყარო

ვირუსის რეზერვუარს დაავადებული

ადამიანი წარმოადგენს. თუმცა, ბოლო წლებში (კონკრეტულად) აფეთქებებმა ცხადყო, რომ არ არის გამორიცხული, ვირუსის ცხოველიდან ადამიანებზე გავრცელებაც.

ინფექცია ვრცელდება აირ-წვეთოვანი გზით. ვირუსი დიდი რაოდენობით გამოიყოფა სასუნთქი გზების ლორწოვანიდან სუნთქვის, ცემინების, ხველისა და საუბრის დროს.

სივამოვა

გრიპი მწვავე გადამდები დაავადებაა, რომელიც გამოირჩევა მაღალი ტოქსიკურობით და ზომიერი კატარალური მოვლენებით. იგი უმეტესად ტრაქეასა და მსხვილ ბრონქებს აზიანებს.

გრიპი მწვავედ იწყება, ინკუბაციის პერიოდი 1-2 დღეა, მაგრამ შეიძლება, ნ დღესაც გაგრძელდეს. შემდეგ იწყება კლინიკური გამოვლენების პერიოდი. დაავადების სიმძიმე დამოკიდებულია ინფიცირებულის ჯანმრთელობის ზოგად მდგომარეობაზე, ასაკზე,

ადრე გადატანილ გრიპის ინფექციაზე და ა.შ. ამის მიხედვით ავადმყოფს შეიძლება განუვითარდეს გრიპის მსუბუქი, საშუალო, მძიმე და ჰიპერტოქსიკური ფორმა.

მსუბუქი ფორმის დროს სხეულის ტემპერატურა შეიძლება დარჩეს ნორმაში ან იყოს სუბფებრილური (38-მდე), ინტოქსიკაციის ნიშნები არ არსებობს ან სუსტადაა გამოხატული.

საშუალო სიმძიმის ფორმის დროს ტემპერატურა 38-დან 39-მდე იზრდება და ყალიბდება დაავადების კლასიკური სიმპტომები:

ინტოქსიკაცია (ჭარბი ოფლის გამოყოფა; სისუსტე; სინათლის შიში; სახსრებისა და კუნთების ტკივილი; თავის ტკივილი).

კატარალური მოვლენები (რბილი სასის და ხახის უკანა კედლის სინითლე; სკლერების ჰიპერემია;)

რესპირატორული სიმპტომები (ტრაქეისა და ხორხის დაზიანება; ხმის შეცვლა; მშრალი, მტკივნეული ხველა; გულმკერდის არეში ტკივილი; სურდო; ცხვირ-ხახის ლორწოვანი გარსის ჰიპერემია, ციანოზი და სიმშრალე).

ფილტვების სეგმენტური დაზიანების სინდრომი — ფილტვ-გულისმიერი უკმარისობა, რომელიც გრიპის გავლასთან ერთად უკვალოდ ქრება.

აბდომინალური სინდრომი (მუცლის ტკივილი; ფალარათი)

მძიმე ფორმის დროს ტემპერატურა 40-40,5 გრადუსს აღწევს. ზემოაღწერილ სიმპტომებს ხშირად ემატება ენცეფალოპათიის ნიშნები (ფსიქოზური მდგომარეობა; კრუნჩხვითი შეტევები; ჰალუცინაციები), სისხლძარღვოვანი დაზიანებები (ცხვირიდან სისხლდენა) და ლებინება.

ჰიპერტოქსიკური ფორმის დროს იქმნება ლეტალური გამოსავლის საშიშროება. შეიძლება განვითარდეს მენინგიტი, ენცეფალიტი, პემორაგიული და შემუშებითი სინდრომი (ფილტვების ან ტვინის შემუშება).

თუ გრიპი გართულების გარეშე მიმდინარეობს, ცხელება 2-3 დღეში გაივლის და 5-10 დღეში სრული გამოჯანმრთელებით მთავრდება.

გავრცელება იხ. გვ. 34

აირჩიე და შეიძინე სასლიდან გაუსვლელად

ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 კვ. ფაჩი	6 თვე
1. ლუკსის მკურნალი	0.80	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.00	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	50.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

ავრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

E-mail: elva@kvispalitra.com

პრესის
გავრცელების
სააგენტო

ქ. თბილისი
თბილისის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74

დაგროვებითი ფასდაკლების - "მტრედი ბარათი" ავერსისგან

ავერსი
AVERSI

ავერსის აფთიაქებს ერთგული მომხმარებელი მრავლად ჰყავს. მათ იციან, რომ აქ ხარისხიან მედიკამენტებს, კოსმეტიკურ საშუალებებს, ჰიგიენურ ნაწარმს თუ ბავშვის კვების პროდუქტებს შეიძენენ. დაგროვებითი ფასდაკლების ბარათი უმთავრესად სწორედ ერთგული მომხმარებლების დასაჩუქრებას ისახავს მიზნად. ავერსის ნებისმიერ აფთიაქში მედიკამენტებისა თუ სხვა სახის ნაწარმის (კოსმეტიკის, ბავშვის საკვების, სხეულის მოსაველეი საშუალებების) შეძენისას თითოეული მომხმარებელი მიიღებს დაგროვებითი ფასდაკლების მტრედ ბარათს, რომლის მეშვეობითაც ის მრავალი პრიზის მფლობელი გახდება.

არჩევანი მრავალფეროვანია: დაგროვებითი ფასდაკლების შედეგად შეგიძლიათ დამატებითი ფასდაკლების სახით მიიღოთ როგორც მედიკამენტები, ისე მაღალი ხარისხის კოსმეტიკური საშუალებები, კერძოდ:

- * ავერსი-რაციონალის მიერ წარმოებული სამკურნალო პრეპარატები
- * გერმანული კომპანია "დოლივას" სამკურნალო კოსმეტიკა;
- * "აპავა" - მკვდარი ზღვის სამკურნალო კოსმეტიკა ისრაელიდან;
- * საუგელა - სხვადასხვა ჰიგიენური საშუალებები იტალიიდან;
- * ლაკალუტი - კბილის პასტები და ჯაგრისები გერმანიიდან;
- * პრეგენინი - თმის ცვენის საწინააღმდეგო საშუალება ამერიკული კომპანია "აპჯონისგან".



დაგროვებითი ფასდაკლების მტრედი ბარათის ყველაზე ერთგულ მფლობელებს, რომელთაც კომპანია 1 წლის განმავლობაში გამოავლენს საშუალება ექნებათ, დაისვენონ საქართველოს ან ევროპის რომელიმე კურორტზე, ან შესაბამისად მიიღონ 1 000\$ ან 1 500\$. ამ სიას კომპიუტერიც ემატება, თუმცა მის ნაცვლად მომხმარებელს შეუძლია თანხა (1 000\$) მოითხოვოს. მთავარი პრიზი ავტომობილი ან 15 000\$-ია. დაგროვებითი ფასდაკლების მტრედი ბარათი რომ მიიღოთ, ამისათვის ავერსის აფთიაქში ნებისმიერი თანხის პროდუქცია უნდა შეიძინოთ. საეციალური ანკეტიის შევსების შემდეგ თქვენ გადმოგეცემათ ფასდაკლების მტრედი ბარათი,

რომელიც ავერსის აფთიაქში პროდუქციის შეძენისას აუცილებლად თან უნდა იქონიოთ: თქვენი ნებისმიერი შენაძენი, რა ღირებულებისაც უნდა იყოს ის, აღირიცხება და ანგარიშზე არსებულ თანხას ემატება. როდესაც თანხა 100 ლარს მიაღწევს, შეგეძლება, საჩუქრად მიიღოთ თქვენს ანგარიშზე არსებული თანხის 10%-ის ღირებულების პროდუქცია, რომელსაც ავერსის ნებისმიერ აფთიაქში ან კომპანიის ვებ-გვერდზე არსებული კატალოგიდან (www.aversi.ge) აირჩევთ.

გათვალისწინეთ ისიც, რომ ბარათი შეგიძლიათ ათხოვოთ ოჯახის წევრს ან მეგობარს, რათა ანგარიშზე თანხა უფრო სწრაფად დააგროვოთ, თუმცა სასურველი ნაწარმის შერჩევა და საჩუქრად მიღება მხოლოდ ბარათის მფლობელს შეუძლია. პრიზის მიღებისას მან თან უნდა იქონიოს ბარათი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

ავერსის აფთიაქებში პროდუქციის შეძენა ნაღდი ანგარიშსწორებით ან საბანკო ბარათით (Visa card, Master card და ა.შ.) ხდება.

თქვენს ანგარიშზე არსებული თანხის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ ავერსის ნებისმიერ აფთიაქში ან ავერსის ვებ-გვერდზე არსებული კატალოგიდან.

დღეისათვის ფასდაკლების მტრედი ბარათის მფლობელი გახლავთ 133312-ზე მეტი ადამიანი. 22324-ზე მეტმა უფასოდ მიიღო 668877 ლარის ღირებულების პროდუქცია.

ავერსი მომხმარებლებს მუდმივად ანებივრებს შელავათებით. ფასდაკლების მტრედი ბარათი სწორედ იმ ტრადიციის გაგრძელებაა, რომელსაც კომპანია დაარსების დღიდან ანხორციელებს.



დასაწყისი იხ. გვ. 32

მკურნალობა

მკურნალობის ძირითადი მეთოდია ვაქცინაცია ანუ იმუნიზაცია. ვაქცინაციის დროს ორგანიზმში შეჰყავთ მცირე რაოდენობის ინფექციის გამომწვევი. იგი დაავადებას ვერ იწვევს, ანტიხეულების გამო-მუშავებას კი ასტიმულირებს. ამიტომ, როცა ორგანიზმში ვირუსის „ველური“ შტამი ხვდება, აღარ ისარგებბა დრო ანტიხეულების გამომუშავებაზე, რადგან ის უკვე არსებობს ვაქცინაციის შედეგად. ანტიხეულები ბოჭავენ ვირუსს და მის გამრავლებას აფერხებენ. ასე რომ, ვირუსის სანინაალმდეგო ვაქცინა მთლად წამალი არ არის. ვაქცინაცია აკეთებს ვირუსული ინფექციის იმიტირებას, რათა მოახდინოს ორგანიზმის იმუნური სისტემის პროვოცირება ინფექციასთან საბრძოლველად.

ჯოგადი აიგიანური სასუალეაბი

- 1) გრიპის პროფილაქტიკისთვის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ხელმისაწვდომი საშუალებაა მარლის პირბადე (ნიღაბი). მაგრამ ეს არ არის საკმარისი დაავადებისგან თავდასაცავად.
- 2) ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ინფექცია ადვილად გადადის ჭუჭყიანი ხელებიდან.

სპეციალური დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ ხელები დღეში 300-ჯერ მაინც უხება ცხვირიდან, თვალებიდან გამონადენსა და ნერწყვს. ხელის ჩამორთმევით, კარის სახელურიდან თუ სხვა დაბინძურებული საგნებიდან გრიპის ვირუსი გადადის ჯანმრთელი ადამიანის ხელზე, იქიდან კი იოლად ხვდება მის ცხვირში, პირის ღრუსა თუ თვალში. ამიტომ ეპიდემიის დროს თავი უნდა შეიკავოთ ხელის ჩამორთმევისაგან. ხელები ძალზე ხშირად უნდა დაიბანოთ, გამსაკუთრებით, თუ დაავადებულთან ხშირი კონტაქტი გინევთ.

3) ბავშვები უნდა მოარიდოთ გრიპით დაავადებულ ადამიანებთან კონტაქტს.

ჯოგადეაბაჯანსალეაბი სასუალეაბი

1. გაკაყება.
2. ვიტამინოთერაპია. პოლივიტამინების და C ვიტამინის მიღება აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას და აძლევს ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს. C ვიტამინს იღებენ მან გ-ს დღეში 1-2-ჯერ. მას დიდი როლდენობით შეიცავს დამაყავბული კომბოსტო, ლიმონი, კივი, მანდარინი, ფორთოხალი, გრეიპფრუტი. სასარგებლოა ახალი კომბოსტოსა და მცენარეული ზეთის სალათის მიღება, რადგან იგი მდიდარია ვიტამინებით და მიკროელემენტებით.
3. ნიორი. ეპიდემიის პერიოდში

პროფილაქტიკის მიზნით, ყოველდღიურად უნდა მიიღოთ 2-3 კბილი ნიორი. საკმარისია ნივრის რამდენიმე წუთი ლეჭვა იმისათვის, რომ პირის ღრუ მთლიანად გაინმინდოს ბაქტერიებისაგან. ასევე დადებითი ეფექტი აქვს ხახვსაც.

4. კვების რაციონის გამდიდრება ხილითა და ბოსტნეულით.

ღაბაბაბითი სასუალეაბი

1. ცხვირის ტუალეტი: დაიბანეთ 2-ჯერ დღეში, საანით ცხვირის ძგიდე და ნესტოები;
2. ყელში გამოვილეთ მანგანუმის („მარგან-ცოვკა“), სოდის ხსნარი ან გვირილის ნაყენი;
3. პიპეტით ჩაინწეთთ ცხვირში თაფლნარევი ხახვის წვენი. ნაყენი ასე მზადდება: 3 ს/კ წერილად დაჭრილ ხახვს დაასხით 50 მლ თბილი წყალი, დაუმატეთ 1/2 ჩ/კ. თაფლი და გააჩერეთ 30 წუთი;
4. გახეხილი ნივრისა და ხახვის ნარევის დაუმატეთ ცხიმში და წანისვით ცხვირის ლორწოვან გარსზე;
5. 300-გრამიან ჭურჭელში ჩაახსით წყალი, აადუღეთ, დაუმატეთ 30-40 წვეთი ევკალიპტის ნაყენი ან 1/2 ჩ/კ სოდა და გაიკეთეთ ინჰალაცია;
6. 5-10 წუთით ფეხები ჩაანყეთ მდოგნარევი ცხელ წყალში და შემდეგ ტერფები დაიბილეთ რომელიმე გამაბურებელი კრემით.

სიასლა!

ჩანართი გათოვის, ვისას

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

სასლში პაბარა ჰყავს



რეჯახის პედიატრი

-  შეკითხვები პედიატრს
-  0-დან 1-მდე
-  ბავშვის ფსიქოლოგია
-  როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა

შეაბროვა და აკინძა

თქვენთვის
ქალბატონებო!



საქართველო

საქმრო, როგორღე ძმა აღმოჩნდა

მარინა, ბაბუნაშვილი

როგორი მწარეც უნდა იყოს სიმართლე, ალბათ მინც ვიქვს, თავის დროზე გამჟღავნდეს, მით უფრო მაშინ, როცა საქმე ბავშვს და მის მომავალს ეხება.

წერილი „კიდევ კარგი, დროზე გამჟღავნდა სიმართლე“ ჩემი კოლეგის ცხოვრებას ეხება. პირობითად მას ელენე დავარქვი. მისმა მონათხრობმა საბოლოოდ დამარწმუნა იმაში, რომ წლების მანძილზე გასაიდუმლოებულ ამბავს შესაძლოა, მართლაც სავალალო შედეგი მოჰყვეს...

**ამბავი
პირველი
შეხვედრა,
ჩოშუქმაც
საიდუმლოს
უაჩა ახავა**

ელენეს დედა სამეგრელოდან გახლდათ. სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა უნივერსიტეტში და თბილისში

მცხოვრებ ბიძასთან დაბინავდა. მალე დაუმეგობრდა მეზობელ გოგონებს. დავითი მათთან გაიცნო. ერთმანეთი შეუყვარდათ. როცა ქალმა გაუმჟღავნა, ორსულად ვარო და დარწმუნებულიც გახლდათ, ამით ძალზე გაახარებდა „საქმროს“, დავითი საგრძნობლად შეიცვალა მის მიმართ, უსაზღვროდ შეყვარებული გოგო კი იმედგაცრუებული აღმოჩნდა. მან იცოდა, რომ ამ ამბის გამჟღავნებას საშინელი რეაქცია მოჰყვებოდა მისი მშობლების და ბიძა-ბიცოლის მხრიდან... დამალვას აზრი არ ჰქონდა.

ძალიან გაუკვირდა, როცა ბიძაც და ბიცოლაც (ვისთანაც ცხოვრობდა) გაგებით შეხვდნენ მის „უბედურებას“, აბორტის გაკეთება არ ურჩიეს; მეტიც, დაჰპირდნენ; რომ ელენეს მშობლებს დაამშვიდებდნენ, დაარწმუნებდნენ, რომ ბავშვის სიცოცხლე ყველაზე მნიშვნელოვანია.

ასე გაჩნდა ელენე. რამდენიმე წლის შემდეგ, ელენეს დედა ღირსეულ კაცს გაჰყვა ცოლად და ქალ-ვაჟი შეეძინა. ისეთი მზრუნველი

გახლდათ ის კაცი სამივეს მიმართ, რომ ელენეს კარგა ხანს ეგონა, კოტე მამამისი იყო. სკოლას ამთავრებდა, დედამ რომ ყველაფერი უამბო უფროს შვილს, თუმცა ელენეს ამის მერეც არ განელებია მამინაცვლისადმი სიყვარული. ერთხანს უნდოდა, ნამდვილი მამა მოექებნა, მაგრამ დედამ უთხრა: მას რომ ნდომოდა ჩვენი ნახვა, აქამდეც გვნახავდა; რახან ეს არ გააკეთა, ე.ი. ამის სურვილი არც გასჩენია, ასე რომ, აღარ ღირს მისი მოძებნაო. ის კი აღარ უთქვამს შვილისთვის, რომ

დავითმა არც იცოდა მისი დაბადების შესახებ.

ელენემ ჟურნალისტიკის პროფესია აირჩია. სტუდენტობაში გათხოვდა, ძალიან ბედნიერად გრძნობდა თავს, მაგრამ მალე უბედურება ეწვია — მუულე ავტოავარიით გარდაეცვალა, დარჩა 2 წლის გოგონა. მანამდე არ მუშაობდა. ქმრის სიკვდილის შემდეგ კიტელევიზიაში დაიწყო მუშაობა და საქმეში ბოლომდე ჩაიძირა. ბავშვის გაზრდაში დედა ეხმარებოდა.

ერთხელაც, თანამშრომლის ოჯახში ელენემ



ახალგაზრდა მამაკაცი გაიცნო. ირაკლი დანახვის თანავე მოიხიბლა ჟურნალისტიტ. ირაკლი წარმოსადეგი მამაკაცი იყო, ქალების ყურადღებით განებივრებული, ამიტომ ელენეს განაცხად რომ იგივე ვერ იგრძნო, მისი ინტერესი ამ ქალის მიმართ კიდევ უფრო გაიზარდა. ელენე კარგა ხანს უარზე იყო, არ უნდოდა ირაკლისთან ურთიერთობის გაღრმავება. მიზეზიც ჰქონდა: უცოლო კაცს ქვრივი და შვილიანი ქალი რაში ვჭირდები? თანაც, სამი წლით უმცროსია ჩემზე, მისი გატაცება განელდება და მალე სხვას შეიყვარებსო. მაგრამ გავიდა დრო და არც „გატაცება“

„მეგრელი გოგო“ ელენეს ყურს ცუდად მოხვდა. ირაკლის გვარი გაცნობისთანავე იცოდა, მაგრამ ამაზე მაშინ არც კი დაფიქრებულა. ცუდად იგრძნო თავი. მერე საქმე მოიმიზეზა, ირაკლის მშობლებს მადლობა გადაუხადა სასიამოვნო საღამოსთვის და სახლში დაბრუნდა. ირაკლის სთხოვა, ორი დღე ნუ შემანუხებ, მოსაფიქრებლად მჭირდებაო. კაცს უკვირდა, ქალი თითქმის თანხმა იყო და რა უნდა მოეფიქრებინა?!

როცა დედას დაწვრილებით გამოჰკითხა წარსული, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ირაკლი მისი ძმა იყო. ბევრი ინერვიულა, მაგრამ ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ასე თუ ისე,

საყვედურებით აავსო მამამისი, — შენი წარსულის შესახებ რატომ არ მიახმე, ჩემსა და ელენეს შორის რამე რომ მომხდარიყო, თავი მეწნებოდა მოსაკლავიო. მამაჩემმა ორი კვირის მერე მინახულა. კაცი ერთიანად ცახცახებდა, ფერი არ ედო სახეზე. მომიბოდიშა, არ ვიცოდი შენი არსებობის შესახებო.

— კი, მაგრამ დედამ ხომ უთხრა, რომ მისგან ბავშვს ელოდებოდა?

— მეც ეგ ვკითხე და მიპასუხა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი უარის შემდეგ, ბავშვს მოიცილებდაო. დედაჩემის მიმართ საყვედურიც კი გამოთქვა, თუკი შვილის გაჩენას აპირებდა, ჩემთვის არ უნდა დაემალაო. მინდოდა, ბევრი მწარე სიტყვა მეთქვა, მაგრამ კაცი ცოცხალმკვდარი იდგა ჩემ წინ და ადამიანურად შემეცოდა. ვურჩიე, დედა ენახა და მასთან მოენანიებინა ყველაფერი. მოვიდა კიდევ, მაგრამ დედამ მისი ნახვაც კი არ ისურვა, არამცთუ ლაპარაკი.

— მერე როგორ დარეგულირდა თქვენ შორის ურთიერთობა?

— ჩემი და ირაკლის ურთიერთობა დაძმურში გადაიზარდა და ახლა დიდხანს ვერც ვძლებთ ერთმანეთის გარეშე. ხშირად არა, მაგრამ ხანდახან მამასაც ვნახულობ. ვიცი, დედას ეწყინება, ამიტომაც მამასთან სტუმრობას არ ვუმხელ ხოლმე, თუმცა ის ყველაფერს ხვდება.

— როგორც ვიცი, ირაკლი დაოჯახდა.

— კი, ამ ამბიდან წელიწად-ნახევარში დაქორწინდა. მოგვიანებით, ღიმილით მიყვებოდა: ჭკუა ვისწავლე და სანამ ნატას ცოლად შევირთავდი, მისი გენეალოგია სულ შევისწავლე, მეშინოდა, ვაითუ, მამაჩემს კიდევ ჰქონდა რომანი რომელიმე ქალთან და ჩემი მეორე რჩეულიც ნახევარდა არ აღმოჩნდეს-მეთქი. დღეს, ირაკლის და ნატას მშვენიერი ოჯახი აქვთ, ორივე ძალიან მიყვარს და მუდამ მათ გვერდით ვარ.

— შენ რატომ აღარ გაათხოვდი?

— ვეღარ გავრისკე, ირაკლისთან დაკავშირებით იმხელა ელდა გადავიტანე, რომ ამის სურვილი აღარ გამჩენია. თანაც ალბათ, უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ პირადი ცხოვრებისთვის ვეღარ მოვიცალე.



განელდა, არც სხვა შეიყვარა ირაკლიმ. მიხვდა ელენე, რომ ეს მართლაც წრფელი სიყვარული იყო. თვითონაც ვერ აეხსნა, ახალი თაყვანისმცემლის შესახებ დედას რატომ არ უამბო, არადა, აქამდე ყველაფერს გულახდილად უყვებოდა.

ერთ საღამოს, ირაკლიმ მშობლების გასაცნობად წაიყვანა ელენე ყველაფერი კარგად იყო მანამდე, სანამ სიყვარულსა და გატაცებებზე არ ჩამოვარდა ლაპარაკი. მაშინ ირაკლის დედამ ხუმრობით გაკენწლა ქმარი: მე კი მეფიცებოდი სიყვარულს, მაგრამ არც დაქორწინებამდე და არც მერე იკლებდი გოგონებთან სეირნობას... დანიშნულები რომ არ ვყოფილიყავით, ისე იყავი იმ მეგრელი გოგოთი გატაცებული, ალბათ იმას მოიყვანდი ცოლადო.

მანაც დროულად გამჟღავნდა სიმართლე.

აზავი ზორა

„გაძრწუნებული ოჯახი“

ირაკლისთვის კიდევ უფრო მძიმე აღმოჩნდა სიმართლის გადატანა. ელენემ ის მანაც იცოდა, რომ ნამდვილი მამა არსებობდა და მამინაცვალი ზრდიდა. ბიჭმა კი მამის წარსულის შესახებ არაფერი უწყოდა. მისთვის ამ ყველაფრის გაგება ქორწინებამდე რამდენიმე დღით ადრე, მეხის დაცემას ნიშნავდა.

— ელენე, მამამ არ მოგიანახულა?

— ირაკლიმ მძიმედ გადაიტანა სიმართლე. დანა პირს არ უხსნიდა, ისეთ დღეში ჩავარდა. რა თქმა უნდა, მშობლები შეშფოთდნენ, ჰკითხეს, რაში იყო საქმე. მანაც

ქალთა შეყვარებულები

„მინდა ჩემი ორი მეგობრის ამბავი მოგიხროთ, — გვწერს ქალბატონი სოფიკო გუდავაძე, — მეც, მირანდაც და ედიშერიც ერთ კლასში ვსწავლობდით, პატარაობიდანვე ვმეგობრობდით. მეათე კლასში მიხვდა ედიშერი, რომ მირანდასადმი მეგობრობა სიყვარულში გადაზრდილიყო, მაგრამ ეშინოდა, ვაითუ, გოგო გამინაწყენდესო და ვერა და ვერ ბედავდა სიყვარულში გამოტყდომას. ჩემთვის მაინც რომ ეთქვა, საქმეს მოვუკვარახებინებდი, მაგრამ არც მე ვიცოდი, ამირანი გულში მღეროდაო, — ისე სჭირდა ედიშერს. თავისთვის ინვოდა და იდაგებოდა. აქეთ, მირანდასაც ჰყვარებია თურმე და ისიც გულში იკლავდა თავის გრძნობას. გავიდა დრო. მირანდამ მოსკოვში გააგრძელა სწავლა. მალე გავთხოვდი. ედიშერმაც ოჯახი შექმნა. მირანდა კარიერას გადაჰყვა და აღარ გათხოვდა. მე კი უფროსი გოგონა ადრე გამითხოვდა და 45 წლისას ორი შვილიშვილი მყავს. სამი წლის წინ ედიშერი დაქვრივდა. ერთხელაც, ნასვამი მესტუმრა და წლების მანძილზე შენახული ძლივს ამოთქვა. გაოცებული ვუსმენდი. საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდი. გადავწყვიტე, ჩემს მეგობრებზე მეზრუნა. ერთი ქვრივი იყო, მეორე კი — შინაბერა. ედიშერს ძველებურად იმის შიში ჰქონდა, ვაითუ, მირანდა გამიბრაზდეს და დამემდუროსო. მე კი ვანყნარებდი — სიმართლის თქმა ჯობს, რადგან ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღება შენს ჩუმ ტანჯვას-მეთქი. უფრო მეტი განცვიფრება წინ მელიოდა — როცა მირანდას ედიშერის გულისნადები გაფუჭდავინე, ქალი ცრემლებად დაიღვარა — აქამდე სად იყო ეგ დალოცვილი, მასზე ფიქრით გაჭვდარავდი, ლოდინში წლები გავიდა და დაებრდიო. „სჯობს გვიან, ვიდრე — არასდროს!“

„...როცა ნავიკითხე „ამ გრძნობამ დიდი მოთმინება მასწავლა“, მეგობრებმა პოლემიკაც კი გავმართეთ. მართალი იყო თუ არა ნესტანი? აზრი ორად გაიყო. ერთნი ამბობდნენ, რომ არ იყო მართალი, რადგან იგი ცოლ-ქმარს შორის ჩადგა, მეორენი კი ამტკიცებდნენ (მეც ამ აზრის ვარ), სიყვარულმა „შენჩემობა“ არ იცის. როცა დიდი სიყვარულია,


ყველაფერი დანარჩენი უკან იწევს. ნესტანი ძალიან დაიტანჯა, ის გულწრფელად გვეცოდება, მაგრამ როგორც თავად აცხადებს, ამ გრძნობამ მოთმინება ასწავლა და იგი მზადაა, სიყვარულისთვის მოერიგი მსხვერპლიც გაილოს. ეტყობა, ბატონი სოსო მართლა ღირსეული ადამიანია, ამდენს რომ ითმენს ნესტანი, თუმცა ისეთი შემთხვევაც ყოფილა, ქალს უღირსი რომ შეჰყვარებია და მისთვის დაუთმია ბევრი რამ... რას ვიზამთ? ასეთია სიყვარული, რომელიც დროს და კანონებს არ ემორჩილება. ნესტანს კი კვლავ მოთმენას, სიმშვიდეს, მისი ოცნების ასრულებას და ბედნიერებას ვუსურვებთ.

ლალი და მის მეგობრები, თბილისი“.

ნესტანი არ გამინაწყენდება. იქნებ, გაითვალისწინოს ჩემი რჩევა და მართლაც, ახლო მომავალში თავი მოუყაროს თავის შვილებს. იმ შვილებთან ყოფნაზე დიდი ბედნიერება არაფერია.

პატივისცემით ნათელა ვასაძე“.

„ვფიქრობ, რომ ცოლ-ქმარს შორის ჩადგომა ცოდვაა და ნესტანსაც ამიტომ მოუვლინა უფალმა სასჯელი. მე ყველა დედა მებრალეობა, ვისაც ავადმყოფი შვილი ჰყავს, მაგრამ არ გავამართლებ იმ ქალს, ვინც სხვისას ებოტინება. შეუყვარდაო? მერე რა, რომ შეუყვარდა? თუკი, სოსომ სძლია გრძნობას და ნესტანს უთხრა, ოჯახს ვერ დავანგრევო, ნესტანსაც უნდა ჰყოფნოდა ნებისყოფა და ცოლიან



„არ ვამართლებ ნესტანის საქციელს: გასაგებია, რომ სოსოს სიყვარულით მზად იყო ყველაფრისთვის, მაგრამ საოცარია, განა ამ „ყველაფერში“ შვილი შეიძლება შევიდეს? შვილი (ტყუპისცალი) არ უნდა დაეთმო სოსოსთვის. დედაა და ტკივილიც და გაჭირვებაც თავად უნდა ეტვირთა. როცა ქალი დედობას დააპირებს, ის ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს. შვილის ინტერესები და მისი კეთილდღეობისთვის ზრუნვა, ყველაზე მაღლა უნდა დააყენოს. ვიცი, მეტყვიით, სწორედ, შვილის კეთილდღეობისთვის გადადგა ეს ნაბიჯი და სოსოს იმიტომაც მისცაო, მაგრამ მერწმუნეთ, ბავშვისთვის ყველაზე კარგი და აუცილებელი დედის გვერდით ყოფნაა. იმედია,

კაცზე აღარ ეფიქრა. გრძნობას შეიძლება სადავე მაშინ მიუშვა, როცა თავისუფალი ხარ, ხოლო როცა ოჯახის ტვირთი განეკუ მხარზე და ღმერთთანაც ფიცი გაქვს დადებული, კთილი ინებუ და ბოლომდე ზიდე შენი ტვირთი. შეიძლება, ბევრმა გამამტყუნოს, მაგრამ მე ასე ვფიქრობ... პირადად გამოვცადე ის ტკივილი, რაც ოჯახის დანგრევასთან არის დაკავშირებული და ვიცი, რა ძნელია, შვილებისთვის მამის (ან თუნდაც დედის) „დიდი სიყვარულის“ გამო ოჯახის დატოვება.

ლ.მ.“

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61. ან ელფოსტით mbabunashvili@posta.ge

ჯონ ლენონი ჩთაღი გაჟჟჟოგა და ჟინჯჟი სიჟჟაჟი

იმისათვის, რომ ქაბრიდან „კოლტი“ ამოელო, დამცველი მოეხსნა და მსხვერ-პლისთვის დაემიზნებინა, მკვლელს მხოლოდ რამდენიმე წაბი დასჭირდა. ვიდრე სასხლეტს თითს დააჭერდა, შეყოვნდა. ლენონმა მას გაოცებულმა შეხედა. სროლის ხმამ იქაურობა გააყრუა. ტყვიამ ლენონი კვდეღს ისე მიანარცხა, რომ ალბათ ვერაფრის გაფიქრება ვერ მოასწრო.



ჯონ ლენონი მორწმუნე ადამიანი არ იყო. მას მხოლოდ შემთხვევითობის სჯეროდა და არა — ბედისწერის. მის სიკვდიღში რალაც კანონზომიერება იყო. ჩემქმნმა ის იმიტომ მოკლა, რომ ის ძველი ლენონი, რომელიც მის კერპად იქცა, აღარ არსებობდა. უბედურმა შიზოფრენიკმა ლენონი ლეგენდად აქცია. ის ამ დროს მულტიმიღიღონერი იყო და მშვიდი ცხოვრებით ცხოვრობდა. ასეთმა სიკვდიღმა დანგრეულ ცხოვრებას დასრულებული სახე მისცა. მან სიცოცხლე ისე დაასრულა, როგორც უნდა დაესრულებინა: ლენონის პირვეღმა მასწავლებღმა გაზეთი დაკეცა, გვერდზე გადადო, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, ნიკაპი მოიფხანა და ცოღს უთხრა: „ამ გიჟმა საკადრისი მიიღო“.


ბავშვობაში ლენონი მართლაც აუტანელი ბიჭუნა ყოფიღა — უხეში, აგრესიული, უზრდელი, ფეთხუმი — ისე ცუდად, როგორც ლენონი, სკოღაში არავინ სწავღობდა. გაკვეთიღების დროს

ის თანაკლავეღებს პორნოგრაფიული სურათების თვაღიერებით ართობდა. შესვენებებზე სიგარეტს ეწეოდა და გოგონებს ტრუსს ხდიღა. გაკვეთიღების შემდეგ კი მდიდარი ოჯახის შვიღებს ქუჩაში ხვდებოდა და ფულს სძალავდა. მასწავლებღები მხოლოდ ორიანებს უწერდენ, მშობღები კი აიძულებდენ, რომ შინ საღამოს 7 საათზე დაბრუნებულყო.

მას ძალზე კარგი მშობღები ჰყავდა, მაგრამ ცოღა არამდგრადი ადამიანები იყვნენ. დეღამ საკუთარ ქორწიღში ნახევარი საათით დაიგვიანა იმის გამო, რომ დიღით კინოში წავიღა. ის ქმარმა მაშინ მიატოგა, როცა ჯონი 4 წღის იყო და ცოღს დაუბარა: „ოდესმე აუციღებღად დავბრუნდები, მანამდე კი როგორც გინდა, ისე გაერთე“. ჰოდა, ჯულიაც ერთობღდა, როგორც შეეღლო, შემდეგ კი „ახალი“ ქმარი „იშოგა“. პატარა ჯონის აღზრდა კი დეიღა მიმიღითავა, რომელიც ძალზე მკაცრი და განათღებული ქალი იყო.

მოკრძალღებული სახღი, მოკრძალღებული შემოსავალი და სიმკაცრე. მიმის

უნდოდა, რომ ჯონი „კარგი ბიჭი“ ყოფიღყო და მის აღსაზრდელად ძალ-ღონეს არ იშურებღა. ჯონს ეს აგიუებღა. ის ბუნებით მეამბოხე იყო და შრომა არ უყვარდა. არანაირი გამოცღის ჩაბარება არ სურდა. წიგნს ხელსაც არ ჰკიღებღა და მასწავლებღები მას შავ მუშად ყოფნას უწინასწარმეტყველებდენ. მიმი ჯერ მას ტუქსავდა და უყვიროდა, შემდეგ კი თავად ინყებღა ტირიღს. ჯონი სინდისმა შეანუხა და წიგნებს ხელი მოჰკიღა. სწორედ ამ დროს მის ცხოვრებაში დეღა ისევ გამოჩნდა. ჯონ ლენონი ლივერპუღის ყვეღაზე ცნობიღი ბანდის მეთაური იყო. მათ საქციელზე მთელი ქალაქი ლაპარაკობღა. ჯონის დეღის, ჯულიას საქციელს ბავშვები აღტაცებაში მოჰყავდა. მას შეეღლო, თავზე მამაკაცის შარვალი ჩამოეცვა და ქუჩაში ისე გამოსულიყო. ტანმოწიღ, შავგვერემან ქალს არანაირი კომპღექსი არ ჰქონდა. მისი ცხოვრებისეული ფიღოსოფია ერთი სიტყვიტ გამოიხატებღდა — „დაიკიღე“. — ძვირფასო, განათღება, კარიერა და პროფესია ცხოვრებაში მთავარი არ არის, — ხშირად ეუბნებღდა ის შვიღს. 19 წღის ასაკში ჯონს მანქანიტ



პოლიციელი დაეჯახა. მას შემდეგ შეიჯავრა პოლიციელები. მისი ოცნების ქალმა კი არარეალური სახე მიიღო: ის უნდა ყოფილიყო ავტორიტარული, წინდახედული, ხისტი, უზრუნველი, გონება-მახვილი, მოუსვენარი.

ისეთ გაუნათლებელ ახალგაზრდას, როგორც ჯონი იყო, მხოლოდ ბანდის წევრობა, ციხე, საგიჟეთი და უპოვართა თავშესაფარი ელოდა. მისი ცხოვრება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სიცოცხლე სასწაულებითაა სავსე.

ჯონ ლენონი, პოლ მაკარტნი და ჯორჯ ჰარისონი ბავშვობის მეგობრები იყვნენ. მოგვიანებით კი ჯგუფი ჩამოაყალიბეს.

მათთვის ჯგუფი მეორეხარისხოვანი იყო. მათ შორის ჯონ ლენონი ერთადერთი იყო, რომელიც ნოტებს ცნობდა.

მალე მათი ჯგუფი მსოფლიოს ცნობილ „ბითლზად“ მოველინა და ჯონ ლენონი იტყვის, რომ „ბითლზი“ იესოზე პოპულარულია.


ისინი ბრიტანეთის იმპერიის ორდენით დააჯილდოეს, რამაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ორდენის ათობით კავალერმა

დააბრუნა თავისი ჯილდო. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა თავისი ვიზიტი ამერიკაში იმის გამო გადადო, რომ ის „ბითლზების“ კონცერტს დაემთხვა და მათ ფონზე მისი ვიზიტი შეუმჩნეველი დარჩებოდა.

როგორ მოხდა მათი ასეთი უეცარი აღზევება, ვერავინ მიხვდა. თვითონ „ბითლზის“ წევრებიც კი.

მათ გაუჩნდათ გონიერი მენეჯერი, შეიცვალეს იმიჯი: ქუჩის ხულიგნები, რომლებიც ყოველგვარი ცუდი საქციელისთვის მზად იყვნენ, მშრომელი ოჯახიდან გამოსულ, აკურატულ ბიჭებად იქცნენ, რომელთაც სახეზე მუდმივად ღიმილი და სათნო გამომეტყველება აღბეჭდოდათ. მათ რამდენიმე ფირფიტა ჩანერეს და ლონდონში გადასახლდნენ. რაღაც გამოუცნობ, მაგიურ ძალას ფლობდნენ, რომელიც მათ პოპულარობას ხელს უწყობდა. უამრავი თავყანისმცემელი შეიძინეს. მარკ დევიდ ჩეპმენს გულზე მედალიონი ეკიდა, რომელზეც ეწერა: „მე ჯონ ლენონი ვარ“.

ასე გაგრძელდა არ შეიძლებოდა.



დევიდ ჩეპმენი

მათ კონცერტებზე ხალხი ღრიალებდა, თუნდაც დაღლილებს სიმღერა არ გამოსვლოდათ, თუნდაც გიტარას სიმი გასწყვეტოდა და ყალბად ეუღერა.

გასტროლები ფულის საჭრელ კონვერტად გადაიქცა ერთ მშვენიერ დღეს განაცხადეს, რომ სიმღერას თავს ანებებდნენ და ლონდონში მშვიდად ცხოვრება დაიწყეს, მაგრამ მათი სიმღერები კვლავ იპყრობდა მსოფლიოს და ახალ-ახალი მილიონები მოჰქონდა.

დასასრული შემდეგ ნომერში

მოკლე ჩართვა

რას ვკითხავდი პუტინს?

• რუსეთის ახალი ივანე მროსხანევი, ლმერთის არ გეშინია? შენ ჯოჯოხეთი გარანტირებული გაქვს, სისხლისმსმელი სადისტო. მანჩო.

• პუტინ, როდის გეცლება ჩემთან შესახვედრად? მინდა, ბებიამემის გამოხდელი, ნი-გრადუსიანი ქაჭა გამოგცე, რომელსაც თან 3 თაბახის ფურცლით 90-გრადუსიანი წყველა მოჰყვება, უფასოდ ერთი დაგათრობს, მეორე კი სამუდამოდ დაგაძინებს. იკუშკები.

• ძია ვალო, ერთი ეს მითხარი, რა დაგიშავა ამ პატარა სახელმწიფომ, რომელსაც თავისდა ქირად საქართველო ჰქვია? ტერიტორია დიდი გაქვთ, ფული — ბევრი, ქვეყნებსაც ამარაგებთ გაზითა და დენით. დავიჯერო, მართლა უნიტაზების გულისთვის შემოიჭერთ? ტინტორენტო.

• რატომ გაინწყდება, რომ მოუხედავად ძალაუფლებისა, უფლის წინაშე უბრალო ადამიანი ხარ, შენი ცოდვებით დამძიმებული სულით. რა გემატება ხალხის უღელთ, თან ხომ ვერაფერს გაიყოლებ? არ სჯობს, განკითხვის დღისთვის მოემზადო? მეტად აღარ დამძიმდე ცოდვებით ელისო.

• პუტინო, მიქელამ, რაო, როდის მოვალო? მაკრიკუნა.

• რა კითხვას დაფუსვამდი პუტინს? მარტო საზღვარი რომ იყოს გადმოლასული და ორი ჯარისკაცი იყოს ნაცეში, მიშასავით ვკითხავდი: „შტო ეტო ტაკოუ? მაგრამ ამ შემთხვევაში კითხვა აღარ უნდა, პირდაპირ

უნდა გაბეჯყო რაც მაგათ ვაგინებ, გინება რომ მოსავალი იყოს, რუსები მამას უნდა მეძახდნენ 9717.

• ჩვენებუროოო, დედაშევენი? პო, პოო, დედაშევენი! მერე, დედაშევენი? აზრზე მოდი, ბიჭოოო... პატრიცია.

• სახლში დაიბარე მოვალო? რომ ვეღარ მიხვიდე ხომ არ გაგებრაზდებიან? აბეზარა.

• „ძიძია პუტინ, დავაიტე უიტ დრუფ ნა“ — ტირიფი/3.

• სამი „მწარე“ კითხვა მაქვს პუტინთან: 1. შენი საყვარელი ქალიშვილია? 2. შენა და გუშინ სურამის საგიჟეთის წინ „მოგლანდე“ და რა გინდოდა? 3. ქართველებს რომ გვანოიკებ და მოსვენებას არ გვაძლევ რა მაგით სულს იმაღლებ? ლუნა.

• თქვენი აზრით, ჩვენ უფრო ადრე შევალთ ნატოში თუ თქვენ უფრო ადრე გიპინტრიშებენ ნატოდან? ზარი ახლობელთან, დარბაზის მხარდაჭერა და 50X50-ზე გამოყენების არანაირი შანსი არ გაქვთ, რაც მე მაგრად მახარებს. გრუზინკა.

• როდემდე ვოვა, როდემდე? სვანის ასული.

• პუტინ, უნიტაზს ვყიდი, სეილია! ვიცი, „უშოტი“ ხარ და რო რამე, არ იყიდი? green girl.

• ბრალდებული პუტინ, ქართველი ერთი განიჭებთ „მოპარულ უნიტაზში ჩარეცხილის“ ნომინაციათა.

უნებლიე გადამრჩენელი

XX საუკუნის 70-იან წლებში დეტროიტის მცხოვრები, ჯოზეფ ფიგლოკი ქუჩაში მიდიოდა და მილიდინებდა. უეცრად, მრავალსართულიანი სახლის VI სართულიდან თავზე ბავშვი დაეცა. ორივე შეშინდა, მაგრამ არც ერთს არაფერი დაშავებია. აღმოჩნდა, რომ ერთი წლის ბავშვის დედას ფანჯარა ღია დარჩენია, ბავშვი ფანჯრის რაფაზე ასულა, ძირს გადმოვარდნილა და უნებლიე გადამრჩენელს თავზე დასცემია. სასწაულია? მაშ, იმას რაღა უნდა ვუნოდოთ, როდესაც ზუსტად ერთი წლის შემდეგ, იგივე ჯოზეფი იმავე ქუჩაზე, იმავე სახლის ქვეშ მიდიოდა და თავზე ისევ ის ბავშვი დაეცა... მათ კვლავ არაფერი დაშავებიათ. ეს სასწაულია თუ უბრალო დამთხვევა?



უბრალო დაეთსვავა თუ სასწაული..

დაგვიანებული შურისძიება

1883 წელს ჰენრი ზიგლანდმა შეყვარებული მიატოვა. ქალმა საყვარელ მამაკაცთან განშორება ვერ აიტანა და თავი მოიკლა. გარდაცვლილის ძმამ შურისძიება გადაწყვიტა და დის ყოფილ შეყვარებულს ტყვია ესროლა. მას ეგონა, რომ მისია შეასრულა და მეორე ტყვია თვითონ დაიხალა. ჰენრის ტყვია არ მოხვედრია, მხოლოდ შეშინდა. ტყვია კი მის უკან მდგარ ხეში გაიჭედა. რამდენიმე წლის შემდეგ ჰენრიმ სახლის მოშენება გადაწყვიტა, რის გამოც იმ ხის მოჭრა გახდა საჭირო. ვინაიდან ხის ძირი საკმაოდ მსხვილი იყო და პატრონი ხერხით ვერ მოერია, მისი დინამიტით აფეთქება გადაწყვიტა. აფეთქების დროს, ხეში გაჭედილი ტყვია გამოსხლტა და ჰენრის თავში მოხვდა. მან სული იქვე განუტევა.

ახალმა მშობლებმა ერთმანეთთან შეუთანხმებლად ბიჭებს ერთი და იგივე სახელი — ჯეიმსი დაარქვეს. ძმები ისე გაიზარდნენ, რომ ერთმანეთის არსებობის შესახებ არაფერი იცოდნენ. ორივემ იურიდიული განათლება მიიღო და ერთნაირსახელიან გოგონებზე დაქორწინდა. ორივეს ცოლს ლინდა ერქვა. ძმებს ვაჟები შეეძინათ და შვილებს ორივემ ჯეიმს ალანი დაარქვა. შემდეგ ცოლს ორივე ძმა გაშორდა და ისევ ერთნაირსახელიან ქალებზე — ბეტიზე დაქორწინდა. ორივე ძმას ერთნაირი ჯიშის ძალღიპყავდა და ორივეს — თოი ერქვა. ტყუპმა ერთმანეთის შესახებ 40 წლის ასაკში შეიტყო და გაოცებული დარჩა. აღმოჩნდა, რომ ორივემ ერთნაირი ცხოვრებით იცხოვრა.

ოკეანეში უგზო-უკვლოდ მცურავი ნავი აღმოაჩინეს, რომელზეც 3 ადამიანი იმყოფებოდა. აღმოჩნდა, რომ თავიდან ნავში 4 ადამიანი იყო, შემდეგ კი სამმა ყველაზე უმცროსი შეჭამა, რომელსაც რიჩარდ პარკერი ერქვა. გადარჩენილთაგან არც ერთს არ ჰქონდა გაგონილი ედგარ პოს ნაწარმოების შესახებ.

სუიციდი

XIX საუკუნის ცნობილმა ავსტრიელმა მხატვარმა-პორტრეტისტმა, ჯოზეფ აინგერმა, თავის მოკვლა რამდენჯერმე სცადა. პირველად თავის ჩამოხრჩობის მცდელობა 18 წლის ასაკში ჰქონდა. თოკიდან უცნობმა მღვდელმა ჩამოხსნა და სიკვდილს გადაარჩინა. 22 წლის ასაკში სუიციდის კიდევ ერთი მცდელობა ჰქონდა და სიკვდილს იმავე მღვდელმა გადაარჩინა. 8 წლის შემდეგ მხატვარს პოლიტიკური მოღვაწეობის გამო ჩამოხრჩობა მიუსაჯეს, მაგრამ იმავე მღვდლის მონადინებით სასჯელი შეუმსუბუქეს. მან 68 წლის ასაკში მაინც მოახერხა თავის მოკვლა. მის ცხედართან ისევ ის მღვდელი იდგა და საგალობელს მღეროდა. ამ ადამიანის სახელი ვერავინ გაიგო და ვერც ის დაადგინეს, რატომ მფარველობდა მხატვარს.

ორჯერ გავლილი ერთი ცხოვრება

ტყუპების შესახებ მოყოლილი ამბები ყოველთვის შთაბეჭედავია, განსაკუთრებით კი ის, რომელსაც ახლა მოგიყვებით. ტყუპი რამდენიმე კვირის დაბადებული იყო, მათი მშობლები ავტოკატასტროფაში რომ დაიღუპნენ. ბავშვები სხვადასხვა ქალაქში გააშვილეს. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო უცნაური დამთხვევების სერია. დავიწყოთ იმით, რომ

ედგარ პო

ცნობილმა მწერალმა, ედგარ პომ ერთ-ერთ თავის ნაწარმოებში გემის დაღუპვა აღწერა. ავტორს დანვრილებით ჰქონდა ნაამბობი, ერთ-ერთ ნავში მყოფ, 4 გადარჩენილ ადამიანზე, რომლებიც თვეების განმავლობაში დახეტიალებდნენ ოკეანეში და საჭმლის უქონლობის გამო ყველაზე უმცროსი, იუნგა რიჩარდ პარკერი შეჭამეს. რამდენიმე წლის შემდეგ ღია

კომეტა გალეა

ცნობილი მწერალი, მარკ ტვენის ქვეყანას იმ დღეს მოეწონა, როდესაც დედამიწას კომეტა გალეამ ჩაუქროლა. ეს 1835 წელს მოხდა. მარკ ტვენმა თავისი სიკვდილის დღე იწინასწარმეტყველა და თქვა: „ამ ქვეყანას კომეტა გალეასთან ერთად მოვევლინე და მომავალ წელს მასთან ერთად დავტოვებ“. 1910 წელს, მისი სიკვდილის დღეს, გალეამ კიდევ ერთხელ ჩაუქროლა დედამიწას.

მკვლელი ტაქსის მძღოლი

1975 წელს, მოპედით მიმავალ ბერნარ ფატორს ტაქსი დაეჯახა და ადგილზე გარდაიცვალა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ იმავე მიზეზით მისი ძმა გარდაიცვალა. ეს დამთხვევა? ალბათ უფრო სასწაული, რადგან მისი ძმა იმავე მოპედით მიდიოდა, იგივე ტაქსის მძღოლი, იმავე მანქანით დაეჯახა და სალონში ისევ ის მგზავრი ეჯდა, ვინც ერთი წლის წინ ავარიისას.

2 მისტერ ბრისტონი

მისტერ ბრისტონი საქმიანი ვიზიტით ამერიკის შტატ კენტუკიში გაემგზავრა და ერთ-ერთ სასტუმროში გაჩერდა. საჭირო საბუთების გაფორმების შემდეგ ბრისტონს 307-ე ნომრის გასაღები მისცეს. ამის შემდეგ ბიზნესმენმა მის სახელზე მოსული წერილები მოიკითხა. პორტიემ კონვერტი გადასცა, სადაც მითითებული იყო, რომ წერილი 307-ე ნომერში მცხოვრებ მისტერ ჯორჯ ბრისტონს

ეკუთვნოდა. ადრესატი გაოცდა, — ვის შეიძლება სცოდნოდა, რომელ ნომერში იცხოვრებდა? სიმართლე ცოტა მოგვიანებით გაირკვა, როდესაც წერილის შინაარსი ბრისტონისთვის გაუგებარი აღმოჩნდა. თურმე წერილი ამავე ნომერში, ერთი კვირის წინ მცხოვრებ სხვა მისტერ ბრისტონს ეკუთვნოდა.

რომანი, რომელმაც „ტიტანიკის“ დაღუპვა იწინასწარმეტყველა

1898 წელს, მწერალმა მორგან რობერტსონმა დაწერა რომანი „უძირო“, რომელშიც მოთხრობილი იყო მსოფლიოში ყველაზე საიმედო ხომალდის, „ტიტანის“ პირველი და უკანასკნელი მოგზაურობის შესახებ. რომანის მიხედვით, გემი აისბურგს შეეჯახა და ჩაიძირა, რის შედეგადაც უამრავი ადამიანი დაიღუპა. 13 წლის შემდეგ, 1912 წელს ტრანსატლანტიკურმა ლაინერმა „ტიტანიკმა“, რომელიც მსოფლიოში ყველაზე საიმედო ხომალდად მიიჩნეოდა, თავისი პირველი და უკანასკნელი მოგზაურობა განახორციელა. ის სიბნელეში აისბურგს შეეჯახა და უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეინირა. წიგნში ნათქვამი იყო, რომ გემზე 3 ათასი ადამიანი იმყოფებოდა. „ტიტანიკზე“ 2207 ადამიანი იყო. ასევე, წიგნის მიხედვით გემს 24 სამაშველო ნავი ჰქონდა, „ტიტანიკს“ — 20.

დაკარგული წიგნი

1920 წელს, ამერიკელმა მწერალმა ქალმა, ენ პერიშმა, რომელიც დასასვენებლად პარიზში იმყოფებოდა, ბუკინისტურ მაღა-

ზიაში ბავშვობის საყვარელი წიგნი — „ჯეკ ფროსტი და სხვა ამბები“ შეიძინა. სასტუმროში დაბრუნებულმა ქმარს წიგნი უჩვენა და უთხრა, რომ ბავშვობაში ეს მისი საყვარელი წიგნი იყო, რომელიც დაკარგა და მას შემდეგ ვეღარსად წააწყდა, რომ ეყიდა. ახლა კი შენაძენით ძალზე გახარებული იყო. ქმარმა წიგნი გადაშალა და თავფურცელზე წარწერა აღმოაჩინა: „ენ პერიში, ვებერ-სტრიტი, კოლორადო, სპრინგსი“. ეს სწორედ ის წიგნი იყო, რომელიც ენმა დაკარგა.

მეფე უმბერტოს მეორე სახე

ერთხელ იტალიის მეფე, უმბერტო ქალაქ მონცას პატარა რესტორანში შევიდა. მისი უდიდებულესობის შეკვეთა თავად რესტორნის მეპატრონემ მიიღო. მეფემ აღმოაჩინა, რომ ეს კაცი მას წააგავდა. კი არ წააგავდა, მისი ზუსტი ასლი იყო. აღმოჩნდა, რომ ისინი ერთსა და იმავე წელს და დღეს, ერთ ქალაქში იყვნენ დაბადებული. ორივეს ცოლს მარგარიტა ერქვა და რესტორნის მეპატრონემ რესტორანი მეფის კორონაციის დღეს გახსნა. დამთხვევები ამით არ დასრულებულა. 1900 წელს უმბერტოს შეატყობინეს, რომ იმ რესტორნის მეპატრონე, სადაც ვახშობა უყვარდა, გარდაიცვალა. მას უცნობმა მამაკაცმა ტყვია ესროლა. მეფემ სამძიმრის გამოხატვაც ვერ მოასწრო, რომ ბრბოდან სროლის ხმა გაისმა, მეფე მოცულილი დაეცა და სული იქვე განუტევა.

ლუდოვიკო XVI-ს ცუდი დღე

როდესაც საფრანგეთის მომავალი მეფე, ლუდოვიკო XVI ჯერ კიდევ 8 წლის იყო, ასტროლოგმა გააფრთხილა, რომ ყოველი თვის 21 რიცხვი მისთვის ცუდი დღე იქნებოდა. მეფეს ამ რიცხვის ეშინოდა, რის გამოც მნიშვნელოვან საქმეებს ამ დღისთვის არასოდეს გეგმავდა. თუმცა, ყველაფერი მასზე როდი იყო დამოკიდებული. 1791 წლის 21 ივნისს მეფე და დედოფალი იმ დროს დააკავეს, როდესაც რევოლუციური საფრანგეთის დატოვებას აპირებდნენ. 21 სექტემბერს საფრანგეთმა თავი რესპუბლიკად გამოაცხადა, ხოლო მომდევნო წლის 21 იანვარს ლუდოვიკო XVI-ს გილიოტინაზე თავი მოჰკვეთეს.





უმოკეს მოქიჯყოი

დასაწყისი — „გზა“, №38-41
მარი ჯაფარიძე

მეჩვენებოდა, რომ ნიცა დაბნეული იყო. თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა და ვერ ბედავდა. მისთვის ხელი არ შემიშლია და ფიქრი არ გამიწყვეტინებია. არც ზედმეტი კითხვები დამისვამს. ჯობდა, თვითონ მიელო გადანწყვტილება და ისე მოქცეულიყო, როგორც სურდა.

ამასობაში ერთ-ერთ რესტორანს მივადექით, სადაც მანამდე სულ 1-2-ჯერ ვიყავი და არავინ მცნობდა.

დარბაზი სავესტო იყო. საერთოდ, კუბეში ჯდომა არ მიყვარს და იმ დღესაც გადაწყვიტე, დარბაზში დავმსხდარიყავით. მყუდრო ადგილი შევარჩიეთ და მე და ნიცა ერთმანეთის პირისპირ დავსხედით.

სასმელზე უარი არ უთქვამს. 3 ჭიქის მერე უკვე მთვრალი იყო, თვალები უჟუჟუნებდა, ხმაბალა კისკისებდა. კიდევ რამდენიმე ჭიქის დალევის უფლება მივეცი და მერე ავუკრძალე.

გააპროტესტა, მაგრამ გავჯიუტდი.

მისთვის მინერალური წყალი შევუკვეთე და მე სასმელს მივეძალე.

კარგა ხანია, არ დამიღვევია...

კარგა ხანია, არც სექსი მქონია...

ნიცა ჩემ გვერდით გადმოჯდა და ლამის ჩამეხუტა.

თავის შეკავებას ძლივს ვახერხებდი...

„არ შეიძლება“, „არ შეიძლება“, — ვუბნებოდი ჩემს თავს...

სიჩქარემ შესაძლოა, ყველაფერი გააფუჭოს...

არყის მეორე ბოთლი მოვიტხოვე.

— არ გინდა, უკვე მთვრალი ხარ, — ხელზე დამებლაუჭა ნიცა. მისი ხელი ფრთხილად მოვიცილე და სასმელი ჭიქაში ჩამოვასხი.

ამ დროს, ჩვენგან მოშორებით, ერთ-ერთ მაგიდაზე უცნობმა მამაკაცმა უცნაური მოძრაობა გააკეთა.

თავი არ მიმიბრუნებია, ისე განვაგრძე მისი დაკვირვება. მივხვდი, ჩვენ გვიყურებდა. მერე, ვითომც არაფერი, დარბაზს თვალი მოვაველე და ის მამაკაცი შევათვალე. ქართველს შგავდა. მანამდე მეგონა, ნიცას აკვირდებოდა, მაგრამ მივხვდი, რომ მას მე ვაინტერესებდი. გულმა მიგრძნო, რომ აქ რაღაც უნდა მომხდარიყო.

დავიძაბე და სასმელი აღარ დავლიე.

რა იცი, რა ხდება? ფხიზლად უნდა ვყოფილიყავი.

ცოტა ხანში შევნიშნე, რომ უცნობი მამაკაცი წამოდგა. ყველა კუნთი ერთიანად დამეძაბა. მშვილდით მოვიჭიმე და დასახვედრად გავემზადე.

მამაკაცი ნელი სვლით წამოვიდა და თან აქეთ-იქით ყველაფერს ათვალე.

ჩვენს მაგიდას რომ

მოუახლოვდა, ჩაახველა. მხოლოდ ამის შემდეგ ავხედე.

— გამარჯობა, — ქართულად მომესალმა.

— გაგიმარჯოს.

— შეიძლება? — თვალთსკამზე მანიშნა.

— დაბრძანდი, — კუშტად მივუგე.

— შენ სედოი ხარ, არა?

— არა.

— როგორ არა, არ გახსოვარ? — ამ ფრაზის შემდეგ უამრავი სახელი ჩამოთვალა და ბოლოს დაამატა, მათი ახლობელი ვარო. — არც ერთს არ ვიცნობ-მეთქი.

— კარგი, უკაცრავად, მე სედოი მეგონე და საჭირო ინფორმაციის გადმოცემა მინდოდა.

მხრები ავიჩიჩე. მამაკაცი წავიდა.

მე კი ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო.

ფიქრებიდან ნიცამ გამომარკვია. მეკითხებოდა, ვინ იყო?

— არ ვიცი-მეთქი, ისევ მხრები ავიჩიჩე.

რამდენიმე წუთის შემდეგ ნიცას ვუბრძანე, გასულიყო და მანქანაში დამლოდებოდა.

უხმოდ გავიდა.

მართო რომ დავრჩი, გეზი ტუალეტისკენ ავიღე. თან იმ უცნობ მამაკაცს ვუყურებდი

გმთა ჭიქა ამაყში მჯდომისცი
 407 სანიშნის ხედავს, ხოლო
 ზესიძისცი — 107 ნყაოს.



და თვალს თვალში ვუყრიდი, რომ მიმხვდარიყო და უკან გამომყოლოდა.

მიხვდა.
გამომყვა.

შემოვიდა თუ არა, ტუალეტის კარი შიგნიდან გადავკეტე და დოინჯი შემოვირტყი.

— რა გინდოდა? — ვკითხე და გვერდზე გადავაფურთხე.

— უკვე დიდი ხანია, გეძებ. 2 წლის წინ, როცა შენი მშობლები ყაჩაღებმა მოკლეს, შენ თქვი, ვინც მკვლელების ვინაობას გამაგებინებს, 50 ათასს ვაჩუქებო, — თქვა და ტურასავით შემომხედა.

— ჰო, ვთქვი, — ძარღვებში სისხლი ამიდულდა, მერე სახეზე მომანვა და მუშტები თავისთავად შემეკრა.

— ეგ წინადადება ისევ ძალაშია?

— კი, ძალაშია, — კბილებში გამოვცერი სათქმელი.

— შე ვიცი, ვინც დააყაჩაღა შენები.

— თქვი!

— არა, ასე არ გამოვა, მე ფული მჭირდება. როცა ფულს მომცემ, მერე გეტყვი.

— არ მენდობი? — ჩამეცინა და ამ ჩაცინებამ დაძაბულობა მომიხსნა.

დავწყნარდი. იმედი მომეცა, რომ ჩემი მშობლების მკვლელებს ვიპოვიდი და შურს ვიძიებდი. ამ წვერსაც გავიპარსავდი, ბოლოს და ბოლოს.

მაშინ, როდესაც ჩემი სანყალი, უმონყალოდ დახოცილი მშობლები მიწას მივაბარე, მათ საფლავზე დავიფიცე, რომ ვიდრე შურს არ ვიძიებდი და ვიდრე სამართალი არ იზეიმებდა, წვერს არ გავიპარსავდი.

რა არ ვცადე, რა არ ვილონე, მაგრამ ნამდვილ მკვლელებს ვერ მივაგენი.

თუმცა, სწორედ ამ 2 წლის განმავლობაში ამოვიცანი ადამიანების ნამდვილი სახე. მივხვდი, რომ ფულის გულისთვის შეუძლიათ, ათასი სისაძაგლე ჩაიდინონ და სხვისი სიცოცხლეც კი განირონ.

არც ერთ ინფორმაციას გადაუმონმებელს არ ვტოვებდი. რომ მეგონა, აი, ახლა კი ნამდვილ მკვლელებს მივაგენი-მეთქი, აღმოჩნდებოდა, რომ უდანაშაულო ხალხი იყო გარეული.

ახლა ეს შტერი მომდგომია და მეუბნება, რომ ჩემთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია აქვს და ფულს წინასწარ მთხოვს.

— შენ იცი, რომ თუ ინფორმაცია ტყუილი აღმოჩნდება, იმ ადამიანების ბედს გაიზიარებ, ვინც ტყუილისთვის დაისაჯა?

— ვიცი, — თქვა და მარჯვენა ყურზე ხელი მიიფარა.

— ხომ იცი, რა მოუვიდათ იმათ, ვინც სხვას ცილი დასწამა?

— ვიცი, შენ თუ შენმა ხალხმა ყველას ყური მოაჭრა.

— იცი, ეს რატომ გავაკეთე?

— არა, — აშკარად ნირი ნაუხდა.

— იმიტომ, რომ შესაძლებელი იყო, მათ ნათქვამს უდანაშაულო ხალხი ემსხვერპლა. დავიფიცე, რომ ჩემი მშობლების მკვლელებს სწორედ ისეთი სიკვდილი უნერიათ, როგორც სანყალი მამაჩემი გამოსალმეს წუთისოფელს. ჰოდა, როცა ტყუილს ამბობ და ამ ტყუილით უდანაშაულო ადამიანს მგლის ხახაში აგდებ, რას ფიქრობ? რამდენიმე კაცის სიცოცხლეს 50 ათასად რომ ყიდი, ამას ვინ გაპატიებს?

— მე ზუსტი ინფორმაცია მაქვს, — ძლივს ამოილულულა და კედელს ზურგით გაეკრო.

ახლოს მივედი და თვალებში ჩავხედე.

— მითხარი!

— არა, ფული გადამიხადე და მერე გეტყვი.

— რეგენი ხარ და ცეცხლს ეთამაშები. ახლა კარგად დაიმასხოვრე, რასაც გეტყვი: ხვალ ამა და ამ მისამართზე მოხვალ და იქ მეტყვი იმ ადამიანების სახელებს, მერე მე გავარკვევ, მართლა ისინი არიან თუ არა და თუ დავრწმუნდები, რომ სწორი ინფორმაცია გაქვს, მაშინვე

მიიღებ შეპირებულ თანხას. პირობას მე ვაყენებ, გასაგებია?

— ჰო, მაგრამ...

— თქვი, რა — მაგრამ?

— რომ მოგკლან? — შიშით ყბა უკანკალებდა, მაგრამ წინააღმდეგობის განწევას მაინც ცდილობდა. ადამიანი ხარბია და ამ კაცს ახლა ვაყვაცობა კი არა, სიხარბე ალაპარაკებდა.

— მოგკლან? სიკვდილს არ ვაპირებ, ხვალ მოდი და დანარჩენი მერე ვილაპარაკოთ.

ტუალეტის კართან იმხელა რიგი იდგა, რომ ბოლო არ უჩანდა. იქაურობა უკანმოუხედავად დავტოვე და ნიცა მხოლოდ მას შემდეგ გამახსენდა, როცა რესტორნის დარბაზში გამოვედი.

ჩქარი ნაბიჯით გავემართე გასასვლელისკენ.

გოგონა მანქანაში იჯდა. შვეებით ამოვისუნთქე. რატომღაც მეგონა, რომ წასული დამხვდებოდა.

საჭეს რომ მივუჯექი, მერე მივხვდი, რომ ნიცას ეძინა.

მანქანა დავძარი და ცარიელ ტარასას გავუყვევი. ქალაქში რომ შევედი, მანქანა გავაჩერე და ნიცას შევხედე. მართლა ძალიან ლამაზი იყო, თვალს ვერ ვწყვეტდი. ლოყაზე ხელი ჩამოვუსვი, მერე თითით ტუჩებზე ფრთხილად შევეხე.

შეიშმუნა და გაიღვიძა.

ბავშვივით გაიღვიძა.

— ნამდვილი დედოფალი ხარ, — ჩავჩურჩულე.

ჩემკენ გადმოიხარა და ტუჩები საკოცნელად გამომიშვირა, მაგრამ თავი ავარიდე. გაიბუტა. განყრა.

ტუჩები გაბერა და თითქოს სატირლად მოემზადა.

— სად მიგიყვანო?

— შენთან წამიყვანე, — ვნებისგან ხმა უთრთოდა.

— არა, ჩემთან არ შეიძლება. დღეს არ შეიძლება, მაგის დროც მოვა. შენ უკვე ჩემი ხარ და შენს თავს არავის დავუთმობ.

— ცოლი გყავს? — გულ-დანყვევით თქვა.

— არა, ცოლი არ მყავს, არც მყოლია არასდროს. უბრალოდ, დღეს სხვა საქმე მაქვს. დღეს მაგის განწყობილებაზე არ ვარ.

— რა საქმე გაქვს? — გაუკვირდა, რომ მასზე უფრო მნიშვნელოვანი საქმე მქონდა.

— უნდა ვიფიქრო, — მოკლედ მოვუჭერი და ავტომობილი ადგილიდან მოვწყვიტე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში




ჩვილის დამს თავს
აიშოვნებად გმძნობ,
მეორე დღითი — ამჯანხობად.

ქართული ვამპირი პოტაჰი

მათ თავდაპირველად პოსტ პანკებად მოიხსენიებდნენ. თუმცა გოთიკა მალე გამოეყო პანკს და დამოუკიდებელ მიმდინარეობად ჩამოყალიბდა. 70-80 წლების გოთები ანდროგენული იმიჯით გამოირჩეოდნენ, გოთი მამაკაცები სშირად იცვამდნენ ქალის ტანსაცმელს, მათთვის არც მკვეთრი ქალური მაკიაჟი იყო უცხო. დღეს კი ამ კუთხით, უკვე ზომიერებით გამოირჩევიან. პირსინგი გოთების სუბკულტურაში გამოჩნდა პირველად, ასევე მათი შემოღებულია ტყავის სვეტიფიჯური სამაჯურები, შარვლები... გოთებს განსაკუთრებული რომანტიკულ-დეპრესიული აზრი აქვთ ცხოვრებაზე. სიკვდილს აფეტიშებენ, თუმცა მრავალრიცხოვანი სუციდიის ფაქტითაც არ გამოირჩევიან.

სატანოებში თუ ხელჩანო ხალხში უცნაური უხეიღუღლებები?



ელენე ბასილიძე

გოთების რამდენიმე სახეობა არსებობს:

მორი გოთი: ისინი უკიდურესად კარჩაკეტილი და დეპრესიული პიროვნებები არიან, მათ 100%-იან გოთებად და სუბკულტურის საფუძვლებად მიიჩნევენ.

Perky goth: მათთვის გოთიკა მხოლოდ ფეტიშია, მათ „ძალით“ გოთებსაც უწოდებენ.

Glittergoth: ამ განმტოვებს მხოლოდ გოგო გოთები მიეკუთვნებიან. ისინი, ვინც ცდილობენ ფერიებსა და სხვადასხვა მითურ გმირს მიჰბადონ.

Punk goth: გოთები, რომელნიც

80-იანი წლების სტილს მისდევენ. იმოსებიან დახეული ჯინსით, ტყავის ქურთუკით და ა.შ.

Vampyre goth: ისინი თავს ვამპირებად მიიჩნევენ და ხშირად არიან კიდეც (ბრიტანეთში არის რამდენიმე კლუბი, სადაც ხდება მათი შეკრებები და სვამენ ნამდვილ სისხლს). უმეტესწილად, სახეს თეთრად იღებენ, რომ მიცვალებულებს დაემსგავსონ. ატარებენ შავ-ნითელ ტანისამოსს. გოთების საკმაოდ ბევრი განმტოვება არსებობს, მათი ჩამოთვლა შორს ნაგვიყვანს. დღეს ვამპირ გოთებზე შეჭერდებით და მის მიმდევარ 2 ქართველ გოთს წარმოგიდგენთ, ემილსა და დინას.

ემილი 17 წლისაა, სამედიცინო

კოლეჯი აქვს დამთავრებული, ვოკალისტიკა, მუსიკას წერს და მღერის. ჰყავს ჯგუფი „ვენდეტა“, ისინი გოთურ მუსიკას უკრავენ. აქვთ ჩანერილი რამდენიმე სიმღერა და კონცერტებს მართავენ. როგორც თავად ამბობს, ჰყავს ბევრი მტერი და ბევრი კარგი მეგობარი. დინაც მისი ჯგუფის წევრია, ის 18 წლისაა და სამედიცინო კოლეჯში სწავლობს. დაამთავრა კონსერვატორიის ათნლედი, პიანისტიკა და 4 წელი ოპერაში მღეროდა. დინა მეცოსოპრანოა.

იყო გოთი

ვილი: იყო გოთი, ნიშნავს, რომ როგორც მსოფლმხედველობრივი, ისე გარეგნული თვალსაზრისით, არ უნდა იყო ჩვეულებრივი ადამიანი. არავის უნდა უსმენდე. ისეთი უნდა იყო, როგორიც შინაგანად ხარ. უნდა იყო შენს სამყაროში და არ უნდა აღიარო არაფერი, საკუთარი სამყაროს გარდა.

დინა: თითოეულ გოთს თავისი სამყარო აქვს, შავი სამყარო... ჩვენი სამყარო რამდენიმე ფერად იყოფა, გოთები თავიანთი სამყაროთი და მიმდინარეობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ყველა გოთი, იმქვეყნიურ სილამაზეს აღიქვამს, ჩვენ ვამპირი გოთები ვართ.

ვილი: ჩვენ, გოთები, როგორც იმქვეყნიურ, ასევე ამქვეყნიურ სილამაზესაც განსხვავებულად



აღვიქვამთ, ბუნებასთან უფრო მჭიდრო კავშირი გვაქვს, ვიდრე სხვა ადამიანებს. არ გვიყვარს რეალობა, მისტიკური ცხოვრება გვიზიდავს, ჩვენი სტიქია ლამეა, მთვარე... ოცნება. ჩვენი ოცნებები ძალიან განსხვავდება რეალურისგან...

ისინი – ვამპირი გოთები...

— რას ნიშნავს იყო ვამპირი გოთი?

აილი: მოგვწონს ვამპირები, ვამპირიზმი, მათი ჩაცმულობა შავ-წითელ ფერებში... ჩვენი მუსიკაც კი განსხვავდება...

— რატომ გადაწყვიტეთ ვამპირი გოთები ყოფილიყავით?

დინა: ეს მე არ გადამინყვეტია, ყველაფერი იმ სამყაროზეა დამოკიდებული, რომელიც შექმნილი გვაქვს.

აილი: ჩემი ვამპირი გოთობა, სტილიდან გამომდინარე გადაწყდა. მომწონდა დრაკულა, მისი ჩაცმულობა, ადამსების ოჯახს ვუყურებდი... აღმოჩნდა, რომ მე ვამპირი გოთი ვარ.

დინა: მე ყოველთვის მიზიდავდა კბენის პროცესი, ვამპირების ეშვები, სისხლი... ადამიანის სხეული მიყვარს ძალიან. ვამპირები არსებობენ...

— შენ იქნებოდი ვამპირი?

დინა: კი, ოღონდ მსხვერპლის მაძებარი და მასზე ორიენტირებული ვამპირი კი არა, ჩვეულებრივი, ეშვიანი ვამპირი ვიქნებოდი. მეყოლებოდა მსხვერპლი, მაგრამ ამას არა სიამოვნებისთვის, არამედ იმისთვის გავაკეთებდი, რომ არ მოვმკვდარიყავი.

ხალხი და გოთები

— გოთებს უარყოფით ადამიანებად მიიჩნევენ...

აილი: არ ვიცი, რატომ?!

— როცა ამბობ, რომ ვამპირი გოთი ხარ, ხალხს რეაქცია როგორია, დადებითი?

აილი: მე არასდროს ვიზამ იმას, რომ ვინმეს ვუკბინო და ამით სიამოვნება მივიღო. მე მათი ჩაცმულობა, აზროვნება, მარადიულობა, ტკივილით

სავსე ცხოვრება მომწონს.

დინა: ჩვენ, ვამპირი გოთები გარეთ იშვიათად გავდივართ, არ გვსიამოვნებს, როცა ჩვენ გარშემო ბევრი ხალხია. არ ვართ მოჩხუბარი ხალხი.

აილი: გოთები მოთმინებითა და თავშეკავებულობით გამოვიჩინეთ, შეიძლება ვინმემ გამოგვინვიოს და პასუხი არ გავცეთ. თუმცა, ჯობს, არ დაიჭირონ ჩვენთან საქმე (ილიმება).

— მითხრეს, გოთს თუ გააბრაზებ, აუცილებლად რაღაც შეგემთხვევა...

დინა: ეს მაგიასთან დაკავშირებული მომენტია... ბევრი გოთი ფლობს მაგიას და ამიტომაც



გირჩიეს.

— თქვენ ფლობთ მაგიას? **ართხააღ:** კი!

— ანუ შეგიძლიათ ადამიანს, რომელიც განყენებით, რაიმე ცუდი შეამთხვიოთ?

აილი: შეიძლება შეგნებულად არც გავაკეთოთ რამე, მაგრამ როცა მაგიას ფლობ, გარშემო თითქოს რაღაც ველი იკვრება. როცა ვიღაც რაღაცას დამიშავეს, შეიძლება იმნუთას ფეხი არ მოსტყდეს, როგორც კინოებშია ხოლმე, მაგრამ პასუხი აუცილებლად მოეთხოვება.

დინა: არის მომენტი, როცა თვალთ შეხედვითაც კი ახდენ ვინმეზე გავლენას. კარჩაკეტილი ცხოვრების წესი მისტიკურ ძალას გვაძლევს, თავს ძლიერად ვგრძნობთ და ვიცი, რაღაც შეგვიძლია.

აილი: გოთებმა ჩვენი კარგიც ვიცი და ნაკლიც. ვიცი, რაც ვლირვართ და თავსაც ვიფასებთ. ისიც კარგად ვიცი, რომ სხვებს არ ვგავართ. ეს კი, ჩვენთვის დიდი პატივია.

გოთები და წიგნი

დინა: გოთებს კითხვა ძალიან გვიყვარს, მე რომანებსაც ვკითხულობ და დეტექტივებსაც. არ მიყვარს, როცა წიგნი „შევიწინდით“ მთავრდება.

აილი: ცხოვრებაში კარგ ხალხს ბევრი ცუდი ემართება და ეს ძალიან გვწყინს. ჩვენ არ ვართ ბოროტები, სიბოროტეს არ ვაკეთებთ.

— სიბოროტე არაა მაგია?

აილი: ბოროტება თავად ხალხმა შექმნა, სიბოროტე შურიდან წამოვიდა. როცა ყველას ნაცრისფერი ეცვა და ერთმა წითელი ჩაიცვა, ყველა მის წინააღმდეგ ამხედრდა. ხალხს სძულს განსხვავებული ადამიანები. ყველა ჩვენნაირი ვერ იქნება, ჩვეულებრივ ადამიანებს დიდ პატივს ვცემ, თუმცა მათაც გააჩნია ბოროტები არ უნდა იყვნენ. დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი ჩვეულებრივი გოგო.

დინა: გოთიკა ჩემი სამყაროა და არ შემიძლია, ვიყო ჩვეულებრივი. ეს ჩემი შინაგანი გამოძახილია.

წოდის გახდენ გოთები

აილი: 12 წლის ვიყავი, როცა პირველად გოთი მიწოდეს. მაშინ ამ სიტყვის მნიშვნელობაც კი არ ვიცოდი. არც პანკს ვუსმენდი...

ძმა მყავდა გარდაცვლილი, მეცვა სულ შავები, შავად ვიღებებოდი, თმაც შავად მქონდა შეღებილი. მე ძმას ვგლოვობდი... მიწოდეს გოთი და დავინტერესდი, ინტერნეტში ინფორმაცია მოვიძიე და ჩემნაირი ხალხი ვიპოვე.

დინა: პატარაობიდანვე ჩემი სამყარო მქონდა შექმნილი. არ ვგავდი სხვებს, ჩაკეტილი და განსხვავებული ვიყავი. მერე გოთებზე გავიგე და მივხვდი, რომ მეც მათნაირი ვიყავი.

მაგია...

— არსებობს თეთრი და შავი მაგია, თქვენ რომელს ფლობთ?

ეზილი: — მაგია — მაგიაა! არ არსებობს თეთრი და შავი! თეთრი მაგია მათი გამოგონილია, ვინც ფლობს მაგიას. ხალხს ეუბნებიან, რომ ჩვენ ბოროტები არ ვართ, არც სატანისტებიო.

— ჯადოების თუ გჯერათ?

დინა: კი, ჯადო არსებობს, მით უმეტეს, საქართველოში.

— ხშირად ატარებთ მაგიურ რიტუალებს?

ეზილი: კი, წარმატების მოსაპოვებლად ვატარებთ ხოლმე მაგიურ რიტუალებს. სხვათა შორის, ძალიან ამართლებს!

— ვინმესთვის თუ დაგიშვებიათ რამე ასეთი რიტუალით?

დინა: იმისთვის, რომ ადამიანზე გავლენა იქონიო, მაინცდამაინც მაგიური რიტუალის შესრულება არაა საჭირო. ადამიანებზე ზემოქმედების მოხდენა ძალზე იოლია, ხშირად გამიკეთებია.

ღმერთი...

ეზილი: მე ღმერთისა და სატანის არ მჯერა, არსებობს მხოლოდ ღმერთი და ბოროტება, რომელიც ყველა ადამიანშია. ადამიანებში უფალმა სიკეთეც და ბოროტებაც თანაბარი დოზით ჩადო, ჩვენ მთელი ცხოვრება ჩვენშივე არსებულ სიბოროტეს



ვებრძვით. სატანა არ არსებობს, იგი ხალხის შექმნილია. ხალხი თავად სატანაა, ისინი სიბოროტეს თავად იზიდავენ. გოთებს ყველას საკუთარი ანგელოზი გვყავს, რომელნიც, ჩვენთვის კეთილები, სხვებისთვის კი ბოროტები არიან.

დინა: მე არც ღმერთის მნამს, არც სატანის...

— მაშინ, როცა მაგიურ რიტუალებს ატარებ, ვისგან მოდის ის, ვინ გეხმარება?

დინა: ჩემგან, ჩემი ანგელოზი მეხმარება.

მშობლები

— როგორ შეხვდნენ მშობლები თქვენს გადაწყვეტილებას, როცა გოთები გახდით?

ეზილი: დე.და მორწმუნე ადამიანია, ჩემს გადაწყვეტილებასაც პატივს სცემს, მაგრამ ეშინია ხალხის, ფიქრობს, რომ რამეს დამიშვებენ ადამიანები.

დინა: დედასთან ყოველთვის პრობლემები მქონდა, არ მსურს ამაზე ლაპარაკი... თუმცა მას მოსწონს გოთური სტილი...

ღმერთი...

ეზილი: მე ეკლესიაში არ დავდივარ, არ შემიძლია ფარისევლობა, ჩემი ღმერთი არაა ეკლესიაში, ის არაა

ღვთის სახლი და ვერც თავს ვგრძნობ იქ მშვიდად. ჩემთვის ჯოჯოხეთია ის ადგილი, სადაც ვცხოვრობ, დედამინა ხალხის შექმნილი ჯოჯოხეთია.

ხალხის

აზრი მათზე...

ეზილი: ხალხის აზრი, ჩვენდამი მრავალფეროვანია. 70% საშინელებას ამბობს ჩვენზე, ზოგი არაფერს ამბობს, მაგრამ ისეთი თვალებით გვიყურებენ... „ეს სატანისტები კატებს ატყავებენ!“

დინა: ნეტავ, კატების გატყავება საიდან მოიტიანეს?! კატა ერთ-ერთი სიმბოლოა გოტიკის! ხალხს ჩვენი ეშინია, ხშირად შეშინებულნი ვართ, რომ ახლოს არ გვეკარებიან, ეშინიათ „სატანისტების“.


— რა რეაქცია ჰქონდა ხალხს, როცა სცენაზე გამოხვედით?

ეზილი: „ვაიმე, როკს უკრავენ! ეს სატანისტები...“ მინდა მადლობა გადავუხადო მათ, რადგან ანტირეკლამამ ძალიან პოპულარულები გაგვხადა (იცი-ინის). პარადოქსი იცით, რა არის? ვინც ჩვენზე ცუდს ამბობს, მათაც აქვთ ჩვენი სიმღერები და სიამოვნებით უსმენენ!

P.S. ასეთები არიან ქართველი გოთები, არ ვიცი, რამდენად გულწრფელნი იყვნენ ჩემთან საუბრისას, რადგან საუბრის დასაწყისში მითხრეს, ჩვენ რომ ყველაფერი გიამბოთ, ქუჩაში ვეღარ გამოვალთ, ჩაგვეკოლავეს ხალხიო...



**ფ მ ი მ ,
რომანოვ
ნაწილი
დაკარგა**



- „ეს ხომ რუსი მშვიერი ჯარისკაცია?“
კობრა.
- „დიეტის მსხვერპლი“.
- „არ მომეჭრააათ! იქაც დამჭირდება!“
- „დაგეძებ და ვერ გპოულობ, ნეტავ, სადა ხარ?“
- „უკაცრავად, ვერ დაგინახე!“
- „რა გინდათ, ხალხო, რას მერჩით, რას მიცქერთ წარამართო, „ეს“ კარგი რომე რომ იყოს, არ განახებდით, განაო?“ აპოლონი.
- „შიშველი უცხოელი ვარ... საიქიოდან“.
- აპოლონი.
- „უი, შარვალი ჩამძვრა და სირცხვილია“.
- „რაჭველების ფეხბურთი: დაარტყი საჯარიმო, რაღას ელოდები, ქვე შენი ქირიმე“.
- ბოხო.
- „კარადაში დამალული საყვარელი“.
- „რას მიყურებ? მე ასეთი კი არ დავბადებულვარ, ბავშვობაში ისეთი პუტკუნა ვყოფილვარ, მაგრამ ა, ხომ ხედავ, შარვალი მძვრება, გაჭირვებამ იცის, ყველაფერი“. ლუნა.
- „ნეტავ, რას მალავს?“
- „სიშიშველე, რომელიც სიკვდილის მერეც სირცხვილია“.
- „შინაბერავ, სიცოცხლეში სექსისტის რომ არ გეცალა, ხელს ტყუილად იფარებდი, მაინც მინამ შეგიჭამა“ ენიგმა.
- „მხდალის ნეგატივი“.
- „თერთმეტმეტრიანზე მდგარი ფეხბურთელის რენტგენის სურათი“.

- „ვე, ძელების გროვავ, შენი სექსუალური დინამიკის რხევის ამპლიტუდა რომ აღარ არსებობს, იმიტომ ჩამოგივარდა ყბა? ისე, კაცურად, ხომ აქ სჯობდა?“ გა-მა.
- „სიკვდილი სირცხვილის შემდეგ“.
- „ფეხბურთელი, იმ ქვეყნად“.
- „შეიძინეთ ჩვენთან გასახდომი აბები და გამოცვალეთ გარდერობი!“
- „ვახ, ჩემი ქალების ტუალეტში შეესულვარ!“
- „ხელები მალლა დამინყვეთ, რა!“
- „გადამაბრუნეთ, მრცხვენია“.
- „ხორცი თუ დაკვარგე, სირცხვილიც კი არ დამიკარგავს!“
- „ცოცხალს შოო, მაგრამ არც მკვდარს მასვენებენ. რავა ყველას და ყველგან ვევასები“... GREEN GIRL.
- „ვაჰ, კაცო, რა ცხოვრებაა ეს, კაცს გარეთ „ისიც“ ვერ დაგიტოვებია, ყველაფერს იპარავენ“. 9717.
- „ვაა, არადა, სადღაც აქ იყო, ის „საოხრე“... ოე, ნაშაა, ჩაიცვი, ხომ ხედავ, ვეღარ ვპოულობ“. 9717.
- „კაცი გამოძახებით“. გ.ც.
- „რას გვიშვრება უგულავას დიეტა?!“ აგატა.
- „ქართული ფეხბურთის ცოცხალი კედელი“ (ხელებს ასე იწყოებენ), იგი ხომ მკვდარია და „ჩახდილიც“ — ერთთავად წაგებული“. ფინტიკოზა.
- „აბა, პასპორტი მაჩვენე!“

მატა ჰარი — მოცუვავუ და ონშაგი აგენტი



მატა ჰარი ლეგენდად სიცოცხლეშივე იქცა. ისტორიკოსები დღემდე კამათობენ — მისი, როგორც ორმაგი აგენტის მოღვაწეობა ხასიათის სისუსტისა და ცინიზმის ბრალი იყო თუ პირიქით, მსახიობური ნიჭის, ჭკუის, ადამიანებისა და სიტუაციის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებების უნარის.

ბრაში მარხანი

მარგარეტ ჰერტრუდა ზელე ისტორიაში მატა ჰარის სახელით შევიდა. ის 1876 წლის აგვისტოში, ნიდერლანდების ჩრდილოეთში, მექუდის ოჯახში დაიბადა. მატა ულამაზესი ქალი იყო, შავი თვალებით, უზადო აღნაგობით, შავი თმით... როგორც ჩანს, მატა ძნელად აღსაზრდელი ბავშვი იყო, რადგან მშობლებმა 17 წლის ასაკში ჰაგაში, მკაცრ ბიძასთან გაგზავნეს.

მარგარეტს მალე მოსწყინდა სხვისი მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა და დამოუკიდებლად ცხოვრების გზის ძებნას შეუდგა. იმ ეპოქაში საამისოდ ერთადერთი საშუალება — გათხოვება გახლდათ. მატა იმ გაზეთების თვალყურებას შეუდგა, სადაც ოჯახის შექმნის მსურველთა განცხადებები ქვეყნდებოდა და სავარაუდოდ სასიძოდ აღმოსავლეთ ინდოეთში მცხოვრები ოფიცერი შეარჩია. მარგარეტმა მას წერილი მისწერა. პირველმა შეხვედრამ ორივეს იმედი ჩაუსახა. მისი რჩეული, რუდოლფ მაკლიდი

ძველი შოტლანდიური გვარის წარმომადგენელი იყო და ქალზე 20 წლით უფროსი გახლდათ.

ქორწინებიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ მარგარეტმა ვაჟი გააჩინა და ოჯახი საცხოვრებლად ინდოეთში გადავიდა, მაგრამ ოჯახური ცხოვრება ვერ აწყობდა. ქმრის გაზრდილობა ეჭვიანობამ, შვილის სიკვდილმა, ტროპიკულმა კლიმატმა ცოლ-ქმარს შორის ბზარი გააჩინა. ოჯახური ცხოვრებით გულგატეხილი, ახალგაზრდა ქალისთვის პარიზი საოცნებო ქალაქად იქცა. რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც უკვე ცნობილ მოცუვავეს, მარგარეტს კორესპონდენტმა ჰკითხა — რატომ მაინცდამაინც პარიზი? მან უპასუხა: — „ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ მგონია, რომ ქმრისგან გაქცეულ ყველა ქალს გული პარიზისკენ მოუწევს“.

განქორწინების შემდეგ მარგარეტი მართლაც პარიზში გაემგზავრა და მენატრეობა განიზრახა, მაგრამ ერთი თვის შემდეგ ჰოლანდიაში გაემგზავრა, ვინაიდან მენატრის კარიერა პატარა მკერდის გამო ვერ აწყობდა. მარგარეტი წარუმატებლობას არ დანებდა და 1904 წელს ბედი მეორედ სცადა. ამჯერად ბედმა გაუღიმა და სამსახური პარიზში, ცნობილი მოლიეს ცირკთან არსებულ მხედრების სკოლაში იშოვა. მუსიე მოლიემ ურჩია, რომ საკუთარი უზადო სილამაზით ესარგებლა და ბედი აღმოსავლური ცეკვების შემსრულებლად ეცადა. ამ რჩევამ ის საქვეყნოდ ცნობილი გახადა.

დებიუტი 1905 წლის იანვარში შედგა. მაყურებელს მისი ცეკვა მოეწონა. მარგარეტს მოსწონდა იმის მოყოლა, თუ როგორ ასწავლიდნენ ცეკვას იდუმალებით სავსე ბუდისტურ ტაძარში. შესაძლოა, მის

წარმატებას სწორედ ამ ლეგენდამ შეუწყო ხელი, მაგრამ უდავოა, რომ მარგარეტი ნიჭიერი მოცუვავე გახლდათ.

თავდაპირველად, ის ლედი მაკლიდის სახელით გამოდიოდა. მისი პოპულარობა თანდათან უფრო და უფრო იზრდებოდა. ამბობდნენ, რომ სცენაზე უმოძრაოდ ყოფნის დროსაც კი მაყურებელზე მომავადობლად მოქმედებდა. მისი ერთ-ერთი, ყველაზე ერთგული თაყვანისმცემელი მდიდარი მენარმე და ხელოვნებაში გათვითცნობიერებული ადამიანი, მუსიე გიმე გახლდათ. თავისი კრძო კოლექციის გამოსაფინად მან აღმოსავლური ხელოვნების მუზეუმი — „მიუზე გიმე“ ააშენა. სწორედ მას მოუვიდა თავში ექსტრავაგანტური იდეა — მარგარეტის კონცერტი თავის მუზეუმში მოეწყო და მოცუვავესაც შესაფერისი სახელი, მატა ჰარი შეარქვა, რაც „აისის თვალს“ ნიშნავს. მატა მაყურებლის წინაშე მდიდრული, აღმოსავლური ტანისამოსით წარდგა, რომელიც მუსიე გიმეს კოლექციის ნაწილი გახლდათ. ცეკვის დროს ტანისამოსს თანდათანობით იხდიდა, ბოლოს კი მარგალიტის მძივისა და ბრჭყვიალა სამაჯურის ამარა დარჩა.

ამ დღემ, 1905 წლის 13-მა მარტმა, მარგარეტის ცხოვრება ძირფესვიანად შეცვალა. კონცერტზე, გამორჩეულ სტუმრებს შორის გერმანიისა და იაპონიის ელჩებიც იყვნენ. იმ დროს შიშველი მოცუვავე ნამდვილ სენსაციას წარმოადგენდა. მალე მთელი პარიზი მატა ჰარის ფერხითი განერთხა.

„მე არ ვიცოდი ცეკვა, რადგან არასოდეს მისწავლია, მაგრამ ვიმეორებდი იმ მოძრაობებს, რომელიც ინდოეთში ცხოვრების დროს მინახავს. თუ ხალხს ჩემი გამოსვლა მოსწონდა, ეს მხოლოდ იმის დამსახურება იყო, რომ მათ წინაშე შიშველი წარვდექი“.



„ის ბრტყელტერფიანია და საერთოდ არ იცის ცეკვა“, — განაცხადა მისმა ყოფილმა მეუღლემ.

1905 წელს მატა ჰარი პარიზის ყველაზე მდიდრულ სალონებში 30-ჯერ წარდგა მყურებლის წინაშე; 3-ჯერ — ბარონ როტშილდის სასახლეში. მატა ჰარიმ პარიზი დაიპყრო.

1906 წლის იანვარში მადრიდიდან 2-კვირიანი მიწვევა მიიღო. ეს იყო მისი პირველი გასტროლი. შემდეგ მონტე-კარლოს ოპერამ სპექტაკლში — „მეფე ლაგორსკში“ მიიწვია. სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა. პუჩინიმ სასტუმროში ულამაზესი თაიგული გაუგზავნა. 1906 წლის აგვისტოში მატა ჰარი ბერლინში გაემგზავრა. იქ გაიცინო უმდიდრესი მიწათმფლობელი, ლეიტენანტი ალფრედ კიპერტი და მისი საყვარელი გახდა.

ნიდერლანდელმა სიგარეტის მაგნატმა მის პატივსაცემად სიგარეტი „მატა ჰარი“ გამოუშვა და მისი რეკლამირებაც მოახდინა.

კიპერტთან განმორების შემდეგ 1907 წლის დეკემბერში მატა პარიზში დაბრუნდა და ფეშენებელურ სასტუმროში, „მორისში“ დაბინავდა. ის უკვე საკმაოდ მდიდარი იყო და მხოლოდ იმ კონცერტზე გამოდიოდა, სადაც თვითონ მიიწვევდა საჭიროდ. მისმა პოპულარობამ ცნობილი ამერიკელი მოცეკვავის, აისედორა დუნკანის პოპულარობას გადააჭარბა. 1910-1911 წლები მან მთლიანად პირად ცხოვრებას დაუთმო. პარიზელ ბირჟის მაკლერთან, რუსოსთან გააბა რომანი და მასთან ერთად საცხოვრებლად ლუარეს სასახლეში გადავიდა. მარგარეტს ჭკუის დაკარგვამდე შეუყვარდა რუსო და მისი გულისთვის მზად იყო, ტრიუმფულ გამოსვლებზეც კი უარი ეთქვა. თუმცა, როდესაც მისმა კარიერამ უკუსვლა დაიწყო, მიატოვა და საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა.

ამ დროს მისი სანუკვარი ოცნება ახდა — ცნობილმა ოპერამ, „ლასკალამ“ გასტროლებზე მიიწვია.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს საუკეთესო თეატრების სცენაზე ცეკვავდა, მატა მატერიალურ კრიზისს განიცდიდა. 1914 წლის მარტში ის ისევ ბერლინში დაბრუნდა, სადაც ძველ საყვარელს შეხვდა. ცოტა ხანში მან ბერლინის თეატრთან, „მეტროპოლიტან“ კონტრაქტს ხელი მოაწერა. თუმცა, პრემიერამდე ერთი თვით ადრე, ომი დაიწყო. ის, რომ ომამდე მატა ბერლინში იყო და მალაჩინოსან პოლიციელთან ერთად რესტორანში ვახშობდა, შემდგომში იმის მტკიცების საფუძველი გახდა, რომ მატა შპიონი იყო და გერმანიის სასარგებლოდ მოქმედებდა.

1915 წლის შემოდგომაზე მატა გერმანიის საიდუმლო სამსახურმა „დააჯერბოვკა“. მეოთხედი საუკუნის

გასვლის შემდეგ, როდესაც შემდეგი მსოფლიო ომი დაიწყო, უკვე გადამდგარმა მაიორმა, ფონ რეპელმა აღიარა, რომ ის მატა ჰარის კურატორი იყო. ის ერთ-ერთ თანამდებობის პირს სწერდა: „მატა ჰარი ბარონ ფონ მირბახმა გამაცნო. ის იოანიტების ორდენის რაინდი გახლდათ და სანდო კაცი იყო. სწორედ მან გაუწია რეკომენდაცია 3-21-ს (მატა ჰარის კოდური ნომერი). მე მოვითხოვედი, რომ 3-21, რომელიც მაშინ ჰაგაში ცხოვრობდა, გერმანიაში არ შეეშვათ, მაგრამ არ დამიჯერეს“.

ვერნერ ფონ მირბახი მატას თავყვანისმცემელი იყო. მან შეიტყო მატას გალარიების შესახებ და მისი „დაჯერბოვკა“ გადაწყვიტა.

მისი საშუალებით ტექსტებისა და ცხრილების გადწერა.

ინსტრუქტაჟის დამთავრების შემდეგ მატა ჰაგაში დაბრუნდა. მისი პირველი დავალება მოკავშირეთა საომარი გეგმის გარკვევა და ჯარის გადაადგილების მიმართულების დადგენა იყო.

მოგვიანებით, დაკითხვაზე მატა ჰარი ამ ამბავს ასე იხსენებდა: „კონსულმა კრამერმა შეიტყო, რომ საფრანგეთში შესასვლელი ვიზა მოვითხოვე. მან შეხვედრა დამინიშნა და საუბარი ასე დაიწყო: „ვიცი, რომ საფრანგეთში შესვლა გინდათ. ხომ არ ისურვებდით, რომ ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია შეგეგროვებინათ და მოგწოდებინათ?“



Ämtliche Aufnahme Mata Haris am Tage vor ihrer Hinrichtung.



იცოდა, რომ მატა მალალ ნრეებში ტრიალზე და ფული, სიმდიდრე და კომფორტი უყვარდა. ეს კი საკმარისი საბაბი იყო საიმისოდ, რომ მატა მათი აგენტი გამხდარიყო. 111-ბ განყოფილების უფროსს თავისი მოსაზრების შესახებ მოახსენა. მაიორმა ნიკოლაიმ მირბახის აზრი მოიწონა და მატა კიოლნში მიიწვია.

მატამ ყველას კთილგანწყობილება დაიმსახურა და ნიკოლაიმ ბრძანება გასცა, მისთვის სწავლების სწრაფი კურსი ჩაეტარებინათ. მატამ უცებ აითვისა პოლიტიკური და საბრძოლო საკითხები, ინფორმაციის მოპოვებისა და მინოდების ხერხები, ქიმიური მელნის გამოყენება და

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, მიიღებთ 20 ათას ფრანკს“. მე ვუთხარი, რომ ეს ძალზე ცოტა იყო. კონსული დამეთანხმა. „ჯერ დაგვიმტკიცეთ, რა შეგიძლიათ, ანაზღაურების გაზრდაზე კი მერე ვიფიქრებთ“. მოსაფიქრებლად დრო მოვითხოვე. როდესაც ის წავიდა, ვიფიქრე, რომ საკმაოდ კარგი წინადადება მივიღე. რამდენიმე დღის შემდეგ კრამერს წერილი მივწერე და ვთხოვე, შეპირებული თანხა მოეტანა. გავიარე შეჯამების სწავლების კურსი, რის შემდეგაც პირველი დავალება მომცეს. გამგზავრების წინ გადმომცეს 3 ფლაკონი, რომელიც დანომრილი გახლდათ — 1, 2, 3. სამივე ფლაკონში



არსებული სითხე წყალს გავატანე და ფლაკონებიც გადავყარე“.

ბრიტანელმა აგენტებმა კრამერის საქმიანობის შესახებ ყველაფერი იცოდნენ და თვალყურს ადევნებდნენ. მათ ლონდონს მატა ჰარისთან მისი ვიზიტის შესახებ აცნობეს. 1915 წლის დეკემბერში მატა საფრანგეთში დაბრუნდა, პარიზში, სასტუმრო „გრანდ ოტელში“ დაბინავდა და თავისი მისიის შესრულებას შეუდგა. ძველ ნაცნობებთან ურთიერთობა აღადგინა და გერმანული დაზვერვისთვის საინტერესო ინფორმაციის მოპოვებას შეუდგა.

მის მეგობრებს შორის ყოფილი სამხედრო მინისტრი, ადოლფ მე-სიმი, სამხედრო სამინისტროს თანამშრომელი, ლეიტენანტი ჟან ალორი, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი, ჟიულ კამბონიც იყვნენ. მატა არც ღამეს კარგავდა უქმად და ფრანგ და ბრიტანელ ოფიცრებს ხვდებოდა. მალე მას, მოკავშირეთა გერმანიასთან ბრძოლის გეგმის სრული სურათი ჰქონდა.

გერმანიის საინფორმაციო სამსახურმა დეზინფორმაციის გავრცელება დაიწყო, ათასგვარი ჭორი გაავრცელა და ჯარის გადაადგილების ინსტენირება მოაწყო. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს გერმანელები ელზასსა და ფლანდრიაში შეტევისთვის ემზადებოდნენ. ამ ხერხით გერმანელებმა ვერდენზე შეტევისთვის მზადების შენიღბვა მოახერხეს.

მატა ჰარი პარიზიდან ესპანეთში გაემგზავრა. მას ახალი დავალება ჰქონდა — სარკინიგზო კვანძებზე დაკვირვება და ფრანგული სამხედრო ემბლონებისთვის თვალყურის დევნება. ინფორმაციის გადასაცემად ესპანეთში ის გერმანიის საელჩოს ატაშეს, მაიორ

კალეს დაუკავშირდა. კალეს მატეას მიერ მინოდებული ინფორმაცია ძალზე მნიშვნელოვნად მოეჩვენა და ამსტერდამში, კონსულ კრამერს რადიოგრამით გადასცა. დაშიფრული რადიოგრამა ბრიტანულმა სამსახურმა გაშიფრა, რითაც დაასაბუთა ეჭვი, რომ მატა ჰარი „დავერობკეპული“ აგენტი იყო.

მატა პორტუგალიის გავლით ჰაგაში დაბრუნდა, სადაც თავის ძველ მეგობარს, ბარონ ვან დერ კაუელს შეხვდა, რომელმაც მასთან დარჩენა შესთავაზა, მაგრამ მატას პარიზში დაბრუნება სურდა. მან საფრანგეთში შესასვლელი ვიზა დაუბრკოლებლად მიიღო, მაგრამ ბრიტანეთის საკონსულომ სატრანზიტო ვიზის მიცემაზე უარი უთხრა და განაცხადა: „ბრიტანეთის საელჩოს საკმარისი მიზეზი აქვს საიმისოდ, რომ ეს ქალბატონი ქვეყანაში არ შეუშვას“. მატამ საფრანგეთში შესვლა ესპანეთზე გავლით გადაწყვიტა. საფრანგეთის საზღვრამდე დაუბრკოლებლად მივიდა, მაგრამ ფრანგმა მესაზღვრეებმა ქვეყანაში მის შემვებაზე უარი განაცხადეს, მიზეზი კი არ აუხსნეს.

მატამ თავის ძველ მეგობართან, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალურ მდივანთან, ჟიულ კამბონთან გასაგზავნი ნერილი გაამზადა, მაგრამ მეორე დღეს, მოულოდნელად შეატყობინეს, რომ საფრანგეთში შესვლა დაუბკოლებლად შეუძლო. მესაზღვრეების ასეთ საქციელს მასში ეჭვი არ აღუძვრია და გახარებული პარიზში გაემგზავრა.

მატა ფიქრობდა, რომ პარიზში

დიდი ხნით მოუწევდა გაჩერება და ცენტრალურ ქუჩაზე ფეშენებელური სახლი დაიქირავა.

ერთ დღეს, შემთხვევის თუ საგანგებოდ მოწყობილი „შემთხვევის“ წყალობით, მატა საფრანგეთის კონტრდაზვერვის შეფის წინ, პირისპირ აღმოჩნდა. მცირე საუბრის შემდეგ, მან მატას საფრანგეთის აგენტობა და სოლიდური ანაზღაურება შესთავაზა.

მატა დათანხმდა. სპეციალურად მიჩენილმა აგენტებმა მისი თითოეული ნაბიჯის შესახებ იცოდნენ. აკონტროლებდნენ მის ფოსტას, მაგრამ საეჭვო ვერაფერი შენიშნეს.

საფრანგეთის მხარის პირველი დავალების შესასრულებლად ის ბელგიაში გაამგზავრეს. „იქ ძველ მეგობარს, მუსიე ვერფლანის შევხვდები. ზუსტად ვიცი, რომ ხშირად მომინევს გერმანელ მაღალჩინოსნებთან შეხვედრაც. ეს არის ის, რისი პირობაც შეიძლება, მოგცეთ“, — უთხრა მან ახალ შეფს.

კითხვაზე, თუ რატომ ცდილობს ფრანგების დახმარებას, მატამ უპასუხა: „სამისოდ ერთადერთი მიზეზი მაქვს — მსურს, საყვარელ მამაკაცს მივთხოვდე და თავისუფალი ვიყო“. ყოველგვარი მოკრძალების გარეშე მოითხოვა მილიონი ფრანკი. შეთანხმდნენ, რომ ამ თანხას ის მხოლოდ საჭირო ინფორმაციის მოპოვების შემდეგ მიიღებდა, წინასწარ კი აფსსაც არ გადაუხდიდნენ.

პარიზიდან ვიგოში მატა გემით გაემგზავრა, სადაც მისთვის კაიუტა იყო დაჯავშნული, მაგრამ ხომალდზე სკოტლანდ-იარდის თანამშრომლებმა დააპატიმრეს და ლონდონში ჩაიყვანეს. აღმოჩნდა, რომ მატა ჰარი ძველ, გერმანულ აგენტად, კლარა ბენდიქსად მიიჩნიეს და დაპატიმრების მიზეზი სწორედ ეს გახლდათ.

შემდეგ ნომერში:

...ამის შემდეგ მატამ მხიარული ცხოვრება დაიწყო და სიყვარულისა და გართობის მორევში გადაეშვა...

...კართან ექვსი, ფორმიანი მამაკაცი იდგა. ერთ-ერთმა დაპატიმრების ორდერი წარუდგინა.

...ეს უბრალო ხსნარია, რომელსაც ინტიმური მიზნებისთვის ვიყენებდი. ის ცოტა ხნის წინ ერთ-ერთმა ესპანელმა ექიმმა გამოიმჩნერა...


...14 დაკითხვას ადვოკატი მხოლოდ 2-ჯერ, პირველად და უკანასკნელად დაესწრო.

...როდესაც მატამ სასამართლოზე განაჩენს მოუსმინა, წამოიძახა — ეს შეუძლებელია! ეს შეუძლებელია! — მისი ადვოკატი მოსამართლის წინაშე მუხლებზე დაემხო და შეწყალება ითხოვა.

...შენწყალებაზე უარის შესახებ მხოლოდ მაშინ შეიტყო, როდესაც გამოთენიისას საკნიდან გამოიყვანეს და ჭიშკართან მდგარი ავტომობილისკენ წაიყვანეს.

...მსროლელები უკვე ერთ რიგად ჩამწკრივებულიყვნენ. — სახვევი! — მოითხოვა ფრანგმა ოფიცერმა, მაგრამ მატამ თვალების ახვევაზე უარი განაცხადა. ის გაყინული სახით უყურებდა, როგორ აძლევდა ბრძანებას ოფიცერი.

...ერთ-ერთი ფელდფებელი მივიდა და კიდევ ერთი ტყვია საფეთქელში დაახალა...



16.10. - 22.10.2008

გზისკენილები

მარი ჯაფარიძე

ჩაიი გიჟილი საქსილი

ყველას მოგესალმებით, მაგრამ ამჯერად ძალიან გაბრაზებული ვარ. ყველაზე არა, რა თქმა უნდა, მაგრამ ზოგიერთმა ამ კვირაში მართლაც ძალიან გამაჯავრა და ახლავე მოგახსენებთ, რატომ. წინა კვირაში ჩემ მიერ „გზავნილებისთვის“ გაკეთებული შესავალი (ნაწილობრივ ხუმრობით ნათქვამი) რამდენიმე მგზავნელს არ მოეწონა. მის რეაქცია ჯერ მწარე-მწარე მესიჯები მიგზავნა — „მარი, სხვამ თუ არა, შენ სომ მაინც იცი, ის ლექსი მე რომ არ მეკუთვნის? ისიც ხომ იცი, მე განძის მაძიებელს რომ არ შევხებოვარ. მითხარი, ოდესმე მასზე ან დედამისზე დამინერია, სხვა ნივით? ვიცი, რომ არ მოგწონვარ. ალბათ იმიტომ, რომ პირდაპირ ვამბობ, რასაც ვფიქრობ. კარგად იცი თავად, ვინც ხლართავს ინტროგებს და მიკვირს, მიკვირს, რატომ აკეთებ ამას? თქვი, აგრესიულ მესიჯებს არ დაებეჭდავო, სუფთად დაძმლოკე და ჩემი სათათსავი მესიჯები კი დაბეჭდე. ეს არაა მიკერძოება? ვიცი, პასუხის ღირსადაც არ ჩამთვლი. იმიტომ, რომ მე ვინ ვარ შენთვის, შენ სომ თვით „დიდი მარიამული“ ხარ ან იმიტომ, რომ არაფერი გექნება სათქმელი ან რა უნდა მითხრა? იცი, რომ უდანაშაულოდ მანშენდენ ხელებს. ბევრი მოვითმინე, შეურაცხყოფა და ცილისწამება რისთვის? მინდოდა, დამენახებინა სიმართლე, თუმცა შენ პატივისკენ მომართული, გართმული, აფერისტული აზრების უფრო გჯერა. თავიდან პატივს გცემდი, მეგონა,

გულწრფელი ადამიანი იყავი. ახლა მივხვდი, შენთვის ისაა კარგი, ვინც გთავლავს შენ არ იცი, სიმართლის ფასი. მე არ განგსჯი, ან რა უფლება მაქვს, ღმერთმა ჩვენს გზაზე გვატაროს. მივდივარ და ვნახავ, თქვენს მშვიდობა-სიყვარულობას მის რეალი“. ახლა მე გეკითხებით თქვენ, ძვირფასო მკითხველო, თუ მის რეალს ჩემი (თვით „დიდი მარიამულის“) მისამართით ასეთი ტექსტის დაწერა შეუძლია, მგზავნელებს რას უნამს? სიმართლე რომ გითხრა, არ ვაპირებდი ამის აფიშირებას, მით უმეტეს, რომ მესიჯის გამოგზავნის მერე დამირეკა, კარგა ხანს მელაპარაკა და იტირა, თავიც იმართლა, დამნაშავე არ ვარო. ისიც მითხრა, მგზავნელებმა მითხრეს, მარი ვერ გიტანსო. ტირილით გული რომ იჯერა, მერე ტყუაც დამარიგა, აღარ დაბეჭდო აგრესიული მესიჯებიო. შევპირდი, ასე მოვიტყევი-მეთქი, ვთხოვე, „გზავნილებიდან“ არ წახვიდე-მეთქი, მაგრამ... გადავიფიქრე... რატომ? ამასაც გეტყვით, ოღონდ, ჯერ მინდა, ერთი რამ ვთქვა: მე არასოდეს, ვიმეორებ — არასოდეს მიჭორავია მგზავნელებთან და არც მის რეალის შესახებ გამომითქვამს ჩემი ცუდი თუ კარგი აზრი (თუ ტყუილს ვამბობ, მომწერეთ და აუცილებლად გამოგაქვეყნებ, გაპრდებით). მეორე — ნუ მრევთ თქვენს ინტროგებში, ჩემთვის ყველა მგზავნელი ერთია და არავის სანინააღმდეგო არაფერი მაქვს. ახლა იმის შესახებ, რატომ გადავიფიქრე მის რეალისთვის მიცემული პირობის შესრულება: ჩვენი საუბრის

სოდანაყლაჯი მახვალი და ორსული გიჟილი ანუ გაძლავა არ გინდა?



შემდეგ (რომლის შესახებაც მხოლოდ მე და მის რეალმა ვიცოდით), რამდენიმე მკითხველმა დამიმესიჯა და მაცნობა, რომ თურმე მის რეალს ჩემთან საქმე ჩაუნყვია (რასთან დაკავშირებით, არ ვიცი) და მაშიდაბისი ამის შესახებ ყველას აცნობებდა. მკითხველებმა ისიც იცოდნენ, რომ მის რეალმა იტირა და თავი შემაჯობა და თურმე მე მას რაღაც ამბებს ვუყვები, მკითხველების შესახებ... მაპატიეთ, მაგრამ ეს ყველაფერი გულის ამრევია და როგორც ვატყობ, მეც აღარ მინდობთ.

მის რეალის მიერ გამოგზავნილ, ზემოთ მოყვანილ მესიჯში ის არაგულწრფელობაში მდებს ბრალს და მინდა, გულწრფელი ვიყო და ვთქვა, რომ სწორედ მის რეალს ვგულისხმობდი, როცა ვამბობდი, რომ ზოგიერთი მკითხველი სხვისი სახელით თავის თავს უმესიჯებს-მეთქ.

მისი ერთი, ყველაზე გამორჩეული ნიკია — გოგა. ინტერნეტში, „მობილი-ზაციისთვის“ მოსული მესიჯების ნომრებიც ფიქსირდება და ამას ასე თამამად იმიტომ ვამბობ, რომ მის რეალის ნომრიდან გოგას (და არა მარტო) ნიკით მოსული მესიჯებიც მოდიოდა. როდესაც ერთ-ერთ შესავალში მინიშნებით ვთქვი ამის შესახებ, მან ნომერი შეცვალა და ახლა უკვე „გოგა“ სხვა ნომრიდან ამესიჯებს. სურათს თუ დააკვირდებით, მიხვდებით, რომ სიმართლეს ვამბობ. პირველ გრაფაში მესიჯის გამოგზავნის თარიღია მითითებული, მეორეში — დრო, მესამე და მეოთხე გრაფა ჩვენთვის არაფრის მთქმელია, მესხუთე გრაფაში ტელეფონის ნომერია მითითებული (საიდანაც 2 ციფრი შეგნებულად ამოვშალე), შემდეგ — მესიჯის ტექსტი მოჰყვება.

17.07.2008	13:06:52	9001404	Geocell (GR) 8884	855...7445	GZA	MINDA MAT MIVMARTO VINC CHEMS GVERDZE DGAS DA SJERA CHEML.CHEMTVIS MTAVARI TKVENI SIKVARULIA.SXVA RAS ITKVIS SULERTIA.MIKVARXART ERTGULEBO.. MIS REALI.	доставлено
17.07.2008	14:26:38	9002378	Geocell (GR) 8884	855...7445	GZA	MIS REAL GAMECNOBI?DIDI XANIA TVALS VADEVNEB SHENS GZAVNILEBS DA VXVDEBI IS XAR VISAC USITKVOD GAVUGEB.. MIXARIA RO AR AKEVI DABOGMILEMS.GAMICNOB? GOGA	доставлено
17.07.2008	20:53:20	9005834	Geocell (GR) 8884	855...7445	GZA	RAO?MIS REALI ARAVIS RDZLOBAS AR APIREBS!TELAVIS SIAMAKES GGONIAT GAVUSHVEBT SADME?LIK MITXARI RO TKUILI TKVES.DAVIGVIANE NUTU?.... DACERE RO TKUILIAA!MIXO	доставлено
17.07.2008	22:29:15	9007197	Geocell (GR) 8884	855...7445	GZA	KAM-KAM AXALI MGZAVNELI XAR?GAGICNOOB.XO MARTLA,ESPANETIS PANI VARO,GAIXARE SHEN.IKNEB NIKIC MIGECERA?NIKOL KAI GOGCHO XAR.KIKO MENATREBAAAA!SADAA?MIS REALI	доставлено
17.07.2008	22:48:33	9007539	Geocell (GR) 8884	855...7445	GZA	XOO,IKNEB MITXRAT VIS RDZLOBAS MPIREBT?SAINTERESOA,UCHEMOD GADAUCKVETIAT.. A-NI VIN ARIS?IKNEB NIKI MAINC TKVA,CHEMZE KARGAD RO ICI CHEMI PIRADI?MIS REALI.	доставлено
24.07.2008	12:26:44	9064909	Geocell (GR) 8884	855...7445	GZA	LEKSEBS SHEN CERO?ABA GALAKTIONI MKVDARIA IS RO MICERDES:) GOGA TELAVELI XAR?KAMELIA SHEKEBISTVIS MADLOBA.CHORI USAKVARLESI XAR.LIMON MIKVARXAR!MIS REALI:-D	доставлено
24.07.2008	15:21:16	9066610	Geocell (GR) 8884	855...7445	GZA	VIGACEEBS ZEDMETEBI MOSDIT.TVINI TKVEN GAKVT SAREMONTOMIS REALS KI ARA.. LIKA GULZE AR MOIXVEDRO VIGACEEBIS NABODVARI.MAGARI IKO SHENI MESIJEBI. GOGA	доставлено
24.07.2008	16:03:04	9066998	Geocell (GR) 8884	855...7445	GZA	RA SAINTERESOA,RAGA AXLA GAMOCHNDIT PIRANIA,MIS AMBICIA... AKAMDE SAD IKAVIT?TU MIS REALIS TATXVIT GINDAT REITINGI AIMAGLOT?METI VERAPERI MOIPIKRET? KASI	

ახლა უკვე ყველაფერი გულწრფელადაა ნათქვამი და შეიძლება, რომ თქვენს მესიჯებს გავეცნოთ

დიჯეი, ვიჯეი, გმირი!

„ნუ, რადიოდან წამოვედი და ახლა ჩათბოქსის ვიჯეი ვარ. საგმირო საქმეა მართლაც, მესიჯების წავითხვა და ისიც, როგორი მესიჯების?! ამიტომ კარგად მესმის შენი, მარ. რამდენიმე ჩათზე ერთად ვმუშაობ. მაგალითად, ქუთაისზე, ოზურგეთზე, ბათუმსა და ზუგდიდზე. ქუთაისიდან ადრე უფრო მთხოვდნენ, გამეშვა ბუტირკა. ახლა გამოსწორდნენ. ოზურგეთში ჯერ კიდევ ანა ვისის „ფსიხედელია“ მოდაში, ბათუმის ჩათზე „მაუგლის“ „სიყვარულის პოემა“ გაუშვიო, ნუუუ, აღარ შემიძლია... რაც შეეხება ბათუმს, ოოო, აქ „ნამიოკა“ მესიჯები მოდის. აი, მაგალითად: რომაემინეში, ჩვენ ყველანი კარგად ვართ. მას შევხვდი დათქმულ დროს, დათქმულ ადგილზე და გადმომცა ის. მალე ერთად ვიქნებით, არ ინერვიულო (სტილი დაცულია). არ მეგონა, ციხეშიც თუ უყურებდნენ ჩათბოქსს. ერთხელ სტუდიაში ვილაც ბებომ დარეკა და მთელი სერიოზულობით გვკითხა — ალოო, მუსიკალური ცენტრიაო? — ბიიჭო, ბიჭო, ბიჭოო... ასეთი იყო ჩემი რეაქცია. გმირი ვარ, გმირი! GREEN GIRL, ნათია ჩიქოვანი“.

გმირი რომა

„როგორ ხართ, ჩემო ტკბილო ხალხო? აი, მეც დაგიბრუნდით 2-კვირიანი ტაიმ-აუტის შემდეგ. ალბათ არ იცით, რომ ყველაფერთან ერთად დიდი მაჭანკალიც ვარ და ამიტომაც წინა კვირას ჩემი საუკეთესო მეგობრისა და შორეული ბიძის ქორწილში ვიყავი მიწვეული. მოკლედ, გადასარევი დრო ვატარე და რა თქმა უნდა, მეორე დღესაც განსაკუთრებული სტუმრების სიის სათავეში ვიყავი. წამოსვლისას მე და ჩემმა უცოლო და

სიმპათიურმა ბიძამ (რეკლამა რომ გავუკეთე „გზავნილებში“) ერთი მეჯვარე, რომელიც იქვე, დილოში ცხოვრობდა, სახლში წავიყვანეთ. უკან რომ ვბრუნდებოდით, ბენზინი გაგვითავდა. ჩემი მთვრალი ბიძიკო წავიდა ბენზინის მოსატანად, მე კი ვდგავარ შუა ტრასაზე მანქანით და სანყალი თვლებით ვუმზერ გვერდით ჩავლილ ყველა მოძრავ სუბიექტს. ჰოდა, სად იყო და სად არა, ჩემ წინ „აუდმა“ დაამუხრუჭა და იქიდან საკმაოდ სიმპათიური და სოლიდური გარეგნობის ბიჭი გადმოვიდა. მე ვზივარ საჭესთან, დაკუნკუნებული თმითა და ღრმა დეკოლტით. რომამ საოცარი ჯენტლმენობა გამოიჩინა და ჯერ დახმარება შემომთავაზა, მერე კი როცა სიტუაცია ავუხსენი, ჩემთან ერთად დარჩა და დაელოდა, ბიძაჩემი როდის მოვიდოდა, მაგრამ ვინ დაგაცადა მშვიდად ყოფნა? ჩემს მანქანას უკან პატრული ბიძია მოადგა... ჰოდა, აი, მაშინ კი მივხვდი, რომ „ნიტოდ“ მქონდა საქმე. რატომ? იმიტომ, რომ 6 ჭიქა ღვინო მქონდა დაღეული და თან, „პრავა“ არ მქონდა. არა, სახლში კი არ დამრჩა, უბრალოდ, „პრავა“ საერთოდ არ მაქვს. პატრული თავაზიანად მოგვესალმა, გამოგვკითხა, რა გვიჭირდა და მერე საბუთები მომთხოვა. რომამ კი მიხსნა ამ სიტუაციიდან, თავისი „პრავა“ აჩვენა, თან რაღაც ამბავი მოუყვა და ჩემი მანქანაც თავისად გაასალა. — აბა, თქვენ რატომ ზიხართ საჭესთანო? — მომიბრუნდა პატრული. — ვმარიაჟობ-მეთქი, გავუღიმე მაცდურად და ისეთი თვლებით შევხედე რომას, რომ მიხვდნენ, იქ მათი ადგილი აღარ იყო და წავიდნენ. ასე მიხსნა რომამ 150-ლარიანი ჯარიმისგან და მანქანის საჯარიმოზე გადაყვანისგან, სანაცვლოდ

კი მხოლოდ ნომერი მთხოვა. აბა, უარს ხომ არ ვეტყვოდი? ეს ჩემი მხრიდან უმადურობა იქნებოდა. :) ისე კი, მადლობა პატრულს. თუ წაიკითხავთ, ნაღდად მიხვდებით, ვინ ვარ და იმედი მაქვს, სხვა დროსაც ასე მშვიდობიანად გამიშვებთ. გარდა იმისა, რომ მგზავნელი ვარ, მე თქვენი მომავალი კოლეგაც ვარ. იკუშკები“.

მფრინავი

„გმირობის ჩადენის შესაძლებლობა ადამიანს არც ისე ხშირად აქვს და მე რამდენჯერაც მქონდა, ვერ განვახორციელე. დაქალთან ვიყავი, სტუმრად. ეზოში 2 უზარმაზარი ბლის ხე აქვს და მისი მშობლები მოსაკრეფად წავიდნენ. მეც მათ გავყევი. თავი გავიგიჟე, უნდა მოგეხმაროთ, თან საკუთარი ხელით მოკრეფილი უფრო გემრიელია-მეთქი და რომელიც ყველაზე მაღალი და განიერი ხე იყო, იმაზე ავცოცდი. თვალის დახამხამებაში კენწეროზე შემოვსკუპდი. ვიფიქრე, უკვე მოხერხებულად ვზივარ-მეთქი და ის იყო, ყველაზე დიდი ბლის კუნწულა პირისკენ გავაქანე, რომ ხიდან თავით გადმოვეშვი და ერთ-ერთ ტოტს ქამრით, ნაძვის ხის სათამაშოსავით ჩამოვეკონწიალე. ავტეხე ერთი ამბავი, მოცვივდნენ და მითითებებს მაძლევდნენ: ნუ ფართხალებ, ხელი არ გააქანო, ფეხი გააჩერეო... ამასობაში კი მოიტანეს გასაშლელი კიბე და მშვიდობით დავუბრუნდი დედამინას. SWEET-GIRL“.

შუმახერი

„მიუხედავად იმისა, რომ მგზავრობა ძალიან ხშირად მიწევს, ავტოტრანსპორტით ვერ ვმგზავრობ. თუ რაღაც უჩვეულო მოხდა და შორ გზაზე მანქანაში ან სამარშუტო ტაქსში ჩავჯექი, მტრისას. სპიდომეტრს თვალდაჭყეტილი მივჩერებივარ და 100-ს რომ ასცილდება, აქეთ მე ვკვივი, იქით კი — ჩემგან შეწუხებული მძლოლი. ერთ მშვენიერ დღეს ბიძაშვილი იმდენს მეხვენა, 2 დღით ბათუმში მივდივარ და წამყევიო, რომ მშობლიური ქალაქის ხსენებაზე უარი ველარ ვუთხარი და მე და ბებია წავყევიო. პირობაც დავადებინეთ, რომ ნელა



თუ სიბიჭუნის დროს ასეთივე თანხი
აზრის და სხობი მოგვლას, მაშინ იქნებ
დასძლავდნენ სხვას დასძინი

ივლიდა და დავიძარიტ. მცხეთას რომ გავცდით, პირობა ვიღას გახსენებია? მეც, რაც ძალი და ღონე მქონდა, ტყავის სავარძელს „ბრჭყალები“ ჩავავლე და თვალები ისე დავხუჭე, რომ წამწამებიც აღარ მიჩანდა. მხოლოდ ერთხელ გავახილე და ირგვლივ ყველაფერი ლანდებივით მოსიარულე რომ დავინახე, გახელა აღარც მიცდია. სამსაათ-ნახევარში ჩავედით, ცოცხალ-მკვდრები. ბებიჩემს წნევა 200 ჰქონდა და გამწარებული თავის კბილების პროთეზებს ეძებდა, მე კი 1 კვირა წელში გასაშლელ მასაჟებზე დავდიოდი. ჩემი ბიძაშვილი კი დოინჯ შემოყრილი, კმაყოფილი სახით გაიძახოდა, ნამდვილი შუმახერი ვარო! ამისთანა რამის გადატანა, მერწმუნეთ, გმირობაზე მეტია. SWEET-GIRL“.

ხუთშაბათის გმირი

„ჩემი მხრიდან ნამდვილად გმირული საქციელია, ყოველ ხუთშაბათ დღეს ჩემი დის ატანა. არ ვიცი, რა ემართება, სასწავლებლიდან შინ როგორც კი მოვა, არავინ და არაფერი ახსენდება, გარდა ერთისა — ჩანთიდან ეგრევე „გზას“ დააძრობს და იწყება... რომ ვუყურებ, ვგაიჟებ. არ ვიცი, როგორ ჩერდება ეს „შვიდთვიანი“ ბავშვი რამდენიმე საათი, უძრავად მჯდარი. თუ ბიჭი ხარ, ადგილიდან დაძარი ან საუბარში აიყოლიე, სანამ კითხვას არ დაამთავრებს. ნაკითხვის შემდეგ კი დადის ბედნიერი და უზრუნველი ღიმილით და მხოლოდ ერთს ფიქრობს — უჰ, როდის მოვა მომავალი ხუთშაბათიო? აბა, ერთი მე მკითხოს?! ნაია“.

სოდანაყლაპი

„პატარა ვიყავი. დავინახე, ჩემი ბიძაშვილი იხრჩობოდა. გავქანდი მის გადასარჩენად, მაგრამ ცურვა არც მე ვიცოდი. ის მალე გამოიყვანეს, მე კი გვიან შემამჩნიეს. ამომიყვანეს გათიშული. აზრზე რომ მოვსულვარ, მიკითხავს — რატომ არის ზღვა სოდანიანი-მეთქი? მერე ხუმრობდნენ, სოდანაყლაპი გმირია ანუკა, მასე კი ნუ უყურებთო. პრანჭო“.

გაწბილებული სასიძო

„მე გაიმბობთ და თქვენ დაასკვენით, ეს გმირული საქციელი იყო თუ არა. ნიკამ გადანყვიტა ქალის მოტაცება და დახმარება უახლოეს მეგობარს, ლაშას სთხოვა. დაიწყეს მზადება. გეგმაც მოიფიქრეს... გატაცების სცენარი ჩვეულებრივად მიდიოდა, როგორც ხდება ხოლმე. გაჩერდა მანქანა, დაავლეს ბიჭებმა გოგოს ხელი, აწივლეს, აყვირეს და ისე ჩატენეს მანქანაში. არაჩვეულებრივი გოგო იყო. არ გაჩერებულა არც მისი ხელ-ფეხი და არც ენა. ისე იგინებოდა და ილანძლებოდა, სხვას მისი საქმროს ადგილზე, მისი ცოლად შერთვის სურვილი დაეკარგებოდა. ლაშა კი ოფლში ინურებოდა. ცალკე გოგოს „ტანჯვით“ და ცალკე იმაზე ფიქრით, თუ როგორ იქცეოდა. გოგოს მოტაცებას არავაჟაკობად მიიჩნევდა, მაგრამ არც ის გამოდიოდა, მეგობარს არ დახმარებოდა... გართულება ჰქონდა ვაჟაკობაზე, თავს დებდა და ვინმეს რომ ეთქვა, არ ხარ ვაჟაკიო, ერთი კარგად მიტყუავდა შეურაცხყოფელს. ჰოდა, გოგო ნიკასთან რომ ვერაფერს გახდა ხვეწნა-ლანძლვა-გინება-ფართხალით, მერე ლაშას დაუწყო — რას აკეთებ, ვაჟაკობა გგონია, ქალის მოტაცება, შე ლაჩარო, შე ასეთო, ისეთო?! — და აქ მოხდა, რაც მოხდა. ლაშამ გააჩერა მანქანა, დაავლო გოგოს ხელი და მანქანიდან გადაადგო. ისეთი გამწარებული იყო, კინაღამ პანჩური მიაყოლა. ჩახტა მანქანაში და თვალედაჭყეტილ ნიკას გონზე მოსვლა არ აცალა, ისე გააქანა უკან. ნერტისი“.

შეცდომა

„ჩემი გმირული საქციელი ის იყო, რომ ჩემი დაქალი

მოტაცებას გადავარჩინე, მაგრამ მის მაგივრად მე აღმოვჩნდი მანქანაში. საქმროს მეგობარს შევეშალე და მის მაგივრად ჩამტენა მანქანაში. გიომ სალოს მაგივრად მე რომ დამინახა, გადაირია. იქით მისი მეგობარი გაგიჟდა, სახლამდე სულ ბოდისებრ მიმიყვანეს და ერთი კვირის შემდეგ ვარდების თაიგულიც გამომიგზავნეს, სადაც მოსაწვევი ბარათი იდო, რომლითაც სალოს და გიოს ქორწილში მიწვევდნენ. მართალია, მაშინ სალოს გულისთვის თავი გავწირე და დიდი გმირობა გამოვიჩინე, მაგრამ სიყვარულს წინ ვერაფერი დაუდგა და ერთი კვირის მერე გიომ მაინც მოახერხა სალოს წაყვანა. დღეს მათ ბედნიერი ოჯახი აქვთ და უკვე 3 წლის ნიკუშაც ჰყავთ. P.S. დღეს ჩემი ქმარი ის ბიჭია, რომელმაც სალოს მაგივრად მე მომიტაცა. ახლა, როცა ოთხივე ერთად ვართ, ჩემი ქმარი ხუმრობს ხოლმე, ღმერთმა იცოდა, რომ მე და შენ მაინც ერთად ვიქნებოდით და მაშინ იმიტომ შემიყვანა შეცდომაშიო. ნიკოლი“.

გადარჩენილი

„ერთი გიჟი გადამეკიდა, მიყვარხარ და უნდა მოგიტაცოო. თავიდან ყურადღებას არ ვაქცევდი. მეგონა, ხუმრობდა, მაგრამ ერთ დღეს, სახლში მიმავალს მანქანით დამხვდა. ფეხი რომ ვერ მომაცვლევინა, მიყვირა, ტელეფონი გამორთე და მომეციო. რომ არ დავუჯერე, ჩანთა წამართვა, უამისოდ სად წახვალო? ხომ გაგიგონიათ, გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო? ჰოდა, ისე გამოვიქეცი... აი, რა გმირულად გადავირჩინე თავი. P.S. მარ, მინდა დავბრუნდე და იმეღია, ღირსეულად დამაბრუნებ, ამ მესიჯით. მიყვარხართ. ეშმაკუნა“.



აქტივობად! შეჯამდა სასიძოდა
„გამოჯახბოლიაჟებს“ იცის.

გამომძალველი

„არ ვიცი, საიდან დავინყო, ან ღირს კი ამ ამბის მოწერა? დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, გადავწყვიტე, მომენერა. 2 წელია, ათენში ვარ. გავიცანი პიროვნება. ერთმანეთს ვხვდებოდით. ახლა, როცა გადავწყვიტე, აღარ ვნახო, მემუქრება და ფულს მთხოვს. თუ არ გადაიხდი, ჩვენს ამბავს ყველა გაიგებსო. რა ვქნა, აღარ ვიცი, მისი მეშინია კიდევ. აი, ასე მუშაობენ აქ მყოფი „ძველი“ ბიჭები. როგორც ვიცი, ჩემს დღეში სხვა გოგონებიც ჰყავს. მინდა, ყველა აქ მყოფს მივმართო, თავს გაუფრთხილდნენ და ნურავის ენდობიან. ეს ადამიანები ყველაფერზე წამსვლელები არიან. ფრთხილად, ქართველებო, ნუ ჩავარდებით ქართველების ხელში. აქ ბერძენი უფრო სანდოა, ვიდრე ქართველი. ღმერთის იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. უბრალოდ, ათენი“.

გაძლება არ გინდა?

„ვინაიდან ერთობ თავმდაბალი ვარ, ამჯერად ჩემი დის გმირობაზე მოვყვები. ის საოცარი ნებისყოფით იტანს ჩემს გამოსდომებს. ჩემი გაძლება განსაკუთრებით რთულია, როცა ჩემს სიყვარულს ვემესიჯები (ე.ი. დღეში 18 სთ). დილიდან ვინყებ სიმღერას, თუ სუპერხასიათზე ვარ, წავეუცეკვებ კიდევ, რასაც დაიკოს ადეკვატური რეაქცია მოჰყვება: „ეჰ, იმ ბიჭმა სულ მოგიღო ბოლო“. ის ოლიმპიური სიმშვიდით ისმენს ჩემს ახალ-ახალ „შედეგებს“, ყოველი ახალი ლექსის შემდეგ ოხრავს, მრავლისმეტყველად ატრიალებს თვალებს და მე ეჭვი შემაქვს საკუთარ პოეტურ „გენიაში“. ღამე ჩემი ტელეფონის წკაპუნის ფონზე იძინებს და ასევე იღვიძებს. ნამძინარევი,

დიდსულოვნად, მხოლოდ 1 ფრაზით შემოიფარგლება: ვაი, შენს პატრონს! და მხარს ინაცვლებს. მე კმაყოფილი და ბედნიერი ვეამბორები ცხვირზე და ლექციებზე მივდივარ. უკან დაიკოს ტკბილი ხმა მომყვება: „ნეტავ, როდის გათხოვდები?“ არადა, ერთხელ წამოსცდა, უშენოდ როგორ უნდა ვიცხოვრო? ვიცი, ამასაც გაუძლებს, ის ხომ ნამდვილი გმირია! პარიჟანკა“.

ორსული გმირი

„გმირული ძალიან ხმამაღალი ნათქვამია. მოდი, ჩემს „პატარა გმირობებს“ გავიხსენებ. ორსულობის დროს ჩვეულებრივად ვმუშაობდი და ვპატრულირებდი, ეს კი თავისთავად გმირობა იყო. ვისაც გამოუცდია, მიხვდება, მაგრამ ყველაზე მძიმე იყო, როცა დასახლებული პუნქტებიდან კილომეტრებით მოშორებულ საგუშაგოზე სრულიად მარტო ვრჩებოდი, დღე-ღამით. მარი, მახსოვს, როცა ახალციხეში ჩამოხვედი და აგიხსენი, სადაც შეგეძლო ჩემი ნახვა, კარგა ხნის მერე დამირეკე და მითხარი, — აქ მხოლოდ კლდეებია და შენ სადღა ხარო? მაშინ უზომოდ ბედნიერი ვიყავი, რომ შენ ჩემ სანახავად უკვე შელამებულზე, „ქვეყნის დასალიერში“ და ყველასგან მიტოვებულ ადგილზე მოდიოდი. კიდევ, „გმირობა“ იყო, გაბერილი მუცლით დღედაღამ მანქანით რომ დავდიოდი. ისე, ამდენი წელი რომ „გზავნილებს“ არ ვლაღატობ, ეგეც ხომ გმირობაა, მაგრამ შენ მართლა გმირი ხარ?! მარი, ამ ყველაფერს რომ უძლებ. ელისო“.

ნებართვა

„ძნელია, ილაპარაკო საკუთარ გმირობებზე ისე, რომ ვინმეში პროტესტის გრძნობა ან აგრესია არ გამოიწვიო, მაგრამ მაინც

გავრისკავ, გავკადნიერდები და ერთ ჩემს ამბავს მოგიყვებით, რომელიც შარშან, ქობულეთში დასვენებისას გადამხდა თავს: ერთ საღამოს, სასაირონოდ მარტო გამოსულმა, ზღვაში მოფართხალე ობიექტი შევნიშნე, რომელიც ხელებს იქნევდა და დახმარებას ითხოვდა. იმწამსვე სირბილით გავეშურე ნაპირისკენ და წამებში გადავეშვი წყალში ისე, რომ გამოცდილ „მალიბუს მასველებსაც“ შეშურდებოდათ. გონდაკარგული გოგონა გამოვიყვანე ნაპირზე, მაგრამ ჩემი უამრავი მცდელობის მიუხედავად, გონს ვერ მოვიყვანე. გაგავწყვიტე, ხელოვნური სუნთქვა ჩამეტარებინა. მეოთხე თუ მეხუთე ცდაზე ძლივს მოვიყვანე გონს, მაგრამ ჩემი „გმირობის ობიექტმა“ ისეთი მღენა, ლამის თავყბა ჩამომიღო და საიქიოს გამისტუმრა — ჩემი ნებართვის გარეშე არ უნდა გეკოცნაო. პირველად, ჩემს ცხოვრებაში თავდახრილი ვიდექი ამ მშვენიერი გოგოს წინაშე და სიტყვებს თავს ვერ ვუყრიდი.

— მაპატიე, ძალიან ღამაში ხარ და... ძლივს ამოვთქვი.

— ე.ი. მოგწონე, არა?

— დიახ, — არც მიცდია დამალვა.

— ისა და, ისევ რომ დამჭირდეს გადარჩენა, გადამარჩენ? — მომხიბლავად გამიღიმა.

— რა თქმა უნდა, — მივუბე მაშინვე.

— მე ღანა ვარ და ჩვენი გაცნობისა დავლიოთ, — ამჯერად მაცდურად გამიღიმა.

მივხვდი, რომ საინტერესო საღამო მელოდა, თან ღამაში, საკურორტო რომანიც აპოლონი“.

უჟანგავი ლოგიკა

„ჰმ, გმირული, ხოოომ? სააად შოულობს ეს ხალხი ამ „ტარაკნების შესანამლ“ სუნამოებს? ტკბილ და მძაფრ სუნზე საშინელი ალერგია მაქვს, დამენწყება სპაზმი, წამომივა ცრემლები, ვეღარც ვსუნთქავ, ვეღარც ვხედავ. გუშინ ერთი „გაფუებული“ ქალი ამოვიდა „მარშრუტკაში“ და ისეთი სუნი ამოიტანა... „კრასნაია მასკვა“, „კლიანუს“! ჯერ ხომ ადგილი არ იყო და „მარშრუტკის“ მძღოლი



ღვინში სიმძნესა,
ლოღში — ძაღსა,
წყაღში — შაჭყეღიღი.

მეცნიერები

სუნთქვის უფასო აბონემენტს ათამაშებდა, ახლა კიდევ — ეს სუნი და სად წამელო ცხვირი, აღარ ვიცოდი. ორასიოდე მეტრში მძლომა მოხუცი „ბაბუშკაც“ ამოსვა და მე ადგილი დავუთმე. თან გადმოსკდა მდულარე, თვალთაგან... ფერი დამედოო, ვინ მამშვიდებდა და ვინ ბორჯომს მანვდიდა, ვერ ვარჩევდი. ორსულობა და დევნილობა რომ უარყვავი, მოხუცი შეეცოდაო, დამისვა დიაგნოზი ზემოთ ხსენებულმა „მგუდავმა“, თავისი „ნერჟა-ვეიკანარევი“ (უჟანგავი) ლოგიკით. რა მათქმევინებდა, ვიგუდები, ბაბაია-თქვა? ვდუმდი პარტიზანივით და პატარა ნახვრეტს ვეძებდი, ცხვირის გასაკვეთებლად! ჩიხტიკოპიანი დილეტანტი“.

უძლები შვილი

„მარიკო, გამარჯობააააა! უძლები შვილი დავუბრუნდი „გზის“ მონატრებულ ფურცლებს. მართლა ძალიან მომენტატრეთ ყველა, მაგრამ ეს რა აგრესიონერული სულისკვეთებაა აქა-იქ? ეს არ მესიამოვნა, რა დროს ასეთი ამბებია, თქვე კაი გზავნილიშვილებო, ჰა?! ახლა თემა: ამ დროის განმავლობაში, რომ აღარ ვჩანდი, რა ამბები აღარ დატრიალდა ჩემს თავს... კარდიოლოგი კი არა, „დედალი რემბო“ ან „ტერმინატორი“ უნდა დავირქვა. რძლები ხომ დამესივნენ და ამირიეს დაწყობილი ცხოვრება, ეგ ერთი. მუშაობა რომ დავინყე და ყოველ მესამე დღეს გახსნილ მუცლის ღრუსა და შიგ მდებარე ორგანოებს „ვესათუთები“, აშხფრთოვანებული თვალებით — ეგ მეორე. ჰო, ამ ბოლო დროს პატარა ზომის ფესხაცმელებს მაჩეჩებენ იმ მოტივით, რომ „ხმარებაში გაინევს“, მაგრამ ისინი მყარად ინარჩუნებენ ზომებს და არ დიდდებიან. გმირობაა, გლდანადან ვაკეში სიარული ყოველ დილით. შუმახერ-მძლოლების დამსახურებით ისეთ ტრიუკებს ვხვენ, მალე რაიმე ჯილდოს გამოვკრავ ხელს, თუ მანამდე თავი არ გამოვკარი მინას. გმირული საქციელი იყო, მეტროში, ესკალატორზე, ვეება, ნონასნობობადაკარგულ ქალს ხელი რომ შევაშველე

ქვემო საფეხურიდან და რომ არა ერთი ბიჭის გმირული საქციელი, კიბეზე გაფენილსა და „დატალღულს“ გადამიტანდნენ, სადმე. ჰოდა, რა ვიცი, რა ვიცი... P.S. პარიჟანკა, გმადლობთ, რომ გაგახსენდი, სიხარულო. გკოცნით, კარდიოლოგი“.

გმირი — უკულმა

„მაშ, გმირობა? კარგი! ამ ზაფხულსაც, ჩვეულებისამებრ, ჩემს მშობლიურ სოფელ ფხვენისს მივაკითხე. კარგად ვერთობოდი, მარა რად გინდა, ძამა, ძლივს გამოვასწარი იქიდან, ცოცხალმა. ომი რომ დაიწყო, იქ ვიყავი და ბლატაობაში მხდებოდა სული — რუსები ფხებს მოგვჭამენ-მეთქი! ერთ ღამესაც, როცა დავნექით და ტკბილი ძილისთვის ვემზადებოდი, ერთი ისეთი „დაბუთქა“ ამ შენმა ბომბმა, რომ გული ხომ ტვინში ამივარდა, მერე თმა „სმირნაზე“ დამიდგა. იქ ამბავი დატრიალდა?! რომ წამოვხტი, შარვალს ტოტებიდან ვიცვამდი, კარში კი ვინ ვის ასწრებდა, ნამდვილად არ მახსოვს. აბა?! არ ვარ გმირი? P.S. მე პირველად ვამესიჯებ „გზაში“. ყველანი მაგრები ხართ. GREEN GIRL, მაგარი ხარ. მარი ჯაფარიძეს გაუმარჯოს! (ეს ჩემი ნიკია)“.

საწყალი კურდღელი

„რალა ბევრი გავაგრძელო და, ერთხელ ძმაკაცებმა სანადიროდ წასვლა გადავწყვიტეთ. ავისხით იარაღი და გავემართეთ ტყეში (აბა, სხვაგან სად წავსულიყავით?!). ჰოოდა, მივედი და დანიშნულების ადგილზე (როგორც იქნა), ჩავსხედით ბუჩქებში და ერთი გავუშვიტ ცხოველების დასაფრთხობად, თან ძალღი გავაყოლეთ. მე ბოლოში ვიყავი ჩასაფრებული. თუ ჩემი ძმაკაცები დაჭრიდნენ

ცხოველს, მერე ჩემკენ გამოივლიდა და მე უნდა დამესრულებინა ყველაფერი, ანუ — მომეკლა. ცოტა ხანში თოფის ხმაც გავიგე, — „კურდღელია, კურდღელიას“ ძახილით. თან მე დამიძახეს, შენკენ მოდისო. გავიხედე, კურდღელიც გამოჩნდა და პირდაპირ ჩემ წინ გაჩერდა. სანყალი, ფეხში იყო დაჭრილი. ისეთი საცოდავი თვალებით მიყურებდა, შემეცოდა და გავუშვი, აღარ მოვკალი. ეს არის ჩემი ერთ-ერთი გმირული საქციელი და თუ დამიბეჭდავ მარი, კარგი იქნება. ოოო-21“.

ყველაფერზე, თემის გარდა

„სიტუაცია“ მაგარი იყო. არა, მთლად მასე დაბნეული არ ვარ ხოლმე, მაგრამ ვერა და ვერ დავიმახსოვრე, რომელი მხრიდან უნდა ჩავდო პლასტიკური ბარათი ბანკომატში. ერთხელ კი დავკარგე ბარათი და მერე აღმოჩნდა, რომ აპარატს ჩაუყლაპავს. ალბათ დამავინყდა გამოლება. იმდენ ხანს ვეძებდი და მაშინ დამიბრუნეს, როცა უკვე ახალი გავაკეთე. ეჰ, მარი, ყველაფერი ნაღდია, მაგრამ ერთი რალაც მაინც მაგრად მალიზიანებს — კოდს რომ კრებ და გიყურებენ ან კაბინაში რომ შეხვალ და ტევა აღარ არის. მოსაცდელი გეგონება. ნუ, მანქანის გამოყვანა კი არც მაინცდამაინც მიჭირს. ელისო“.

„უქასი“

„წინა ზამთარს, ბედობა დღეს, დილით, საშინელ „პახმელიაზე“, მეოთხე სართულიდან პირველზე ჩავდიოდი, დეიდასთან და ასე გამოვიყურებოდი: თმა საშინლად გაბურძგნილი მქონდა და ზედ წითელი, „კოკა-კოლის“ ქუდი მედო. თვალებზე შავი საღებავი

ზომიერად დალოკოლი
სასძელი ნეზისძიერი
მოდენობითი მისადგობა.



მქონდა გადღაბნილი, მალალქუსლინი ჩექმა მეცვა, შარვლის ცალი ტოტი ჩექმაში მქონდა ჩატანებული, მეორე — არა. ხელში ბალიში, ფენი, უთო და ჩანთა მეჭირა და ძლივს მივდიოდი. კიბეზე ვილაც ბიჭი ამოდოდა და გაკვირებული სიფათით მიყურებდა. მე უცებ ფეხი დამიციდა და კიბეზე დავეთხლაპე. მერე ძლივს ავდექი, ავკრიფე ჩემი ბარგი და წასვლას ვაპირებდი, რომ იმ ბიჭმა დამიძახა, მგონი ქუსლი მოგძვრაო და ჩემი ქუსლი მომანოდა. როცა ჩამოვედი და სარკეში ჩავიხედე, მაგრად ვიციხე ჩემს „ზმანზე“ და ახლაც ვერ ვხვდები, რატომ არ გაეცინა იმ ბიჭს ამ ყველაფერზე. გრიმსიკო“.

რევანში

„კურსზე ერთი ძალიან პოპულარული ბიჭი გვყავდა. ბევრი ისეთი თვისება ჰქონდა, რითიც თავს იწონებდა გოგონებთან. მისი უნარ-ჩვევები შევისწავლე, მერე თვალი გადავახვე იმას, თუ ამ უნარ-ჩვევებიდან რომელს ვფლობდი და დავინყე აქამდე ფარული თვისებების დახვეწა. მთელი ზაფხული „ვიმუშავე“ ჩემს თავზე. სექტემბერიც მოვიდა, ქეიფიც აიწია. დადგა დრო, მობლატავე ბიჭისთვის რევანში ამელო. სითამამისთვის ალკოჰოლის გარკვეული დოზა მივიღე და კედელზე ჩამოკიდებული ბაფთიანი გიტარა მოვიტხოვე (არ დაგავინყდეთ, უკვე IV კურსზე ვიყავი). სიმღერა ცეკვამ შეცვალა, ცეკვა — ლექსებმა, პიანინომ... პოპულარული ბიჭი თამაშგარე მდგომარეობაში დარჩა, მე კი გამარჯვება ვიხეიძე. მეორე დღეს ის ბიჭი უკან დამდეგდა და მეკითხებოდა, გიტარაზე დაკვრა იცოდი? სმენა თუ გქონდა, რად არ მითხარიო? და ა.შ. ერთ-ერთი დილეტანსი“.

გივიკო

„გაგანია სემესტრული გამოცდაა სკოლაში. სადღაც, X-XI კლასში ვარ. მთელი კლასი ვსხედვართ ერთ პატარა ოთახში და გული ისე მიცემს, მიმიქარავს ბებიაჩემის გაფუჭებული წნევის აპარატი. ჩემ წინ ერთი ვაისამოსანი და წყალწალეხული გივიკო იჯდა. დადგა მისი ჯერი. მასწავლებელი უკვე ისე იშმუშნება, ეტყობა, რომ გივიკოს აშკარად უმართლებს. — ბიჭო, ახლა კარგად მისმინე, — დაუწყო დამოძღვრადარიგების ლექცია, ყურებამდე გაბადრულ გივიკოს (ნეტავ, რა აცინებდა?), — ახლა უადვილეს კითხვას დაგისვამ, ძაან ადვილს, სუულ ადვილს. თუ შენ პასუხს მეტყვი (აქ უკვე მრავალმნიშვნელოვნად ჩაუკრა თვალი)... აბა, მითხარი, რომელია საქართველოს უმშვენიერესი, ულამაზესი, უბრწყინვალესი, უნიჭიერესი დედოფალი?“

გივიკომ გამოცარიელებული თვალებით შეხედა მასწავლებელს.

— ბიჭოოო, — უკვე ხელებით და ფეხებით ახსნაზე გადავიდა ამხელა კაცი, — მომისმინე კარგად, ერთიანი საქართველოს პირველი მეფე ქალი, რომელსაც უამრავი პოემა, ლექსი და ნარკვევი მიუძღვნეს...

— ნწუ, — ჭერისკენ ალაპრო მდუმარედ თვალები გივიკომ...

— ბიჭო, პირველი ქალი დედოფალი, პირველი, რომელიც წმინდანად შერაცხეს, — გადარიცა კაცი სიბრაზისგან.

— აუჰ, ვიცი მე მაგი, მასწ, — სიხარულისგან ყბა გაეხა გივიკოს. აღფრთოვანებულმა პოეტურად მოიღერა ყელი და ამაყად შესძახა — ქეთევან ნამებული, მასწ!

კაცს „სტოლბადა“ აკლდა და შუქნიშანი იქნებოდა, ხედგამოჭრილი. აფერადდა

შეურაცხყოფისგან და გამწარებულმა ამოიკნავლა:

— რა ქეთევანი, ბიჭო, თამარი იყო მაგი, შე წყალწალეხულო...

მერე გივიკომ თავი კი იმართლა, წმინდანად შერაცხული ქეთევანიც იყო და რა მექნა, აბაო...

ეეჰ, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! ამორ-ძალი მეგერა“.

ბებე და ბებო

„წარმოიდგინეთ ასეთი სიტუაცია: გურიის ერთ-ერთი „პრიკოლი“ სოფელი, სადაც ერთი კუსკუსა ბებია ცხოვრობს. ამ ბებოს თავისი ტელეფონის ზარად დაყენებული აქვს (რა თქმა უნდა, თავისი ონავრა შვილიშვილის გამოისობით) ბებეს „სიემპრე“. როგორც მოგეხსენებათ, ეს სიმღერა თავიდან ტექსტით იწყება. ჰოდა, ერთ მშვენიერ საღამოს ეს ბებუცი გომურში იყო და თავის ძროხუნიას წველიდა, როცა თავისმა სანაქებო ტელეფონმა დარეკა. არ დაგავინყდეთ, რომ ბებუცი ცოტა სმენასთან მწყრალადაა. ჰოდა, ეს გართმული სიტყვები ისე ჩაესმა, თითქოს ვილაც ჭიშკართან იძახდა. — აქანე შემოიხედე, გენაცვალე, — მიეხმატკბილა სტუმარს ბოსლიდან. ნუ, თავისთავად, ბებე ისევ აგრძელებს თავის წარწარი ვოკალის გამარიაუებას. ბებუცი კიდევ ერთხელ უხმობს თავის „სტუმარს“ — აქანე შემოდი, შემოგეველე, სტუმარი ღვთისაა... — მოკლედ, აქეთ ბებო უბერავს, იქით ბებე და რა სიმფონიური დიალოგი გაიმართებოდა, მაგის წარმოდგენა უკვე თქვენი ფანტაზიისთვის მომინდვია. :) ვინაიდან და რადგანაც ბებო არც სვანი გახლავთ და არც რაჭველი, უცებ გადახარშა ეშმაკის ფეხი შვილიშვილის ნაჩალიჩარი და კარგადაც მოხვდა ოინბაზს. ამორ-ძალი მეგერა“.

მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — უნებლიე შეცდომა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com „მოკლედ ჩართვის“ კითხვად გთავაზობთ — როგორი მინდა, რომ იყოს „გზავნილები“.



ჩვენს ჯეჟანაში აღაძინებთ 2
ჯეჟიას იყოიან — ვინც შოიოებს
ყლის და ვინც შოიოებს აგოიკებს.

საფეხბურთო ორთახრიანი ანუ ვინ ვის ასწავლის ღირსებას

11 ოქტომბერს ჩვენმა ფეხბურთელებმა საბერძნეთთან ითამაშეს ჩვენს მშობლიურ სტადიონზე. თუ ხალხს დაუფერებთ (ხალხი ბრძენია), ამჯერადაც ვერ ვნახეთ ისეთი ფეხბურთი, როგორც გვინდოდა; როგორ ფეხბურთსაც თბილისის „დინამო“ ადრე თამაშობდა ხოლმე, მაშინ, როცა მათზე ჰიში შეიქმნა — „დინამო“, „დინამო“, „დინამოოო“ ვიბრძოლოთ, ვიფრინოთ, ბიჭებოოოო! ფრენის რა მოგახსენოთ, მაგრამ კომპეტენტური ადამიანები (საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის ფანები) ამბობენ, რომ ჩვენი ფეხბურთელები (1-2 გამონაკლისის გარდა) ძლივს დაბაჯბაჯებენ მინდორზე და წყალზე მიმავალი ისვის ჭუჭყლებივით მიაქანავენ ერთ ადგილს. სხვანი ამბობენ, მონამლული ტარაკნებივით დაბორიალებენ, სულის განსატყვებელ ადგილს რომ დაეძებენ, ისეო... იმასაც ამბობენ, რომ საბერძნეთის კარში ის ერთადერთი გოლი ქართველებმა შემთხვევით გაიტანეს...



— სინანულით ჩაილაპარაკა კომენტატორმა. — სამწუხაროდ, მონინააღმდეგე გუნდის გულშემატკივრები მორალურად გაცილებით განონასწორებულები არიან და აშკარა უპირატესობა აქვთ. თუმცა, აგერ, გამოჩნდა მაღალი, დაკუნთული მამაკაცი. კუთხურიდან დასარტყმელად მოემზადა... დარტყმა! არის! ახლა კი ნამდვილად არის! ერთით ნული, მეგობრებო, ერთით ნული, ჩვენი გულშემატკივრების სასარგებლოდ! მონინააღმდეგე ყბაზე ხელს იკიდებს. ძლიერი დარტყმა იყო, ყოჩაღ!

— ეჰ, რას დგახართ? რატომ არ ჩხუბობთ? — აყვირდნენ ჩვენი ფეხბურთელები. — ჯერ ჩხუბი ისწავლე და სტადიონზე მერე მოდი!

— თფუ! ქვეყნის შემარცხვენლები ხართ, — გადააფურთხა მეკარემ, — ჯობია, სტადიონზე საერთოდ არ მოხვიდეთ, ვინც გულშემატკივრობა იცის, ის მოვიდეს, დაუთმეთ ადგილი ნიჭიერ ახალგაზრდებს! სამშობლოს შემარცხვენლები ხართ, ინვალიდები და არაფრის მაქნისები.

იმედგაცრუებულმა ფეხბურთელებმა ხელი ჩაიქნიეს და გასახდელისკენ წელმონყვეტილები წავიდნენ.

ტრიბუნებზე სიჩუმე ჩამონვა. გულშემატკივრებს შერცხვათ თავიანთი საქციელის. მიხვდნენ, რომ სხვა დროს, როდესაც კიდევ ერთხელ გავა ჩვენი გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, ფეხბურთელებს არაფრის მაქნისი რჩევები არ უნდა მისცენ და თუ გულშემატკივრობენ, მთელი გულით უგულშემატკივრონ. ●

მარი ჯაფარიძე

ერთი სიტყვით, ენას ძვალი არა აქვს და ხალხს ლაპარაკს ვერ დაუშლი, მაგრამ აბა, თქვენი თავი ჩვენი ფეხბურთელების ადგილზე წარმოიდგინეთ (რამდენი გადაინერს პირჯვარს — ღმერთმა დამიფაროსო?!)..

ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიის, იტალიის ან ესპანეთის გუნდს შეხვდებიან (ჩვენს სტადიონზე, რა თქმა უნდა), მერე ნახავთ, რა მოხდება! ჰოდა, თუ ოცნებაა, ოცნება იყოს!

ე.ი. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალია, მსაჯის სასტარტო სასტყენი, გამოდიან ფეხბურთელები მოედანზე და...

— ვინ ზის, ასე, რა ჯდომია? — ვილაცხას უყვირის მეკარე ტრიბუნაზე, — სად ისწავლე ასე ჯდომა? ბებიაჩემიც კი შენზე უკეთ დაჯდებოდა!

— სექტორი „ა“, თქვენი დედა! — დაიძახებს ცენტრფორვარდი, — მე დარტყმას ვაპირებ, ისინი კი სადღაც, უკანალში იყურებიან! დაბრმავდით? დაუსტვინეთ მაინც, ან დაიყვირეთ — ოლეეეე, ოლე, ოლე, ოლეეეე! გინდათ, კარს ავაცილო?

— ტალღას ასე ვინ აკეთებს? ვაი, თქვენს პატრონს! — ღრიალებს მარჯვენა მცველი, — აქეთ, აქეთ უნდა „გადალივლივდეთ“! მათხოვრებო, უვიცებო!

განაწყნებული გულშემატკივარი მოედნისკენ მიიწევს, სადაც გზას პოლიციის რაზმი უღობავს.

— ეჰ, რაღაც, ვერ აწყობ დღეს ხულიგნების საქმე, — კომენტარს აკეთებს კომენტატორი.

— ვინ გასწავლათ ბოთლის ასე სროლა? მარჯვენა ხელი მაღლა უნდა ასწიო და მთელი ძალით მოიქნო! დეგენერატი ხარ! — უყვირის ვილაცხას მსაჯი.

— ისევ არ უმართლებს გულშემატკივრებს, რაღა მაინცდამაინც პოლიციის რაზმისკენ წამოვიდნენ? — ნანობს კომენტატორი.

— შემოუარე, ბიჭო, შემოუარე, რას დამდგარხარ ბუჩქივით? — უყვირის გუნდის კაპიტანი ერთ-ერთ გულშემატკივარს, — ეჰ, არ იცი, შენ გულშემატკივრობა, ვინც შენ სტადიონზე შემოსასვლელი ბილეთი მოგყიდა, იმის დედაც!

გულშემატკივრები ერთმანეთს დაერივნენ.

— რას უყურებთ, ჩვენებს ურტყამენ! ეს წესების დარღვევაა! შეაჩერეთ გულშემატკივრობა, ცუცხლი გახსენით! — მოუწოდებს მსაჯი პოლიციელებს.

— საით ისვრი, საით, არ გრცხვენია? — დაიკვნესა ნახევარმცველმა. — კაცო, მონინააღმდეგის გულშემატკივრებს უნდა ესროლო! ისინი დროშის ტარებით არიან „შეიარაღებულნი“, ჩვენებს კი უბრალო ბოთლები და არმატურები აქვთ!

— მიდი! მიდი! — ამხნევენ ფეხბურთელები გულშემატკივრებს. — დარტყი, მიდი! ეჰ, ასე დარტყმა ვინ გასწავლა?


— ერთ-ერთმა გულშემატკივარმა მომგებიანი პოზიცია დაიკავა, დარტყმა! არის! არა, ააცილა...



მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

კ
ა
ლ
ე
ზ
ა
ც
ი



1. ვარ კარგი გარეგნობის, განათლებული, დასაქმებული, დღემდე გაუთხოვარი. გავიცნობ შესაფერის მამაკაცს, 44-50 წლამდე, ყველაფრით უზრუნველყოფილს, ვისაც სჭირდება ღირსეული მეუღლე.
2. ვარ 25 წლის, სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ, შეგნებულ ადამიანს.
3. ვარ 35/162/52, ლამაზი, სექსუალური გარეგნობის. გათხოვილი არ ვყოფილვარ. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ შესაფერისი ასაკის მქონე, ქუთაისში ან თბილისში მცხოვრებ მამაკაცს.
4. მინდა გავიცნო განათლებული მამაკაცი, რომელიც დამოუკიდებლად ცხოვრობს და სიყვარული აკლია. უნდა იყოს 35-40 წლამდე. ვარ დასავლეთიდან, 32 წლის.
5. გავიცნობ მამაკაცს, 30 წლამდე. ვარ 23 წლის, გამხდარი გოგო. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ.
6. სიამოვნებით გავიცნობ სუფთა, სიმპათიურ, უცოლო მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 38 წლის, მოსიყვარულე და მომხიბვლელი. ვისაც სურვილი გექნებათ, მომწერეთ. თეონა.
7. ვარ 33/174, მომხიბვლელი,

- სუფთა წარსულის მქონე, განათლებული მანდილოსანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 33-45 წლის მამაკაცს, რომელიც იქნება სამსახურით და ბინით უზრუნველყოფილი.
8. ვარ 37 წლის, სიმპათიური გოგო. ვცხოვრობ თბილისში, მაქვს ბინა და სამსახური. დაოჯახების მიზნით გავიცნობ სერიოზულ, დასაქმებულ მამაკაცს. ვარ მეგრელი. თამუნა მწარე.
9. ვარ 32 წლის, ქმარს გაშორებული, სიმპათიური. მყავს გოგონა. მინდა შევექმნა ოჯახი ისეთ სერიოზულ მამაკაცთან, ვინც იცის ოჯახისა და ქალის ფასი.
10. ვარ განქორწინებული, 21 წლის, სასიამოვნო გარეგნობის ქალი. მყავს ორი გოგონა. ოჯახის შექმნის მიზნით ვეძებ გამგებთან მამაკაცს, 30 წლამდე.
11. დავილაღე მარტოობით. მჭირდება სულიერი მეგობარი, რომელსაც ვენდობი და მეყვარება. ვარ 36 წლის, წესიერი, პატიოსანი გოგო.
12. ვარ 20 წლის, ლამაზი გარეგნობის გოგო. მინდა, გავიცნო ოჯახის შექმნის მიზნით, 22-დან 28 წლამდე ასაკის გაგებული ბიჭი.
13. ვარ შავგვრემანი გოგო, თავლისფერი თვალებით, მომხიბვლელი გამომეტყველებითა და სასიამოვნო გარეგნობით. მ. თამო.
14. გავიცნობ ყველაფრით უზრუნველყოფილ, ზნეუთილ მამაკაცს, 40-50 წლამდე, ვინც ეძებს ღირსეულ ცხოვრების თანამგზავრს. ვარ განათლებული, დასაქმე-

- ბული, კარგი გარეგნობის.
15. მაინტერესებს „გზა“ №41, მე-15 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.
16. ვარ ქვრივი ქალი, 50 წლის, ბინითა და ყველაფრით უზრუნველყოფილი. მესიჯს ნუ მომწერთ, გთხოვთ, დამირეკოთ.

მ
ე
ს
ი
ჯ
ი



17. ვარ 30/185/76, სლავური იერის მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30 წლამდე ასაკის, სლავური იერის მქონე, ქართულ ტრადიციებზე აღზრდილ მანდილოსანს, დასავლეთიდან. დიმა.
18. მინდა გავიცნო მე-4 მესიჯის ავტორი. გთხოვთ, ნომერი მომწეროთ.
19. ოჯახის შექმნის მიზნით მინდა გავიცნო 34 წლამდე ასაკის მანდილოსანი.
20. გავიცნობ 1988, 1987, 1985, 1984 წლის იანვარ-მაის-ივლის-ნოემბრის, 29, 30, 31, ან იმავე წლის თებერვალ-ივნის-აგვისტო-დეკემბრის 1, 2, 3, 4-ში დაბადებულ გოგოს. ქრისტიანი არ ვარ.
21. ვარ 30 წლის, უცოლო, ექიმი. ვმუშაობ მაღალი ანაზღაურებით. ვცხოვრობ ტრადიციული, სარწმუნოებრივი ცხოვრებით. ვეძებ ჭკვიან, გიშრისფერთვალებიან მანდილოსანს.
22. გავიცნობ 35 წლამდე ასაკის ქალბატონს. ვარ 40 წლის. გიგი.
23. მარი, მომეცი „გზა“ №40-ის მე-6 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.
24. ვარ 34 წლის, ცოლს გაშორებული, დამოუკიდელი მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ შიდა ქართლიდან პატიოსან, მორწმუნე, ქალიშვილ გოგოს, რომელსაც ხელისგულზე ვატარებ.
25. ვარ 30 წლის, სიმპათიური მამაკაცი, სამსახურით უზრუნველყოფილი.
26. ვარ 36 წლის, მაღალი, უკომპლექსო მამაკაცი. გავიცნობ მანდილოსანს, 40 წლამდე.
27. გთხოვთ, ჩემს ნომერს ნუ მისცემთ ისეთ გოგოს, რომელსაც გართობა უნდა. თუ მისცემთ, უნდა იყოს ბორჯომიდან, ხაშურიდან, ქარელიდან და გორიდან.
28. თუ სადმე შემორჩა სადა სილამაზის, პატიოსანი გოგო, გავიცნობ დაოჯახების მიზნით,

თუნდაც განათხოვარს. 25 წლამდე გოგონა გამომეხმაროს.


29. „გზა“ №41, მე-7 მესიჯის ავტორის ნომერი მაინტერესებს.

30. ვარ 36 წლის, ძალზე სიმპათიური, მომხიბვლელი გარეგნობისა და თვისებების მქონე მამაკაცი. გავიცნობ ანალოგიური გარეგნობისა და თვისების მქონე მანდილოსანს, 25 წლის ზევით.

31. ვარ 30/185/80, დასაოჯახებელი მამაკაცი. ვცხოვრობ კახეთში. დაოჯახების მიზნით გავიცნობ სიმპათიურ, თბილ, მეოჯახე, პატიოსან გოგოს. თუ დაინტერესდით, გამომეხმარეთ.

32. ვარ 36/172/77, სიმპათიური მამაკაცი. თბილისელი. ოჯახის შექმნის მიზნით ვეძებ კარგ, მეოჯახე და ერთგულ გოგოს, 25-დან 35 წლამდე. ვარ ცოლს გაცილებული, შვილი არ მყავს. გელი.

33. გთხოვთ დამაკავშიროთ „გზა“ №41-ის მე-4 მესიჯის გამომგზავნ ქალბატონთან. ვარ 44 წლის, მყავს 11 წლის ქალიშვილი. გმადლობთ.



34. გავიცნობ ბათუმელს, 33 წლისას.



35. სასწრაფოდ ვეძებ მათ საძაგლიშვილ-ჯიმიშვილს, რომელიც ამჟამად საბერძნეთშია. თუ ვინმე იცნობს, ვთხოვ, შეატყობინოს, რომ ვეძებ და დამირეკოს ან დამიმესიჯოს. მარი. (სახელი უთხარით და თვითონ მიხვდება).

36. ვეძებ მეგობრის დას, ირმა ცოცხალაშვილს, ბორჯომში. გთხოვ, გამომეხმარე. ნეტავ, თურქეთში იგზავნება ჟურნალი? იქნებ ნაიკითხო, ჩემო მაიკო და შენვე გამომეხმარო?



• ვახო ფეტვიანი ვილს: არ ვიცი რატომ, მა-

გრამ გელოდები. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მენატრები, არ ვიცი, რისთვის და რატომ მესიზმრები ან რისთვის გისაკუთრებ და სხვისთვის მენანები. ვახუნა ფეტვიანიშვილო, ძალიან გვიყვარხარ და გვენატრები. უშენობა ძალიან გვიჭირს. იმედი გვაქვს, მალე გნახავთ. შენი დები ხათო, ნატო, ეთო.

• მოვიკითხავ დიდი სიყვარულით და მონატრებით ჩემს საქართველოს, საქართველოში — კახეთს, კახეთში — ახმეტას, ახმეტაში — 300 არაგველის ქუჩას. ძალიან მენატრებით. ეთო.

• წმინდა გიორგის მადლი გფარავდეს, გლოცავდეს მუდამ დედა ქართლისა, გზას გინათებდეს ცხოვრების სავალს, შუქი კამკამა, წმინდა სანთლისა. ჩემს ძმას, ვახოს. ეთო.

• დაგაბოლეთ არა, რაა... ჩაგაკაიფეთ... ტატუსია, თემა იშოვე და დაამესიჯე? რა კარგად გამაქცინე! ხონელებო, რავა ხართ? მონატრეთ ძალიან. გუ-ათენი.

• მერე შენ დაჭყნები, ვით ია ლარნაკში, სალამოს წყალი რომ არ გამოუცვალეს, მოვლენ მეგობრები და დაგამშვიდებენ — ასე სცოდნიაო, სიყვარულს უცაბედს. ასე სცოდნიაო, შენ ყურს არ ათხოვებ, ჯანდაბას, ჭორები, ქალური, იყო დრო, მიყვარდა, იყო დრო, ვუყვარდი და თუნდაც ამისთვის ღირდა სიყვარული. ხომ კარგია? 20 წელია, ეს ლექსი ვიცი, მაგრამ ავტორის ვინაობა არ ვიცი. არადა, ჩემზეა ზედგამოჭრილი. კოტესი არ იყოს, თქვენ რას გერჩით, მეგობრებო, სატრფომ კარი მომიხურა... ისე, მეც არ ვიცი, რატომ. არა და როგორ მიყვარა... მარი, ძვირფასო, იქნებ ლექსის ავტორის ვინაობა გამიგოს ვინმემ? თიკუნი ჩემი? აფშინა დამიძახეთ.

• სულში ატირებულ იადონებს, ფრთებზე აწერიათ სიმართლევ, უკვე მემინია სიყვარულის, რადგან მიყვარდი და მიმატოვე... სენაკელ გიორგი ადანაიას, დადუსგან. მოლაღატე ხარ!

• ესეც ასევე! შორიდან გადევნებთ თვალს და ცოტა არ იყოს, განზილებული ვარ. ზუსტად 3 წლის წინ, ოქტომბრის ერთ მშვენიერ დღეს „გზავნილებში“ შევედგი ფეხი. არასდროს

• დამავინყდება ჩემი პირველი გზავნილის ნაკითხვით განცდილი სიხარული, არც სტიქიას მოძღვნილი ლექსი ნაიშლება ჩემი გულიდან. მაშინ არ იყო ჟურნალი ჟურნალში, არც „მობილი-ზაცია“ იყო გეგმაში. არც შური იყო,

არც ზიზლი და მაინც... ყველანი ძალიან მიყვარხართ. კამელია, ჩემი ფავორიტი ხარ! p.s. მარი-ამულო, უაზროდ

• მომენატრე. ვერ მიცანი, არა? ეს მე ვარ, ანარქია.

• ჩემო კარგო მგზავნელებო, დიდი მადლობა, მგზავნელების ნომინაციაში რომ დამასახელებე და რომ გახსოვართ. მიყვარხართ, თქვენ მე ცხოვრებას მილამაზებთ. გკოცნით და გეფერებით, როგორც ჩემს შვილებს. თქვენი გერასიმე.

• ჩემი ვაჟი სტრატეგიული დაგეგმარების უფროსია. მისი ხელფასი მე არ მინახავს, ვინაიდან ფულს სულ მე მართმევს. ახლა ვალი ას ლარამდე დაუგროვდა და რომ ვუთხარი, ვალი დამიბრუნე-თქო, იცი, რა მიპასუხა? — დედა, მსოფლიო საბანკო კრიზისია და არ გრცხვენია, ფულს რომ მთხოვო? გერასიმე.

• ახლა ჩემი მეუღლე განარებული უყურებს ფეხბურთს, მე კი „გზას“ ვამუშავებ. ახლა შევეკითხე, პუტინს რა კითხვას დაუსვამდი-თქო და პუტინს „ცხრასართულიანი“ გაუგზავნა და თან დაამატა — მარის უთხარი, შეკითხვებს ადამიანებს უსვამენ, პუტინი კი ადამიანი არ არისო. გერასიმე.

• ახლა 11-მეტრიანი რომ დაინიშნა, თითები გადავაჯვარედინე და ნავსი-თქო, შევძახე და მართლა არ მოიგერია ლომიამ? რა ეშველებათ, ჩვენს საცოდავ ფეხბურთელებს, ა? სულ მე ხომ არ ვეყოლები, რომ დავნავსო მონინაალმდევე? ეე, როდის ვნახავთ კარგ ფეხბურთს? გერასიმე.

• იცი, რომ მაგ მის რეალის მამიდამ ქვეყანა შეყარა, „გზაში“ საქმე ჩავანყეთო? შენ კიდევ, კარგი გოგოაო, იძახი. დაუჯერე ყველას, ჰო! გითხარი, ჩასაძაღლებელია-მეთქი.

• მარი, მის რეალი და მამიდამისი რალაც ცუდს გინყობენ. მარი ინფორმაციას გვანვდის, ყველასა და ყველაფერზეო, ამბობენ. იქნებ გაარკვიო, რა ხდება?

• ერთხელ რუსულის მასწავლებელს ქურთუკზე წარწერა მივაკარი — „ვინც საჯდომზე შემეხება, 20 თეთრს მივცემ“. ისე გაიარა სკოლის დერეფანი და ჩაჯდა „მარშრუტკაში“, კაციშვილმა არაფერი უთხრა. რომ მცოდნოდა, ომი დაინწყებოდა, უფრო კარგ რამეს დავანერდი, ოღონდ, ზედ შუბლზე. მართალია, რა დამიშავა იმ ქალმა, მაგრამ მაინც განსაკუთრებულად მეჯავრებოდა და ნელს ვე-

ლარ ვიძე შური. სამწუხაროდ, სკოლა უკვე დავაშთავრე. მაკრიკუნა.

• ლამით, მაშინ, როცა მხოლოდ მარტოსული ქარნი ქრიან/ მოგონებებს შევყვები, შენზე ფიქრნი მეძახიან/ გავისხენებ ნეტარებით იმ ბედნიერ, ლამაზ ნამებს/ უშენობა სულს მიშფოთებს, მონატრება გამანამებს/

• აი, უკვე მერამდენედ, მე ეულად ვათევ ლამეს/ ცრემლები კი უნებურად ასველებენ კარგო, თვალებს/ შენ გიძღვნიდი მთელ სამყაროს, მზეს, ვარსკლავებს, ლამაზ მთვარეს/ გულიც მხოლოდ შენთვის მინდა, შენთვის გავხსნი სულის კარებს/ ისიც ვიცი, ჩემზე ფიქრნი კვლავ აწყდებიან ნაპირებს/ შენ სინანული დაგტანჯავს, ცხარე ცრემლებით გატირებს/ შენს მწვანე თვალთაგან ნადენი ცრემლი, თითქოს ნიაღვრად მდინარეს ერთვის/ რატომ არ გინდა აღიარება, რომ შენი გული ისევ მე მეთრთის?/ გთხოვ, დასძლიო სიამაყე, ნუთუ არის ასე ძნელი/ საპასუხო ნაბიჯს კარგო, ახლა მხოლოდ შენგან ველი/ დავივინყოთ ძველი წყენა, კვლავ ჩავკიდოთ ერთურთს ხელი/ პირობას ვდებ, მე გავხდები ამ ღვთაებრივ გრძნობის მცველი. აპოლონი.

• გზას პარასკეობით ვყიდულობ ხოლმე, რომ შაბათ-კვირას ჩავუჯდე და გემრიელად წავიკითხო. მოვიდა ეს პარასკევიც. უახლოეს ჯიხურს მივადექი და... არ არის „გზა“! გათავდაო (პარასკევი და...). ამას მეორე ჯიხური მოჰყვა, მეორეს — მესამე და როგორც იქნა, ვიშოვე! ჩავყავი ცხვირი „გზავნილებში“ და... ნუ, მე მგონი ერთ-ერთი მგზავნელისგან ნიკი უნდა ვიჩუქო. :) მარი, მესიჯებს რატომ არ მიბეჭდავ? (ვხუმრობ) sweet-girl.

• ეეჰ! — ეს არის სიტყვა, რომელიც „გზავნილების“ წაკითხვის შემდეგ აღმოჩნდება. რატომ? იმიტომ, რომ ძალიან შეიცვალა „გზავნილი-იორკი“. სამწუხაროდ, ცუდისკენ (რაც მართალია, მართალია). უსამართლობა, შური, სიძულვილი... რატომ? რისთვის? მენატრება ის დრო, როცა სიხარულით ველოდი ხუთშაბათის დადგომას, სიხარულით ვკითხულობდი მესიჯებს. ახლა კი... მხოლოდ „დაგრუზულობას“ ვგრძნობ, ზოგიერთების მესიჯების წაკითხვის შემდეგ ეს კი ძალიან ცუდია. მარ, მაპატიე, მაგრამ ენიგმას რატომ დაუბეჭდე აგრესიული მესიჯები? აკი

არ დავბეჭდავ? საბედნიეროდ, არიან „გზაში“ ისეთი ადამიანები, ვისაც მეგობრობა შეუძლია და ზოგიერთების მსგავსად, „ვითომ მეგობრის“ ნიღაბს არ არიან ამოფარებული. მე ეს ადამიანები ძალიან მიყვარს და ვაფასებ მათ. სტოპ, სიძულვილი!!! P.S. ჰო, ვიცი მარ, რომ არ დამიბეჭდავ ამ მესიჯს, მაგრამ მაინც მოგწერე. ნონ სტოპ.

• გამეცანით ბავშვებო, მე ახალი ვარ და თქვენს გულებში მინდა ადგილი მოვიპოვო. იმედია, არ დამიწუნებთ. გკოცნით ყველას. მარი ჯაფარიძეს გაუმარჯოს!

• მარი, შენ გვთხოვე, გაგვეხარებინე ჩვენი „პოზიტიური პოზიციებით“ და რადგან ინ მარი ვერიტას ანუ ქართულად — „მარიშია სიმართლე“ და შენ ხარ ჩვენი მათთერ ეთ მაგისტრა ანუ „დედა და მასწავლებელი“, „იყავ ნება შენი“ და შენ და „გზავნილი-იორკს“ გიგზავნით სამშვიდობო ნოტას (გმირობაა თუ ლაჩრობა, თქვენ გადაწყვიტეთ) და მაგარი უსამართლობა იქნება, ამის დაბლოკვა. მე იმ უხილავი ძაფებით ვარ „გზავნილეთზე“ მიჯაჭვული, რასაც სიყვარული, მეგობრობა და მშვიდობა ჰქვია.

ლ-ანგრიტ მოგართმევთ სიყვარულს, თუ კი მსურველი იქნება, ი-ნტელექტი და ინტრიგა ერთად არ გაირითმება,

ო-ჯახის თავი მარია, თითები ჩვენ ვართ, ყველაო, რ-ომელიმე თითს თუ მოვჭრით, თანაბრად ეტკინებაო.

კ-ამათი სხვაა, ღვარძლი — სხვა, ერთმანეთს ცილს ნუ დაწნამებთ, ი-უდას ბილნი ხერხებით, ნურვინ მივალწვეთ სანადელს,

მ-ობოდიშება არავის ღირსებას არ ჩამოართმევს, ა-ზრებს სიავე ვაშოროთ, გული არ არის სანაგვე!

„გ-ზავნილი-იორკის“ ბავშვებო, ეს სადღეგრძელო თქვენია, ა-მაოდ არ მყვარებიხართ, ჯამს წვეთი არ შერჩენია!

რ-უდუნებით და ალერსით, წინაპრის სიბრძნეს გახსენებთ: ი-ს, რასაც მტრობა დაანგრევს, მას სიყვარული აშენებს!

ა-ხლებს, ძველებს და მომავლებს, სიკეთე გქონდეთ ამიერ, ა-მ ლექსით გლოცავთ ენიგმა, იცოცხლეთ მრავალჟამიერ!!!

• ჩემი მოფერება ძალიან ლამაზი ჩანახატი მინდა დავასრულო, რომელიც უკვე დაწერილი რომ არ იყოს, მე

დავწერდი:

ზღვის პირას, სველ ქვიშას მიუყვებოდა ხან ერთი, ხან ორი კაცის ნაკვალევი. კაცმა იკითხა — ვისი ნაკვალევია ეს, უფალო? — ეს შენ მიერ განვლილი გზაა! — კი, მაგრამ ეს მეორე ნაკვალევი ვისია? — ეს ჩემი ნაკვალევია, მე ხომ მთელი ცხოვრება შენ გვერდით ვიყავი.

— ეეჰ, და მაინც მიგიტოვებივარ, უფალო, ზოგჯერ სილას მარტო ჩემი ნაკვალევი მიჰყვება! — შენ ისევ ცდები, შვილო ჩემო! მარტო მიმავალი კვალი ჩემია, შენი ცხოვრების უმძიმეს წუთებში მე ხომ ხელში აყვანილი მიმყავდი... ჰოდა, უფალოს ვებარებოდეთ თითოეული ჩვენგანი! ამინ! თქვენი ენიგმა.

• აი, მესმის სამართალი, გადამრიე ქალო, მარი, ისე კობტად ლაპარაკობ, ტყუილი ჩანს კვლავ მართალი, როდის ერთხელ მოგწერე, რომ განძის მთხრელი ცუდია-თქო? თუმცა, ანტისიმპათია, მისკენ მართლა გულში მაქვსო. კარგად იცი, არც ენიგმა, მე რომ არ მიხსენებია, მაგრამ სკანდალი თუ გინდა, რაც გასურს ის გიკეთებია! თქვი, სალანძღავებს დავბლოკავ, თუმც მის რეალს სვრიან კვლავ ლაფში, მართლად ნათქვამი სიტყვები კი დამიტოვე ავდარში. რა მოხდა მერე? ავიტან, კვლავაც სიმართლეს გავიტან, არ მადარდებს, ვინ რას დაწერს, ვინც აზროვნებს, ის კი ხედავს, მის რეალზე ჭორაობა უსამართლოდ ბევრსა კერავს, თუმცა არის ღმერთი დიდი, მისი ძალაც არის წმინდა, თვალი ფართოდ გაახილეთ, „გზაში“ ცივა, წვიმს და წვიმდა!

• როგორ ცუდად ვარ, რომ იცოდეთ. ავტობუსში ვზივარ და ათენისკენ მივქეანები. შვიდი წელია, წასული ვარ, მაგრამ საქართველოს არაფერი მირჩენია. სამი თვე აქ ვიყავი, მივდივარ და გული აქ მრჩება, ცრემლი მახრჩობს. ნეტავ, კიდევ რამდენ ხანს მომიწევს ასე ტანჯვა? მომენატრება ყველაფერი, უზომოდ. ღმერთო, როგორ მომენატრება... და კიდევ ისიც მომენატრება, რომელსაც ერთი სიტყვაც არ ვუთხარი, ისე წამოვედი და გული მტკივა. ღმერთი გფარავდეს, საქართველოვ! მ.თ.

• მაარ, შენ მიშველი, თუ მიშველი. წინა „გზაში“ ვინმე ნიკოლი წერდა, 2 წლის ბავშვი მყავსო. მგზავნელებისგან მესიჯები მომივიდააა, მტრისას! არ

გვეგონა, შვილი თუ გყავდაო, ზოგმა — მეგობრად მიგიჩინედიო და რატომ გვიმალავდიო, გრუზინკას ჩემი პატარა დეიდაშვილის ფოტო გავუგზავნე და ჩემი შვილი ეგონა. ხალხო, ის მესიჯი მე არ მეკუთვნის, არც გათხოვილი ვარ, არც ბავშვი მყავს და გამოცდებიც წელს უნდა ჩავაბარო. მარი, შენი იმედი მაქვს, სადმე ჩააკვებ ეს მესიჯი, გემუდარები, თორემ დამერხაა... ნიკოლი.

• არც თემა ვიცი და არც ნომერი მახსოვს, მგონი სწორად ვამესიჯებ. ნუ, იმედი... ჯერ ერთი, კაი ხალხს პრივეტები, მერე ის, რომ გავიგე, ერთი ამბავია „გზაში“. ვინ ვის ეჩხუბება, უკვე გაუგებარიაო, ასეთი ამბავი მომივიდა. ყველაზე ცუდი კი „კუტოკებად“ ჩამოყალიბებაა, რაც აუცილებლად უნდა შეაჩეროთ. მახსოვს, ადრე, „გზავნილები“ ძალიან ლამაზი სამყარო იყო. მხოლოდ მოგონება შეიძლება. ცოტა არ იყოს, კი არა და, მაგრამ მენატრება ის პერიოდი. დრო გავიდა და ჩვენც გავიზარდეთ, მაგრამ რატომღაც ბევრიც დავიკარგეთ. მინდა მოვიკითხო ძველი მგზავნილები: შრამიანი ანგელოზი, სტიქია, შენირული, მგლის და, კანიბალკა, ზაზუნა22, მის13.07, ანარქია, ანი, პატარა დედა, ყველა ყველა, აბსოლუტურად ყველა! მენატრება ძველი დრო. გოცნით, გეხვევით და გივარდებით წელში. მონასტრის ბიჭი (პავლიკა). მარი, გაიხარე!

• ძალიან მომეწონა ფიქრის იდეა. სიამოვნებით ვიქნებოდით შენი რესპონდენტი. ძალიან ბევრ და თან საინტერესო რაღაცებს მოგიყვებოდი. გრუზინკას სურვილიც, იმედიც, ასრულდება და რა თქმა უნდა, ამასაც პირველი შენი გაიგებ. გთხოვ, არ მიმბლოკო. დიდი მადლობა ყველას, ვისაც ჩემი გაბედნიერება გაუხარდა. მარი, პირადად გაპატიუებ ჩემს ქორწილში. ძალიან გამახარებ. გოცნი... ლორელია.

• მგზავნილებო, უკვე ნერვებს მიშლით. რა პატარა ბავშვებივით იქცევით? განძის მაძიებელი და ენიგმა თუ ერთი და იგივეა, ამას რა სჯობს? მეორეკლასელ, შპიონ ბავშვებს ჰგავხართ, შურიან მახინჯებს. ასე არ შეიძლება. რამ გაგაბოროტათ, ქართველებო? ნუთუ ცხოვრებამ ჭკუა არ გასწავლათ? ვერ ეგუებით, სხვა რომ უფრო უყვართ და უფრო უკეთესები

რომ არიან. საცოდავო საქართველო! აი, ზოგი ქართველის სახე. scorpion girl.

• რამდენიმე დღის წინ მაგარი მგზავრობა მქონდა. ერთი გოგო გამეცნო და მკითხა, სად სწავლობო? რომ ვუთხარი, სასულიერო სემინარიაში, ფსიქოლოგიურზე-მეთქი, მითხრა — ააა, შენ დედალი მღვდელი უნდა გამოხვიდეო? პეპი.

• ახლა მაგარი მთვრალი გწერ, ამ მესიჯს მარი და გთხოვ, დამიბეჭდო. გუშინ ჩემს დას ვეჩხუბე იმიტომ, რომ ნერვები მომიშალა. რასაც ვერ ვიტან, ზუსტად იმას აკეთებს და მინდა, პატიება ვთხოვო. მაპატიე, მანანა, გთხოვ, კაი? გიო-955.

• არა სიკვდილა, ნამდვილად არ შემეცდარხარ. კობრა სულ თქვენ გვერდითაა, მაგრამ რად გინდა? ალბათ მარის ეშინია, ეს ვილაც კობრაა და არ დამშხამოსო. ბლოკს ბლოკზე ადებს ჩემს „საცოდავ“ მესიჯებს და საშუალო პატიმრობაში უშვებს. იქნებ თქვენი მემშვობით მაინც გამოუშვას ამნისტია ჩემს მესიჯებზე, თორემ აღარ ვიცი, რა ვქნა. თქვენი იმედი მაქვს. კობრა.

• ენიგმა, ძმა, უმაგრესი ბიჭი ხარ. ძალიან კარგად ჩანს, ვინ რას წარმოადგენს, საერთოდ. დიდი სიამოვნებით გაგიცნობდი, მაგრამ არ ვიცი, ეგ როგორ უნდა მოვხერხო. ლაშა.

• აქ რა ხდება? აქაურობა მაგთიჩათის პონტს მაგონებს, ოღონდ ერთი სხვაობაა — უხამსობები არ ურევია (ეს მარის დამსახურება მგონია, ფილტრავს, ნაღდად). ნუ ჭამთ ხალხო, ერთმანეთს! ქუთაისიდან, აგრესიონერა.

• რაკი უკან დახევა სიმბდალედ ჩამითვალეს, თუ ჩემი მლანძღველი და ჭორის პირველწყარო „გზით“ ბოდიშს არ მომიხდის, მისი ნაბოდვარიდან ქვას ქვაზე არ დავტოვებ. ენიგმა.

• ენიგმას მინდა ვუთხრა, რომ არავის მიაქციოს ყურადღება. ამ ადამიანებს შენი შურთ. ასე გააგრძელე. შენი ლექსები კი მაგარიიაა! გადარეული გურული.

• მარიამულ, რატომ ხარ ასეთი ტკბილი, თბილი, წმინდა და მიუწვდომელი? სიგიჟემდე მიყვარხარ! ელისო, შენ და შენი დახატული გიოც მაგრად მიყვარხარ! გოცნით, თქვენი კამელია.

• გრუზინკა, ჩემო ჟანგბადო, ვიყენებ რა შენ მიერ

მონიჭებულ უფლებას, გეტყვი: მე უფრო მეტად მიყვარხარ! დავბრუნდი, შენთან ვარ და არასოდეს მიგატოვებ! გოცნის შენი კამელია.

• გამადლობო, ჩემო თბილო იასამანო, მეც მაგრად მიყვარხარ და სულ მახსოვხარ! ბაო, დარჩი რა, გთხოვ, უშენოდ მოვიწყენ, სიხარულო! crazy girl, უღრმესი მადლობა! გოცნით, კამელია.

• ენიგმა, გამოაცე ძამიკო, შენ თავად ხარ კეთილშობილი და საოცარი ადამიანი. მე კი ერთი ჩვეულებრივი და ძალიან უბრალო გოგო ვარ. მიყვარხარ. უნიჭიერესი ხარ. კამელია.

• ფახუცანა, დაიკო, მაპატიე, მაშინ რომ ვერ შეგეხმინე. შენ და შენი პატარა მიყვარხართ! მ.მ.რ.ა.მ, რატომ გეზიზღებით? მე რომ მიყვარხარ? გოცნით ყველა მგზავნიელს. კამელია.

• პუკუ, მე პოპულარი მგზავნიელი ვარ და არ მივიჩნევ თავს საიმისოდ, რომ მის რეალისა და კახელოს გვერდით აღმოვჩნდე. მათზე 10 თავით მაღლა ვდგავარ. გრუზინკა.

• ashley pcd, განძის მაძიებელი და ენიგმა, მიკალქალთ. თქვენი გაცნობა მინდა. ჩემს ნომერს ვერ ითრევთ? აუ, ძალიან მინდა თქვენი გაცნობა, მართლა. scorpion girl.

• მარი, იცი, რაა? ამ გაცნობის მსურველებში ყველა აფერისტია. თუ ვინმეს გაცნობა მოვიწოდებ, ან ორი ნომერი აქვს, ან თავს ისულებებს, ვითომ არ დაუმესიჯებია.

• გამარჯობა, ყველანი მაგრები ხართ. მე ახალი ვარ და იმედი მაქვს, მიმიღებთ. „გზამ“ ცხოვრების მულამზე მომიყვანა. უთქვენობა მაგარი ლომკაა. გოცნით ყველას. დრაგო.

• კაი, მარ, sorry, მაგრამ ვერ გავიგე, რატომ წყდება მესიჯები. ზოგს ძან გრძელ მესიჯებს რომ უბეჭდავ? მენატრება „ის“. ვერ დავივიწყე, მაინც. ლამაზფეხება გოგო.

• გაგიმარჯოს სიკვდილა, მე კარგად ვარ და ძალიან მიხარია, რომ „გზავნილებში“ ახალი მეგობარი გამიჩნდა. გაიხარე, უამრავი მპუები.

• დათო (ბეგი) ბიჭიკაშვილს მინდა ვუთხრა, რომ ყველაზე კარგი ადამიანია, მთელ ქსნის ზონაში. ია.

• გამარჯობაი, ჩახუტებაი ჩემგან, მისამართითა — თქვენთან, ვაჟა ფშაველას ლექს-

თან, დასაცინია თქვენგან, მაგრამ მინდოდა მაგრად, მოფერებანი თქვენი... დოპინა.

- ენიგმა, უღრმესი მადლობა, ლამაზი სიტყვებისთვის. ნერტის, არ ველოდი, გმადლობთ. გრუზინკა, უნიკო მე ვარ. თქვენი და ლომუასნაირი ღირსებისა და აზროვნების მქონე ადამიანებით თუ გადავრჩებით, თორემ ნავიდა ახალგაზრდობა ხელიდან. ენიგმა, შენს გულში მიძინებულნი, უკონფლიქტო და ხალისიანი ჭაბუკი, განძის მაძიებელი გვენატრება. ტირიფი73.

- ეჰ, არ იქნა და არა, თქვენი გამოსწორება, ხალხო. მიდით, დაჭამეთ ერთმანეთი და მე ვისეირებ. აბა, თქვენ იცით, დახოცეთ ერთმანეთი. ქუთაისელებო, თქვენ რალა მოგდით? ლომუა.

- ლუნა და გრუზინკა, მიყვარხართ. კახას ბოდის უფხუდი. დასტამბო კი არა, ვაჟკაცი ხარ, მაპატიე. პარიუანკა, მაგნიკის წერით დავიტანჯე. მარი, მიყვარხარ. ეთო.

- 1 წელია, „გზას“ ვკითხულობ, მაგრამ პირველად ვამესიჯებ. ვარ 170/61. მაქვს შავი თმა, შავი თვალ-ნარბ-ნამწამი, თეთრი კანი. ვარ კეთილი. მიმიღებთ? მტრედნი8.

- ყველას მადლობა, კარგ ადამიანად რომ მიმიღეთ. ელისოს: პირველი ხარ, ვინც ასე იფიქრა ჩემზე და ვეცდები, გამოვსწორდე. მეგერას: სანთელზე ბოდის, დანარჩენი მისაღებია. გრუზინკა.

- ბავშვებო, უთქვენოდ ძალიან მიჭირს. კი ვთქვი, მივდივარ-თქვა, მაგრამ ვერ შეგელიეთ, რადგან უზომოდ მიყვარხართ. დღეს, სანამ სასწავლებელში წავედი, ისევ „გზა“ ვიყიდე. ედეღვანისი.

- ჰოდა, მინდა ჩემს უსაყვარლეს ადამიანებს ვუთხრა, რომ ვგიჟდები მათზე. მავნე, ნიკოლი, ვერმასტი — ჩემი 3 გადარეული უზომოდ მიყვარს! ვსო, წავედი. მეგი.

- **crazy girls:** როგორ ხარ, ლამაზო? **sweet girl,** შენც რატომ პასიურობ? **green girl,** ძალიან საყვარელი ხარ. გიო, პატარავ, ძალიან მიყვარხარ. გაკოცე. მომავალი ნათლია, ედეღვანისი.

- მარ, დიდი მადლობა, რომ ყველას დაანახვე ყველაზე დიდი სიყვარული და ყველაზე დიდი სიძულვილი, რომელიც ერთმანეთის მიმართ გვაქვს. იცი,

ქედს ვიხრი შენ წინაშე. სვეტა.

- მისი დუმილი, ჩემთვის იმედი, ამ გულს არ შევლის არ ითმენს, არა, მე ვლოცულობ და მისგან მოველი ან სიყვარული, ან მწარე — არა. მამუკა.

- მიგერა, მე და ენიგმამ გიცანით, ლიმონა, დაია. გაგვახარე შენი დაბრუნებით. იმედი, თეთრსა და შავს გაარჩევ, ახლა. ნერტის, არ გიცნობ, მაგრამ მიყვარხარ. გრუზინკა.

- მოგესალმებით, მგზავნელებო, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ წინა ნომერში შემოგიერთდით, როგორც „გზის“ ერთგულ მკითხველს, არ გამოშპარვია, ერთმანეთის მიმართ რა შეიცვალა თქვენს ურთიერთობაში. მარიმ წინა ნომერში ჯერჯერ მომნათლა, თუმცა მე უნიკოდ შემოგიერთდით. ალბათ აჯობებს, ჩემი ნიკის შერჩევა ისევ მარის მივანდო.

- მომენატრეთ და გული ატირდა... რა საყვარლები ხართ?! ოთხშაბათს კინალამ ლექტორმა გარეთ გამაგდო, რატომ იცინიო. მეცინებოდა და აბა, ხომ არ ვიტყვირებდი? მოუსვენარი ვარ. ცირა.

- ილინი კარგი გოგოა, მაგრამ არ ვუყვარვარ. :(ჰოო, რა მინდოდა, კიდე? უი, ნააზ, იუბილეს გილოცავ, ჩემო სიხარულოოოო, ვგიჟდები, შენზე და მეგიზე. :) მიყვარხართ. ნიკოლი.

- „თავს უფლებას ვაძლევ“ — ამ ამბის ავტორმა ჩემი თავი გამახსენა. მარი, ილოცე და ღმერთი დაგეხმარება მის დავინცებაში. ყველა მგზავნელს მოვიკითხავ. სოხუკა.

- ათენი23, უმაგრესად ვარ, ძამიკო. შენ? ვასასი, მიხარია, კარგად რომ ხარ და მანც, ყველაზე ცუდი სხვის უბედურებაზე აგებული ბედნიერებაა (მიხვდეს). **green girl.**

- დილეტანტო, ჩარიცხული ხარ ჩვენს რიგებში. :) ჩუპი, შე საყვარელო! :) რა ქალივით ვჩანვარ სურათში, არადა, ჯერ ისევ ბავშვი ვარ, კაკის რომ უყვარს, ისეთი. :(**green girl.**

- გამარჯობა მარი, გვიან ხომ არ განუხებ? მე ახალი ვარ და მიმიღებთ? სიამოვნებით გავიცნობდი აფხაზეთის პრინცესას. აბა ჰე, ჩაგიპაჩეთ. კუპრუმი.

- ლორე, სამწუხაროდ არ გიცნობ, მაგრამ ვიცი, კარგი ადამიანი ხარ და შენი ბედნიერება ძან გამიხარდა. გილოცავ! აბა, შენ იცი, არ დაივინყო „გზა“ და „გზავნილები“. აბეზარა.

- როგორ ხარ, მანაველო? სად დაიკარგე? მაგრად მომენატრე. შენთვის ნაცნობი და თან უცნობი. როგორ დაგიკავშირდე? მიცნობ, ბადიაურის სკოლაში ერთად ვსწავლობდით. ედეღვანისი.

- გამარჯობა, მარი, გამარჯობა, „გზის“ აქტიურო საზოგადოება. ძალიან მაგრები ხართ! კვირას არ ვტოვებ, „გზის“ გარეშე. მიმიღებთ თქვენს გულელებში? :) მეტრო.

- ამ გარდაქმნის პერიოდში ზოგი თანამდებობის პირი საკომისიო მალაზიაში ნაყიდი ნივთივითაა — დასვამენ ერთ კაბინეტში, ვერ ქაჩავს, გადასვამენ მეორეში — ვერც იქ; მესამეზე გადასვამენ — ვერც იქ ქაჩავს. მერე დერეფანში გამოაგდებენ, იქაც ყველას ფეხებში ებლანდება, გადასაგდებლად კი ვერ იმეტებენ. ჯეჯე.

- ბატონო გოგა, რომელ დაუნებზე წერ, გენაცვალე? მე პირადად არ მიმაჩნია თავი დაუნად. რომელ მგზავნელსაც ვიცნობ, ყველა მაგარი ადამიანია. შენ თუ ხარ, არ ვიცი. ეთო.

- სანზონაში, ბანკნომატის წინ იყო ძალიან გრძელი რიგი. ერთმა კაცმა, რომელიც ბოლოში იდგა, აუარა ყველას გვერდი და ურიგოდ წავიდა წინ. ერთმა კაცმა მიამახა, ურიგოდ რომ მიდიხარ, ვინა ხარ შენო? მან დაუძახა, მე კაიშაური ვარ, კაიშაური... პირველმა უთხრა — მე დედა მყავს აბაზაძე, მამა თუმანიშვილი და ახლა შენ იანგარიშე, რამდენი ვიქნებიო. იქ სიცილი ატყდა, ვილას ახსოვდა რიგი? ხალხს მუცელი ხელში ეჭირა. ერთი ქალი იცინოდა განსაკუთრებით გულიანად, ლამის ჩაბუჩრდა და ის ქალი მგონი ახლაც იცინის. ჯეჯე.

- ემა ტუხიაშვილის რუბრიკაზე — „ადამიანი“, თქვენი არ ვიცი და მე ვიტყვი. :(პატარა გიოს დავეხმაროთ, ბავშვებო, :(ის ხომ უბრალოდ, სითბოს ითხოვს. :(**green girl.**

- მოდით, ყველამ ვაპატიოთ ერთმანეთს. ამ ცხოვრებაში ხომ ერთხელ მოვდივართ, უცოდველი კი არავინაა. ჰოდა, გაუმარჯოს სიყვარულს! ნათათოს უყვარხართ. **green girl.**

- კამი, მე უფრო მიყვარხარ და თანაც, ძალიან, უზომოდ, უსაშველოდ... მიხარია, რადგან შენნაირი კეთილი ფერია მუდამ გვერდით მყავს, ჭირშიც და ლხინშიც. მიყვარხარ. ლუნა.

- სიტყვები არ მყოფნის,

მედიანილები

ჩემო ტკბილო და უთბილესო ადამიანებო. გრუზინკა, კამი, ენიგმა, მაესტრო, პარიუანკა, ნერტის, crazy girl, მიყვარხართ და მაგიტომ ვარ ტკბილი. ლუნა.

- მაესტრო გიუნა, მაგარი ადამიანი ხარ, გაფასებ. ულევ კოცნას გიგზავნი. ცირა, დიდი მადლობა. მიყვარხარ. ყველა, ვისაც გიცნობთ, ჩემი მარგალიტები ხართ. მიყვარხართ. ლუნა.

- ნინა „მობილი-ზაცია-ში“ მესიჯები გავგზავნე, მაგრამ დამაგვიანდა და ახლა, ერთი კვირის ნახტომით იქნება. ოლეგარიო, ძალიან კარგი ადამიანი ხარ, მაგრად გაფასებ. კამელია.

- კამელიას კანიბალკა და პავლიკა ძალიან ენატრება. მონარქის ძებნაში თვალები დაფლალა, ოქრო კაცმა, დავბრუნდებიო, რომ უთხრა, ეგეც ახსოვს. ილინი და მამაცი თოჯინა მაგრები არიან!

- შენს ლამაზ გულში ანგელოზს ვხედავ, მე შენი მსგავსი ვერ ვპოვე ვერსად, არ შეგვმინდეს არაფრის ქვეყნად, მე შენზე ჩუმად ვილოცებ, ღმერთთან. ენიგმას. ანუშკა.

- სულ ცინცხალი ახალი ვარ, თუმცა, თქვენი დიდი ხნის მკითხველი. :) იმედია, მიმიღებთ თქვენთან და მეგობრობის ხელს გამომიწვდით. :) გაკოცეთ ყველას. :) ანუშკა.

- sweet girl, ვასასი, გიუხიფათა, grazy girl, ცირა, აფხაზეთის პრინცესა, ტირიფო, ქუთაისელო ლიკა, 65200-ლინა, მზე და მთვარე ნურასოდეს ჩაგიქრებათ. ნიკოლს ვთანხმები. ენიგმა.

- პარიუანკა, გრუზინკა, კამელია, ლუნა, მაესტრო, ელისო, ნერტის, თქვენი არსებობით სამყაროს ალამაზებთ და მე რომ ჯიგარი ამითრთოლეთ, არ მიკვირს. ნოსტალგია, არ გიცნობ. ენიგმა.

- ქეთი, ეგ სარეცხის მანქანა არ ჩაირთვება, სანამ ნუგო, ჩვენ რომ ვიცით, იმას არ იკისრებს. ნინი, უკვე მომენტრე. ლა პლობლემაა. ეთო დეიდაც მენატრება, ჩემი მარიკუნა. ეთო.

- გრუზინკას, ლუნას, პარიუანკას, ელისოს, მაესტროს, ენიგმას, გიუხიფათას, უდიდესი მადლობა! ჩემთვის თქვენს ნომინაციებში მოხსენიება დიდი პატივია. გკოცნით, თქვენი კამელია.

- ეს რა წავიკითხე? გაცობისა და სიხარულისგან ენა ჩამივარდა. თუ მამწევდით, ისიც არ მეგონა, მგზავნელებო. თავად ხართ კარგები. გმადლობთ. კა-

მელიას ძალიან უყვარხართ.

- ჩემი ქალ-გმირი ხარ, მარიამულ, იცი, კამელიას რა მაგრად უყვარხარ? ჩემი გულიდან ისეთ სიყვარულსა და სიტბოს გამოვგზავნი, მარ, ეს ზამთარი „უკარმოდ“ რომ გაგატანინოს.

- ნერტის, შენ რა, გინდა თქვა, რომ თავის მოკვლაში ნუგემს ხედავ? მის რეალ, გულს მწყვეტ. :(მე მჯერა შენი და გულის ფანცქალით გელი. :-) ფელამუშ, გაიხარე. სიკვდილა.

- მალო, როდის შემოგვიერთდები? მცხეთობას გილოცავთ ყველას, ცოტა დამტკბარიყავით. :-) ქრიჭინ, ქალობა, აუ, რა დავთვერიი?! ისევ უშენოდ, როდის მოვსხდეთ ჩვევენ? :-) სიკვდილა.

- ჩემო ბენდუ, შენი მადლობელი ვარ! მიყვარხარ, თბილო ადამიანო! ნუ მოინწყნო, ნურც შენ, ნურც მთვარე და ზღვა. მე სულ თქვენთან ვარ. სამივე მიყვარხართ. მის მსოფლიოს პატენტი.

- ფინტიკოზა, კარდიოლოგო და პარიუანკავ, უნიკალურები ხართ და ძალიან მიყვარხართ. მაგრად გაფასებთ. გრუზინკა და ლუნა. რას მერჩით, ასე რატომ შემეყვარეთ თავი? კამელია.

- მარი, გთხოვ, დამიბეჭდე ეს მესიჯი, კარგი? ტელეარხმა „დისქავერიმ“ ერთ-ერთ გადაცემაში აჩვენა ამერიკელი მათხოვარი, რომელიც იჯდა ყულაბით ხელში და მღეროდა.

- სალამი ყველას. როგორ ხართ, სიხარულებო? ახალი არ გეგონოთ „გზავნილეთში“. პირიქით, ძველი ვარ, თანაც — ერთგული მკითხველი. ჩემო კარგებო, არ მოგებზრდათ ერთმანეთის ლანძღვა? მერწმუნეთ, უმჯობესია, გავუფრთხილდეთ და უფრო მეტად შევიყვაროთ ერთმანეთი. ეს ცხოვრება ხომ ისედაც რთულია. ჩემო მარორიტა, ძალიან მიყვარხარ და გაფასებ. გთხოვ, დაბლოკე ის მესიჯები, რომლებიც გულს გვტკენს. ვფიქრობ, სხვა დროს არ გამოგზავნიან ერთმანეთის სალანძღავ სიტყვებს. ასე უფრო დამშვიდდებიან, თორემ „გზა“ დაემსგავსა პოლიგონს, სადაც გამუდმებით იბრძვიან. ყველანი კარგები ხართ და მიყვარხართ. განსაკუთრებით — მეგრელები. იდუმალი ქალი.

- გენაცვალე, გოგა, იქნებ ახლა მაინც შეიგნოს მის რეალმა, რომ ლექსის აზრზე არაა.

ზოგიერთი მგზავნელი გულს მირევს. გულელები ჩაიხედეთ. ლამაზფეხება.

- ვიცი, რომ მართალი ვარ, ზური, კბენა-ღრენის მეტს არაფერს აკეთებენ. მაინტერესებს, პირველი ვინ ვის შეახრამუნებს. სიძულვილმა დაისადგურა აქ. ეჰ... დუჩი.

- პარიუანკა, გმადლობთ, ჩემო კარგო, ასეთი შეფასებისტვის. გრუზინკა, საყვარელო გოგო, არ ვარ უპასუხისმგებლო. ხურჩაში ვიყავი და ვერ მოგწერე. ფიქრი, 35 წლის ვარ. ბოხო.

- ძალიან მაგრად მიტყდება, ზოგიერთი ისეთი რომ არ აღმოჩნდა, როგორც მეგონა. მოიხსენით ნიღბები, იყავით ის, ვინც ხართ! ჰე, ჰე! გიყვარდეთ ერთმანეთი, „გზავნელებოო“! დუჩი.

- გამარჯობა, როგორ ხართ, ბავშვებო, ისევ ჩხუბობთ? კაკუ, სად იკარგები ხოლმე? ლუსი.

- აი, ეს მამეწონაა! ჩიბტიკოპიანი დილეთანტი! ჯიგროსანი ხაარ... მის რეალი წავიდა „გზიდან“ და მაინტერესებს, ახლა ვის შეუღრენს ზოგიერთი? მის რეალ, მიყვარხარ! დუჩი.



- ჩემი სიცოცხლე, გახარება და ჩახუტება გოგო ვინ არის? შენ, პარიუანკა, სიყვარულო! ნათ, მიყვარხარ ძლიერ! გაკოცე, კუდრაჭავ. შენი ბიჭი.

- მინდა, ჩემს მეუღლეს, გია გოგონიას მივანვდინო ხმა და ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს და განვიცდი მის დაპატიმრებას. გი, ჩვენ იანვარში გვეყოლება პატარა. ღმერთს ვთხოვ, რომ მაგ დრომდე შენი გათავისუფლება შევძლოთ. მე და „ბაჭყატიუნას“ ძალიან გვაკლიხარ. გკოცნი. ლია გოგონია.

- აკო დანიელიძე, სიგიჟემდე მიყვარხარ და მენატრები. გაკოცე ბევრი, ანგელოზოო! შენი წინაყა. :)

- აკო, მიყვარხარ სიგიჟემდე, პანი, :) შენი თავო.

- ვეხმაურები დათოს. სიხარულო, მიყვარხარ ძალიან. მართალია, შენი ოჯახი გაქვს,

მაგრამ მაინც ძალიან მიყვარხარ. გთხოვ, მომეცი შენთან ყოფნის საშუალება. ნანა.


• ირინა ხიზანიშვილს: ტელემედის „ქრონიკის“ წამყვანს, შევადარებდი მე ძვირფას ალმასს, შემიყვარდა და ამასაც გეტყვით, მე დაფუძვნივ უთუოდ, ამას.

• სურამელო თემო მაისურაძე, ძალიან მენატრები. უშენოდ ცუდად ვარ. შემეხშიანე. ნუთუ, შენ არ გენატრები? ქეთი.

• რუსთავის 1-ელ კოლონიაში მოვიკითხავ ჩემს სიცოცხლეს. გოგა, ჩემო სანატრელო, მიყვარხარ და მენატრები. გისურვებ მოულოდნელ თავისუფლებას. გკოცნი ბევრს. იდუმალი ქალი.

• დიდი სიყვარულითა და მონატრებით მოვიკითხავ ჩემს სიცოცხლეს, ჩემი ოცნების მამაკაცს, ჩემი ცხოვრების აზრს. გოგა, ჩემო ერთადერთო, მიყვარხარ და მინდა, ჩაგეხუტო გულში. უშენოდ ჩემი ცხოვრება უაზრობაა. გთხოვ, მალე დამიბრუნდი. მთელი არსებით მიყვარხარ და მინდისხარ. ჩემი ბიჭი მომიკითხე. გკოცნი გულში. იდუმალი ქალი.

ბ
ი
ლ
ს
ა
ვ



• ლიკა ქაჯაიას და ნუკრი ლელაძეს ვულოცავ ქალიშვილის, პატარა ლიზის შექენას. ეთო.

• 19 ოქტომბერს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს ლამაზ მაიკო მალლაფერიძეს. ღმერთი იყოს შენი მფარველი, სიხარულო. შენი პავლო.

• მადონა ოსაძე-ლაფერაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, დედათილ-მამამთილი ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და კარგად ყოფნას, ქმარ-შვილთან ერთად. დაგვიკოცნე ოთიკო. ოთარი და გიული.

• ათენში კობა ხარაბაძეს ვულოცავთ შვილიშვილის, პატარა კობას დაბადებას. ბედნიერი მამა და ბაბუა გვენახე მუდამ. მზია და ძაკო.

• ვანში, ლანა და გურამ ხარაბაძეს ვულოცავთ პატარა კობას დაბადებას. გამრავლდით

და გაიხარეთ, მამიდა. მზია და ძაკო.

• ქუთაისში, პატარა მარი ლეთოდიანს ვულოცავ 15 ოქტომბერს, დაბადების დღეს. ჯანმრთელობას და ყოველივე კარგს გისურვებ. გფარავდეს უფალი. დარეჯან ცხვედიანი.

• ლორელაი, ჩემო მზესავით თბილო და ტკბილო გოგო, გაბედნიერებას გილოცავ მთელი გულით. საუკუნო სიხარული არ მოგშლოდეს, შენს გამართან ერთად! მიყვარხარ. კამელია.

• პატარა აბეზარას და კახელონ16-ს ვულოცავ, დიდი სიყვარულით, იუბილეს. 13-07, გაბედნიერებას გილოცავ! პარიჟანკას სიყვარულის პოვნას და დაბრუნებას ვულოცავ! კამელია.

• 22 ოქტომბერს, ჩემს უსაყვარლეს შვილიშვილს მინდა მივულოცო დაბადების დღე. ზურიკელა შარაშიძე, მინდა იყო ბედნიერი და ჯანმრთელი. ბებო.

• გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ სიყვარულს ბევრს და მაინც გისურვებ ერთს, უზომოდ უყვარდე ღმერთს. შალვა ბენაშვილს ვულოცავ 25 წლის იუბილეს. შენი დაიკო, ესმა.

• თიყვა მესხს დაბადების დღეს ულოცავენ მომღერალი ბუღბუღები... ვა, ჰეე... შემოსულა შემოდგომა, გიორგობის თვეო... ლალე!

• ჩემს ცხოვრებას, კაკუს, დაბადების დღეს ვულოცავ! დიდი გოგო გაიზარდე, დედი, და სასახელოც. თან, არასდროს დაივიწყო, რომ უზომოდ მიყვარხარ. გკოცნი, შენი დედა, ბაო-ბაო. ვსო, ნავედი.

• ვულოცავ ჩემს საყვარელ ადამიანს, ნინო გელაძეს, დაბადების დღეს. ვუსურვებ თავისი მიზნების ასრულებას. ყოფილიყოს, როგორიც ახლაა, სუფთა და წმინდა.

• ჩემს გრუზინკას, ჩემს კეთილ, სითბოთი და სიყვარულით სავსე, ცეცხლოვანი გულის მქონე გოგონას, 23 ოქტომბერს იუბილეს ვულოცავ! კამელია გააგიჟა შენმა სიყვარულმა.

• შალვა ბენაშვილო, 10 ოქტომბერს გილოცავ 25 წლის იუბილეს. გისურვებ ბედნიერებას და სიყვარულს, მანჩოსთან ერთად. ძალიან მიყვარხარ. ქეთი, ნანიკო, ესმა და დათა.

• საყვარელო ნესტან, გილოცავ დაბადების დღეს. მენატრები ძალიან. შენი ნუკრი ოქროსქედი.

ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.



ახუმცრიოცეხბრს უცხახური დოტეხბრ

1. ინტერნეტი

თუ ადამიანებს შუძლიათ, გაყიდონ მთვარეზე ნაკვეთი, რატომ არ შეიძლება ინტერნეტის გაყიდვა? დაახლოებით ასე მსჯელობდა ანონიმური გამყიდველი, რომელმაც გასაყიდად მთელი ქსელი გამოიტანა. მისი სასტარტო ფასი 1 მილიონი დოლარი იყო. ეს საუკუნის გარიგებად იქნებოდა აღიარებული და თუ ვინმე ანკესს ნამოეგებოდა, ლოტს იყიდდა.

2. უცხოპლანეტელების აქტიურობის დეგექტორი

ამ უცხახური მოწყობილობის პროტოტიპი ბრაზილიაში შექმნეს. როგორც მწარმოებლები ირწმუნებოდნენ, ეს გაუმჯობესებული და გადაკეთებული მაგნიტომეტრი იყო, რომელიც მფრინავი ობიექტების აქტიურობას განსაზღვრავს და მისი ვარგისიანობა მაშინ დამტკიცდა, როდესაც უცხოპლანეტელები სან-პაულუს ცენტრში გამოჩნდნენ. ლოტის გასაყიდი ფასი 135 დოლარი იყო.

3. სიცოცხლის აზრი

ვილაცამ როგორც იქნა, მოძებნა სიცოცხლის აზრი და ჩვენს გასახარად, აუქციონზე გამოიტანა. როგორც აღმოჩნდა, სიცოცხლის აზრით ფულს ვერ იშოვი... ლოტი სულ რაღაც 3 დოლარად გაიყიდა.

4. რუსული კოსმოსური ხომალდის საგესტო მოდელი

ეს უჩვეულო ლოტი ერთ-ერთმა რუსულმა კომპანიამ გამოიტანა. მისი სასტარტო ფასი 2 მილიონი დოლარი იყო. თუმცა, ეს ფასი მალე „ბურუსით მოცული“ ფრაზით — „იაფად“ — შეცვალეს. უცნობია, რა თანხა უნდოდათ გამყიდველებს, მაგრამ ცნობილია, რომ მაქსიმალურმა თანხამ 25.200 დოლარს მიაღწია. თუმცა, პოტენციურ მყიდველებს ადგილზე მიტანის ფასი უფრო აფრთხობდა — 5 ათასი დოლარი.

5. ვამპირებზე დამწყები მონღირისთვის განკუთვნილი ნაკრები

ყველა მონადირეს მოეწონებოდა ეს ნაკრები: არბალეტი და ვერცხლისზროიანი ისრები, ქირურგიული ინსტრუმენტები და ნაკურთხი წყლით სავსე ბოთლი. ყველა საგანი ყუთში იდო, რომელიც მთლიანი ხისგან იყო გამოკვეთილი. საბოლოო ფასი: 4.550 დოლარი.

6. გამომშრალი თავი

ყვადორის ჯუნგლებიდან პირდაპირ აუქციონზე მოხვდა ადამიანის 26, გამომშრალი თავი. ამ ლოტისთვის ყველაზე დიდი შეთავაზება 25 დოლარი იყო.

7. მოჩვენება ბოთლში

ამ ლოტის ამბავი იდუმალეებითა და რომანტიკის



ბურუსითაა მოცული. ლოტის გამყიდველმა მინის თხრის დროს ხის ყუთი იპოვა. მასში 2 შუშის ბოთლი და დღიური აღმოაჩინა. ერთი ბოთლი შემთხვევით გატყდა, რის შედეგადაც მპოვნელი შავ კვამლში გაეხვია. მეორე ბოთლი და დღიური შინ წაიღო. ამის შემდეგ ამ ადამიანს თან სდევდა რაღაც, რასაც თავად „შავ ქმნილებას“ უწოდებდა.

მეორე ბოთლის თავიდან მოსაშორებლად აუქციონს მიმართა. ვაჭრობის მონაწილეებს ეს ამბავი ისე მოეწონათ, რომ ბოთლის ფასმა 90 მილიონამდე აიწია. უცნობია, გაიყიდა თუ არა ლოტი და რა ბედი ეწია მყიდველს.

8. რაკეტა „ფალკონი“

აუქციონზე გაიტანეს ნამდვილი რაკეტა, რომელიც საბრძოლო მდგომარეობაში არ იყო. მისმა ფასმა 3.950 დოლარი შეადგინა.

9. სერიული მკვლელის ფრჩხილები

1979 წელს ლოურენს ბიტეიკერმა და როი ნორისმა 5 ადამიანი მოკლეს. 2007 წელს, აუქციონზე ერთ-ერთი მათგანის ფრჩხილები 9 დოლარად გაიყიდა. ფრჩხილები მიწებებული იყო საშობაო ბარათზე, რომელსაც ხელს ნორისი აწერდა. ამავე კონვერტზე მისი თითის ანაბეჭდიც იყო აღბეჭდილი.

10. გილო — „სენით დამარცხებული სიცოცხლე“

ნახატზე მამაკაცის დაღვრემილი, სევდიანი სახეა გამოსახული, რომელსაც „პაროლდი“ ჰქვია. ცნობილია, რომ 2001 წელს მას ტვინის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. როდესაც მიხვდა, რომ „სკლეროზიან“ ცოლზე ზრუნვას ვეღარ შეძლებდა, საფეთქელზე ორლულიანი თოფი მიაღო და ჩახმასხს თითი გამოჰკრა. შემდეგ თავიც მოიკლა. სახლი, სადაც მკვლელობა და თვითმკვლელობა მოხდა, გაიყიდა. ახალმა პატრონებმა რაც ნახატი აღმოაჩინეს, მას მერე სახლში უცხახური მოვლენები არ წყდებოდა. ამ ტილოს დანახვისას ძალღიჯ კი ყმუილს იწყებდა. ამიტომ, „პაროლდი“ აუქციონზე „ნააბრძანეს“.

ეს სურათი აქვთ ჩაყვას, ვერმანელებს და სსიპ-ს?

ერთმანეთს საიათნოვას ქუჩაზე „გაქართველებული“ გერმანელი მხატვრის, პანს ჰაინერ ბურის სახელოსნოში შექმნილი კარგა ხანია, მასთან მეგობრობს და მოუხედავად იმისა, რომ საკუთარი სახელოსნოც აქვს, მაინც იქ არჩია საუბარი. თურმე, იმ სახელოსნოში ხანდახან ერთადაც მუშაობენ და საერთოდაც ერთმანეთს კარგად უგებენ. მითხრა, — მხატვრობაზე მეტად სულიერი მეგობრობა გვაკავშირებსო.

ორმა ხარშილაქი

ნუგზარ ნათენაძე, მხატვარი:

— ჯავახეთში, ახალქალაქის რაიონის სოფელ გოგაშენში ვცხოვრობდი. ხატვა ძალიან მიყვარდა და ვხატავდი კარვის ნაჭრებზეც კი, არა იმიტომ, რომ ქალაქი არ მქონდა, ასე უკეთესი ნახატი გამოდიოდა. რამდენჯერმე ვცაღე თბილისში მხატვრებთან დაკავშირება და ბოლოს და ბოლოს, მოვახერხე კიდეც. ცოტა ხანს სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობდი; გია ბულაძესაც ძალიან მოსწონდა ჩემი ნამუშევრები, რამდენიმე გამოფენაც მოვაწყვე... ბევრ მხატვართან ვურთიერთობ და დავასკვნი, რომ ძნელია, დაპყრობილ ქვეყანაში თავისუფალი ადამიანები განვითარდნენ, საქართველო ხომ 200 წელი რუსეთის კოლონია იყო. საუკუნე მაინც უნდა გავიდეს, თაობები შეიცვალოს, რომ ჩვენს ქვეყანაში თავისუფალი სულია და აზროვნების ადამიანები გაიზარდონ. შესაბამისად, ძნელია, ასეთ ქვეყანაში ხელოვნების, კონკრეტულად, თუნდაც, მხატვრობის განვითარება. ხშირად ჩივიან მხატვრები, ნახატები არ გვეყიდებაო. არც გაიყიდება და კარგა ხანს ვიქნებით ამ დღეში. აი, ჩემი მეგობარი ჰაინერი კი სხვა ცივილიზაციის ადამიანია...

პანს ჰაინერ ბური:

— გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვცხოვრობდი, მეც სოციალიზმისა და კომუნისმის ეპოქის შვილი ვარ. პიონერიც ვიყავი და ორგანიზაცია „გერმანიის თავისუფალი ახალგაზრდების“ წევრიც. დასავლეთშიც გვექონდა საბჭოთა კავშირისეული იდეოლოგია, თუმცა იქაურმა მოქალაქეებმა თავი დააღწიეს მას. სამწუხაროდ, საქართველოში კომუნისტური იდეოლოგია არ აღმოფხვრილა და 100 პროცენტით მისგან დახსნა დღეს შეუძლებელია. თუმცა იმდენად მაინც უნდა გავთავისუფლდეთ, რომ ხელოვნებაში დიქტატურა აღარ არსებობდეს. მხატვარი თვითონ უნდა განვითარდეს, საამისოდ კი ბილიკბილიკ იარაღს, რომ თავისი შემოქმედებითი გზა იპოვოს.

— თქვენც ასე ბილიკბილიკ სიარულით მოხვდით საქართველოში?

— შემთხვევით მოხვდი. განათლების სამინისტროს მონვევა მივიღე — სამუშაოს მთავაზობდნენ რუსთავეში. ვიფიქრე, ერთი წლით წავალ, ბედს ვცდი-მეთქი და როგორც ხედავთ, დავრჩი კიდეც. საქართველოში გერმანული ენის მასწავლებლად ჩამოვედი და სხვათა შორის, დღესაც ვასწავლი. ეს ჩემთვის შემოსავლის წყაროა; აბა, აქ მართო მხატვრობით თავს ვერ ირჩენ — ოჯახი მყავს — მეუღლე, სხვათა შორის, ქართველი, გვარად



სამხარაძე, საჩხერიდან და სამი შვილი. მათ რჩენა ხომ უნდათ! ისე, საოცარია, არა, ცხოვრება? — ადამიანი ბერლინიდან ჩამოფის თბილისში, აქ ჯავახეთის სოფელ გოგაშენიდან ჩამოსულ კაცს სვდება და უმეგობრდება...

— ჯავახეთს უკვე სტუმრობდით?

— ჯერჯერობით ვერ მოვახერხე წასვლა, თუმცა ვიმედოვნებ, მალე წავალ. მე და ნუგზარი ხშირად ერთადაც ვხატავთ და ერთმანეთისგან ბევრ რამეს ვსწავლობთ. მე გაცილებით სწრაფად ვმუშაობ, ის კი ხატავს, ხატავს და ზოგიერთი ნახატი დღესაც დაუსრულებელი აქვს; გზადაგზა სულ ცვლის დეტალებს. მისგან სწორედ ამის სწავლას ვცდილობ, რომ მაშინვე არ „გადავწყვიტო ბედი“ ჩემს ნამუშევარს და არ ვთქვა, რომ ნახატი დასრულებულია. ნუგზარი კი პირიქით, ჩემს მეთოდს „ამუშავებს“ (იცინის).

ნუგზარი:

— ზოგიერთი ნახატი უცებ იხატება, მაგრამ ზოგიერთს დიდხანს სჭირდება დამუშავება. მაგალითად, ვერ წარმოიდგენთ, რამდენჯერ ვცაღე ჰაინერის პორტრეტის დახატვა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მიწა, ის ძალა გადმოვცე, რაც ამ კაცშია,

პანს ჰაინერ ბური და ნუგზარ ნათენაძე



მაგრამ სრულყოფილებას მაინც ვერ მივალნი. მისი შვილები კი დავხატე.

ჰაინერი:

— მე ჩემს შვილებს ძალიან კარგად ვიცნობ, ყოველ ნუთს ვხედავ და მათი დახატვა მიძინებდა, ამიტომაც ეს ნუგზარს ვთხოვე. მაინტერესებდა სხვა ადამიანის თვალთ დანახული ჩემი შვილები და საინტერესო შედეგი მივიღე. ძალიან მომწონს ეს ნახატები. 200 წლის შემდეგ არავის ეცოდინება, ვინ არიან მასზე გამოსახულნი. ადამიანები მხოლოდ ნამუშევარს შეაფასებენ და თუ მოიწონებენ, შენც გაგისვენებენ, თუ არა და, დაგივიწყებენ. 6-7 წელიწადია, ნუგზარს ვიცნობ, მის შემოქმედებას ვაკვირდები და ვატყობ, რომ ძალიან განვითარდა. მას მხატვრობის ისეთი სიყვარული აქვს, იშვიათად თუ მიგრძნია არა მარტო აქ, არამედ გერმანიაშიც. მისი სიყვარული გულიდან მოდის, ახალგაზრდაა და კიდევ ბევრ საინტერესო ნამუშევარს შექმნის.

ნუგზარ, ჰაინერის შემოქმედებას როგორ შეაფასებთ?

— შემოქმედება სპორტი არ არის, რომ რალაცას შეადარო, მაგრამ... მისი შემოქმედება ძალიან მომწონს, ვფიქრობ, რომ ის ძალიან ჩვენია, ქართულია. თითქოს, გოგენი რომ წავიდა ტაიტიზე და იქაურ ხალხს ხატავდა, ზუსტად ისე ხატავს ეს კაცი კავკასიის სულს.

— ის ქართველზე უკეთ იცნობს ქართულ სულს?

— არ არის გასაკვირი, რომ უცხოელმა, რომელმაც ქართველი ადამიანი და საქართველო ძალიან შეიყვარა, უკეთ აღიქვას და ჩასწვდეს ჩვენს ბუნებას. მეც შეიძლება, სხვა ხალხი და ქვეყანა შემეყვარდეს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩემი დავივიწყო. სიყვარულიც ხომ ის არის, რომ

სხვაში პოვებ შენს თავს. ასე დაემართა ჰაინერსაც. ვამჩნევ, რომ ძალიან უყვარს ჩვენი ქვეყანა, მართალი და გულწრფელია და ამას მისი ნახატებიდანაც იგრძნობ. ის არც დიდებას ელის და არც პიარი უნდა. ის დაფასებაზე არ ფიქრობს. საერთოდაც, საქართველოში მხატვრებს აფასებენ? აქ რამდენიმე სალონურ მხატვარს იცნობენ და ეგ არის. ჩვენთან მხატვრები და ხელოვნებათმცოდნეები კოლეგების ნამუშევრებს უფრო ძუნწად აფასებენ, თითქოს აქვებთ საკუთარი მოსაზრება, ჰაინერმა კი ყოველთვის ზუსტად იცის და ამბობს კიდევ, კარგია თუ არა ესა თუ ის ნახატი. ქვეყანაში საზოგადოებრივ-კულტურული ავტონომია არ გავაჩნია, სულ სხვაზე, თუნდაც ინტერნეტზე ვართ დამოკიდებული. ჩვენი მხატვრები ყოველთვის ცდილობენ, უცხოეთში გაიტანონ თავიანთი ნამუშევრები და იქ შეაფასებინონ, არადა, უკეთესი არ იქნება, აქვე არსებობდეს მხატვრობის დამფასებელთა კერა — საზოგადოება, რომელიც აქვე დაადგენს სურათის ავტორს. რა დაემართა თუნდაც, ფიროსმანის შემოქმედებას? — ვიდრე სხვანაირად არ აღიარეს, აქ ვერაფერს ჩასწვდნენ. ეს პატარა ქვეყნის ტრაგედიაა. აქ, სამწუხაროდ, სხვისი წარმატების შურთ კიდევ. ვნახოთ, ანი რა იქნება. ჩვენს ქვეყანასა და ხალხს ბევრი განსაცდელისთვის გაუძლია და ფეხზე დამდგარა — ბევრიც შეუქმნიათ და დაუტოვებიათ. ვიმედოვნებ, ახლაც ასე იქნება. თუმცა ჩვენს სამხატვრო აკადემიაში სწავლამ ერთი რამ დამანახვა — იქ სწავლების მეთოდებს არ ცვლიან, ერთსა და იმავეს ასწავლიან და შემოქმედებით ექსპერიმენტებს გაუბრძიან. ეს ცუდია.



— თქვენ რომელ სამხატვრო სკოლას მიაკუთვნებდით თავს?

— მე თავისუფალი შემოქმედი ვარ, თუმცა მატერიალური თვალსაზრისით — შეზღუდული.

ჰაინერი:

— მაგალითად, ბერლინში მხატვართა, დაახლოებით, 5%-ის შემოსავალი თვეში 1.500 ევრომდეა, 95%-ისა კი — ამაზე ნაკლები ანუ ყოველი 20-დან ერთი მხატვარი ცხოვრობს კარგად, დანარჩენებს კი სხვა შემოსავლის წყაროც აქვთ...


— ნუგზარ, გამოფენას ნშირად აწყობთ?

— მქონდა რამდენიმე გამოფენა-გაყიდვა. კარგ ფასადაც გამოიყიდა სურათი. ძირითადად, უცხოელები ყიდულობენ.

ჰაინერი:

— აქ ადამიანები უპირველესად ბინას ყიდულობენ, შემდეგ მანქანას, ტელევიზორს, კომპიუტერს და საყიდელი რომ აღარაფერი რჩებათ, მერე იძენენ სურათებს. მდიდართა დიდი ნაწილი კი, რომელიც ადრე ასე თუ ისე, ყიდულობდა, დღეს ვფიქრობ, შიშის გამო თავს იკავებს. მოკლედ, საქართველოში ხელოვნების ნიმუშებში უკვე აღარ ხარჯავენ ფულს... ჩემი მიზანი ქართული ხელოვნების საზღვარგარეთ პოპულარიზაციაა. აქ რამდენიმე კარგ მხატვარს ვიცნობ, რომლებსაც უცხოეთში არ იცნობენ. მინდა, მათი შემოქმედება საზღვარგარეთაც ნახონ და შეაფასონ, ამიტომ ვებსაიტებზე ვათავებ მათ ნამუშევრებს. მაგალითად, ნუგზარის ნახატებით უკვე დაინტერესდნენ ამერიკელები, ძალიან მოეწონათ. საერთოდ, მარტო გალერეებში ნახატების გამოფენა არ კმარა; მხატვარს წარმატების მისაღწევად, ილბალიც უნდა ჰქონდეს.

P.S. ინტერვიუს შემდეგ ჰაინერისგან მიპატიჟებაც მივიღეთ — პარასკევს, საღამოს 7 საათზე ორბელიანის ქუჩაზე, გალერეა „ნიუ არტკავში“ თავისი ნამუშევრების გამოფენას აწყობს. ასე რომ, შეხვედრამდე.



მაინტერესებდა სხვა ადამიანის თვალთ დანახული ჩემი შვილები

„გლახის ნაამბობის“ მოძღვრის სხე, ღვთისა და მოყვასისთვის შეწირული სიცოცხლე

ალბათ, ბევრს სმენია ცნობილ სასულიერო პირებზე — ძმებ კარბელაშვილებზე. ერთ-ერთი მათგანი — ვასილი — ეპისკოპოსი გახლდათ, მამა ფილიმონი, პოლივექტოსი, ანდრია და პეტრე კი მღვდლობის ხარისხში მყოფნი ემსახურებოდნენ უფალს. ძმები კარბელაშვილები საუკეთესო



მგალობლებიც გახლდნენ. მამა ანდრია კარბელაშვილის შვილიშვილი, ბატონი ანდრეა პარბელაშვილი რუდუნებით აგროვებს ინფორმაციას თავისი წინაპრების შესახებ, რომელსაც ცოტა ხნის წინ კიდევ ერთი ცნობა შეემატა — სამთავისის ტაძრის შესავლელთან აღმოჩნდა მამა ფილიმონის საფლავი. ბატონ ანდრეს მამა ფილიმონის გახსენება ვთხოვეთ...

უნდა დაეთქვას კაცსა, რომელსაც ვერ სიყვარულით გარს არტყია ხალხი — აი, ასე წარმოგვიდგინა ილია ჭავჭავაძემ „გლახის ნაამბობში“ ფილიმონ კარბელაშვილი.

— მამა ფილიმონი ილია ჭავჭავაძეს ნიკო მესხიშვილისგან გაუცნია. მას იმდენად მოსწონებია საქართველოს ისტორიისა და ქართული ეკლესიის თავისუფლების მოტრფიალე, გალობისა და ქადაგების ნიჭით შემკული ფილიმონი, რომ განუზრახავს, „გლახის ნაამბობში“ მოძღვრის სახედ გამოეყენებინა. ფილიმონი სუსტი ჯანმრთელობისა გახლდათ; მან მხოლოდ 48 წლის ასაკამდე მიაღწია. ღვთისა და ერის სიყვარულით დამაშვრალი მოღვაწე სამთავისის ტაძრის შესავლელთან დაუკრძალავთ, რომლის შესახებაც ამ ცოტა ხნის წინ შევიტყვე და მაშინვე მოვიხსნულე მისი საფლავი.

— იქნებ, თქვენი პაპა — მამა ანდრეაც გახსენოთ. როგორც ცნობილია, მან მონაპოვრად დაასრულა სიცოცხლე უფლის რწმენისა და სასოების გამო.

— მამა ანდრია 1924 წელს დახვრიტეს ტირიფონის ველზე. ისიც შესანიშნავი მგალობელი, ღვთისა და ერის მოტრფიალე ღვთისმსახური გახლდათ. მასთან ერთად დახვრიტეს მისი ძმა — მამა პეტრეც: 1924 წლის აჯანყების შემდგომ განხორციელებული რეპრესიების დროს, სექტემბერში შეიარაღებული რაზმი გორის მაზრის სოფელ ქვემო ჭალაში შევიდა. სოფლის მცხოვრებნი დაატუსაღეს და გორში წასაყვანად გაამზადეს. როდესაც ამის შესახებ ქვემო ჭალაში მცხოვრებმა მამა ანდრეამ და მამა პეტრემ (მამა ანდრიას ძმა) შეიტყვეს, იმ ადგილისკენ გაემართნენ, სადაც დატუსაღებული თანასოფლელები ჰყავდათ. ასაკოვანი სასულიერო პირები რაზმის უფროსთან მივიდნენ და განუცხადეს — პატიმრებთან ერთად, ჩვენც წამოვალთო. ასაკი ჰკითხეს. მამა ანდრია 73 წლის გახლდათ, მამა პეტრე — 64-ის. რაც გინდათ, ის ქენით, ბებრებო, ოღონდ პატიმრებთან არ მიგიშვებთ, კონდახით თავებს გაგიხეთქავთო, უპასუხიათ მათთვის. პატიმრები გზას გაუყენეს. მათ უკან მამა პეტრე და მამა ანდრეაც გაჰყენენ... სოფლის უხუცეებს კარგად ახსოვს, თუ როგორი სისასტიკით დახვრიტეს ჯერ ღვთისმსახური ძმები, შემდეგ კი ტუსაღები ტირიფონის ველზე: როდესაც ველს მიადგნენ და თოფის ხმა გაისმა, მამა ანდრია და მამა პეტრე ხელიხელჩაკიდებული დამდგარან ტუსაღების წინ, სხეულებით მათ დაფარვას ცდილობდნენ. საკუთარი სიცოცხლის განირვის ფასად შეეცადნენ მოყვასთა გადარჩენას. აბა, რას გააწყობდნენ შეიარაღებულ რაზმელებთან?! მაგრამ მათ ყველაზე

და „სამოხლო ეალესიის ბრავაზზე შეწირული მსხვერპლი“

— მამა ფილიმონი ჩემი პაპის, მამა ანდრიას უფროსი ძმა გახლდათ. იგი 1831 წელს დაიბადა. ძმები კარბელაშვილები წარმოშობით გორის მაზრის სოფელ ქვემო ჭალიდან იყვნენ. სასულიერო პირი და საუკეთესო მგალობელი გახლდათ მათი მამაც — მამა გრიგოლ კარბელაშვილი, რომელსაც მიომღვიმის მონასტერში მიუღია სასულიერო განათლება. 1840 წლამდე, მამამისთან პეტრე კარბელაშვილთან ერთად, სტეფანე რუსთველის მგალობლების გუნდს ხელმძღვანელობდა. 1844 წელს მღვდლად აკურთხეს. სულიერებით გამოირჩეოდა მისი მეუღლე ანაც — სათნო და განათლებული ქალბატონი. სწორედ დედისგან მიიღეს ძმებმა პირველდანიწყებითი განათლება — წერა-კითხვა და უძველესი ქართლ-კახური სიმღერა, გალობაც შეისწავლეს. ფილიმონი ძმებზე ბევრად უფროსი ასაკის გახლდათ, ამიტომ დედასთან ერთად, ისიც დაკავებული ყოფილა უმცროსი ძმების აღზრდით. საოჯახო განათლების გარდა მამა ფილიმონს თბილისის სასულიერო სემინარიაც ჰქონდა დამთავრებული. იგი შესანიშნავი მქადაგებელი, მოძღვარი და მგალობელი ყოფილა. მისი ქადაგების მოსასმენად, ქართლ-კახეთის სოფლებიდანაც კი ჩადიოდნენ მორწმუნენი. მამა ფილიმონს შინ სკოლა ჰქონდა გახსნილი, სადაც გლეხების შვილებს უსასყიდლოდ ასწავლიდა წერა-კითხვას, ანგარიშს, ლოცვასა და

სამშობლოს ისტორიას. — რამდენადაც ცნობილია, წმინდა ილია მართალს (ჭავჭავაძე) „გლახის ნაამბობში“, მოძღვრის სახის შექმნასა, სწორედ მამა ფილიმონ კარბელაშვილის თვისებები და ცხოვრებისეული ეპიზოდები გამოუყენებია. „საყდართან მღვდელი შუაში იდგა, ხალხი ბუხსავით ირფოდა იმის გარშემო, ზოგს ის ელაპარაკებოდა ზოგიც დაუზარლად პუსუს აძლევდა, ზოგს თვითონაც გაცემურებოდა და მაშინ უნდა გენახათ გულიანი ხარხარი ერისა ბევრ სიკეთე



გრიგოლ კარბელაშვილი

გაგრძელება იხ. 83-90



მარიეტის ნიშანი



დასაწყისი „გზა“ №24-41

სვეტა კვარაცხელია

წარმოებზე თქვენი შეაბუჯდილება შეგიძლიათ გაგვიზაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

მიუხედავად იმისა, რომ გიგას არარეალურად მიაჩნდა ირაკლის სახლთან ვიბლიანების უმცროსი ძმის გამოჩენა, მაინც აგრძელებდა მუშაობას. უბრალოდ იმიტომ, რომ არ უყვარდა უცნაური დამთხვევები და ცდილობდა, ეჭვის ყოველგვარი საფუძველი გაეფანტა. როცა მეზობლების გამოკითხვამ შედეგი ვერ გამოიღო, ახლომახლო ეზოებში მოთამაშე ბავშვებისგან შეეცადა მისი ვინაობის დადგენას. გაუმართლა. სკოლიდან მომავალმა შეიდი წლის დათომ ადვილად გაიხსენა შავსათვლიანი და ლურჯკვიანი ძია, რომელმაც რამდენიმე დღის წინ „სნიკრისი“ აჩუქა და ერთი ქერათმიანი გოგონას ვინაობით დაინტერესდა...

რა თქმა უნდა, თბილისში უამრავი ქერათმიანი გოგონა დადის და მხოლოდ ერთი შესათვლიანი მამაკაცი არ არის ასეთებით დაინტერესებული... ეს თითქოს არაფერს ნიშნავდა, მაგრამ... მაინც უსიამოვნოდ გაპკრა გულში. რალაც არ მოს-

წონდა...

დავუშვათ, ვიბლიანია, რომელმაც მიაგნო თავის კვალს. მაშინ რატომ აქამდე არ მოკლა? რისთვის უთვალთვალებს? არა, აქ რალაც სხვა ამბავია... იქნებ შურისძიების სხვა მეთოდი აირჩია? ალბათ... და რა მეთოდი? მოიტაცოს გოგონა და ამით მამამისი ჩამოიტყუოს ამერიკიდან? დასაშვებია... მაგრამ როგორ მიაგნო თავის კვალს? საავადმყოფოდან?.. შესაძლებელია... იქნებ, ირაკლის კვალს მიჰყვა? არც ეს არის გამორიცხული. ასეა თუ ისე, მას თავი გადადებულ იქვს და სიცოცხლის ფასადაც რომ დაუჯდეს, ჯიუტად აგრძელებს თავისას... გიგამ დაასკვნა, რომ თვალთვალის გაგრძელება ღირდა.

შინ მისული თავი მოუსჯწნად ცმუკავდა, ადგილს ვერ პოულობდა. რას გამოიქცა, რამ შეაშინა? პატარა ბავშვივით მოიქცა, უნდა მისულიყო და ეთევა, აღარ მიყვარხარ და კარგად მეყოლეო. განა რას მოიმოქმედებდა? როცა ქალს არ უნდა, როგორ იქცევიან კაცები? ჩვეულებრივად — ბრაზდებიან და მიდიან. „არა, რალაც ისე არ ხდება, რალაც უცნაური ამბავია, — ფიქრობდა თავი, — როგორ მომაგნო? მე ხომ შემთხვევით გადავეყარე ანრის. ირაკლი ოთხზე უნდა მოსულიყო. ჩვენ მანამდე გამოვიპარეთ. ნულთ ჩუმად მითვალთვალე-

და? რატომ? თუ ჩემი საქმროა, მაშინ ჩუმად რატომ მზვერავს? ხომ შეუძლია, მოვიდეს და მითხრას, რატომ გამოიქცევი და არ დამელოდე საავადმყოფოში? ვინ არის ეს უცხო კაცი და რატომ ცხოვრობ მასთანო? არ ვიცი, არ ვიცი, რა ვიფიქრო. ანრის უნდა დაველაპარაკო. ყველაფერს აუხსნი და რჩევას ვებოვ. ის გამიგებს“. ამ დასკვნამდე მივიდა თუ არა, მაშინვე დამზვიდდა და ხასიათზე მოსული, ვახშმის მომზადებას შეუდგა.

როგორ შეეშინდა დღეს! რა იყო ეს, ა?! რა უნდოდა იმ კაცს? იქნებ, მართლა საქმრო იყო და ტყუილად შეეშინდა? ბოლოს და ბოლოს, საქმრო იყო, მანიაკი ხომ არა. რა იყო საშიში? არა, არა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. თავის არ უყვარს იგი, არც ახსოვს. რა მისი ბრალია, ამნეზია რომ დაემართა? რა მისი ბრალია, თუ სხვა შეუყვარდა? თავი დარწმუნებულია, რომ ირაკლი ნორმალური ადამიანი იქნება და გაუგებს, თუკი ყველაფერს გულწრფელად აუხსნის. ასეც მოიქცევა — ყოველგვარი პანიკის გარეშე ეტყვის, რაც ხდება. რას იზამს იგი? ბოლოს და ბოლოს, ხომ არ დააძალებს მასთან დარჩენას! როგორც თანამედროვე ადამიანი, გაუგებს და თავს დაანებებს. თავის ხომ არ მიუტოვებია იგი, ხომ არ უღალატია... უბრალოდ, ამნეზია დაემართა და აღარ ახსოვს მისი არსებობა. ეს სულ სხვადასხვა რამეა... მაგრამ სად იპოვოს? მისი მისამართი რომ არ იცის? გაიგებს, პრობლემა არ არის. ანრის სთხოვს და დაეხმარება. მორჩა, გადაწყვეტილია. ის მზად არის, ირაკლის შეხვდეს. თავის არ ეშინია მისი. აი, ასე. დროა, ამ ყველაფერს ნერტილი დაუსვას. ზვალვე...

„უნდა დამთავრდეს ეს ყველაფერი“, — გაიფიქრა ირაკლიმ, სანამ სახლში შევიდოდა. დღეს გიგას შეხვდა. მან თავისი ეჭვები გაანდო. იმ ტიპს ამ დღეებში აიყვანენ და ერთხელ და საუბრად გაარკვევენ, ვიბლიანია თუ ვინმე სხვა. ამით არაფერი დაშავდება. „ჩვენი ურთიერთობა ბოლომდე გარკვეულია, თავი უკვე შემწვია. დროა, აუხსნა საქმის ვითარება და სიმართლე ეუბნოს. მას ახლა აღარ შეეშინდება... შეეშინდება კი არა, სიცილით მოკვდება, როცა გაიგებს, ვინც ვარ“.

დროა, თავის სიმართლე უთხრას. ის მზად არის, მოუსმინოს ირაკლის. დღესვე შეიძლება ამის გაკეთება, დღეს საღამოს, იმწუთას, როგორც კი მასთან მივა...

მორიელს სუფრა გამლილი დახვდა... თითქოს ორივე გაურბოდა ერთმანეთს... საუბარი ვერ აწყო. ირაკლი დაბნეული ჩანდა... თავიც...

— ანრი... — გაისმა მომაკვდინებელ სიჩუმეში გოგონას ხმა.

პირადმა მცველმა თავი ასწია.

— რაო, პატარავ?

— რალაც ძალიან გავსუქდი, თან სუნთქვაც მიჭირს. რამე ხომ არ გამირთულდა? ირაკლის ცივმა ოფლმა დაასხა.

— რატომ გგონია?

— აბა, შეხედე, ღიპი დაქვედა, — თავი მოტყევი წინ გამოსწია და ზედ დაიხედა, —

არადა, ნამდვილად არ ვჭამ ბევრს.

— ეს ალბათ იმის ბრალია, წამლები მძივდა რომ შენევიტე, — იპოვა გამოსავალი პირადმა მცველმა.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— ანრი, — ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაიწყო თავომ.

— რაო, პატარავ?

— გადავწყვიტე, ჩემს საქმროს შეგვდე და დაველაპარაკო. ხვალე... ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ის ალბათ უკვე მეძებს.

იმ მომენტში მორიელს უნდოდა ეყვირა, აღარ გეძებს, ის აგერ ზის, შენ წინო, მაგრამ გაჩუმდა, რადგან თავში სხვა იდეამ გაუფლავა.

— მე მას ავუსხნი, რა როგორ არის. ვეტყვი, რომ სხვა შემთხვევად და რომ მასთან ცხოვრება არ შეიძლება. იმედია, გამიგებს...

მამაკაცმა თავი დაუქინა.

— მართალი ხარ. უნდა ნახო. ადრე თუ გვიან, მაინც უნდა მომხდარიყო ეს, — ხმა შეეცვალა მორიელს. — სად შეგვდები?

— სადაც ცხოვრობს... მაგრამ მისამართი არ ვიცი. იქნებ, შენ გამიგო? საავადმყოფოში რომ იკითხო... ან იქნებ, შენი მეგობარი გამოძიებული დაგეხმაროს?

— რა პრობლემაა, წამში მოგიგვარებ მაგ საქმეს. ჩემი გაყოლა ალბათ არ დაგჭირდება...

— არა, არა, მირჩევნია, მარტო ვიყო. შენთან ერთად, გამიჭირდება ყველაფრის ასხნა, — შორს დაიჭირა თავომ.

— როგორც გინდა. შენ იცი. გინდა, ახლავ დავერეო გიგასთან და გავიგო მისი მისამართი?

— კარგი იქნებოდა... თან ისიც ჰკითხე, როდის არის ხოლმე შინ.

— მაგასაც დაგიზუსტებ. ორი წუთი მაცალე! — ირაკლი წამოდგა, მობილური აიღო, აივანზე გავიდა და გიგას ნომერი აკრიბა.

თავოს არ ესმოდა, რას ელაპარაკებოდა „ანრი“ მეგობარს. დაძაბული იჯდა და ჩამქრალი თვალებით ფარდას მიშტერებოდა.

ირაკლი კარგა ხანს ეთათბირებოდა გიგას, მერე ტელეფონი გათიშა და ჩაფიქრდა. რამდენიმე წუთში გიგა დარეკავს და ირაკლის თავოს „საქმროს“ მისამართს შეატყობინებს — ეს თავოს სახელი იქნება. ხვალ, საღამოს შვიდ საათზე პრინციესა იქ წავა, ზარის ღილაკს თითს მიაჭერს და როცა კარი გაიღება, იქ ირაკლი ანუ ანრი დახვდება. „შენ აქ რას აკეთებ?“ — გაუკვირდება თავოს. „როგორ თუ რას, შენ გელოდები, პატარავ, ეს ხომ შენი სახელია“, — უპასუხებს ირაკლი. იქნებ აჯობებს, ბარბალები დაიბაროს და კარი იმან გაუღოს? არა, არ ღირს. იმ მომენტში მოწმეები საჭირო არ არის. უკეთესი ვარიანტი მოიფიქრა. ზუსტად ისე ჩაიცვამს, როგორც გაცნობის პირველ დღეს ეცვა — სპორტულად, ახალგაზრდულად. მართალია, თავომ უცებ ვერ გაიგებს, რა ხდება, არც ცნობიერება დაუბრუნდება იმნამსვე, მაგრამ ნელ-ნელა, ეტაპობრივად, ყველაფერს გაიხ-

სენებს. ირაკლი დაეხმარება პატარას ამაში.

კვლავ შემობრუნდა ოთახში. თავოს ყველაფერი აელაგებინა მაგიდიდან, თითქმის ხელუხლებელი ვახშიში — ჭამის თავი არც ერთს არ ჰქონდა.

რამდენიმე წუთიც და ზარის ხმა გაისმა. გიგა რეკავდა. ირაკლი უსმენდა მის ხმას ტელეფონში, წამდაუნუმ თავს აქნევდა, რაღაცის თანხმობის ნიშნად, თან თავოს უღიმოდა.

— რაო, რა გითხრა? — მოუთმენლად იკითხა გოგონამ, როცა მორიელი საუბარს მორჩა.

— ყველაფერი გამიგო. შენი ირაკლი გეძისში ცხოვრობს. საღამოობით, შვიდი საათის შემდეგ სულ სახლშია თურმე. ასე რომ, პრობლემა მოგვარებულია. მისამართიც გვაქვს.

— კარგია, — ყრუდ ჩაილაპარაკა გოგონამ და სახეზე შეძრწუნება აღებეჭდა.

ირაკლის არ გამოჰპარვია ეს.

— რა იყო, ხომ არ გეშინია?

— არა, არა, რისი უნდა შეშინოდე?.. უბრალოდ, ცოტათი ავლელდი.

— ეგ არაფერია. ვიმედოვნებ, შენი საქმრო შეგნებულ ადამიანს აღმოჩნდება, — ეშმაკურად ჩაიღიმა პირადმა მცველმა.

— მორიელის ნიშანი! — წამოიყვირა უეტრად პრინციესამ.

— რა მორიელის ნიშანი? — ფერი ეცვალა მამაკაცს.

— მას მკვლავზე სვირინგი აქვს... მორიელი, რომელიც თავდასხმისთვის ეზადება.

— ვის, მას? — ირაკლი დაიძაბა.

— იმას... ჩემს საქმროს. ეს კარგად მახსოვს...



მთელი ამ ხნის განმავლობაში პირადი მცველი საგულდაგულოდ მალავდა თავის სვირინგს, რათა თავოს არ ენახა იგი. მანამდე არ იხდოდა მაისურს, სანამ შუქს არ

ჩააქრობდა ოთახში. მორიელის ნახატს იგი სიურპრიზად ინახავდა. დარწმუნებული იყო, სვირინგი გოგონას წარსულის გახსენებაში დაეხმარებოდა.

— მერე რა?

— არა, არაფერი... — ხმა წაერთვა გოგონას. — იცი, კიდევ რა?.. ის სულ უკან დამდევს... სადაც წავალ, თან მომყვება, იცი? — თითქოს საკუთარ ფიქრებს ებაახებოდა პატარა.

— ვინ? ვინ დაგყვება თან? — ირაკლი მისკენ გადაიხარა.

— ის, ჩემი საქმრო. არ ვიცი, რატომ მაკონტროლებს... შეიძლება შემოვლება, მაგრამ...

— გესმის, რას ამბობ, პატარავ?! — ლამის იყვირა მორიელმა. — როდის შეამჩნიე, რომ დაგდევდა? რატომ აქამდე არ მითხარი?

— არ ვიცი... არ მივიჩნიე საჭიროდ... შემეშინდა.

— როგორ გამოიყურება ის... ის... — მამაკაცმა კონტროლი დაკარგა, უკვე ყვიროდა.

— გამხდარი ტიპია, მალალი, შავი სათვალით და...

— ქუდიო, არა?

— შენ რა იცი? — გოგონამ წარბები აზიდა, გაკვირვების ნიშნად.

მამაკაცი წამოხტა, მოზილურს ხელი დაავლო და გარეთ გავარდა. თავომ გაოცებული მზერა გააყოლა...

— გიგა, ის არის, ის! დასდევს თურმე... ყველგან დასდევს! — ირაკლი სიტყვებს ძლივს უყრიდა თავს.

— ვინ ის, ვერაფერი გავიგე. დაწყნარდი და მშვიდად მომიყვიე, რა ხდება.

— თავოს ვილაც დასდევს, დარწმუნებული ვარ, ის იქნება, ვისაც თქვენ ეძებთ.

— ჰო-ო, ეგ უკვე ვიცი. ყველა ზომა მიღებულია, უკვე ვუთვალთვალე.

— ანუ იპოვეთ?

— არა, ჯერ არა, მაგრამ თავომ თვითონ გაგიყვანს კვალზე. შენ არაფერი უთხრა, გაიგე? გეგმა უკვე მოვიფიქრეთ, საშიში არაფერია. ისე მოიქეცი, ვითომ არაფერი ხდება, გესმის?

— კარგი, გავიგე, — აკანკალებულმა მობილური გათიშა და ოთახში შემობრუნდა.

თავომ ცნობისმოყვარედ მისჩერებოდა.

— რა ხდება, ანრი? მეჩვენება თუ აღელვებული ხარ?

— ჰო, მგონი, გავნერვიულდი. ცოტა არ იყოს, ვეჭვიანობ... — გაიღიმა და გაფითრებულ სახეზე ხელი მოისვა.

— მე მასთან გამჩერებელი არა ვარ, ნუ ნერვიულობ, — წყნარად წარმოთქვა თავომ და თავი ჩალუნა.

— ვიცი, პატარავ, ვიცი, — მამაკაცი გოგონას მიუახლოვდა და მკერდზე მიიხუტა...

თავომ გადანყვიტა, ცოტა ადრე მისულიყო „საქმროს სახლში“, რათა იქაურობა შეეთვალე იერებინა და კიდევ ერთხ-

ელ ენახა, როგორ გამოიყურებოდა ირაკელი.

ექვსის ნახევარზე სახლიდან გამოვიდა. ზღურბლზე რალაც სარეკლამო ბუკლეტი შეამჩნია. აიღო და არც დაუხედავს, ისე ჩაიღო ჩანთაში. ქუჩაში რომ გავიდა, ირგვლივ ფრთხილად მიმოიხედა, ტაქსი გააჩერა და მძღოლს მისამართი უკარნახა. ტაქსი გზას გაუდგა. თავოს უკან არ მოუხედავს, ამიტომ არ შეუმჩნევია, როგორ აედევნა მათ მანქანას ნითელი „ოპელი“, ხოლო „ოპელს“ — შავი ჯიპი.

უკვე ბინდებოდა. ტაქსი ქუჩის განაპირას, ორსართულიან აგურის სახლთან გაჩერდა, რომელსაც გარშემო მაღალი გალავანი ჰქონდა შემოვლებული. თითქოს ეცნო გარემო. „ნუთუ ასეთი მდიდარია?! — გაიფიქრა თავომ. — რამხელა სახლი ჰქონია“.

ფანჯრები ჩაბნელებული იყო, მიდამოს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. საათზე მეტი დარჩა, სანამ ირაკლის შეხედება, როგორმე უნდა მოკლას ეს დრო, მაგრამ რა გააკეთოს?.. ჭიშკარს მიუახლოვდა. რკინის კარი ჩარაზული დახვდა. ვერაფერს გაანცობს, უნდა დაელოდოს მის გამოჩენას. მოულოდნელად ზურგიდან ჩოჩქოლი შემოესმა. მიიხედა. რამდენიმე მეტრის დაშორებით ორი მანქანა იყო გაჩერებული — ნითელი „ოპელი“ და შავი ჯიპი. მიწაზე გართხმულ ვილაც ტიპს ოთხი სათვალისანი მამაკაცი გარს შემოხვეოდა და რალაცას უყვიროდა; მერე წამოაყენეს და ჯიპის სალონში შეტენეს. თავომ უსიამოვნოდ გადააქინა თავი, ერთ-ერთ მათგანში თითქოს გიგა ამოიცნო. „აღბათ სპეცოპერაციაა. საწყალი, ქურდობაზე თუ წაასწრეს“, — გაიფიქრა და კვლავ სახლს გახედა.

ის მოვა. თავომ დაულოდება, სანამ ირაკელი შინ შევა. მან არ უნდა ნახოს, რომ ის უკვე მოსულია და ელოდება. ცოტას დაიცდის და მერე ზარს დარეკავს. ის გააღებს. თავომ ეტყვის, მე ვარო. „იმისთვის მოვედი, რომ ყველაფერი აგისწავა“, — ეტყვის და...

უეცრად გული შეუქანდა. მოეჩვენა, რომ სახლი ძალიან ნაცნობი ეჩვენა. არა, ეს შეუძლებელია. ნუთუ მესხიერება უბრუნდება? არა, არა, მას ეცნო მხოლოდ ის, რაც ხუთიოდე წუთის წინ ნახა — თავისი საქმროს სახლი. აღბათ ნამყოფია აქ. აღბათ მოდიოდა მის სანახავად. რა არის გასაკვირი? მათ ხომ ოფიციალური ურთიერთობა ჰქონდათ!

კვლავ მოსინჯა ჭიშკარი. კარი დაკეტილი იყო. ფეხის წვერებზე აინია და კარს ზემოთ, გალავნის სისწორეზე ხელები მოაფათურა. ჰოი, საოცრება! იქ გასაღები იდო. გულმა გამალებით დაუნყო ცემა. ძლივს მორარგო გასაღები კლიტის ჭუჭრუტანას, გადაატრიალა... ერთხელ, ორჯერ... სახელური ჩამოსწია და ჭიშკარი ჭრილით გაიღო.

ეზოში შევიდა. საოცრად მოვლილი იყო

იქაურობა. ღამაში ბუჩქები, ყვავილები, ტერასები... ყვავილებით იყო ეზო გადაპნტილი. ნელ-ნელა მიინედა წინ. რაც უფრო უახლოვდებოდა სახლს, მით უფრო იმყრობდა შიში. რისი ემინია? აქ ხომ ირაკ-



ლი ცხოვრობს... ადამიანი, რომელიც ოდესღაც უყვარდა. განა რა არის საშიში? ტერასასთან გაჩერდა. რატომ არ მოსწონს ირაკელი, ასეთი რა დაუშავა? „არ ვიცი, არ ვიცი, მაგრამ არის მასში რალაც მკაცრი... უსიამოვნო. როგორ უნდა დაველაპარაკო? არა უშავს, შევეცდები, სიმშვიდე შევინარჩუნო. ჩვენ უკვე აღარაფერი გვაკავშირებს ერთმანეთთან, ამიტომ უნდა დავშორდეთ, — ეტყვი და წამოვალ, ერთი წამიც არ გაეჩერდები“...

მაგრამ რალაც დანაშაულზე რომ ელაპარაკა მაშინ, თავოს ჩადენილ დანაშაულზე? ხომ არ ჰკითხოს, რა ჩაიდინა ასეთი? რა სულელია! ანრისთვის უნდა ეთქვა ამის შესახებ. ის კი გიგასგან ყველაფერს გაიგებდა, თან ისე, რომ თავოს არც კი ჩაუშვებდა. აქამდე როგორ ვერ მოიფიქრა? „არა, არა, არა მგონია, მართლა ვიყო დანაშაუვ. მან აღბათ მოიგონა ეს ყველაფერი, რათა შევეშინებინე. მაგრამ თუ მართალია და არ მ-იგონა, მაშინ? მაშინ რა ვქნა? რით ვიმართლო თავი?.. არ ვიცი... უმჯობესია, ვერ გავიგო, რა დავაშავე და მერე ვიფიქრო თავის გამართლებაზე“, — ამ ფიქრებში გართული, ვერანდას მიადგა. ირგვლივ ქოთნებში ჩარგული ოთახის ყვავილები იდგა, ღამაზფოთლებიანი ყვავილები. ნეტავ, ვინ უფლის ამ მცენარეებს? მოსამსახურე ჰყავს? რა გასაკვირია, ეს ირაკელი ისეთი მდიდარი ჩანს... რატომ ეცნობა აქაურობა? თითქოს აქ ეცხოვროს, ისეთი შეგრძნება ეუფლება... არა, გამორიცხულია.

ვერანდაზე მაგიდა და ორი სავარძელი იდგა. აქ დაჯდება და დაელოდება. წამოელო მაინც რაიმე უურნალი, ნაიკითხავა და დროს გაიყვანდა. უეცრად ის სარეკ-

ლამო ბუკლეტი გაახსენდა, ანრის სახლის ზღურბლთან რომ ეგდო. ჩანთა გახსნა, ბუკლეტი მოძებნა, ამოიღო და თვალთერება დაუნყო. ელექტროსაქონლის ახალი მაღაზია გახსნისა საბურთალოზე „ტელევიზორები, სარეცხი მანქანები, მაცივრები და სხვა სახის პროდუქცია ჩვენთან შეგიძლიათ, მომენტალური განვადებით შეიძინოთ“, — იუნყებოდა ბუკლეტი. თავოს გაეღიმა. აუცილებლად გამოადგება ეს ყველაფერი, როცა ის და ანრი ოჯახს შექმნიან, ამიტომ შეინახავს ამ ფურცელს, არ გადაადგებს. ბოლო გვერდს დახედა. იქ მაღაზიის მისამართი კიდე ტელეფონის ნომრები ეწერა... კიდევ რალაც იყო კალმით მიწერილი... რალაც ტექსტი... გაკრული ხელით. ყურადღებით დააკვირდა. „შენ ჩემთან უნდა იცხოვრო. თუ არა და, მოგკლავ! სხვისი ვერ გახდები!“ — ნაიკითხა და გაფითრდა. გველნაკბენივით წამოიჭრა ფეხზე.

— ღმერთო, რატომ მეშუქრება?! — ხმამაღლა აღმოხდა თავოს. — ნუთუ არ მაქვს ბედნიერების უფლება?! რას გადამეკიდა?! რა სულელი ვარ, რა სულელი! მე კი ჩემი ფეხით ვეახელი! გამოდის, არსადაც არ გამიშვებს, რადგან აქამდე მოვედი. მასაც ეს უნდა, რომ აქ დავრჩე, რომ... მომკლავს, თუ არ დავრჩები, მომკლავს! — სასონარკვეთილმა ირგვლივ მიმოიხედა.

უნდა გაიქცეს, რაც შეიძლება სწრაფად, ახლავე! სანამ ის არ მოსულა!

ნაბიჯის გადადგმა დააპირა... ფეხები არ ემორჩილებოდა, გული გამალებით უცქმდა. რამდენიმე ნაბიჯი ძლივლივობით გადადგა, მაგრამ... მიხვდა, რომ დააგვიანა...

ჭიშკართან ფარებმა გაანათა და მანქანა გაჩერდა. შიშისგან შეძრწუნებულმა, ისლა მოახერხა, იქვე, ვარდის ბუჩქთან დამალულიყო. უკვე ბნელოდა, ამიტომ ვერავინ შეამჩნევდა. ალაყაფი თავისით გაიღო, აღბათ დისტანციური მართვის პულტის მეშვეობით და უზარმაზარი ჯიპი ეზოში შემოვიდა. თავოს სული შეუგუბდა. ფარები ჩაქრა და იქაურობა კვლავ სიბნელეში ჩაიძირა. გოგონას სმენას კარის დაკეტვის ხმა მისწვდა. რა ნაცნობი იყო ეს ხმა!..

მშვიდად, თავომ მშვიდად! მან არ უნდა გაიგოს, რომ აქ ხარ. ის ხომ არ გელოდება. ცოტა ხანს შეიცადე, სანამ შინ შევა, მერე კი... მოუსვი აქედან, სანამ დრო! უკანმოუხედავად გაიქეცი შენს ანრისთან და მეორედ არ გაბედო აქეთკენ მოხედვა!

შავი სილუეტი ვერანდას უახლოვდებოდა. როგორ სძულს ეს კაცი, როგორ ვერ იტანს! ის საფრთხეს უქმნის მისი და ანრის ბედნიერებას. მასთან შეუძლებელია ლაპარაკი, არც კი მოუწმენს, არაფერს დაუთმობს. ნუთუ ამას ჰქვია სიყვარული?! არა, ეს სიყვარული არ არის. ეს ძალადობაა, ასე მხოლოდ პირუტყვები იქცევიან! „შენ ჩემთან უნდა იცხოვრო. თუ არა და, მოგკლავ! სხვისი ვერ გახდები!“ ასე მხოლოდ მკვლელები ლაპარაკობენ!

მათ ორიოდ მეტრი აშორებდა ერთ-მანეთსგან.

თაკოს გული ერეოდა... შიშისგან, სი-
ძულვილისგან, ნერვიულმა ცახცახმა აიტანა,
ყურებს გუგუნნი გაუდიოდა.

სილუეტი პარმალთან შეჩერდა და ჯიბე-
ბი მოიჩხრიკა. ალბათ გასაღებს ეძებდა.
თაკომ ბურჭებიდან თავი გამოყო და გაიხე-
და. მამაკაცი მისკენ ზურგით იდგა. მალა-
ლი ჩანდა, მხარბეჭიანი. უეცრად წკარუნის
ხმა გაისმა. „საქმროს“ გასაღების აცმა ძირს
დაუფარდა და მის ასაღებად დაიხარა. „შენ
ჩემთან უნდა იცხოვრო. თუ არა და,
მოგვალა? სხვისი ვერ გახდები!“

თაკომ წამებში მიიღო გადანყვეტილე-
ბა. ორი ნახტომით ვერანდაზე გაჩნდა, ერთ-
ერთ ყვავილიან ქოთანს ხელი დასტაცა და
მამაკაცს ფეხაკრეფით მიუახლოვდა.
როგორც ჩანს, მან გაიგონა ნაბიჯების ხმა
და თავი მოაბრუნა...

ქოთანი საკმაოდ მძიმე იყო, ვერ შეძლო
თაკომ, ძალიან მალა აენია იგი.

ამასობაში სილუეტი მისკენ შემობრუნ-
და...

ის „საქმრო“ არ იყო...

მოულოდნელად თაკოს ფეხი დაუცდა
და იწეოცით, ქოთანი ზედ მკერდზე დაახ-
ეთვა გაოგნებულ მამაკაცს...

— რა დაგემართა, რას შერები? —
თაკოს სმენას ნაცნობი ხმა მისწვდა.

ეს არ იყო ირაკლი...

ეს ანრი იყო...

ნუთუ სახლი შეეშალა?! ანრის აქ რა
უნდა?!

ამის გაფიქრება იყო და — გონდაკარ-
გული მამაკაცი ზედ გადაეშო თაკოს.
გოგონა, ანრისთან ერთად, მიწაზე გაიშ-
ლართა...

მერე ყრუ ტკივილი იყო...

მერე კი... მერე არაფერი არ იყო...

გიგა დილიდან უთვალთვალებდა ირაკ-
ლის სახლს, მთელი დღე ფეხი არ მოუცე-
ლია ადგილიდან. იცოდა, რომ თაკო სალ-
ამოს სახლიდან უნდა გასულიყო, მაგრამ
მანც ადრინადა მივიდა პოსტზე. რა იცი,
რა ხდება, იქნებ, გოგონას კვლავ მოუნდეს
მალაზიებში ხეტიალი?! ოპერატიული ჯგუფი
მობილიზებული იყო. სამი პოლიციელი რამ-
დენიმე მეტრის მოშორებით, მანქანაში იჯდა
და მის სიგნალს ელოდა. იქვე, შორიახ-
ლოს, ნითელი „ოპელი“ იდგა. გიგა სწორედ
ამ „ოპელს“ უთვალთვალებდა. დარწმუნ-
ებული იყო, რომ დამნაშავე მანცდაამაინც
ამ მანქანაში იჯდა.

თაკო ექვსის ნახევარზე გამოვიდა ქუჩა-
ში, ტაქსი გაჩერა და ჩაჯდა. გიგამ კოლეგე-
ბი რაციით გააფრთხილა. მანქანა დაიძრა
თუ არა, ნითელი „ოპელიც“ დაიქოქა და
კვლადაკვალ მიჰყვა ტაქსის. გიგა სასწრაფოდ
გადმოვიდა თავისი მანქანიდან და პოლ-
იციელების ჯგუფში გადაჯდა.

ოპერაცია დაიწყო.

მერე ყველაფერი ადვილად მოხდა. თაკო
თავის სახლთან ჩამოვიდა ტაქსიდან და
„ოპელმაც“ სვლა შეანელა. ამით ისარგე-
ბლეს პოლიციელებმა, წინ გადაუსწრეს ნელა
მიმავალ მანქანას, ელვისუსწრაფსად გად-

მოსტდნენ ჯიბიდან და... წამში გააკავეს
ბოროტმოქმედი...

ის, უმცროსი ვიბლიანი აღმოჩნდა...
გიგას ვარაუდი გამართლდა.

თაკომ თვალეები გაახილა. სად არის?
როგორ ცივა! მიიხედ-მოიხედა. პარმალზე
წევს... თან რა ძალიან სტიკვა თავი! რა
დაემართა?.. წამოჯდა და ხელები თავზე
შეოინყო. კი არ სტიკვა, პირდაპირ უსკდება!
აქ რას აკეთებს? რატომ შინ არ არის,
თავის ოთახში? დაეცა თუ რა?! რა გასაკვირ-
ია, ის ხომ ძალიან მოუხერხებელია...

უეცრად იქვე, დამსხვრეული თიხის
ქოთანი შეამჩნია, დაყრილი შინა და ფეს-
ვებშიშვლებული ბეგონია. ჰმ, თურმე
ქოთანი გასტყდომია. ეს რაღაა? რაღაც
შავი დეეს...

რაღაც კი არა... ვიღაც...

იქვე ვიღაც ინვა...

ის ვიღაც ირაკლი იყო.

მას ყველაფერი გაახსენდა. უცებ იმდენი
რამ გაახსენდა, რომ ვერაფერსაც ვერ მიხ-
ვდა. ჯერ კიდევ არ იცოდა, ზუსტად რა
გაახსენდა, მაგრამ იცოდა, რომ ყველაფერი
გაახსენდა. გოგონა ოთხზე დადგა და ირაკ-
ლისთან მიფოფხდა. მამაკაცს თავი გასისხ-
ლიანებოდა, არ იძროდა.

ღმერთო, ეს რა ქნა, ეს რა ქნა! ყვე-
ლაფერი დაღუპა, ყველაფერი გააფუჭა!

— ირაკლი, ირაკლი, სიხარულო! გამე-
ცი ხმა! — განწირული ხმით ყვიროდა.

მორიელი ხმას არ იღებდა... როგორც
ჩანს, მოკლა. არა, ეს შეუძლებელია. თაკო
სიზმარშია, რაღაცები ელანდება. ეს კოშ-
მარია, იგი საავადმყოფოშია და ამნეზია
სჭირს. მან მოიგონა ეს ყველაფერი!

არა, არ მოიგონა და... არავითარი ამნე-
ზია! ახლა უკვე აღარ სჭირს ამნეზია. აქ
მხოლოდ ირაკლია, რომელიც მან მოკლა.

იქნებ, არ მოუკლავს? იქნებ ცოცხალია?..
მაჯისცემა უნდა გაუსინჯოს, მკერდზე უნდა
დაადოს ყური, იქნებ...

ყური მკერდზე დაადო. რაღაც იგრძნო.
ნუთუ მორიელის გულისცემამა?!

არა, ეს ტკივილის ხმაა, თავის ტკივი-
ლის, თითქოს ჩაქუჩს ურტყამს ვიღაც
საფეთქლებში!

— ირაკლი, საყვარელო, არ მოკვდე,
გთხოვოვო!

მამაკაცს თავი აუნია და კალთაში ჩაიდო...
არ ახსოვს, რამდენ ხანს იჯდა ასე. სისხ-
ლისგან წელები გაუთბა.

რაღაცას ეწურჩულებოდა მორიელს,
რაღაცას სთხოვდა... თან გულამოსკვნიტ
ტიროდა. მისი ცრემლები სახეზე ეცემოდა
ირაკლის...

— მგონი, თავი დავარტყი, — მოესმა ამ
დროს გოგონას მისი ხმა.

თაკომ ტირილი შეწყვიტა, სისხლიანი
ხელები თვალეებში ამოსვა და პირად მცე-
ელს დახედა. მორიელს თვალეები გახსილა
და მას უყურებდა.

— ღმერთო ჩემო, შენ ცოცხალი ხარ!..
რა ბედნიერებაა, შენ ცოცხალი ხარ!

— რატომ ტირი? — ირაკლი ძლივს
ლაპარაკობდა. წამოწევა სცადა.

— ინეცი, ინეცი, არ გაინძრე! ახლაც
„სასწრაფოს“ გამოვიძახებ, — თქვა თაკომ
და კვლავ ლაპალუპით წამოუვიდა ცრემ-
ლები, ამჯერად — სიხარულის...

მან ჯიბეები მოუჩხრიკა პირად მცველს,
მობილური ამოიღო, „სასწრაფო დახმარებ-
ის“ ნომერი აკრიბა, მდგომარეობა მოკლედ
აუხსნა და მორიელს მისამართი უკარნახა.

— ესე იგი, შენ უკვე იცი, მე ვინც ვარ,
არა? — ირაკლიმ თვალეებში ჩახედა.

— რა თქმა უნდა, ძვირფასო, ყველაფერი
ვიცი.

— მდაა... გამოდის, წარსული გაგახ-
სენდა... ეს კარგია, მაგრამ... ის თუ იცი,
რატომ გასტყედი ასე ძალიან და ღიბი რატომ
დაგედო?

— არა, არ ვიცი და არც მაინტერესებს.
გთხოვ, ნუ ლაპარაკობ...

— სამაგიეროდ, მე ვიცი... იმიტომ, რომ
შენ მალე დედა გახდები.

— ღმერთო, მგონი, ბოდავ... გაჩუმდი,
არ შეიძლება ამდენი ლაპარაკი...

— სულაც არ ვბოდავ, პატარავ... შენ
ორსულად ხარ და ჩენგან შვილს ელოდე-
ბი. გასაგებია?

— ხომ არ გაგიჟდი?! გაჩუმდი, გა-ჩუმ-
დი!

— არა, არ გავგიჟდი და არც გავჩუმ-
დები. ეს სიმართლეა, მხოლოდ სიმართლე
და არაფერი, სიმართლის გარდა.

— რა საძაგელი ხარ!.. ხომ გთხოვე, არ
ილაპარაკო-მეთქი. ცოტაც, მოითმინე, მალე
მოვა „სასწრაფო“ და ყველაფერი კარგად
იქნება. მთავარია, რომ ცოცხალი ხარ, ახლა
ეს არის მთავარი.

— არ მინდა „სასწრაფო“. მე მხოლოდ
ჩემი პრინცესა მინდა.

— გაჩუმდი, გვედრები! — თაკომ ტირ-
ილს უმატა, ეგონა, რომ ირაკლის, დარტყ-
მის შედეგად, სერიოზული პრობლემები
გაუჩნდა.

— ნუ ტირი... თუ გგონია, რომ სისუ-
ლეებს ვლაპარაკობ და ვბოდავ, გამოდის,
სამოთხეში ვარ.

— რა სამოთხე, რის სამოთხე?! აგერ
ხარ, ჩემთან ერთად.

— ნამდვილად, სამოთხეში ვარ, რადგან
ჩემ გვერდით ანგელოზს ვხედავ, — ზუმ-
რობა სცადა მამაკაცმა.

თაკოს სიმწრით გაელიმა.

— თუმცა ჩემი ცოდვების გამო, ალბათ
ჯოჯოხეთში უნდა მოვხვედრილიყავი, —
გააგრძელა მორიელმა ზუმრობა, — მაგრამ
თუკი ჯოჯოხეთში ასეთი ანგელოზები
დაფრინავენ, ამაზეც თანახმა ვარ, იყოს
ჯოჯოხეთი.

— გაჩუმდი, შენთვის ლაპარაკი არ
შეიძლება, სიხარულო. „სასწრაფო“ მალე
მოვა, აი, ნახავ, ახლაც აქ გაჩნდებიან.

— რა-ა? ახლაც? — მხიარულად წარ-
მოთქვა პირადმა მცველმა. — მაშინ,
მოვასწროთ და მოდი, კიდევ ერთხელ,
თავიდან გავიცნოთ ერთმანეთი. თქვენ რა
გქვიათ, გოგონი?..

ჭიშკართან „სასწრაფო დახმარების“
სირენის ხმა გაისმა...

დასასრული

გონების სასაჩიპო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები უურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოკვეთებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

პასუხების სვტარსავე არ გაგაქმეთ თვალი

1. ეს კომპოზიტორი ნაპოლეონს აღმერთებდა. მას საკუთარ მამად, მამად მიიჩნევდა. ეგონა, რომ იგი ევროპას უტოპიის მსგავს სამყაროდ აქცევდა, მაგრამ როდესაც ნაპოლეონმა თავი იმპერატორად გამოაცხადა, კომპოზიტორმა ეს დალატად მიიჩნია და მამაცობისადმი მიძღვნილი სიმფონიის პარტიტურადან მისი სახელი ამოშალა. დაასახელეთ ეს კომპოზიტორი.
2. ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დასაწყისში იტალიის ტერიტორიაზე შოშიების დიდი გადაფრენაა. ამ ულამაზეს სანახაობას ათასობით ადამიანი ადევნებს თვალს. რა უჭირავს უკლებლივ ყველა მათგანს ხელში?
3. დაასახელეთ ფილოსოფოსი, რომელსაც საკუთარი და უყვარდა.
4. ვის ეუთვნის სიტყვები: „სინდისი?!... ეს ხომ ებრაელების მონაჩმახია!“?
5. რას ნიშნავს სიტყვა „მრჩობლი“?
6. დაასახელეთ მომღერალი ქალი, რომელსაც ელტონ ჯონი უბედურ ძროხას ეძახის.
7. რა პქვი საპეციალურად საგაზეთოდ შემუშავებულ ქართულ შრიფტს, რომლითაც გაზეთი „სიტყვა და საქმე“ იბეჭდება?
8. დაასრულეთ მიხაილ ყვანცკის ფრაზა: „მია უნა სტალა პასიშჩატ დიეტოლოგა ი ზა დვა მესიაცა სბროსილა 300...“
9. დაასახელეთ მეცნიერი, რომელიც 1600 წლის 17 თებერვალს რვანლიანი ნაშების შემდეგ პაყა ნოვას მოედანზე კოცონზე დანჯა.
10. დაასახელეთ ინგლისელი პოეტმა რომელიც საბერძნეთში, ამ ქვეყნის თავისუფლებისათვის ომში დაიღუპა.
11. მიხეილ ჯავახიშვილის რომელი ნაწარმოების მთავარი გმირი იყო სამტრედიელი?
12. ბუშის ვიზიტთან დაკავშირებით გამართულ კონცერტზე, რა იყო ამოღებული ქართულ მოცეკვავე ვაჟთა მორთულობიდან?
13. დაასრულეთ ირლანდიელი დრამატურგის, ბრენდან დიჰამის სიტყვები: „არ არსებობს ისეთი ცუდი მდგომარეობა, რომლისგანაც პოლიტიკოსებმა...“
14. რა ნიშნავს თრაშვა?
15. 1940 წელს გამოვიდა წიგნი, რომელშიც პითაგორას თეორემის დამტკიცების 370 განსხვავებული ხერხი იყო მოცემული. თეორემის დამტკიცების 370 ხერხიდან ერთ-ერთის ავტორი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახლდათ. დაასახელეთ იგი.

ანეკდოტები



ჩანანერი სვანის დღიურში: „გუშინ დიდი პეპელა დავიჭირე, ლამაზი იყო, მაგრამ უგემური...“

— გუშინ ჯონიმ მითხრა, თუ ცოლად არ გამომყვები, გავგიჟდებიო, — ეუბნება ელენე თინიკოს.
— ჰმ, ერთი საათის წინ მეც მთხოვა ცოლობა.
— ხომ გითხარი, უკვე გაგიჟებულა!..

— აღარ შემიძლია, სამ თვეში ერთხელ აბორტის კეთება მიხდება! — შესჩივის მეგობარს ლიზი.
— რატომ, ქმარი არ გიფრთხილდება?
— ქმარი კი, მაგრამ სხვებს ვერ შევაგნებინე ვერაფერი?!

— ექიმო, კუჭი მტკივა ძალიან, — ეუბნება გურული ექიმს.
— გაიხადეთ და დანექით.
— რავა, სიტყვაზე არ მენდობი, თუ?!

— რა არის გამოცდა? — ეკითხება სტუდენტს პროფესორი.
— საუბარი ორ ქვეყან ადამიანს შორის, — პასუხობს სტუდენტი.
— თუ ერთი მათგანი უტყვინოა?
— მაშინ მეორე უსტიჟენდიოდ დარჩება.

— ხომ გაგიგონია, შიშს დიდი თვალეზი აქვსო.
— კი.
— აზრზე ხარ, ჩინელები რა მამაცი ხალხია?!..

ცოლი ქმარს:
— ძვირფასო, რას იზამ მე რომ მოგვკვდებ?
— დაგასაფლავებ.
— მერე რას იზამ?
— მერე არ ვიცი. იმედი მაქვს, რომ ბევრს არ მომიხჯიან!


— მითხარით, გეთაყვა, მართლა შრომამ შექმნა მაიმუნისგან ადამიანი?
— კი, ასეა, მაგრამ თქვენს წინაპრებს, როგორც ჩანს, შრომა მაინცდამაინც არ ჰყვარებიათ.

დედა ეუბნება შვილს:
— მეტი უნდა იმეცადინო. ხუთოსნობას არ გთხოვ, უბრალოდ, მომბებრდა მშობელთა კრებაზე ფსევდონიმით სიარული.

— დედა, ის ქალი 15.000 დოლარს აკეთებს თვეში, მაგრამ უკვე ჭალარაა, სქელი და საშინელი!
— შენ არასწორად ამბობ, შვილო, აი, ასე უნდა თქვა: მართალია, ის ქალი ჭალარა, სქელი და საშინელია, მაგრამ თვეში 15.000 დოლარს აკეთებს.

კომენტატორი:
— დარტყმა — ძელი! დარტყმა მაკრატელათი — ძელი! კიდევ დარტყმა — კიდევ ძელი! თავური დარტყმა — მაინც ძელი! ღმერთი არავის გნამთ, მიაწოდეთ რომელიმე მაგ კაცს ბურთი.


— ექიმო, ვიცოცხლებ?
— კი, რა თქმა უნდა!.. მთელი ერთი საათი!..



— ექიმო, ცხვირით ვერ ვსუნთქავ.
— შენც პირით ისუნთქე.
— გმადლობთ.
— გმადლობთ კი არა, ფული გადაიხადევე!!!..

— ხომ ვერ მეტყვი, რომელი საათია?
— „ორიენტია“, სიმონ!

მამალმა საქათმეში სირაქლემის



კვერცხი მიიტანა და დედლებს ეუბნება:

— ძვირფასო ქალბატონებო, მე არავის გაკრიტიკებას არ ვაპირებ, მაგრამ მიაქციეთ ყურადღება, თუ რას ანარმოებენ საზღვარგარეთ!

— იმდენი რამე წავეიკითხე სიგარეტისა და ალკოჰოლის მავნებლობაზე, რომ ბოლოს თავი დავანებებ.
— მოწვევას?
— არა.
— დალევას?
— არა!
— აბა, რას?
— კითხვას!

— მარხვის დროს ხილის ქამა თუ შეიძლება? — ეკითხება სვანი მოძღვარს.
— როგორ არა!
— კი, მაგრამ შემთხვევით მატლი რომ შემეყვას?!

— რა განსხვავებაა პოლიციელსა და ინტელიგენტს შორის?
— პოლიციელმა იცის, რომ ორჯერ ორი შვიდია. ინტელიგენტმა იცის, რომ ორჯერ ორი ოთხია, მაგრამ მას არაფერ უჯერებს.

პაემანზე:
— თქვენ არაჩვეულებრივად ლამაზი ბრძანდებით, მაგრამ სადაა ის პატარა ხარვეზი, განცხადებაში რომ მიუთითეთ?
— სკოლიდან ჯერ არ მოსულა!

— ექიმთან ვიყავი და ასე მითხრა, მასსოვრობის უნარი გაქვს დაკარგულიო.
— აუ, ძმურად, ასი დოლარი მას-ესხე, რა!

— რა განსხვავებაა მეძაგსა და ბოზს შორის?
— პირველი პროფესიაა, მეორე — მორალური მხარე.

— როგორ შეიძლება ხელი ააღე-

გონების სუსხაქონი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კანსუხები)

1. ლიუდვიგ ვან ბეთჰოვენი.
2. გაზეთი, რომელიც თავზე აქვთ გადაფარებული.
3. ფრიდრიხ ნიცშე.
4. ადოლფ ჰიტლერი.
5. „მრჩობლი“ და „წყვილი“ სინონიმებია.
6. მადონა.
7. „საქმე და სიტყვა“.
8. „დოლაროვ“.
9. ჯორდანო ბრუნო.
10. ბაირონი.
11. „კვაჭი კვაჭანტირაძე“.
12. ფარ-ხმალი და ქამარ-ხანჯალი.
13. „უარესის შექმნა ვერ შეძლონ“.
14. ძვირფასი ქვებისათვის ხეხვით წახნაგების გაკეთებას თრაშვა ეწოდება.
15. ჯეიმს აბრამ გარფილდი (1831-1881 წლები).

ბინოთ განზრახვაზე ხუთ ზანგს, რომელიც ქალის გაუპატიურებას აპირებს?

— გადაუგდეთ კალათბურთის ბურთი.

ჩვენი ფოსტო მადანია



შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგიგზავნოთ ელფოსტით: qza.fantazia@gmail.com, „ჯივის პალიტრის“ (სიტყვა და საქმის) საფოსტო ყუთების (კონკრეტულ მანერულ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვანოდით რედაქციაში მის: თბილისი, იმედიძის ქ. №49.

შინაური პილინგი

ბევრი პოლიფუნქციური ვარსკვლავი თურმე შინ გაკეთებულ პილინგს ანიჭებს უპირატესობას და ირწმუნება, რომ ეს საუკეთესო საშუალებაა კანის გასაწმენდად და „გასაპრიალებლად“.

რეცეპტი საკმაოდ მარტივია: 0,5 ჩ/ჭ ზეთუნის ზეთს შეურიეთ 2 ჩ/ჭ ზღვის (ან სუფრის) მარილი და ნამიან კანზე წაისვით (პროცედურამდე მიიღეთ შაპი და არ შეიმშრალეთ).



არსებობს კიდევ ერთი, არანაკლებ პოპულარული მეთოდი: სუფთა კანზე თხლად წაისვით თაფლი (ცხადია, თუ ამ პროდუქტს მიმართ ალერგიული არ ხართ) და თითის წვერებით მსუბუქი მასაჟი იკეთეთ მანამ, ვიდრე მასა არ გასქელდება. ამ უმარტივესი პროცედურის შედეგად, კანი მკვდარი უჯრედებისა და მავნე ნივთიერებებისგან გათავისუფლდება. ჩამობანის შემდეგ ლოსიონი წაისვით. სხვათა შორის, ლოსიონიც თავად შეგიძლიათ დაამზადოთ: 2 ჩ/ჭ წვრილად

დაჭრილ ჭინჭრის ფოთლებს დაასხით მდუღარე წყალი, გააჩერეთ 30 წუთი და გადანურეთ. ეს ნაყენი აგრეთვე რეკომენდებულია სახის კანის გასაწმენდად და კომპრესისათვის. ხსნარში დაასველეთ ორ ან სამ ფენად დაკეცილი დოლბანდის ხელსახოცი და 5-10 წუთით დაიფინეთ შუბლზე, ლოყებსა და ნიკაპზე.


აღმოსავლური ნამსხვებრი

მასალად საჭიროა:
 1 ჩ/ჭ ცილა;
 1 ჩ/ჭ შაქრის ფხვნილი;
 1 ჩ/ჭ ფქვილი;
 1/2 ჩ/ჭ გამდნარი კარაქი;
 1/2 ჩ/ჭ ქიშმიში;
 1/2 ჩ/ჭ წვრილად დაჭრილი ნიგოზი;
 1/2 ჩ/ჭ ლელვის (ან გარგარის) ჩირი;
 ფორთოხლის ცედრა.

მოზადების წესი
 ცილა კარგად ათქვიფეთ, შეურიეთ შაქარი. ნიგოზი და ჩირი დაჭერით წვრილად. ქიშმიში გარეცხეთ და კარგად გააშრეთ. ეს ყველაფერი აურიეთ ფქვილში, დაუმატეთ ცედრა და თანდათანობით, თანაბრად შეათქვიფეთ კარაქი. ამ მასას შეურიეთ ცილა. მოზილეთ და ჩაასხით ცხიმნასამულ და ფქვილმოყრილ ყალიბში. ძირზე შეეფიქლიათ პერგამენტის ქაღალდი დაფიქონოთ, ნამცხვრის გადმოღება უფრო რომ გაგიადვილდეთ.
 ცხეება დაახლოებით 30 წთ.

რბივ მიტყვევებასთან ერთად

ნაოჭები მხოლოდ ასაკოვან მამაკაცებს როდი უჩნდებათ. ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ მათი



ჭორიზონტალური ნაოჭები

მამაკაცის შუბლზე არსებული 1-3 სწორი ნაოჭი მოუთითებს, რომ იგი ძლიერი, ენერჯული, განონანსორებული და პარმონიული პიროვნებაა; მდგომარეობიდან ვერაფრით გამოიყვან, ხოლო მასთან ჩხუბი თითქმის წარმოუდგენელია. 3- ნაოჭზე მეტი, კიდევ უფრო მტკიცე ხასიათის მიმანიშნებელია. ასეთი მამაკაცი გულლია და ექსპერიმენტების არ ეშინია, გამაკუთრებით კი — სასიყვარულო ურთიერთობაში.

მამაკაცი, რომელსაც შუბლზე ტალღისებური ან წვეტიანი ნაოჭი აქვს, შესაძლოა ძალზე ზედაპირული და ამავე დროს, ეგოისტური აღმოჩნდეს. თუ ამ ტიპის ნაოჭები მას შუბლის ზედა ნაწილში აქვს, მისი წონას-

წარმოიბადნა საკმაოდ იოლია. ნაოჭების საერთოდ არქონა კი მის გულგრილობაზე მეტყველებს.

ვერტიკალური ნაოჭები
 მამაკაცი, რომელსაც შუბლზე ღრმა ვერტიკალური ნაოჭები აქვს, მხოლოდ იმას

ამჩნევს, რაც თვითონ უნდა, ყველაფერ დანარჩენს კი გვერდს უვლის. ჯიუტად იცავს საკუთარ აზრს. ორი-სამი ნაოჭი დამახასიათებელია იმ მამაკაცებისთვის, რომლებიც ნებისმიერი გადანყვებილების მიღებისას ბევრს ფიქრობენ და ამავე დროს, ფეთქებადი ხასიათი აქვთ.

წვირ-ტუჩის ნაკეცი

მგრძობიარე მამაკაცებს ცხვირსა და ტუჩს შორის უჩნდებათ ნაკეცი. ისინი ძალზე სერიოზულები, და ამავე დროს, ზედმინეწი კეთილგანწყობილები არიან. თუმცა შესაძლოა, ასეთი ნაოჭის მქონე მამაკაცი ზედმეტად ნერვიულიც აღმოჩნდეს.

აირჩიე და შეიძინე სასლიდან გაუსვლელად ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Женский журнал	11.65	69.7
4. Женское здорovie	7.00	41.8
5. Сандра	4.00	24.0
6. Все для женщины	0.80	19.9
7. Гламур	7.20	43.2



პრესის გავრცელების სააგენტო „მას-კალაქაქიში“
 ქ. თბილისი იოსებძის ქ. № 49
 ტელ: 42-43-40; 38-26-73; 38-26-74.
 ფაქსი: 38-26-74
 E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

თვალები - თქვენი წარმატების იარაღი

თვალები სულის სარკეაო — ეს მხოლოდ მხატვრული გამოთქმა როდია. არაფერი ისე არ გამოხატავს ადამიანის ფიზიკურ თუ სულიერ სილამაზეს, როგორც თვალები.

ოდითგანვე თვალები ქალის მომხიბვლელობის სიმბოლოდ მიიჩნეოდა. მამაკაცთა უმრავლესობას, ქალი სწორედ ლამაზი თვალების გამო უყვარდება. ამასთანავე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა ფერს, სიდიდეს და ჭრილის ფორმას, არამედ თვალების სიკაშკაშეს. სამწუხაროდ, ლამაზ თვალებს ხშირად ლაზათს უკარგავს ჩამქრალი, დაღლილი გამოხედვა, ანთებითი პროცესები, შესივებული ქუთოთოები და ჩამავებული უბები. არადა, ლამაზ, ბრწყინავ, მეტყველ თვალებს არაფრით გამორჩეული სახის გალამაზებაც კი შეუძლია.

გთავაზობთ რამდენიმე რჩევას, რომელიც თქვენს თვალებს ბრწყინვალეობასა და სილამაზეს შემატებს:

● ყოველ დღით, გაღვიძებისთანავე, თვალები ჩაის მაგარი ნაყენით ამოიბანეთ. ეს სინითლისა



და დაღლილობის შეგრძნებას მოგისწინით;

● შესივებულ, ჩამავებულ უბებს შველის საღბის ნაყენის კომპრესი: 1 ჩ/კ საღბს დაასხით 100 მლ მდუღარე წყალი. ჭურჭელს თავსახური დაახურეთ და 15 წუთი გააჩერეთ. ნაყენი ორად გაყავით. ერთი ნაწილი მაცივარში შედგით, მეორე კი შეათბეთ. დაასველეთ ბამბა (ცალ-ცალკე) თბილ და ცივ ნაყენებში და ძილის წინ, 10-10 წუთით მორიგეობით დაიფინეთ დახუჭულ თვალებზე. შესივებუ-

ლი უბეებისთვის ასევე ძალზე ეფექტურია ოხრასუშის ნიღაბი. წვრილად დაჭერით ცოცხალი მწვანელი და დაიდეთ უბეებზე. ზემოდან სველი დოღბანდი დაიფინეთ. ნიღაბი 15-10 წუთს გაიჩერეთ.

● ანთებით პროცესს აქრობს რძის კომპრესები. რძეში დასველებული ბამბა 5-7 წუთით, დახუჭულ თვალებზე დაიფინეთ, შემდეგ ცივი წყლით ჩამოიბანეთ და მატონიზებელი კრემი წაისვით.

● თვალებს სიკაშკაშესა და ბრწყინვალეობას მატებს ცაცხვისა და გვირილის ყვავილების ნაყენის საფენები. გვირილისა და ცაცხვის ნახევარ-ნახევარ კოვზ ყვავილებს დაასხით 200 გ ადუღებული წყალი და 20-30 წუთით გააჩერეთ. ამ ნაყენით ამოიბანეთ თვალები ან 5-წუთიანი კომპრესი გაიკეთეთ.

● თვალების შესივებას, უმჯობესია, კარტოფილის ნიღბით გაუმკლავდეთ. კარტოფილი კარგად გარეცხეთ და კანიანად გახეხეთ. მიღებული ფაფის ორი კოვზი აურიეთ 2 ჩ/კ ფქვილსა და 1 ს/კ რძეში. დაიდეთ თვალებზე და 15-20 წუთი გაიჩერეთ.

როგორ მოვუაროთ თმას სივ ამინდში

სპეციალისტების აზრით, მშის დეფიციტი წარმოშობს „მამთრის დეკრესიას“, რომელიც ჩვეულებრივ, სტრესთან ერთად ჯანის მომეტებულ მგრძნობელობას იწვევს. მისი „თანამონაწილენი“ არიან — მშრალი ჰავა, ტემპერატურის დაცემა, ხისტი წყალი...



მცენარეთა ენერჯია თმის გასამაგრებლად

ლამაზი და მბზინავი თმის საიდუმლო არა მხოლოდ მის მოვლაში, არამედ თმის სწორად კვებაშიც მდგომარეობს. ნატურალურ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული თმის მკვებავი საშუალებები ძლიერ ეფექტს იძლევა. ბევრ ასეთ საშუალებას არომათერაპიული ეფექტი აქვს. ისინი ნატურალურ მცენარეულ ექსტრაქტებსა და ეთეროვან ზეთებს შეიცავენ; ხსნის კანის დაჭიმულობას

და ქავილს.

ალთე — თმას ატენიანებს და მის სტრუქტურას აუმჯობესებს. კონდიციონერში შემავალი ამ მცენარის ფოთლების გელი თმას არბილებს, აფუებს და დამყოლს ხდის.

ავოკადო — თმას განსაკუთრებულ ბზინვარებას ანიჭებს. ავოკადოს ზეთი კარგად შეიზილეთ თმის ძირებში და სავარცხლით მთელი სიგრძეზე გაინანილეთ.

გარგარის ზეთი — მასში შემავალი რკინა თმას ჟანგბადის უკეთ ათვისებაში ეხმარება და გაყოფილი ბოლოების კარგი პროფილაქტიკური საშუალებაა.

ჟენ-შენი — აქრობს ქერტლს. მდიდარი გამმენდი ნივთიერებებით და თხელი თმის მოსავლელად შეუდარებელი საშუალებაა.

კრაზანა — თავის კანზე დამამშვიდებლად მოქმედებს, აშორებს ქერტლს და თავის კანს მისი ხელახალი გაჩენისგან იცავს.

რუბრიკა მოამზადა ეკა გუნთაიშვილმა



დიდბორის საფა ურჩინა ის ახარი

გოჩა მანველიძე

დასაწყისი „გზა“ №24-41

ნაწარმოებზე თქვენი
შთაბეჭდილება შეგიძლიათ
გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

ჰასანი ემირ ბაადის ლაშქართან ერთად ბრუნდებოდა მამართა სიმაგრეში. ბარისკენ დაშვებისას, არც იყო დარწმუნებული, რომ სელჩუკები კარანაუსელთა შინაომში ჩაერთვებოდნენ, მაგრამ ამირამ სწრაფად შეაფასა, თუ რას მოიგებდა აბუბაქარის დახმარებით და მაშინვე აახლა ლაშქარი. კარანაუსელთა სამფლობელოსკენ დაძვრისას, ჰასანმა უკვე იცოდა, რომ აჯანყებულთა ბედი გადანყვებილი იყო. აბუბაქარისა და ემირის ჯარები ადვილად დასძლევდნენ განდგომილთა წინააღმდეგობას. ომის დასასრულს, აბუბაქარი მამართა ტახტს მიიღებდა. ხელცარიელი არც ემირი დარჩებოდა. ის ერთგულ მოკავშირეს შეიძენდა, რომელიც ბევრად გაუადვილებდა ურჩი მთის მართვას, მაგრამ ჰასანი მაინც შფოთავდა. შიში, რომ მუროჩი ვერ შეძლებდა კარანაუსელთა სოფლის გავლას, მოსვენებას უკარგავდა. ეს რომ მომხდარიყო, ამდენი წვალება ამაოდ ჩაუვლიდა. წვალებასა და დაღლილობაშიც არ იყო საქმე. კარგად იცნობდა მუროჩის. სხვა მის ადგილას შეუმჩნევლად შეცვდებოდა სოფლის გავლას და თუ კარანაუსელებს გადაეყრებოდა, უანვე გამობრუნდებოდა, რათა მოგვიანებით ეცადა ბედი. მუროჩი კი ლოდინს არ მოჰყვებოდა. მან ხომ იცოდა, რომ უღელტეხილისკენ დაძვრილი კარა-

ნაუსელები აუცილებლად გადაიწყდებოდნენ ქარავანს. ამას მხოლოდ ერთი რამ — მექარავნეთა ამოხოცვა მოჰყვებოდა. ამის მცოდნე ფხოველი საერთოდ დაივინყებდა სიფრთხილეს და ჯიქურ, ხმლისა და ცხენის იმედად შევიდოდა სოფელში. მუროჩი შესანიშნავი მებრძოლი იყო. ამაში ჰასანი არაერთხელ დარწმუნებულია, მაგრამ კარანაუსელთა ჯართან მაინც ვერაფერს გაანყობდა და ის რომ დაღუპულიყო, დაილუპებოდნენ მექარავნებიც.

— არ უნდა გამეშვა. უღელტეხილისკენ თავად უნდა წავსულიყავი. ის კი ემირ ბაადთან უნდა გამეგზავნა. კარანაუსელებს უკეთ ვიცნობ და რომ გადაეწყდომოდი, ოქროთი მაინც მოვისყიდდი. თავსაც გადავირჩენდი და მექარავნებსაც ავაცილებდი საფრთხეს. თანაც ეს ყველაფერი ჩემი მიზეზით მოხდა. მე მოვკალი წყეული მულიდი და მთელი ტვირთი მე უნდა მეზიდა! — მერამდენედ იმეორებდა გონებაში.

სოფელი, რომელიც ყველაზე მეტად ალღევდა, გახიზნული აღმოჩნდა. კარანაუსელ მზვერავებს მოესწროთ მცხოვრებთა გაფრთხილება, მაგრამ სელჩუკებმა მაინც მიაკვლიეს რამდენიმე მოხუცს, რომლებიც თავს სამალავებს აფარებდნენ. ჰასანი მაშინვე შეუდგა მათ გამოკითხვას. მოხუცებიდან ერთ-ერთი თავად შესწრებოდა მუროჩისა და მზვერავების შეტაკებას. მან ყველაფერი დანვრილებით უამბო ჰასანს. ბოლოს კი დაამატა, რომ ის მსტოვარი მოკლეს.

— სად არის ცხედარი? — სწრაფად ჰკითხა ჰასანმა.

— ცხედარი არავის უნახავს, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ ის კაცი დაიღუპა, — უპასუხა მოხუცმა.

— ცხედარი თუ არავის უნახავს, როგორ გაიგეთ მისი დაღუპვის შესახებ? — გაუკვირდა ჰასანს.

— სოფელში მის მოსასახამს მიაგნეს. მთლიანად სისხლით იყო გაუღენთილი...

მოხუცის პასუხმა ჰასანი დაამშვიდა. თავად ნახა, როგორ აართვა მუროჩიმ მოსასახამი მის მიერვე მოკლულ კარანაუსელს. მოსასახამი ჯერ კიდევ მაშინ იყო სისხლით გაუღენთილი.

— იმ კაცს ჩვენმა მეომრებმა სოფელშივე ადინეს სისხლი. მერე კი ისრები დაადვენეს და მეორეჯერაც დაჭრეს. მთელმა სოფელმა ნახა სისხლის კვალი, რომელიც გზას მიუყვ-

ბოდა, — დასძინა მოხუცმა.

მოგვიანებით ჰასანმა საკუთარი თვალთ იხილა სისხლის კვალი, რომელზეც მოხუცმა უამბო, მაგრამ მაინც არ დაიჯერა, რომ მუროჩი მკვდარი იყო. უბრალოდ, არ შეეძლო იმის დაჯერება, რომ მუროჩი დაიღუპა. იმედს მისი გაუჩინარება აძლევდა. მდევარი ასე ადვილად არ მოეშვებოდა მსტოვრად შერაცხულ უცნობს; მით უმეტეს, დაჭრილს. მაგრამ მუროჩიც ბოლომდე იბრძოლებდა, რათა მათ ხელში არ ჩავარდნილიყო. ამაზე ფიქრი ისევ უკარგავდა იმედს. რით უნდა გასჯობებოდა დაჭრილი ფხოველი, კარანაუსელთა ჯარს?.. მდევარი უკეთ იცნობდა გზას და ცხენებიც დასვენებული ჰყავდა. ის ადვილად დაენოდა მუროჩის, მაგრამ როგორც კი ფხოველი მიხვდებოდა, რომ მდევარს თავს ვერ დააღწევდა, შემობრუნდებოდა და იარაღით დაცავდა თავს. კარანაუსელთა ჯართან შეტაკებისას, ის უეჭველად დაიღუპებოდა და მისი ცხედარიც არსად გაქრებოდა; მაგრამ ის არც ცოცხალი ჩანდა და არც — მკვდარი. ეს ჰასანს აფიქრებინებდა, რომ მდევრისგან თავის დასაღწევად, სადმე შეაფარა თავი, მერე კი ჭრილობით დასუსტებულმა, გზის გაგრძელება ვეღარ შეძლო. შეიძლება, ის ახლაც მთის რომელიმე გამოქვაბულში იმალებოდა ან კიდევ უკვე მკვდარი იყო და მის ცხედარს ყვავ-ყორანი ძიძგნიდა.

მექარავნეთა სადგომის ხილვამ ჰასანს შიში გაუცხოველა. ბანაკი გაძარცვული იყო. კარანაუსელებს ტვირთი დაეტყვებინათ და რაც არ მოსწონებოდათ, აქეთ-იქით მიმოეფანტათ. ჰასანმა ნაბიჯ-ნაბიჯ მოიარა მოედანი, მაგრამ ბრძოლის კვალს ვერსად მიაგნო. მექარავნებს დროზე შეემჩნიათ მოახლოებული კარანაუსელები და იქაურობას გასცლოდნენ. ასე ეგონა ჰასანს, მაგრამ მოგვიანებით რამდენიმე დატყვევებულმა კარანაუსელმა იმ ღამით დახოცილი სელჩუკების შესახებ უამბო.

— ვინ იყვნენ ისინი, მეომრები თუ მექარავნები?! — სწრაფად იკითხა ჰასანმა, თუმცა წინასწარ გრძნობდა, რა პასუხსაც მიიღებდა. სელჩუკთაგან, კარანაუსელთა მიწაზე, მხოლოდ ემირ ბაადის ლაშქარი იმყოფებოდა. მას კი არავინ შესტაკებია. ესე იგი, დახოცილი სელჩუკები მექარავნენი უნდა ყოფილიყვნენ.

— მექარავნენი იყვნენ, — დაუდასტურეს ტყვე კარანაუსელებმა.

— როგორ მოხდა ეს?

— ეს ჩვენი ბრალი არ იყო, — თავის მართლებით წამოიწყო იმ შეტაკების მონაწილე კარანაუსელმა, — ღამე იყო. ჩვენი რაზმი უცხ-

ოელთათვის აკრძალულ ბილიკს იცავდა. ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ აბუბაქარმა ჯაფარი მოკლა და ახლა სელჩუკთა ჯარით მამართა ტახტის დასაკავებლად ემზადებოდა. ამ დროს ბილიკზე სელჩუკები გამოჩნდნენ. ასე, ოცდაათამდე მხედარი იქნებოდა. ცხენები ჭენებით მოჰყავდათ. ჩვენ ვიფიქრეთ, რომ აბუბაქარის მომხრე სელჩუკების მონინავე რაზმი იყო, რომელსაც მთის გადასასვლელის დაკავება ჰქონდა ჩაფიქრებული და ისრები დავუშინეთ. ათი თუ თხუთმეტი სელჩუკი უსულოდ გადმოეშვა ცხენიდან. დანარჩენები უკან გაბრუნდნენ. ჩვენ ისრის სროლით მივეყვით და იქამდე ვდიეთ, ვიდრე ყველანი არ ამოვხოცეთ. ვინც ისარს გადაურჩა, ხმლებითა და შუბებით აფიქეთ...

— რატომ?! — გულზე ცეცხლი მოედო ჰასანს, — ისინი ხომ ვაჭრები იყვნენ?!

— ეგ მხოლოდ ბრძოლის მერე გავიგეთ. მაშინ, როცა მკვდრები დავათვალიერეთ, მაგრამ რომც გვცოდნოდა, მაინც დავხოცავდით. მთის გადასასვლელები ყველასთვის დაკეტილია. ასეთია ჩვენი ბატონის ბრძანება და ეს ყველა მექარავენმ იცის! — უპასუხა კარანაუსელმა.

— მათ შორის ვენეციელებიც იყვნენ?

— არა... ყველა სელჩუკი იყო, მაგრამ რამდენიმე თავად გადაიჩეხა უფსკრულში. ზოგი ისრით დაჭრილმა ცხენმა გადაიყოლა.

— ცხედრები?! სად წაიღეთ ცხედრები?! — მღელვარედ ჰკითხა ჰასანმა.

— მკვდარ სელჩუკებს თავები მოვკვეთეთ და უღელტეხილიდან აბუბაქარის მომხრეებს გადაუყარეთ. სხეულები კი მდინარეში გადაყარეთ,

— უპასუხა კარანაუსელმა.

ამის მოსმენისას ჰასანს თვალთ დაუბნულდა. მისთვის ნათელი გახდა, რომ მუროჩიმ მექარავენებამდე მიღწევა და მათი გაფრთხილება ვერ შეძლო. მათ თავად შენიშნეს ქვემოდან მომავალი კარანაუსელთა ჯარი, მიატოვეს ქარავანი და გაიქცნენ, მაგრამ რადგანაც არ იცოდნენ, ჯაფარი ცოცხალი იყო თუ არა, სიმაგრეში დაბრუნება ვერ გაბედეს. ამის მაგივრად აკრძალულ ბილიკს დაადგნენ და კარანაუსელთა საფარს გადააწყდნენ...

დანარჩენი ტყვე კარანაუსელმაც უამბო. მექარავენები დაილუნენ...

ვენეციელები კი უფსკრულში გადაიჩეხნენ. ჰასანს თვალწინ მათი დაღუპვის სურათი წარმოუდგა. ის კარგად იცნობდა აზიზის წესებს. გაქცევისას ჩაუში ვენეციელებს რაზმის ბოლოში დატოვებდა. მათ ხომ არაფერი იცოდნენ მთაში ღამით სიარულისა. კარანაუსელებთან შეტაკებისას კი რაზმი შებრუნდა და ჭენებით გაცალა ბრძოლის ველს. ამ დროს ვენეციელები რაზმს თავში მოექცოდნენ. მათ თავისთავად დააბნევდათ კარანაუსელთა ყიფინა, ისრის სეტყვა და მექარავენები, რომლებიც უკნიდან მიანვებოდნენ. ვენეციელები კი უფსკრულის პირას მიაჭენებდნენ ცხენებს — ვინრო ბილიკზე, რომელზეც ერთი შეცდომა, მარცხნივ ან მარჯვნივ გადადგმული ნაბიჯი, სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა...

მუროჩის ნყურვილი — ის ერთადერთი გრძნობა იყო, რომლითაც ჰასანი უღელტეხილისკენ მიინვედა. იქ ეგულებოდა მისი მეგობრების მკვლელები და მანამდე ვერ პოუვებდა სიმშვიდეს, ვიდრე მათ თავებს მიწაზე დაგორებულებს არ იხილავდა, მაგრამ უღელტეხილზე დაბანაკებულმა კარანაუსელებმა ბრძოლა არ ისურვეს. მათ დროულად შენიშნეს სელჩუკთა ლაშქრის მოახლოება. ორ ცეცხლს შუა აღმოჩენილებმა, მოთავეები ამოხოცეს და მათი თავები შეწყალების თხოვნასთან ერთად, აბუბაქარს გაუგზავნეს.

კარანაუსელთა ახალგამომცხვარმა ბელადმა შეისმინა თანატომელთა თხოვნა და „ყურანზე“ დაიფიცა, რომ არავის დასჯიდა, ვინც ერთგულების ფიცს მისცემდა და მის ლაშქარს შეუერთდებოდა. ამით კარანაუსელთა შინაომი დასრულდა და უღელტეხ-

გუელმოს მოჰკრა თვალი. ისიც კი გაიფიქრა: მუროჩის ნყურვილმა გონება დამიბნელა და რაღაც მეჩვენებო, მაგრამ როდესაც გუელმომ ყვირილით გამოქანდა მისკენ, ირწმუნა, რომ ის მართლაც ცოცხალი იყო. შემდეგ კი თავისი ღულამები და ვენეციელთა მსახურებიც შენიშნა, მაგრამ მათ შორის არ ჩანდნენ გვიდო და მუროჩი.

— სხვები!.. სად არიან სხვები?! — მღელვარებისგან აკანკალებული ხმით იკითხა ჰასანმა.

— ნუ ღელავ... ცოცხლები არიან! — უპასუხა გუელმომ. მერე კი სხაპასუხით უამბო, მუროჩის დაჭრისა და ქარავნის მიტოვების ამბავი.

— მაშინ ვინ დახოცეს კარანაუსელებმა? მათ მითხრეს, რომ მოკლულ სელჩუკთა თავები უღელტეხილიდან გადაყარეს აბუბაქარის მომხრეთა ბანაკში!


— მართალი უთქვამთ. აი, ისინი, — უპასუხა გუელმომ და ხელი ხევის ნაპირისკენ გაიშვირა, სადაც ოცამდე მოკვეთილი თავი იდო.

ჰასანი ხევისკენ შებრუნდა და თავზარდაცემული გაქვავდა. პირველსავე თავს ნაცნობი ნაკვთები შენიშნა. მიცვალებულს სახე შიშისგან დაღმეჭოდა. ზედ შემხმარ სისხლს ნაკვთები დაემახინჯებინა, მაგრამ ჰასანმა მაინც მაშინვე იცნო ყოფილი თანამებრძოლი და მეგზური, ალ აზიზ ტალიბი.

— დანარჩენები მისი მცველები არიან, სელჩუკებმა ყველა ამოხოცეს, ერთიც არ გადარჩა ცოცხალი. მაგრამ რომც გადარჩენილიყვნენ, საკუთარი ხელით დავაყრევინებდი თავებს. მეც ასე მოვიქცეოდი და — შენც. სხვას არაფერს იმსახურებს მოლაღატე და ორგული ადამიანი! — ზიზლით

ჩაილაპარაკა გუელმომ და ზურგი შეაქცია თავების გროვას.

მექარავენებმა მშვიდობიანად მიაღწიეს კარანაუსელთა დედაციხეს. ეს მღევართა სიხარბის წყალობით მოხდა. მოედანზე



ასულ ჰასანს, მოსისხლე მტრები კი არა, მისი მოკავშირის, აბუბაქარის ერთგული ქვეშევრდომები შეეგებნენ. თუმცა ამას ჰასანისთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ცნობამ, რომელიც უღელტეხილზე ელოდა, აბუბაქარიც მიავიწყა და მისი მომხრენიცა და მონინაალმდეგინიც...

ჰასანი გაოგნებული გაშეშდა, როცა აბუბაქარის ერთგულ მეომართა შორის

ასული კარანაუსელები, მექარავენთა მიტოვებულ კარებს, ჯორ-აქლემსა და საპალნეებს გადააწყდნენ. ისინი მიხვდნენ, რომ ტვირთის მეპატრონეებმა მათი შიშით მიატოვეს იქაურობა და თავს გაქცევით უშველეს, მაგრამ დევნა აღარ გაუგრძელებიათ. გადაწყვიტეს, რომ სელჩუკი ვაჭრები და მათი სოფლიდან გაქცეული მსტოვარი ვერსად წაუვიდოდნენ. ისინი ხომ დედაციხე-

ში მოიყრიდნენ თავს, რომლის დალაშქვრასაც აპირებდნენ. თანაც ერთი სოფელი მამართა საგვარეულო სიმაგრეს ვერ დაიკავებდა. ამას მეტი ძალა სჭირდებოდა. სოფლის თავს იმედი ჰქონდა, რომ ორიოდ დღეში ჯაფარის სიკვდილის ცნობა თავისთავად ააჯანყებდა კარანაუსელებს და მის მომხრეთა რიგებსაც გაზრდიდა. ამიტომაც ხელი აიღო დევნაზე, ახლომახლო სუფლებში მაცნეები დაგზავნა, თავად კი მექარავენთა კარვებისა და ტვირთის ძარცვას შეუდგა.

მაგრამ კარანაუსელთა შინაომი არ შედგა. აბუბაქარი გონიერი ადამიანი იყო. თავიდანვე ხვდებოდა, რომ ჯაფარის ქვეშევრდომთა ნაწილი, მის წინააღმდეგ აღმართავდა იარაღს და წინასწარ მოემზადა ამისთვის. პირველ რიგში, მან ყველაზე ერთგული მხედრების ჯგუფი ბალქში, სელჩუკთა ციხიონის მეთაურთან გაგზავნა. მხედრებს მომხდარის შესახებ უნდა ეამბნათ და თავის სიტყვების დასტურად მუღილთა მოკვეთილი თავები, მათი წვერმოკაუჭებული ხანჯალი და მუქარის წერილი უნდა მიერთმიათ. ბალქში მისვლამდე კი მხედრებს კარანაუსელთა სოფლებში უნდა შეეგლოთ და იგივე „ძღვენი“ კარანაუსელებისთვის ეჩვენებინათ. აბუბაქარის ჩანაფიქრმა გაჭრა. კარანაუსელებმა ირწმუნეს მისი სიმართლე და მამართა საგვარეულო სიმაგრეში მეომრები აწვიეს. ამასობაში კი უღელტეხილს ჯაფარის ერთგულ კარანაუსელთა ჯარიც მიადგა. მათ მეთაურებს იმედი ჰქონდათ, რომ მთის გადასასვლელების შეკვრით, ტახტის მიმტაცებელს გატეხდნენ, მაგრამ აბუბაქარი შეუპოვარი მეომარი იყო და უღელტეხილის დაკავების გამო, მამართა ტახტის დათმობას არ აპირებდა. მიუხედავად იმისა, რომ აქამდე დაღვრილ სისხლს საკმარისად მიიჩნევდა, თავისი მომხრე ჯარი მაინც დაძრა უღელტეხილისკენ. ამით თავისი ძლიერების ჩვენება უნდოდა, რათა სულიერად გაეტეხა აჯანყებულთა მეთაურები.

უღელტეხილისკენ მომავალი ჯარის ნახვამ, მართლაც დააშინა აჯანყებულები, მაგრამ ჯარმა მაინც არ დაიხია უკან. კარანაუსელებს კარგად ესმოდათ, რომ ტახტის მიმტაცებელი ასე იოლად ვერ დაიკავებდა უღელტეხილის. მათმა გაჯიუტებამ აბუბაქარი საგონებელში ჩააგდო. ომი, რომელსაც ის გაურბოდა, გარდაუვალი ჩანდა. აჯანყებულები დათმობას არ აპირებდნენ. ის კი ჯარს უსასრულოდ ვერ დატოვებდა უღელტეხილის მისადგომებთან. მისი მომხრეები ამას სისუსტედ ჩაუთვლიდნენ და იქნებ, ისინიც აჯანყებულებს და მის წინააღმდეგ მიემართათ იარაღი. გა-

მოსავალი უღელტეხილის სწრაფი იერიში იყო, მაგრამ ამჯერად მისი მოწინააღმდეგე მთის დასაპყრობად მოსული გადამთიელი კი არა, კარანაუსელთა ჯარი იყო. ლაშქარი, რომელიც მთის ბრძოლებში კარგად იყო განაფული. მის დასამარცხებლად, დიდძალი სისხლი უნდა გაეღო და რომც გაემარჯვა, ეს არ იქნებოდა ის გამარჯვება, რომელსაც ესწრაფოდა აბუბაქარი.

ხანგრძლივი ფიქრის მერე, აბუბაქარმა ჯარის საომარი სამზადისი ბრძანა. ვიდრე ლაშქარი ემზადებოდა, მის ბანაკს აჯანყებულთა წარგზავნილები ეწვივნენ, რომლებსაც მორჩილების ნიშნად ყელზე ტყავის საბლები შეეხათ. აბუბაქარს ეგონა: ურჩობა სიფიცემ გააბედვინათ, მაგრამ მერე დაფიქრდნენ, მიხვდნენ, რომ ჩემი ჯარის წინაშე უძღურები არიან და შეწყალება ითხოვესო. მაგრამ აჯანყებულების მოდრეკის მიზეზი სხვა რამ აღმოჩნდა. მსტოვრის ცნობით, უღელტეხილს მეორე მხრიდან სელჩუკთა სულთნის ერთგული ემირის, ბაადის ჯარი უახლოვდებოდა, რომელსაც რამდენიმე დღის წინ, ტყვეობიდან გათავისუფლებული ჰასანი მოუძღოდა...

ეს ყველაფერი მუროჩის შეუცნობლად მოხდა. მიძიმედ დაჭრილი, კარგა ხანს ვერ მოეგო გონს და არც ის იცოდა, რომ სასწაულებრივად გადაჩრა ცოცხალი.

ღამისთვის ადგილზე მიტოვებულმა ქარავანმა მღვეარი ჩამოიშორა. ეს თავად იხილა მოედნის სიახლოვეს ჩასაფრებულმა გვიდომ და როდესაც დარწმუნდა, რომ კარანაუსელებისგან საფრთხე აღარ ელოდათ, წინ წასულ თანამგზავრებს წამოუწია და მათთან ერთად განაგრძო გზა. ის ღამე შეუსვენებლად იარეს. ცხენებსაც გაუჭირდათ მგზავრობა და ადამიანებსაც, მაგრამ გვიდო არავის აძლევდა დასვენების საშუალებას. დროდადრო წინ გაიჭრებოდა, გზას დაზვერავდა. მერე ისას მიუბრუნდებოდა, რომელსაც სადავით მოჰყავდა მუროჩის ცხენი. დაჭრილს დახედავდა, დარწმუნდებოდა, რომ ცოცხალი იყო, სახვევს შეუმონებდა და საპირისპირო მხარეს გააჭენებდა ცხენს, რათა უკნიდან ვინმე არ წამოსწოდათ.

გამთენიისას რაზმმა უღელტეხილს მიაღწია. უღელტეხილის მცველებმა მაშინვე შენიშნეს ბარიდან მომავალი მექარავენები და გზა გადაუჭრეს. საბედნიეროდ, ისინი აბუბაქარის მომხრეები აღმოჩნდნენ და მისი ბექდის ხილვისთანავე მისცეს გზის გაგრძელების უფლება, მაგრამ გვიდოსთვის ეს საკმარისი არ იყო. სწრაფი სვლით

დაქანცული ცხენები სამსახურს ვეღარ გაუწევდნენ. მაშინ გვიდომ კარანაუსელებს გამოსთხოვა ცხენები. მათ უარით უპასუხეს. სანაცვლოდ გვიდომ მექარავენთა ბედაურები შესთავაზა. ვენეციელებსაც და ჰასანის ლუღამებსაც საუკეთესო ცხენები ჰყავდათ, მაგრამ კარანაუსელებმა მაინც შორს დაიჭირეს თავი. რაში უნდა გამოსდგომოდათ მხვერავეებს ცხენები, რომლებსაც დაღლილობისგან ფეხზე დგომა უჭირდათ. მაშინ გვიდომ ისევ მოიშველია აბუბაქარის ბექედი. კარანაუსელები შეყოყმანდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც მოტყდნენ და სამი ცხენი დაუთმეს. ეს მთელი რაზმისთვის საკმარისი არ იყო, მაგრამ სრულიად იკმარებდა მუროჩის სიმაგრემდე მისაყვანად.

— რა მოგდის? — იკითხა გუელმომ, როცა თავის ვაჟს ყოყმანი შენიშნა.

— სამი ცხენი გვყავს. ერთი დაჭრილი უნდა დავუთმოთ, ერთი — ისას, მაგრამ მას მარტო ვერ გავუშვებ. მეც უნდა გავყვე და შენი აქ დატოვება მაფიქრებს. იქნებ, შენ წასულიყავი...

— არა. შენ უკეთ იბრუნებ გურჯზე! — სწრაფად მოსხიპა გუელმომ, — ნაიყვანე სიმაგრეში. ჩემზე კი ნუ იდარდებ. ცხენებს დავასვენებთ და უკან მოგყვებით.

გვიდომ და ისამ შუადღისთვის მიაღწიეს მამართა დედაციხეს. სიმაგრე ფუტკრის სკას ჰგავდა. ყველაფერი იმაზე მინიშნებდა, რომ აბუბაქარი ომისთვის ემზადებოდა. ციხის ქონგურებზე შუბოსანი მეომრები მოჩანდნენ. სხვა მეომრები ცხენებს დასტრიალებდნენ; უზანგებსა და სადავეებს უმონებდნენ, უნაგირებს უკეთ არგებდნენ. ეზოს სიღრმეში მშვილდოსნები მოჩანდნენ, რომლებიც კაპარტებს ისრებით ივსებდნენ და ციხის კედლებზე მათთვის განკუთვნილ ადგილებს იკავედნენ. ამ ფუსფუსისა და ხმაურის მიუხედავად, სიმაგრეში არ გამოჰპარავიათ უცხოთა გამოჩენა. გვიდომ და ისა მიახლოებისთანავე შეაჩერეს. ვენეციელს ბექედი ჩვენება უნდოდა, მაგრამ ვერ მოასწრო. კარანაუსელებმა მუროჩი იცნეს. ბევრმა მათგანმა არც კი იცოდა, თუ რა აკავშირებდა მათ ბატონს შავსამოსიან უცნობთან. უბრალოდ ნანახი ჰქონდათ, როგორ გააცილა ის აბუბაქარმა სიმაგრიდან. ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. კარანაუსელებმა მუროჩი ცხენიდან ახსნეს და მკურნალთან გააქანეს. ერთ-ერთმა მათგანმა კი მომხდარის მოსახსენებლად აბუბაქარს მიაშურა.

მკურნალმა დიდი ხანი ათვალაიერაჭრილობაში ჩარჩენილი ისარი. მერე

აბუბაქარს გადახედა და მძიმედ გაიქინა თავი. იქ მყოფნი უმალ მიხვდნენ, რომ დაჭრილს გადარჩენა არ ენერა.

— უნდა უშველო! — მბრძანებლურად თქვა აბუბაქარმა, — რაც გინდა, მთხოვე, ყველაფერს აგისრულებ, მაგრამ ეგ კაცი უნდა გადაარჩინო!

— ახლა მხოლოდ ალაჰს ძალუძს მისი გადარჩენა. მე ვერაფრით დავეხმარები, — ყრუდ ჩაილაპარაკა მკურნალმა, — ისიც კი გასაოცარია, ამდენ ხანს როგორ გაძლო. ღრმა ჭრილობაა. ბუნიკი არც კი ჩანს, რომც...

— მაინც სცადე ისრის ამოღება. თუ განწირულია, ამით აღარაფერი შეიცვლება! — არ დაასრულებინა აბუბაქარმა.

— მაგასაც ვერ შევძლებ. ისარი ძირშია გადაჭრილი. ვერც კი ჩავეჭიდები...

ამის გაგონებაზე გვიდომ რისხვით გადახედა ისას, რომელმაც შესთავაზა ისრის გადაჭრა, მაგრამ რამის თქმა ვერ მოასწრო.

— ისარს ვეღარ ამოვადრობთ, მაგრამ ამის გამკეთებელი დაჭრილის გადასარჩენად ირჯებოდა. ისარი რომ არ გადაეჭრათ, დაჭრილი აქამდე მოკვდებოდა, — განაგრძო მკურნალმა.

— შენი ვერაფერი გამიგია! — ბრაზი მოერია აბუბაქარს, — ამბობ: ისარი იმიტომ ვერ ამომიღია, რომ ბოლო გადაჭრილი აქვსო და თანაც დასძენ: ისარი რომ არ გადაეჭრათ, აქამდე მოკვდებოდაო!

— ერთიც მართალია და მეორეც, — მკურნალმა იქვე მდგომ აბუბაქარის მცველს კაპარჭიდან ერთი ისარი ამოაღებინა და ლაპარაკი განაგრძო, — ბუნიკს შეხედეთ, ბატონო. ხედავთ ამ ხერხივით კბილებს?... ბუნიკი წინ თავისუფლად მოძრაობს. ხერხივით კბილები ხელს არ უშლის. სამაგიეროდ, მისი უკან გამოძრობა შეუძლებელია. გამოქაჩვისას კბილები ხორცსა და ძარღვს ფლეთს და...

— მე კარგად ვიცი, როგორ და რისთვის კეთდება ეს ისარი! — ცივად შეაწყვეტინა აბუბაქარმა. — სჯობს ის თქვა, რა არის საშველი!

— მე ველარაფრით დავეხმარები. ეს კაცი განწირულია, მაგრამ... იქნებ მან უშველოს, ვინც ისარი გადაჭრა, — ფრთხილად თქვა მკურნალმა.

— ვინ ქნა ეს? — სწრაფად იკითხა აბუბაქარმა.

— მე, — წინ წარდგა ისა.
— მკურნალი ხარ?
— არა, — თავი გაიქინა ისამ.

— მაშ საიდან მოიფიქრე ისრის გადაჭრა? — განაგრძო აბუბაქარმა.

— ერთი წელი ყოფილ ბატონთან ერთად ფრანკთა ტყვეობაში გავატარე. იქ ვნახე, როგორ მკურნალობდნენ ისრით დაკოდილებს. ჩემი ბატონიც დაჭრილი იყო და ფრანკმა მკურნალმა უნამლა.



— როგორ?

— ბატონს ისარი მკერდში ჩარჩა, სიკვდილის პირას იყო. მუსლიმან მკურნალს ხელი ჰქონდა ჩაქნული მასზე. ამბობდა: ვერ გადარჩებაო, მაგრამ მერე ფრანკებმა ქრისტიან მოლას უბრძანეს მისი განკურნება. იმ მოლას მეც ვეხმარებოდი... რამე განსაკუთრებული არ მინახავს. მოლა დილა-საღამოს დათვის გამდნარ ქონს ასმევდა ბატონს და ჭრილობაზე სუფთა სახვევს ადებდა. ასე გაგრძელდა ათიოდე დღე. ამ დროის მინურულს ჭრილობა მუშტისხელს იარად გადაიქცა, საიდანაც სისხლნარევი სითხე ურნავდა. იარა ძლიერ ტკივილს აყენებდა ბატონს. ჩიოდა: მკერდი ისე მენვის, თითქოს შიგანში კოცონი გიზგიზებსო. თანაც ითხოვდა: ეგ ურჯულო მკურნალი ახლოს აღარ გამაკაროთო. ეგ არ მნამლობს, მანამებს და აიკვდილის მოლოდინს მიხანგძლივებსო, მაგრამ ქრისტიან მოლას ყურად არ უღია მისი ჩივილი. ისევ ადუღებდა დათვის ქონს და თავისი ხელით ასმევდა... ათი დღის მინურულს, ბატონმა ღამით მიხმო — მგონი, ვკვდები და მოლა მომგვარეო! თურმე ის მუსლიმან მოლას უხმობდა, მე კი მეგონა, ტკივილმა შეანუხა და მკურნალის მოყვანას ითხოვს-მეთქი.

ქრისტიანი მოლას დანახვაზე, ბატონი შიშით აყვირდა: ახლავე მოა-

შორეთ აქედანო!.. მაგრამ მოლამ ყურადღება არ მიაქცია. ძალით დაიმორჩილა და სახვევი შეხსნა. ის, რაც მაშინ ვნახე, ქრისტიანთა ჯადოქრობად მეჩვენა. ბატონის იარას ფართოდ დაელო პირი, სიღრმეში კი ისრის ბუნიკი მოჩანდა. მკურნალმა ყურადღებით დაათვალიერა ჭრილობა, მერე თითები ბუნიკს ჩაავლო და ერთი მოქაჩვით ამოაძრო. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ბატონმა დაკვნესებაც ვერ მოასწრო. ბუნიკის ამოღების მერე, მოლამ მითხრა: შენი ბატონი განკურნებულია, მე აღარ მოვაკითხავ. შენ კი სახვევი ყოველდღე შეუცვალე. იქამდე, ვიდრე ჭრილობა არ შეშრება და პირს არ შეიკრავსო... ეს იყო და ეს. მეორე დღეს ბატონი ისე წამოდგა ფეხზე, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, — თქვა ისამ.

— მარტო დათვის ქონით უმკურნალა? — ჰკითხა გვიდომ.

— ქონითა და სახვევებით, — უპასუხა ისამ.

— ეს ხომ ძნელი არ არის. ბელადო, დათვის ქონი თუ ინახება შენს საკუჭნაოში? — აბუბაქარს მიუბრუნდა გვიდომ.

— კარანაუსელები დათვზე არ ნადირობენ და ქონსაც არ ინახავენ! — უპასუხა მან.

— როგორ?! — აღელდა გვიდომ, — შენს სამეფოში დათვის ქონი არ მოიძებნება?!

— ერთი რატლიც (რატლი — წონის ერთეული. უდრის 449 გრამს) არ მოიძებნება, მაგრამ ჩვენს ტყეებში მრავალი დათვია. ჩემს ხალხს ვუბრძანებ, რომ მოინადირონ.

— დათვს თავად მოვინადირებ, — სწრაფად თქვა გვიდომ, — შენ მხოლოდ ყველაფრით მომამარაგე და ხალხი დამახმარე!

დათვზე ნადირობის წესი გვიდომ დედის სამშობლოში, სან-პეროში ისწავლა. იქაური მონადირეები დათვის ძებნაში ტყეს არ ჩხრეკდნენ, უბრალოდ, ხაფანგს უგებდნენ და მოთმინებით ელოდნენ, ვიდრე ნადირი თავის ფეხით არ მივიდოდა მათთან. სატყუარად კი მონადირეები თაფლში აზულილი სიმინდით სავსე კასრს იყენებდნენ.

დღე იწურებოდა, როცა მეგზურებმა გვიდომ წაბლის ხშირ ტევრამდე მიაცილეს. მათი თქმით, დათვები ხშირად ეშვებოდნენ მთებიდან წაბლის საძებნელად. გვიდომ ტევრის დათვალიერებისთანავე დარწმუნდა მათ სიტყვებში. მიწა ტორების ანაბეჭდებ-

ით იყო დაფარული და მათი ზომე-
ბით თუ იმსჯელებდა, ტევრს ძალზე
დიდი დათვები სტუმრობდნენ.

მეგზურებმა თაფლითა და სიმინდ-
ით სავსე კასრი მთის კალთის სიახ-
ლოვეს, ნაბლის ხეებს შორის დადგეს
და ბუჩქნარში სამალავს დაუნყეს ძებნა.
მაგრამ გვიდომ შეაჩერა და წასვლა
უბრძანა. კარანაუსელებს გაუკვირდათ.
მართალია, ისინი დათვებზე არ ნად-
ირობდნენ, მაგრამ კარგად იცოდნენ,
თუ რაოდენ საშიში ნადირი იყო ის.
ვენციელი კი მარტო აპირებდა მას-
თან შებმას. გვიდომ თავისებურად
აუხსნა მათ ამის მიზეზი. მან იცოდა,
რომ კარანაუსელებს არ ჰქონდათ
დათვზე ნადირობის გამოცდილება.
გამოუცდელი თანაშემწე კი დახმარე-
ბის მაგივრად, ხელს შეუშლიდა. კა-
რანაუსელებმა მისი პასუხი მოისმინეს,
მერე კი უთხრეს: შორიასხლოს ვიქნები-
თო და იქაურობას გაეცალნენ. მარ-
ტო დარჩენილი გვიდომ კი კასრის მახ-
ლობლად, ბუჩქნარში მიიმალა და
დათვის მოლოდინში გაიღურსა.

დრო წარმოუდგენლად გაიწვია.
მართალია, გვიდომ მოთმინებით იყო
აღსავსე, არც უღრანი ტყე, ღამე და
მარტოობა აშინებდა, მაგრამ კარგად
ახსოვდა, რომ ახლა მისი მეგობარი
სიკვდილს ებრძოდა და ეს აშფოთებ-
და. მისდა სასიხარულოდ, თაფლის
სუნმა მალე მიიზიდა დათვი. თავიდან
შორეული ფაჩუნი გაისმა, მერე ბუჩ-
ქნარში ტოტების ლანალუნი ატყდა
და ნაბლის ტევრში ნადირი გამოჩნ-
და. გვიდოს არასოდეს ენახა ასეთი
დათვი. ის უჩვეულოდ დიდი იყო, მკერ-
დზე თეთრი ლაქითა და ქეჩოზე აშ-
ლილი ბალნით. ჩანს, ადამიანის სუნი
სცემდა, რადგან მალ-მალე ყნოსავდა
ჰაერს და ბრაზიანად ბურტყუნებდა.
გვიდოს მოეჩვენა, რომ დათვი სა-
ტყუარას ახლოსაც არ გაეკარებოდა,
მაგრამ თაფლის მაცდურმა სურნელმა
თავისი გაიტანა. ნადირმა კიდეც ერთი
ნრე დაარტყა ტევრს, კასრს მიუახ-
ლოვდა და თაფლის სვლებას შეუდგა.
გვიდომ სწორედ ამას ელოდა. საყ-
ვარელი სასუსნავი გამაბრუებლად მო-
ქმედებდა დათვზე. ჭამაში გართული
ყურადღებას აღუნებდა და მონადირეს
მიახლოების საშუალება ეძლეოდა.

გვიდომ შუბი მოიმარჯვა და ფრთხ-
ილად გამოვიდა სამალავიდან. დათვს
შეუმჩნეველი დარჩა მისი გადაადგი-
ლება. ორივე თათი კასრისთვის
შემოეხვია და ისევ გამალებული ჭამ-
და. ცოტაც და, გვიდომ შუბის მოქნე-
ვას შეძლებდა. სწორედ ამ დროს დათვმა
ჭამა შეწყვიტა, თავი ასწია და ავად
დაიღმუვლა. დროის დაკარგვა აღარ
შეიძლებოდა. ცოტაც და, დათვი თავ-
ვად გადავიდოდა შეტყევაზე. გვიდომ
ძლიერი ნახტომით მოსწყდა ადგილს

და შუბი მკერდში ჩასცა. ნაბლის ტევრი
დათვის გააფთრებულმა ღრიალმა
გაკვეთა. ნადირი წელში გაიმართა და
თავდასხმელს თათი მოუქნია. გარიდე-
ბის მაგივრად, გვიდომ წინ წაინია და
შუბის წვერი უფრო ღრმად შეარჭო
მკერდში. ამჯერად დათვმა უკან დახ-
ევა და გაქცევა არჩია, მაგრამ მკერდ-
ში ღრმად ჩაჭედვით შუბმა ამის სა-
შუალება არ მისცა. გვიდოს შუბს გან-
საკუთრებული წვერი ჰქონდა. ზუსტად
ისეთი, როგორითაც მისი დედის სამ-
შობლოში ნადირობდნენ. შუადღემდე
ეს შუბის წვერი ჩვეულებრივი საბრძო-
ლო იარაღი იყო, მერე კი მჭედელმა
გვიდოს თხოვნით ნაჩქარევად გადაა-
კეთა — სწორ პირზე ხერხივით კბილე-
ბი ამოკვეთა და საგულდაგულოდ
აღესა. სწორედ ეს კბილები აყენებდა
დათვს აუტანელ ტკივილს, რადგან
ხორცსა და სისძლძარღვებს დაუნდო-
ბლად უფლეთდა. ტყიურმა ერთხელ
უკვე სცადა თავდასხმელის დატოვება,
მაგრამ როგორც კი მისკენ წაინია,
შუბის წვერი უფრო ღრმად შეერჭო.
მაშინ დათვმა გაქცევა სცადა და უკან
დაიხია, მაგრამ ახლა ხერხივით კბი-
ლებმა არ გაუშვა. ის კბილები უფრო
მეტ ტკივილს აყენებდა, ვიდრე თავად
შუბის წვერი. დათვი საერთოდ დაიბ-
ნა და ისევ წინ წაინია. შუბის წვერი
კიდეც უფრო ღრმად შეიჭრა მის მკერდ-
ში. ისევ უკან დაიხია. ახლა მჭრელმა
კბილებმა არ მისცეს წასვლის საშუ-
ალება. დათვმა კიდეც რამდენჯერც
გაიმეორა ერთი და იგივე მოძრაობა
და როცა მიხვდა, რომ თავდასხმელს
თავს ვერ დააღწევდა, ღრიალით გაუბ-
ნა წინ. ამჯერად გვიდომ მიხვდა, რომ
ნადირი აღარ შეჩერდებოდა. ის ზუს-
ტად ამისთვის აბრაზებდა ნადირს.
დათვი, რომელიც წინ მოინევადა, ისე
აეგებოდა შუბზე, როგორც ხორცი
შამფურზე, მაგრამ თავად მასაც არ
შეძლო ასეთი წონის დიდხანს შეკავე-
ბა. ახლა უკვე მას დარჩებოდა გამარ-
ჯვება, ვინც მეტ გამძლეობას გამო-
იჩინდა: თუ გვიდომ გაუძლებდა დათვის
დანოლას, გაიმარჯვებდა და შინ წა-
ადირევით დაბრუნდებოდა, ხოლო თუ
დათვი მოითმენდა ტკივილს და შეტე-
ვას განაგრძობდა, მონადირეს დაჯაბ-
ნიდა. მართალია, თავადაც ველარ გა-
დარჩებოდა — შუბით მიყენებული
ჭრილობა, ადრე თუ გვიან, მაინც ბო-
ლოს მოუღებდა, მაგრამ მანამდე დაჯი-
და თავხედს, რომელმაც მარტომ, შუბ-
ით ხელში გაბედა მასზე თავდასხმა.

დათვის გაბმული ღრიალი იქაურობას
აყრუებდა. ყვირილი გვიდომ, ზუსტად
ისეთი გატაცებით, როგორითაც ზღ-
ვზე შემთხვეული გრიგალისას.

— არა, ნადირო!.. ძლიერი, ხარ...
ძალიან ძლიერი, მაგრამ მაინც ვერ
მაჯობებ. შენი გამარჯვება ჩემი და

ჩემი მეგობრის სიკვდილის ტოლფა-
სია!.. მარტო ჩვენი ომი რომ იყოს,
იქნებ, მართალაც დაგემარცხებინე,
მაგრამ ახლა — არა!.. დღეს მე მეგო-
ბრის გადასარჩენად ვიბრძვი და შენ,
გამარჯვება არ გინერია!..

ისედაც გააფთრებულ დათვს, ყვირ-
ილი უფრო აშმაგებდა და ისიც მთიდან
დაქანებული ზეგვივით მიინევადა წინ.
მალე გვიდომ მიხვდა, რომ დათვის
შეკავებას ველარ შეძლებდა. ნადირი
ნაბიჯ-ნაბიჯ დაახვეწებდა უკან, ბუჩ-
ქნამდე. ხშირ ბუჩქნარში მოხვედრილი,
შუბს ველარ იხმარდა და გავეშვებული
დათვის ტორებში აღმოჩნდებოდა. ეს
რომ არ მომხდარიყო, გვიდომ შუბი
ძირს დაუშვა და ტარით ხის სქელ
ფესვს დააყრდნო. ეს დათვის დამარცხ-
ების ტოლფასი იყო. ის იქამდე მიანვე-
ბოდა შუბს, ვიდრე ზედ არ წამოეგე-
ბოდა და არ მოკვდებოდა. ასე ეგონა
გვიდოს, მაგრამ მისი ჩანაფიქრი არ
გამართლდა — დათვის მძიმე სხეულის
ქვეშ მოქცეული შუბის ტარი აჭრიალ-
და და მშვილდით მოიდრიკა.

ტყედა!.. თუ ვერ გაუძლო,
ალარაფერი მიშველის, ზემოდან დამ-
აცხრება და ნაფლეთებად მაქცევს! —
გაიფიქრა გვიდომ და ხმაღს წაეტანა,
რომ უიარაღოდ არ დარჩენილიყო.

ამის გაფიქრება იყო და, შუბის
ტარი ჭახანით გადატყედა. გვიდომ
ელვის სისწრაფით გახტა გვერდზე,
მაგრამ დათვი მაინც მისწვდა. ღრი-
ალით შემოუქნია ტორი და ბრჭყ-
ალები მხარში გაჰკრა. ბრჭყალებმა
ჯაჭვის პერანგში ვერ გააღწია, მა-
გრამ დარტყმა ისეთი ძლიერი იყო,
რომ მონადირე რამდენიმე ნაბიჯის
იქით მოისროლა. ცოტაც და, დათვი
ზემოდან დააცხრებოდა, მაგრამ გვი-
დომ იმ მეგობარმა იხსნა, რომლის
გადასარჩენადაც ახლა იბრძოდა.
მუროჩი დიდხანს ასწავლიდა მოუ-
ლოდნელი თავდასხმის მოსაგერიებელ
ილეთებს. გვიდომ სწორედ ასე მოიქ-
ცა. ზედ მოვარდნილ დათვს უგანა,
მინაზე გაგორებული თათქვეშ გაუძ-
ვრა და ხმალი მუხლს ზემოთ შემოჰ-
კრა. მწვრთნელივით გამოცდილი მო-
ფარეკავე რომ ყოფილიყო, უჭველად
მოჰკვეთდა თათს, მაგრამ დათვი მხ-
ოლოდ დაიჭრა და წონასწორო-
ბადაკარგული ოთხ თათზე დაეშვა.
გვიდომ უმაღ გამოიყენა მცირე უპი-
რატესობა; ფეხზე წამოიჭრა და ხმა-
ლი მთელი ძალით მოიქნია...

დათვის ღრიალი უმაღ მინყდა და
მისი ადგილი ტოტების ლანალუნმა
დაიკავა, რომელსაც ბუჩქნარში მო-
ფართხალე დათვის თავმოკვეთილი
სხეული გამოსცემდა.

ზარმაცვი შალიკო



ინგა ჩაყელი

ზარმაცი კაცის მეტი ვინ გეყოლებათ ნანახი და ალბათ აღარც არაფერი გაგაკვირვებთ, მაგრამ შალიკოს რომ გაიცნობთ, კიდევ ერთხელ გაშლით ხელებს გაოცებულები: რას არ შეესწრება და გაიგებს კაციო!..

სიმართლე გითხრათ, შალიკოს გვარში სიზარმაცე ერთგვარი ტრადიციაა თითქოს და ამ გვარის მამაკაცებზე ქალის გათხოვებასაც ერიდებიან, თუ ქალს უსამველო არ გაუჩინა ბედისწერა და გაუთხოვრად დაბერების საშიშროება არ დაემუქრა...

თავის დროზე შალიკო არც ჩქარობდა ცოლის შერთვას: ცოლს დიდი ცომი უნდაო! — ხშირ-ხშირად იმეორებდა და სხვები რომ მთელ დღეს შრომაში ატარებდნენ, ის ბებური მსხლის ძირში კოტრიალობდა და ბაპის ამოთხრილი ჭის ცივი წყლით იგრილებდა გულს — არც ის ანალელებდა, რომ ზურგს უკან ყველა დასცინოდა და არც ის, მოხუც დედამისს ბევრი რომ აღარაფერი შეეძლო და დღე და ღამე მოფუსფუსეს, ვეღარც ბარაქა დაეყენებინა მოსავლისთვის...

დედას ყანა-ვენახში კი არა, ქალის სანახავადაც არ მიჰყვებოდა შალიკო: ზამთარში სიცივეს იმიზეზებდა, ზაფხულში — სიცხეს. ჰოდა, ჩიჩინ-შეგონებით რომ ვერაფერს გახდა სიდონია, მარტო მიადგა სარძლოდ შეგულებულ ეკას, რომელიც „საკვადაცილებული“ კი იყო, მაგრამ ცეცხლი გასდიოდა ხელებიდან, ისეთი ჯანმგარი და შრომისმოყვარე იყო. მისი მსგავსი სჭირდებოდა სწორედ, შალიკოს ნასაქცევად განწირულ ოჯახს.

სხვა მთხოვნელი რომ ჰყოლოდა, ეკა შალიკოს ნამდვილად არ გაუყადრებდა თავს, მაგრამ ერთი-ორჯერ რომ გააგონეს რძლებმა — შინაბერად დაგვირჩიო! — მათთან ცხოვრებას, უხეირო ქმრის ყოლა არჩია და სიდონიას გაჰყვა, მის სიტყვასა და ქალობას ენდო იმ იმედით — როგორ დავიჯერო, ცოლის მაინც არ შერცხვება ან არ შეეშინდება, ჩხუბსა და კამათს არ მოერიდება და ზნეს არ შეიცვლისო?!

ქორწილშიც კი გაუჭირდა დიდხანს

ჯდომა შალიკოს და სტუმრები არც კი იყვნენ ნასულები, რომ ტახტს მიაშურა და მხარეთქოზე ნამონვა — დავილალო!.. ნამონვა და ნამონვა — რა სირცხვილი და რის რიდი?! ყანა და ვენახში მუშაობა კი არა, სანოლშიც არ შეუწუხებია თავი; შვილიც არ გასჩენია და რამდენჯერ დაუნუნუნია სიდონიას: ეკა რალას გავაუბედურე, მისი ცოდევა რალაზე უნდა გავიყოლო საფლავშიო?! — და ისე მოკვდა, შალიკოსთვის ხმა აღარც გაუცია...

ეკა დარჩა ოჯახში ქალიც და კაციც — საქმეც გაუყოფელი ჰქონდა და ამოდ ემუდარებოდა ქმარს:

— შეშა მაინც დაჩეხე, სახურავზე ადი და კრამიტი გაასწორე, საპირფარეოში დალბა, ახალი ორმო გაჭერი, ფიცრული შეკარი!

შალიკო საპასუხოდ მხოლოდ გვერდს იცვლიდა და ბუზღუნებდა:

— მომინდომა კაპიტალური „უბორნია“ და ქალაქური ცხოვრება!.. ეგ ტუალეტი ასი წელია დგას და ერთ მაგდენს კიდევ გაძლებს. ვისთვის ვინვალო?! ერთბაშად, წყვილად ბიჭები არ დამიდიოდეს შენს ხელში! — უშვილობასაც ეკას აბრალებდა უმადური კაცი.

— ღმერთო, ეს ვის ხელში ჩამაგდე, ის მაინც მითხარი, ამისი ფასი რა დავაშავე! — ცრემლები ჩაყალბა ქალმა და ძალაყინსა და ნიჩაბს ნამოავლო ხელი, ახალი ტუალეტისთვის ორმოს თხრაც თავად დაიწყო და ხელოსანიც შეიპირა კედლების ამოსაყვანად...

შალიკო იხტიბარს არ იტებდა და ცოლს მეტიჩარას ეძახდა... ეკამ კი ჩაიქნია ხელი და შეეშვა მის გამოსწორებაზე ფიქრსაც კი. მაგრამ ეტყობა, ღმერთს მოჰპებურდა კაცის თავგასულობა და სიზარმაცე. ჰოდა, ერთხელაც, ტუალეტში შესულმა მოსაქმება რომ დააპირა, მისივე ნაქებმა „საუკუნის ნაგებობამ“ ერთი დაიკვნეს-დაიჭრია და კედლებიანად გვერდზე გადაწვა; იატაკიც გადაიხსნა და შალიკო ისეთ სიბ-

ინძურეში აღმოჩნდა ყელამდე, წარმოდგენაც რომ ძნელია და ნურც შეეცდებით... კიდევ კარგი, გადარჩენილი ძელისთვის ხელის წაწვება მოასწრო, თორემ ისე ჩაიხრჩობოდა, ვეღარც მკვდარს იპოვიდნენ, თორემ ცოცხალს ვილა ნახავდა?!

როგორც კი მომხდარი გაიზრა და ხმა დაიმორჩილა, ისე იბღავლა, შეშინებულ ეკას მას შემდეგ წელკავი ვერ მოუჩრენია და ხუთ წუთში მთელი სოფელი შეიყარა მათ ეზოში, მაგრამ ისეთი სუნი ტრიალებდა, ბევრმა მაშინვე პირი იბრუნა და გაქცევით უშველა თავს... მერე რამდენიმე კაცმა პირი აიხვია და როგორღაც, ამოათრიეს ხელეზე ბანარმოხვეული შალიკო... „სურნელი“ მაშინ დატრიალდა, თუ დატრიალდა — მზემ რომ დახედა გათხუპნილ კაცს...

— დედაკაცო, წყალი, დროზე! — იყვირა შალიკომ.

— შენ ვედრო წყალი რას გიშველის?! წადი და ლეღეში ჩადექი, გამდინარე წყალი თუ გაგწმენდს! — წინ გაიგდეს კაცებმა...

სამოსი წყალს გაატანა შალიკომ. მერე ორი საათი ისვამდა საპონს და წყალში ყვინთავდა, მაგრამ სუნს ვერა და ვერ იშორებდა. მიუბრუნდა მოხუცი, ბიძია ვასილი და ხელი ჩაიქნია:

— ეგ შენი სიზარმაცის და „კაცობის“ სუნია: რაც დაიმსაჭურე, ეგ მიიღე!..

ორი ღამე შინ არ შესულა შალიკო...

ორი დღე იდგა ლეღეში და სიბინძურისგან გათავისუფლებას ცდილობდა... ალბათ გგონიათ, რომ ამის შემდეგ გონს მოვიდა და ისე გაყოჩაღდა, რომ მისი ცნობა აღარ შეიძლება?!

ე-ე — კუზიანს სამარე გაასწორებსო! — მართალი ყოფილა...

სიზარმაცის დათმობასა და შიშის დაძლევის, სახლის უკან მდებარე ტყეში „გადასახლება“ ამჯობინა და ბებური ნიგვზის სქელი ტანი აქცია ტუალეტად. მოუფარება და მერე ფოთოლს მიაყრის ძაღლივით, თავის ოხრობას... მერე ათიოდე ნაბიჯს გაივლის და იქვე ნამოკოტრიალდება. ღამითაც არ უნდა შინ შესვლა: სახლი იმ ტუალეტზე უფრო ძველია, რომელიც თავზე ჩამოენგრა და შალიკო ახლის ამშენებელია?!



ქალა სილამაზისა და ჯანმრთელობის ცენტრი „ზეევთან“ (ისრაელი)


- *გინეკოლოგია
- *ენდოკრინული გინეკოლოგია
- *კოსმეტოლოგია
- *ფოტოეპილატა
- *ფოტოგაბაზალგაზრდა
- *ისრაელის ულიტარული კოსმეტიკა
- *ფიგნესი
- *იოგა
- *სამედიცინო ტურიზმი ისრაელში

მისამართი: თბილისი, მცხეთის ქ. №9 (ვაკე, მრგვალ ბაღთან ახლოს)
ტელ: 23 28 93; 893 27 57 97
ელ-ფოსტა: info@microgen.ge
www.zeevs.ge

მსხვერპლად ქაული მომონების ტრაგიკული ახეხი

როგორ მოვიქცეთ, როცა დამნაშავე ახლობელი ადამიანია

ამ ბოლო დროს სულ უფრო გახშირდა მოზარდებზე ძალადობის ფაქტები, მაგრამ მსგავსი რამ იშვიათად ხმაურდება. ჩვენი მკითხველის (რომელიც ტანჯულას სახელით გაგვეცნო) მესიჯმა, რომელიც „გზის“ №41-ში დაიბეჭდა, გულახდილობისკენ ბევრს უბიძგა. ქვეყნად ბოროტ ადამიანებს რა გამოლევს? პოდა, ჩვენს მკითხველებშიც აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ამ ბოროტების მსხვერპლნი არიან. მათი უმეტესობა თავს ჯადახდენილ ამბავს ყველას უმაღლავს და ამიტომაც, „გზის“ ფურცლებისთვის საკმაოდ ცნობილმა მგზავნელებმა სახელები შეიცვალეს და თავიანთი გულისტკივილი გაგვიზიარეს.



ლიკა ქაჩია

მსხვერპლი, 22 წლის.

— ეჰ, ლიკა, დიდი ხანია, რაც ჩემს სატკივარს ვმალავ. ამის შესახებ მხოლოდ დედაჩემმა და მისმა დისშვილმა იციან. მოკლედ, 18 წლის ვიყავი, როცა დედაშვილმა გამაუპატიურა. მე და ირაკლი ერთად გავიზარდეთ, საქმელს ერთი ქვაბიდან ვჭამდით, მაგრამ მიუხედავად ამისა, სხვადასხვანაირი ხასიათი ჩამოგვიყალიბდა. დედაჩემს ირაკლი საკუთარი შვილივით უყვარდა, მას თავს ევლებოდა და როცა მან ჩემზე ძალა იხმარა, დედამ სიჩუმისკენ მომიწონდა. მითხრა, — ამით ირასაც დალუპავ და საკუთარ თავსაცო. მოკლედ, დედის წყალობით, მხოლოდ საკუთარი თავი დავლუპე, ირა კი დადის უდანაშაულო კრავივით. მასზე ცუდს ვერავის ათქმევინებ. გული ძალიან მტკივა.

— ახლა მასთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

— თავიდან, როცა გაიგო, რომ დედაჩემმა ყველაფერი იცოდა, ჩვენთან აღარ მოდიოდა, მაგრამ რადგანაც დანაშაული ხახვივით შერჩა, გათავსებდა. მართალია, მას დედა ისე თბილად აღარ ექცეოდა, მაგრამ ზედმეტსაც არაფერს ეუბნებოდა. პირიქით, ჰისი თანდასწრებით მკიცხავდა ხოლმე.

— რატომ?

— აბა, რა გითხრა, როცა ამის შესახებ არაფერი ვიცი. ეს კითხვა მეც დღემდე მტანჯავს. შინ მხოლოდ ღამის გასათევად მივდივარ, რადგან იქ ყოფნა გაუსაძლისია.

— დედაშენის გამო?

— არა, ირაკლის გამო, რომელიც ისე „განაგლდა“, რომ ჩვენთან დასახ-

ლდა. დედისერთა გახლავარ და მას ყველა ჩემს ძმად აღიქვამს, მე კი ის საოცრად მეზიზღება.

— შენთან სექსობროვი ურთიერთობის სურვილი ხომ არ უნდა?

— ერთი-ორჯერ ამის მცდელობა ჰქონდა, მაგრამ ამაში დედაჩემმა შეუშალა ხელი. ამ დროს ხან მე მეძახდა, ხან — ირაკლის და რაღაცას გვავალებდა.

— შენი გასაჭირის შესახებ ოჯახის სხვა წევრებს რატომ არ უყვები?

— მეშინია, რომ ისინიც მე გამკიცსავენ, ირას კი ისევ შვილივით მოექცევიან. საერთოდ, ხომ იცი, ამ დროს ყველაფერი ქალს ჰბრალდება...

— როგორ ფიქრობ ფაქტობრივად შენი ძმა, ირაკლი ასე რატომ მოგექცა?

— როგორც თავად თქვა, ძალიან ვუყვარვარ და ჩემი დაკარგვა არ უნდა. ადრე, სანამ ჩემზე ძალას იხმარდა, მითხრა, — შენ ჩემი სიხარული ხარ, იცოდე, შენი გათხოვების ამბავი ვერასდროს გამახარებს და თუ გავიგებ, რომ ვიღაც შეგიყვარდა, საკუთარ თავზე პასუხს არ ვაგებო... მაშინ მეგონა, ხუმრობდა, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ „თავის მოტორზე ვერ იყო“.

— ეი, შენზე ძალა იხმარა, როცა გაიგო, რომ შეყვარებული იყავი?

— არა, შეყვარებული არ მყოლია, მაგრამ ეტყობა, ჩემთან ყოფნის იმდენად დიდი სურვილი ჰქონდა, რომ ვედ-

არ მოითმინა... იმ დღეს ყველანი მე-ზობლის გასვენებაში იყვნენ ნასულბი. მე თავს შეუძლოდ ვგრძნობდი და საძინებელ ოთახში გამოვიკეტე. ირამ რომ დამიძახა, მეძინა და თავიც ვერ ნამოვნე. ის ოთახში შემომივარდა და მოფერება დამიწყო. გამოფხიზლდი და ვკითხე, — რას შერები? ხომ არ გაგიჟდითქი?! არაფერი ესმოდა, გიჟივით იქცეოდა და სურვილის დაკმაყოფილებას ცდილობდა. თავიდან წინააღმდეგობას ვუწევდი, მაგრამ მერე ძალა გამომელია და ჩემმა დედაშვილმა სწორედ ამით ისარგებლა... ამ ამბის გახსენებისას უდიდეს ტკივილს ვგრძნობ. იცი, ახლა შეყვარებული მყავს, მაგრამ მას ცოლად ვერასდროს გავეყვები. როგორ ვუთხრა, რომ ქალიშვილი არ ვარ, რომ საკუთარმა დედაშვილმა გამაუპატიურა?! ძალიან მრცხვენია.

— ირაკლი არ ეჭვიანობს?

— იცის, რომ ბედნიერი სხვასთანაც ვერ ვიქნები და „თავი ქუდში აქვს“. ჰგონია, რომ ადრე თუ გვიან, დაგნებდები. ეს კი არასდროს მოხდება, ღმერთმა დამიფაროს! მეშინია, ჩემზე ძალადობა ისევ არ სცადოს და რა ვიცი, თავის დაცვას როდემდე შევძლებ. იმედია, უახლოეს მომავალში რაღაც შეიცვლება, თორემ ჩემი ტანჯვა თუ გაგრძელდა, თავს არ ვიცოცხლებ.

მსხვერპლი 2:

— მე მამაჩემის ძმაცაცმა გამაუპატიურა. 16 წლის ვიყავი, როცა დედამამა ავარიში მოყვა. მათი დაკრძალვის დღეს მამის ძმაცაცმა, რომელსაც კეთილ ბიძად მივიჩნევდი, ჩემზე მეურვეობა იკისრა. რადგან საცხოვრებლად მასთან არ გადავედი, შინ ხშირად მაკითხავდა. ჩემი პატარა ძმა, რომელიც მაშინ 4 წლის იყო, დედაჩემმა წაიყვანა. გია ძიას ჩემთვის ყველაფერი მოჰქონდა და ხშირად მაძღვედა რჩევას. ერთ დღესაც ნასვამი მესტუმრა და მითხრა, — იცი მე მხოლოდ იმის გამო არ გივლი, რომ მამაშენის შვილი ხარ, იცოდე, ძალიან მიყვარხარ და შენთან ყოფნა მსიამოვნებსო. ვიფიქრე, — ისე ვუყვარვარ, როგორც შვილივითქი. აბა, სხვა რაღაცას გულში როგორ გავივლებდი?! მწარედ შევცდი. იმ დღეს მან ჩემზე ძალა იხმარა და მას შემდეგ, მისი საყვარლობის მიძიმე ტვირთს ვზიდავ.

— ანუ მასთან დღემდე გაქვს ურთიერთობა?

— აბა, რა ვქნა? მან სხვა გზა არ დამიტოვა. ყოველდღე, მუქარის ქვეშ მაუპატიურებს. საოცარი კი ისაა, რომ წლების მანძილზე ამას ვერაფერს ხვდებოდა და შესაბამისად, ჩემს დახმარებას არაფერს ცდილობს.

— ამის შესახებ რატომ არავის უყვები?

— სიკვდილის მეშინია! გია მეუბნება, რომ ამ შემთხვევაში, არ მაცოცხლებს, რომ ჩემს პატარა ძამიკოსაც საფრთხე ემუქრება. იცით, მას ოჯახში 18 წლის გოგონა — ელენე ჰყავს. ხშირად მინდა გვითხრო, — რას იზამს, მისი ძმაცაი და ელენე ერთად რომ ნახოს? რას იზამს, მისი გოგონა რომ გააუპატიურონ? მაგრამ კითხვის დასმასაც ვერ ვუბედავ.

— როგორც თქვი, მასთან ურთიერთობა წლების განმავლობაში გაქვს ამ ხნის მანძილზე ხომ არ...

— გაინტერესებს, ორსულად ვიყავი თუ არა? კი, სამჯერ დავფეხმძიმდი და გიამ აბორტის გასაკეთებლად, სამივეჯერ თბილისში ჩამომიყვანა (გოგონა კახეთის ერთ-ერთი სოფლიდან გახლავთ. — ავტ.). თუმცა ეს მას რომ არ გაეკეთებინა, მუცლის მოსაშლელად, თავადაც ყველაფერს ვიღონებდი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ არ მინდა, ხალხმა სიმართლე შეიტყოს. ძალიან მრცხველია იმის გამო, რასაც ვაკეთებ.

— მაგრამ ეს ყველაფერი ხომ

შენი სურვილის საწინააღმდეგოდ ხდება?

— კი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მაინც ვერ გამოიგებენ. ბევრი იმასაც იტყვის, რომ ამისკენ გიას თავად ვუბიძგე. ქვეყნად ბოროტ ხალხს რა გამოლევს?!

— აბა, რას აპირებ?

— არაფრის გაკეთება არ შემიძლია. თავის მოკვლას ვერ შევძლებ, რადგან მიუხედავად ყველაფრისა, სიცოცხლე მსურს! არც იმის იმედი მაქვს, რომ ოდესმე ჩემი პრობლემა მოგვარდება და ადამიანური ცხოვრება მეღირსება. მოკვლედ, მხოლოდ უფლის იმედი მაქვს.

— იქნებ, ჯობია, გია პოლიციაში დაასმინო...

— რისთვის? მერწმუნეთ, მას ხელსაც არავინ ახლებს და მხოლოდ მე დავზარალდები. ის კი არა, შესაძლოა, მერე სხვა პოლიციელებმაც ჯიჯგზნონ ჩემი სხული.

— ანუ გიაც — პოლიციელია?

— ამაზე ლაპარაკი არ მსურს.

— „გზისთვის“ შენი საიდუმლოს გამხელა რამ გადაგანწყვეტინა?

— ჯერ ერთი, იმის იმედი მაქვს, რომ ჩემს ნომერს არავის მისცემთ, მეორეც, მგონია, ასე ვერაფერს მიცნობს და მესამეც — ტანჯულას მესიჯმა გული ძალიან მატკინა. ისე ძალიან, რომ საკუთარი სატყვივარი დამავინწყდა. მინდა, ყველა ჩემნაირ, განადგურებულ გოგოს სიცოცხლისკენ ვუბიძგო და ვუთხრა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ცხოვრება მშვენიერია. გოგონებო, ოდესმე ჩვენც გაგვიმართლებს. მთავარია, ბევრი ვილოცოთ და უფლის წინაშე მართლები ვიყოთ. ყველას იმ დიდ ბედნიერებას გი-

სურვებთ, რომელსაც ქალური ბედნიერება ჰქვია და რომელიც ჩვენ ჯერჯერობით არ გვღირსდება, მაგრამ მერწმუნეთ, აუცილებლად გვეღირსება!

მსხვერპლი 3:

— დიდხანს ვიფიქრე და გადავწყვიტე, ჩემი ამბავი მეც გაგიმხილოთ. ტანჯულას მესიჯმა გულახდილობის სურვილი აღმიძრა. სამწუხაროდ, ჩემს ნამდვილ სახელს ვერ გეტყვით, მაგრამ გაგიმხვლეთ იმას, რომ „გზის“ აქტიური მკითხველი და ერთ-ერთი მგზავნელი ვარ.

— რა საიდუმლო უნდა გაგვანდო?

— საიდუმლო, რომელსაც დიდი ხანია, ვმალავ. მე ღვიძლმა ბიძამ გამაუპატიურა და მანამ, ვიდრე ამას ვმალავდი, ჩემზე ძალის გამოყენებას ხშირ-ხშირად ცდილობდა. მერე კი ეს ამბავი დაქალს გავემხილე, მან ყველაფერი ჩემს შეყვარებულს უამბო და... ერეკულემ (სახელი შეცვლილია) ბიძაჩემი დანით აჩვენა. ის არამზადა სისხლისგან დაიცალა და მოკვდა, მაგრამ ამით მე რა მოვიგე?... არც არაფერი: ჩემი შეყვარებული დაიჭირეს, მეზობლებმა და მეგობრებმა ცხვირი ამიბზუეს და დღესაც აღმაცერად მიყურებენ.

— შენი შეყვარებული ახლაც ციხეშია?

— კი, ციხეშია, მაგრამ ის ჩემი შეყვარებული აღარაა.

— რატომ?

— როცა მის მოსანახულებლად მივედი, მითხრა, — ძალიან მიყვარხარ, მაგრამ გთხოვ, დამივიწყე. ვერ გაპატიებ, სიმართლე რომ დამიმაღე. ეს ამბავი ადრე რომ გეტქვა, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდაო.

— ბიძაშენს ცოლ-შვილი ჰყავდა?

— კი. სხვათა შორის, ისინი დღემდე მე მამტყუნებენ. ამბობენ, — კაცს ტყინი ამან აურიო, თორემ ის ამის გამკეთებელი არ იყოო, — და მათი ოჯახისა და სახელის შეურაცხყოფისთვის დღემდე მწყევლიან... მამაჩემმა ამ ამბის გაგების შემდეგ „პარალიზი“ მიიღო და ხელფეხს დღემდე ვერ ამოძრავებს. აი, ასე დამლუპა საკუთარმა ბიძამ. დღესდღეობით კაცის სახელის გაგონებაც არ მინდა და როცა ვილაყის გაუპატიურების ამბავს ვიგებ, ვცოფდები. მინდა, ასეთ ნაძირალებს საკუთარი ხელით გამოვჭრა ყელი. გოგონებო, ნურავის ენდობით. მერწმუნეთ, ყველა კაცი ერთნაირია და ისინი მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრობენ.

— არა მგონია, ყველა კაცი ნაძირალა იყოს...

— ბოდიში, მაგრამ მე ამაში ვერაფერს დამარწმუნებს. თქვენ კი ღმერთმა ქნას, ცხოვრებაში მხოლოდ ნამდვილი, კაცური კაცები შეგხვედროდეთ და ჩემს მსგავსად არასდროს გეფიქროთ.

„ქმარი უპიყვარლა, ეპაჩამ იმ ვეზანეთვალეპასას ვერ ვივიწყებ“

მარტოსული:

„ერთი უიღბლო ადამიანი ვარ. სკოლაში სწავლის პერიოდში ერთი მწვანეთვალე ბიჭი შემეყვარდა და მას, დაქალთან ერთად, რამდენჯერმე შევხვდი. ის მეუბნებოდა, რომ საყვარელი და ლამაზი ვიყავი, მაგრამ როგორც დას, ისე მიყურებდა. ამის გამო ძალიან ვიტანჯებოდი. მერე გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც შეუყვარდი და იმდენი ქნა, რომ მისი ცოლი გახვდით. ახლა 20 წლის ვარ. თითქოს, ქმარი შემეყვარდა (თუ შევეჩვიე), მაგრამ იმ მწვანეთვალეებს მაინც ვერ ვივიწყებ, საშინლად მენატრება. იქნებ, მირჩიოთ რაიმე. წინასწარ გიხდით მადლობას“.

„ღუნის სინდრომი ვიპოვებო, ჩვენი ჯგუფიდან ვეჩაუბრი ხდუნს“

ზვიო, 17 წლის:

„ჩემი ცხოვრება უაზრო და მოსაწყენია. დაბნეული ვარ და არ ვიცი, რა ხდება ჩემს თავს. ვერ გამოვიგია, ცხოვრებაში რა მიზანი მაქვს. თავგზა მაქვს არეული. ხალხი, მგონი, დაუნის სინდრომი მივითარებო. იცი, ჩემზე ზეგავლენას ვერაფერი ახდენს. ადამიანებთან კონტაქტში შესვლა მიჭირს. შეიძლება, ლაპარაკისას ისეთი რაღაც „ნაპოვისროლო“, რომ გაოცებისგან ყველა პირს ალებს. მირჩევნია, ჩუმად ვიყო, რათა რაღაც სისულელე არ ვთქვა. ურთიერთობას ბავშვობის დროინდელ მეგობრებთანაც ვეღარ ვანწყობ. რამდენიმე წელია, რაც ამ სენს ვებრძვი, მაგრამ უშედეგოდ. შეყვარებულსაც არასდროს მყოლია. ძალიან გთხოვთ, მირჩიეთ რაიმე. შესაძლოა, თქვენმა რჩევამ სწორ გზაზე დამაყენოს“.

P.S. მაშ ასე, თუ მარტოსულისა და ზვიოს წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.

„ანა გონია, უნი ნაგაზა უნყვიტოს...“

„იმ ნაძირალას ადგილი გიხეშია, მას იქ არავინ აყოფლებს“

„გზის“ №41-ში დაიბეჭდა 14 წლის ტანჯულას მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა, რომ 13 წლის ასაკში მამა დაეღუპა, დედა სამუშაოდ საბერძნეთში წავიდა და თავად ბებიასთან ცხოვრობს. რამდენიმე თვის წინ გოგონა მამიდაშვილმა გააუბატიურა. „ძალიან ცუდად ვარ, სიკვდილი მინდა... ამის გამყოფავენებას ვერ ვბედავ და საკუთარ თავში ჩავიკეტე“.

ლელა (ათენი):

„ეს რა საშინელება დაგმართვია! მამიდაშვილმა როგორ გააუბატიურა? ღმერთო, სადამდე მივდივით. გთხოვ, დამშვიდდი და ცხოვრება განაგრძე. ჩემი აზრით, ოჯახის წევრებს ყველაფერი უნდა გაუმხილო და შენს მამიდაშვილს საკადრისად დასჯიან. ვიცი, ამის თქმა გაგიჭირდება, მაგრამ ეს საიდუმლო გაგანადგურებს. სიმშვიდე შეინარჩუნე და სწორი გადაწყვეტილება მიიღე“.

დათო:

„მინდა, ტანჯულას დავეხმარო და იქნებ, როგორმე დამიკავშირდეს. ლიკა, გთხოვ, „ესმესი“ დამიბეჭდე. ეს გოგონა ძალიან მეცოდება. თუ ვერ დაბეჭდავ, მას ჩემი ტელეფონის ნომერი მიეცი. მისი ცხოვრების შესახებ რომ წავიკითხე, გული მეტკინა“.

გაყვალა დიდა (ათენი-დან):

„შენმა მესიჯმა შემძრა. ჩემო კარგო, თავი ხელში აიყვანე და ბებიას შენი გულსტკივილი გაანდე. მერწმუნე, ის არაკაცი თუ საკადრისად არ დასაჯეს, არა გგონია, შენი წამება შეწყვიტოს. სულით არ დაეცე, ცხოვრება წინაა. დედა შეიბრაღე. ვიცი, რასაც ნიშნავს შეილები-სგან შორს ყოფნა. გამაგრდი. გულით გლოცავ ისევე, როგორც საკუთარ, 7 წლის უნახავ შეილებს“.

ანარძია:

„გაოგნებული ვარ. ძალიანაც რომ გვინდოდეს, მომხდარს ვერ შევცვლით. ეცადე, როგორმე ყველაფერი დაივიწყო, ეს შენთვის იქნება უკეთესი. არავინ ამბობს იმას, რომ ყველაფრის ნულიდან დაწყება ადვილია, მაგრამ მერწმუნე, გაუსაძლის მდგომარეობასთან შეგუება

უარესია. თანაც, იცოდე, ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა არასდროსაა გვიანი. მით უმეტეს, როცა ამის სურვილი გაქვს. ერთადერთი, რაც შემიძლია გირჩიო, არის ის, რომ დედას დაელაპარაკო. უთხრა, რომ მის გარეშე თავს ძალიან ცუდად გრძნობ და სთხოვე, საბერძნეთში, თავისთან წაგიყვანოს. მთავარია, საკუთარი თავი მართლობისთვის არ განირო. ერთხელ თუ არ გაგიმართლა, მეორედ აუცილებლად გაგიმართლებს. დამიჯერე, ხვალ ყველაფერი კარგად გექნება. ჩემო კარგო, არასოდეს შეგეშინდეს ხვალინდელი დღის. გვეუბრები, რომ მზის ამოსვლასთან ერთად, შენი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება. P.S. ძალიან გთხოვ, დედას დაელაპარაკე“.

ვიზირაძე ზაზია:

„ჩვენ, ქართველი ქალების უმეტესობა საბერძნეთში ვართ წამოსულები, შვილები და შვილიშვილები კი საქართველოში დავტოვეთ. ალბათ, ბებიას შენი არც ისე მოხუცი იქნება, რომ ვერ გაგიგოს და გულში არ ჩაგისუტოს. გული გადაუშალე. ის ცხოვრებაგამოვლილი ქალია და აუცილებლად დაგეხმარება. ჯერ პატარა ხარ და მართომ რაიმე შეცდომა არ დაუშვა. ეკლესიაში მიდი, მოძღვარს დაელაპარაკე და ის

სწორ გზაზე დაგაყენებს. ილოცე საკუთარი მომავლისთვის“.

გოგია-ილაბა:

„შენმა „ესმესი“ შემძრა. შენ ჯერ ბავშვი ხარ და ცხოვრებაზე ხელს ნუ ჩაიქნევ. შინ გამოკვებით ვერაფერს მიალწევ. ეგ აბავი, პირველ რიგში, ბებოს უამბე და ის აუცილებლად დაგეხმარება. ღმერთო, დაგვიფარე! P.S. პირველად გწერ, მაგრამ ვიცი, არ დამიბეჭდავ“.

ლილიანა:

„ტანჯულა, ერთ ჩემს ახლობელს ზუსტად შენსავით დაემართა, მაგრამ მას სიცოცხლის სურვილი არ დაუკარგავს — ბედს შეეგუა და ცხოვრება განაგრძო. ჰოდა, შეხვდა ისეთ ადამიანს, რომელსაც მართლა შეუყვარდა და გოგონა ცოლადაც მოიყვანა. დღეს ის ძალიან ბედნიერია და წარსულში მომხდარ აბავს აღარ იხსენებს. ასე რომ, ცხოვრება გრძელდება“.

ზურაბი:

„არც კი ვიცი, რა გითხრა, რა გირჩიო... შეუღლდით, გაყიდეთ ბინა და საცხოვრებლად ბაქოში წადით. ან კიდევ, დაგაბრედინებ, იმ კაცს გავაქრობ. იცოდე, მე პროფესიონალი კილერი ვარ, მაფიოზურ დაჯგუფებასთან ვმუშაობ. ადვილი საქმე არ გეგონოს. 20.000-ს გადაიხდი?“

იუსა:

„თუ მსგავსი რამ მართლა შეგემთხვა, იმ ბიჭს ეგ ხახვივით არ უნდა შერჩეს. ჩვენი „ესმესები“ მხოლოდ ცოტა ხნით თუ დაგავინწყებს ამ ტკივილს. ამიტომაც გირჩევ, ყველაფერი ვინმე სხვას, თუნდაც ბებიას გაუმხილო“.

2PAC:


„შენი კარგად მესმის. ჩემო კარგო, სიკვდილზე ნუ ფიქრობ. ჯერ 14 წლის ხარ და ყველაფერი წინ გაქვს. მოზარდი ხარ და მამაშენის გარდაცვალებამ გულში დიდი იარა დაგიტოვა. შენთან მეგობრობა მსურს და თუ ამის სურვილი თავადაც გაგიჩნდება, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი. გელოდები“.

უზაგუნა:

„შენი მამიდაშვილი ნამდვილი ნაგავია. ხელი არ ჩაიქნियो. უფალი ჩვენთან არის და ის დაგეხმარება. ან განსაცდელს უნდა გაუმკლავდე“.

ბარბის თოჯინა 36:

„შენი წერილის წაკითხვისას ენა ჩამივარდა. შენი ტოლი შვილი (გოგონა) მყავს. იმ არაკაცმა ეს როგორ ჩაიდინა?! პატარავ, ამ საქმეს ველარაფერს უშველი, მაგრამ იცოდე, დრო ყველაფრის მკურნალია. თავს მიხედე. გთხოვ, საკუთარ თავში ნუ ჩაიკეტები. უფალი გფარავდეს! P.S. ნეტავ, იმ ნაძირალას გულში ჩამახედა. გამ-



აგებინა, რას ფიქრობს ან როგორ სძინავს!

ფოტოგრაფი:

„ჩემო დაიკო, შენმა ამბავმა შემძრა. ის შენი მამიდაშვილი აუცილებლად უნდა ამხილო, რათა საკადრისად დაისაჯოს, თორემ შენს გაუპატიურებას კიდევ (თანაც, არაერთხელ) შეეცდება. აი, მაშინ კი ძალიან გვიან იქნება.“

NON STOP:

„გავგიჟდები, გავგიჟდები, გავგიჟდები... ეს ხალხი სულ გადაირია. ტანჯულა, ძალიან მეტრალეები. შენი მამიდაშვილის საქციელმა გამაცოფა. ის უტყინო ასე რამ გადარია და გადაიყვანა ქვუიდან?! რომელი ქვუთამყოფელი იკადრებდა ამას?! ერთი დამაჭერინა და იმ საცოდავს, ხელიდან ვერავინ გამოგლეჯდა. ძალა მოიკრიბე და ეს ამბავი ვინმეს უამბე, მერე კი პოლიციაში უჩივლე. იმ ნაძირალას ადგილი ციხეშია... შენ კი შეეცადე, ცხოვრება გაიხალისო. ჯერ პატარა ხარ და ბევრი კარგი რამ გელის. უფალს ებარებოდე. P.S. უფ, აგრესიული მესიჯი გამომივიდა, მაგრამ სამინლად გავბრაზდი... ლიკ, WOW STOP კი არა, NON STOP ვარ.“

ბრუნება:

„შენ გამო ძალიან ვნუსხვარ და თან-აგიგრძნობ. პატრული რატომ არ გამოიძახე? შენი მამიდაშვილისნაირი ნაძირალა ციხეში უნდა იყოს, მას კი იქ არავინ აცოცხლებს. იქნებ, დედას სთხოვო, რომ მან საბერძნეთში წაგიყვანოს?“

ლოგო:

„კაცი ვარ და ამ ცხოვრებაში მეც დიდი ტრავმადია გადავიტანე. 5 წლის ვიყავი, დედა რომ მომიკვდა, 13 წლის ასაკში კი მამაც დავკარგე, მაგრამ ცხოვრება ამით არ დასრულებულა. ამას იმიტომ გიმხელ, რომ შენი მესიჯის ნაკითხვის შემდეგ თვალბზე ცრემლი მომადგა. შენ მამიდაშვილი კი არა, გვერდით დამპალი პითონი გყოლია... ცხოვრება განაგრძე, სიკვდილზე არც იფიქრო. ცხოვრება იარებს დაგიაშებს. ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს!“

აბი-უპი:

„არ ვიცი, რა გირჩიო, შენ მართლაც, გამოუვალ სიტუაციაში ხარ. დარწმუნებული ვარ, შენს მამიდაშვილს ღმერთი ამას არ აპატიებს. კაცო, საქართველოში მსუბუქი ყოფაცქევის ქალები დაილია?! ნეტავ, ვიცოდე, თვალბში როგორ გიყურებს. სისხლით ნათესავთან ეს როგორ იკადრა?! თუ ჩემთან მეგობრობის სურვილი გაგიჩნდება, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და დამიშვსიჯე. იმედია, რაიმეში დაგეხმარები, ღმერთი გფარავდეს, ამინ!“

GREEN GIRL:

„ეს რა ცუდი რამ მოგსვლია. დედასთან ნადი, თორემ შენი მამიდაშვილი აღარ მოგეშვება. გამოსავალი ყველა სიტუაციიდან არსებობს. გამხნედი. თუ სურვილი გქნება, ვიმეგობროთ.“

ფული და ემპოჯრობა ანუ რუს პიჩიჟინი, ლახი იყო

„გზის“ №41-ში დაიბეჭდა ვიკას მესიჯი, რომელიც ამბობდა, რომ ის არავის უყვარს, მასზე არავინ ზრუნავს. ლიკა გწერდა, რომ ყველაფერი აქვს — ტანსაცმელი, სწორედ ამის გამო მეგობრობენ. ფული და პგონია, რომ მასთან

„სითბო მაკლია. მინდა, ნამდვილი მეგობრები მყავდეს, მაგრამ მათი შერჩევა ძალიან რთულია. „ლოფშიც“ არ მიმართლებს.“

ნიკა:

„როცა შენს წერილს ვკითხულობდი, მეგონა, ჩემ შესახებ წერდი. მეც მაქვს ფული და სხვა რაღაცებიც და ზედები, რომ წმინდა გრძობით ჩემთან არავინ მეგობრობს. ასე რომ, ვიცი, თუ რა ძნელია მსგავს სიყალბეში ცხოვრება. ჰოდა, მეც ყველას ჩემს ახირებებზე ვატარებ. ხომ გაგიგონია ვისაც ფული აქვს, მუსიკასაც ის უკვთს. თუ გინდა, დამიკავშირდი.“

მარი:

„დღეს ნამდვილი მეგობრის პოვნა მართლაც ძნელია. მით უმეტეს, ახალგაზრდობის ადამიანებს ნაკლებად უნდა ენდო (ამას საკუთარი გამოცდილებიდან გულისხმობ) მე მყავს ისეთი მეგობრები, რომლებსაც შემიძლია, ბრმად ვენდო და ამით ვამაყო. შენ ხომ ვყავს გვერდით და, ძმა ან სულაც, სკოლის ამხანაგი, რომელსაც დიდი ხანია, იცნობ. ჰოდა, მერწმუნე, მათი ნდობა შეიძლება, სხვა კი რად გინდა?“

ლილიანა:

„იქნებ, არასწორად ფიქრობ? იქნებ, ცდები, როცა ამბობ, რომ შენთან მხოლოდ ფულის გამო მეგობრობენ?“

ზურაბი:

„ვიკა, სიხარულო, გატყობ, რომ სითბო მართლა გაკლია. თან, ზამთარი მოდის და არ მინდა, გციოდეს. კარგი ადამიანი ჩანხარ და აიტიმაც, შენთან სიამოვნებით ვიმეგობრებდი. შემეხმარე P.S. გკოცნი!“

პანკუშა:

„შენს თავს თავადვე უნდა დაეხმარო. ალბათ პრობლემა შენიშა. მერწმუნე, ფული მეგობრობასთან არაფერ შუაშია იქნებ „ტრიპაჰი“ ხარ? P.S. ლიკა, გმადლობ ყურადღებისთვის! „თინეიჯერული პონტები“ ჩემი უსაყვარლესი რუბრიკაა.“

ბაზიზარი:

„თუ შენზე არავინ ზრუნავს, მაშინ ტანსაცმელი და ქონება საიდან გაქვს? მართალი ხარ, მეგობრების შერჩევისას კარვად დაფიქრება გე მართებს. რატომ გგონია, შენი არ ესმით? მეგონი, ცდები. ეცადე, თავად გაუგო სხვებს. მეგობრები კი შეგიძლია, გამოცადო. პა, რას იტყვი?“

თაი:

„ჩემო კარგო, ეგ სიტყვა — „არავის უყვარვარ“, აღარასდროს გაიმეორო. ეკლესიაში ნადი და ილოცე, რათა გარშემო მყოფების მიმართ რწმენა დაგიბრუნდეს.“

ძაბი:

„საკუთარი თავი შეიყვარე და დაინახავ, რომ ბევრს უყვარხარ. თუ სურვილი გქნება, ვიმეგობროთ.“

სპენის ასული:

„კონსტანტინე გამსახურდიამ თქვა: ისე



არავინ მეტრალეა, როგორც ის ადამიანი, რომელსაც სიყვარული გასძვირებიაო. ვიკა, იქნება, ყველაფერი არც ისე ცუდადაა, როგორც გგონია. გირჩევ, საკუთარ თავში აღმოაჩინო ის თვისებები, რომლისთვისაც შენთან უანგაროდ იმეგობრებენ. მერწმუნე, სიყვარული მოულოდნელად გესტუმრება.“

GREEN GIRL:

„საყვარლო, ეგ კომპლექსია, რომელიც განსაკუთრებით, თინეიჯერებს ახასიათებს. თუ სურვილი გაქვს, ვიმეგობროთ. მე გასწავლი, რა არის ნამდვილი მეგობრობა.“

სალი 19:

„მეც შენაირ სიტუაციაში ვარ — სიღბო და გულის გადაშლა მაკლია, სხვა ყველაფერი მაქვს, ოჯახური სითბოს ჩათვლით. სხვათა შორის, შეყვარებულაც მყავს, მაგრამ ნამდვილი დაქალი — არა. ბავშვობის დროინდელი 3 მეგობარი გოგონა მყავს, მაგრამ ახალი დაქალები ვერ შევიძინე იმიტომ, რომ ახალგაზრდობის ადამიანებს იშვიათად ვენდობი. სტუდენტი ვარ და სასწავლებელში სიარული მეზარება, რადგანაც იქ მეგობრები არ მეგულებიან. თან, ჩემი თანატოლების უმრავლესობა ცანცარა და მატრაკვეცია, რაც საოცრად მაღიზიანებს.“

უცნობი:

„იყავი ოპტიმისტი და ცხოვრებაზე ხელს ნუ ჩაიქნევ. ვთხოვ, არ მოინყნო. ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და გპირდები, ჩემი სახით ნამდვილ მეგობარს შეიძენ.“

ლაზა:

„ჩემო კარგო, შენი მესმის იმიტომ, რომ ერთ დროს მეც მსგავს სიტუაციაში ვიყავი. დამიკავშირდი და რჩევებს პირადად მოგცემ. მე ვარ 20 წლის. აბა, გელოდები. P.S. ჩემი აზრით, ტანჯულა, რომელმაც მესიჯი მოგწერათ, მაგარი მატყუარაა!“

პრანძო:

„ეტყობა, საკუთარ თავზე ცუდი წარმოდგენა გაქვს, რადგან ფიქრობ, რომ შენთან მხოლოდ ფულისა და ტანსაცმლის გამო მეგობრობენ. თუ ამ უაზრო კომპლექსისგან არ გათავისუფლდები, ყველას დაკარგავ უფალი გფარავდეს.“

სილვესტერ სტალონე – ოლიმპის მთის ბინადარი



რუსმა მსახიობმა და პროდიუსერმა ალექსანდრ ნევსკიმ ფილმში — „ჰერკულესი: დასაწყისი“ — ზევსის როლზე სილვესტერ სტალონე მიიწვია. ჰოლივუდის ვარსკვლავთან კონტრაქტი ჯერჯერობით არ გაფორმებულა, მაგრამ ნევსკი ირწმუნება, რომ სტალონე, ჰერკულესის მამის როლმა დააინტერესა. ნევსკის თქმით, სურათში აგრეთვე ითამაშებენ: ტელესერიალის — „ჰერაკლეს არაჩვეულებრივი მოგზაურობა“ — გმირი, კევინ სორბო, მსახიობი ლუსი ლოულესი, რომელსაც მაყურებელი იცნობს სერიალით „ზენა — მეომართა დედოფალი“ და ტელესერიალით — „ჰერაკლეს არაჩვეულებრივი მოგზაურობა“ და ბოდებილდერი ლუ ფერინიო. თავად ნევსკი მაყურებელმა ფილმებით — „და ვინჩის ფორსაჟი“ და „მოსკოვური სიცხე“ — გაიცნო. ახალ სურათში ის მთავარ გმირს — ჰერკულესს განასახიერებს და საკუთარი კომპანიის — Hollywood Storm — მეშვეობით, ფილმის პროდიუსერადაც მოგვევლინება. ამჟამად, რეჟისორი შელდონ ლეტიჩი სცენარზე მუშაობს. მის კალამს ფილმის — „რემბო-3“ — სცენარი ეკუთვნის, ხოლო როგორც რეჟისორმა, „ორმაგი დარტყმა“ (მთავარ როლში ჟან-კლოდ ვან დამი) გადაიღო. ახალი სურათის ბიუჯეტი 12 მლნ დოლარი იქნება. აღსანიშნავია, რომ ჰერკულესის თავგადასავლებსა და საგმირო საქმეებს ათეულობით ფილმი მიეძღვნა. ერთ-ერთ მათგანში — „ჰერკულესი ნიუ-იორკში“ — მთავარი გმირი კალიფორნიის ამჟამინდელმა გუბერნატორმა, არნოლდ შვარცენგერმა განასახიერა.

„ფორბსის“ ახალი რეიტინგი

ჟურნალმა Forbes უკვე მეორედ შეადგინა იმ ცნობილ ადამიანთა რეიტინგი, რომელთა სახეები ყველაზე ხშირად ამშვენებს ექვსი წამყვანი ამერიკული ყოველკვირეული ჟურნალის გარეკანს. 2007 წელს შიტალუმის პირველ ნომრად ჯენიფერ ენისტონი დასახელეს; ამჯერად ენისტონმა მეორე პოზიციაზე გადაინაცვლა, მისი ადგილი კი ანჯელინა ჯოლიმ დაიკავა. აღსანიშნავია, რომ 2008 წლის რეიტინგში ანჯელინას გარდა, მისი ქალიშვილი შილო ნუველიც აღმოჩნდა: ორი წლის გოგონამ „ფორბსის“ მიერ შედგენილ სიაში მერვე ადგილი დაიკავა. რეიტინგის მეშვიდე ადგილზე ტომ კრუზისა და კეტი ჰოლმსის ორი წლის ქალიშვილი, სური კრუზი აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ ბავშვის სახელგანთქმული მშობლები ათეულში ვერ შევიდნენ. მის მიღმა დარჩა ბრედ

პიტცი. „ფორბსის“ ათეულში მხოლოდ ორი მამაკაცია: 2008 წელს გარდაცვლილმა, ავსტრალიელმა მსახიობმა შიტ ლეჯერმა მესამე ადგილი დაიკავა, კომიკოსი ოუენ უილსონი, რომლის თვითმკვლელობის მცდელობამ ამერიკულ პრესაში დიდი ხმაური გამოიწვია, მეათე ადგილზე გავიდა. ჟურნალის მიმომხილველებმა რეიტინგის შედგენის დროს, ჟურნალებში — People, Star, US Weekly, In Touch Weekly, Life&Style და OK! — გამოკვებულნი ფოტოსურათებით იხელმძღვანელეს. ამ გამოკვამთა ტირაჟები ძირითადად, საცალო ვაჭრობის ქსელით ვრცელდება და არა — გამოწერით. გამოთვლები მოწმობს, რომ მომხმარებელი ამ ჟურნალების ყიდვა-არყიდვის გადაწყვეტილების მიღებას მხოლოდ 5 წამს ანდომებს, ამიტომ ნომრის წარმატებაში გარეკანს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

მუძუძური ანჯელინა ჯოლი ჟურნალის ფურცლებზე მოგვევლინება


ამერიკული ჟურნალი W უახლოეს ნომერში გამოაქვეყნებს ფოტოსურათს, რომელზეც ალბეჭდილია, თუ როგორ აწოვებს ძუძუს ანჯელინა ჯოლი ახალშობილი ტყუპიდან ერთ-ერთს! როგორც გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება, ეს ფოტო ბრედ პიტმა აგვისტოს შუა რიცხვებში საფრანგეთში მდებარე მამულში გადაიღო, სადაც მისი ოჯახი ბავშვების დაბადებამდე ცოტა ხნით ადრე დაბინავდა. როგორც ამბობენ, სურათი ძალზე ლამაზი და ამაღლევბელი გამოვიდა. აგვისტოს დასაწყისში კინოვარსკვლავთა ახალშობილი ტყუპის — ნოკს ლეონისა და ვივიენ მარშელენის ფოტოები ამერიკულმა ჟურნალმა People და ბრიტანულმა Hello! 14 მილიონ დოლარად შეისყიდეს.



ფორესტ უითაკერი ლუი არმსტრონგის შესახებ ბიოგრაფიულ ფილმს გადაიღებს

მსახიობი ლუი არმსტრონგის შესახებ ბიოგრაფიულ ფილმში — What A Wonderful World — მთავარ როლს თავად შეასრულებს. პროექტს ფრანგული კომპანია Legende განახორციელებს. ამ კომპანიის წაწარმოებია ფილმი La Vie en Rose („ვარდისფერი ცხოვრება“). ამ მუსიკალურ ბიოპიკში ნათამაშები ედიტ პიაფის როლისთვის, მსახიობმა მარიონ კოტიარმა „ოსკარი“ მიიღო. უითაკერი თავადაც „ოსკარის“ მფლობელია: ეს ჯილდო მას 2006 წელს, ნომინაციაში „მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებელი“ სურათში — „მოტლანდიის უკანასკნელი მეფე“ განსახიერებელი პერსონაჟისთვის ერგო.

მსახიობი ლუი არმსტრონგის შესახებ ბიოგრაფიულ ფილმში — What A Wonderful World — მთავარ როლს თავად შეასრულებს. პროექტს ფრანგული კომპანია Legende განახორციელებს. ამ კომპანიის წაწარმოებია ფილმი La Vie en Rose („ვარდისფერი ცხოვრება“). ამ მუსიკალურ ბიოპიკში ნათამაშები ედიტ პიაფის როლისთვის, მსახიობმა მარიონ კოტიარმა „ოსკარი“ მიიღო. უითაკერი თავადაც „ოსკარის“ მფლობელია: ეს ჯილდო მას 2006 წელს, ნომინაციაში „მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებელი“ სურათში — „მოტლანდიის უკანასკნელი მეფე“ განსახიერებელი პერსონაჟისთვის ერგო.



მიშელ პფაიფერისა და ალ პაჩინოს ახალი დუეტი



კომპანია Miramax ბეისბოლის გუნდის — Los Angeles Dodgers მწვრთნელ ტომი ლასორდას ცხოვრების შესახებ ფილმის გადაღებას გეგმავს. ლასორდას როლისადმი ინტერესი ალ პაჩინომ გამოიჩინა, მთავარი გმირის ცოლს კი მიშელ პფაიფერი განასახიერებს. ამერიკაში ბეისბოლის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად აღიარებული ტომი ლასორდა გუნდთან

— Los Angeles Dodgers — უკვე 59 წელია თანამშრომლობს. 2007 წელს, მან და მისმა მეუღლემ ქორწინების 57 წლის იუბილე იზეიმეს. ალ პაჩინომ და მიშელ პფაიფერმა ერთად ითამაშეს რეჟისორ ჰარი მარშალის ფილმში „ფრენკი და ჯონი“, რომელიც მაყურებელს ყოფილი პატიმრისა და ოფიციალტი ქალის სიყვარულის შესახებ მოუთხრობს. სურათი ეკრანებზე 1991 წელს გამოვიდა. უფრო ადრე, 1983-ში მსახიობები ერთმანეთს ფილმის — „სახენაირევი“ გადასაღებ მოედანზე შეხვდნენ.

პირველად, „ოსკარის“ ტრანსლაციისას

ამერიკის კინოაკადემიის ფილდოს გადაცემის 81-ე ცერემონიის ტელეტრანსლაციის დროს, რომელიც ლოს-ანჯელესში 2009 წლის 22 თებერვალს გაიმართება, ახალი ფილმების რეკლამას პირველად უჩვენებენ. კინოაკადემიამ სარეკლამო რგოლების დემონსტრირებაზე რამდენიმე შეზღუდვა დააწესა. მაგალითად: იკრძალება კინოაკადემიის პრემიაზე ნომინირებული ფილმებისა და ამ სურათების სიქველების რეკლამის გაშვება; იკრძალება სიტყვების — „ოსკარი“ ან „კინოაკადემიის პრემია“ — ხსენება,

თითოეულ სარეკლამო ბლოკში ფილმის მხოლოდ ერთი რეკლამის გაშვება შეიძლება. „ოსკარის“ გადაცემის 81-ე ცერემონიის პროდიუსერები, ფილმის — Dreamgirls — ავტორები ლორენს მარკი და ბილი კონდონი იქნებიან. აღსანიშნავია, შარშანდელ, საიუბილეო ცერემონიას მაყურებელთა რეკორდულად მცირე რაოდენობა — 32 მილიონი ჰყავდა. შედარებისთვის აღვნიშნავთ: 2007 წელს „ოსკარების“ გადაცემის ცერემონიას მხოლოდ აშშ-ში 38,9 მლნ ადამიანი ადევნებდა თვალყურს.

პოლ მაკარტნიმ სინგლით დაგვასაჩუქრა

სერ პოლ მაკარტნიმ ინტერნეტში თავისი პროექტის — The Fireman — ახალი ალბომის სინგლი განათავსა. მუსიკალური ჟურნალის — New Musical Express — საიტის მომხმარებელს კომპოზიციის — Nothing Too Much, Just Out Of Sight — გადაქაჩვა უფასოდ შეუძლია. პროექტში, პოლ მაკარტნის გარდა, მონაწილეობს ჯგუფის — Killing Joke — პროდიუსერი და ბას-გიტარისტი მარტინ გლოვერი, რომელიც უფრო მეტად Youth-ის ფსევდონიმიტაა ცნობილი. 24 ნოემბერს პროექტის მესვეურები მესამე დისკს — Electric Arguments — გამოუშვებენ. მასში 13 ელექტრონული კომპოზიცია შევიდა. თითოეული მათგანი 1 დღის განმავლობაში შეიქმნა და ჩაინერა. ერთ-ერთი სიმღერა — Lifelong Passion (Sail Away) — მაკარტნის საიტზე უკვე გამოქვეყნდა. თავად სერ პოლ მაკარტნის თქმით, ალბომი — Electric Arguments — იმდენად არაერთმნიშვნელოვანი გამოვიდა, რომ შესაძლოა, მთელი მისი მუსიკალური კარიერა შეინიროს.



როკმუსიკოსი სარა პეილინს „სუფთა ჰაერს“ უწოდებს

ერთ-ერთი ინტერნეტსაიტის ცნობით, ელის კუპერი ჯონ მაკქეინის ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატის სარა პეილინის თაყვანისმცემელია. საერთოდ, როკმუსიკოსი რესპუბლიკური პარტიის მხარდამჭერია, მაგრამ მისი თქმით, ამჯერად ხმას მისცემს არა



პარტიას, არამედ — კონკრეტულ ადამიანს. და მაინც, ელის კუპერი ამბობს, — ჯერჯერობით საბოლოოდ არ გადაამინყვეტია, ვის მივცემ ხმას 4 ნოემბერს, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ ალასკის გუბერნატორი სარა პეილინი ამერიკის მთავრობაში „სუფთა ჰაერს“ მოიტანს... აქვე აღვნიშნავთ, რომ „რესპუბლიკელთა“ ტანდემი ამერიკელ მუსიკოსთა შორის არცთუ ისე დიდი პოპულარობით სარგებლობს. მაგალითად, ჯგუფები — Heart და Foo Fighters — მაკქეინს წინასაარჩევნო კამპანიაში მათი სიმღერების არაკანონიერად გამოყენებაში ადანაშაულებენ, მაღონამ კი სარა პეილინის მის კონცერტებზე მისვლაც კი აუკრძალა(!)?!

ჯგუფმა — Guns N' Roses — ახალი ალბომი გამოუშვა

ალბომი — Chinese Democracy („ჩინური დემოკრატია“), — რომელსაც მსმენელი დიდხანს ელოდა, 23 ნოემბერს გამოვა. ფირფიტა მხოლოდ ამერიკულ მაღაზიათა ქსელში — Best Buy გაიყიდება. მანამდე კი, ოქტომბრის ბოლოს, ლეიბლზე — Interscope ხელახლა გამოიცემა ჯგუფის 1987 წლის სადებიუტო ალბომი — Appetite for Destruction. აქსელ როუზის ჯგუფი თავის მეექვსე სტუდიურ ალბომს 1993 წლიდან მოყოლებული, პერიოდულად წერდა. კომპანია Dr Pepper ყველა ამერიკელს უფასო სასმლით გამასპინძლებას ჰპირდება, თუ ჯგუფი „ჩინური დემოკრატის“ გამოშვებას ახალ წლამდე მოასწრებს! აღსანიშნავია, რომ ალბომში შესული 9 სიმღერა ინტერნეტით ჯერ კიდევ ივნისში გავრცელდა. გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა სიმღერების ტირაჟირებაში მხილებული უკვე დააპატიმრეს.

რუბრიკა მოამზადა ნაბო მანჯაპიკიშ

მთავარი მიუძღვნეს უფალს — ღვთისა და მოყვასის სიყვარულის სანაცვლოდ, მსხვერპლად შეწირული სიცოცხლე. საქართველოს თავისუფლების მოტრფიალეთა სისხლმა შეღება ტირიფონის ველი...

— ცნობილია, რომ კარბელაშვილების საგვარეულოს წარმომადგენლები საუკეთესო მომღერალ-მგალობლები იყვნენ. ამასთანავე უდიდესი წვლილი მიუძღვით ქართლ-კახური საგალობლების გადარჩენასა და ჩვენამდე მოტანის საქმეში...

— XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საფრთხის წინაშე დადგა ქართული საეკლესიო საგალობლების — ქართლ-კახური, იმერული, გურული კილოს ყოფნა-არყოფნის საკითხი. ერთი მხრივ, რუსული პოლიტიკის ბატონობის გამო, აგრეთვე — მცოდნე მგალობლების სიმწირისა და ტრადიციის განყვეტის საფრთხეც იდგა. მაგრამ ქართველთა შორის აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებმაც ქართული საგალობლები მივი-

ბიდან თაობას სრული მგალობლობის ანუ ყოველი საგალობლის სამივე ხმით ცოდნისა და ლოტბარობის ტრადიციას. საუკეთესო მგალობელი გახლდათ ჩემი დიდი პაპის — გრიგოლის მამა, პეტრე კარბელაშვილი. მას გალობა სამთავისის სკოლაში სწავლის პერიოდში შეუსწავლია — გარედან კარზე ყურისგდებით დაუფლებია. შემდეგ სხვადასხვა სასწავლებელში მუშაობდა გალობის მასწავლებლად. ხელმძღვანელობდა მგალობელთა გუნდებსაც. ბოლოს სტეფანე რუსთველს მიუწვევია მარტყოფის მონასტერში, მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელად. პეტრეს ოთხი ვაჟი ჰყავდა. მთელი მისი ოჯახი გალობდა, მაგრამ განსაკუთრებული ნიჭი უმცროს — გრიგოლს აღმოსჩენია, ამიტომ მუდამ თან დაჰყავდა თურმე. გრიგოლი თავიდან შიომღვიმის მონასტერში გალობდა. 15 წლის ასაკიდან დიაკვნადაც მსახურობდა. ერთხელ შიომღვიმის მონასტერს ქართული გალობის დიდი მოამბე, არქიმანდრიტი გერონტი (სოლოლაშვილი) სწვევია. მას ყური მოუკრავს პატარა გრიგოლის გალობისთვის. არქიმანდრიტი გაუოცებია ყმანვილის უშეცდომო გალობას და თან ნაუყვანია დავითგარეჯის მონასტერში. ექვს წელიწადში სრულყოფილად შეუსწავლია გალობა და მწერალ-მწიგნობრობა. ამის შემდეგ, 1840 წლამდე, გრიგოლი მამასთან ერთად, სტეფანე რუსთველის მგალობელთა გუნდს ხელმძღვანელობდა. 1844 წელს მღვდლად აკურთხეს. 1862 წლიდან, სიღნაღში გამართულ სამღვდელთა კრების გადაწყვეტილებით, ბოდბის წმინდა ნინოს მონასტერში, ქართული გალობის მასწავლებლად მიიწვიეს. ბოდბეში წარმატებული მუშაობისთვის, 1864 წელს ეგზარქოს ევსევის სურვილით, თბილისის სასულიერო სემინარიაში, გალობისა და საეკლესიო წიგნთა კითხვის მასწავლებლად გადაიყვანეს. მისი თაოსნობით დაიწყო სემინარიაში ქართული გალობის აღდგენა. სამწუხაროდ, ამან დიდხანს არ გასტანა. 1872 წლიდან, რუსეთის რეაქციული პოლიტიკის გამტარებელი ეგზარქოსების მცდელობით, სემინარიაში მისი შტატი გააუქმეს და ქართულ ენაზე კითხვა და

გალობა აკრძალეს. საუკეთესო მგალობლები გახლდნენ მამა გრიგოლის ვაჟებიც: ფილიმონი, ანდრია, პოლიექტოსი, ვასილი (ეპისკოპოსი ვასილ კარბელაშვილი) და პეტრე. მამა ვასილმა და მამა პოლიექტოსმა ნოტებზე ჩაწერეს ოჯახში შემორჩენილი, ძველი საეკლესიო საგალობლები. ძმები თავდაუზოგავად იბრძოდნენ საგალობლების გადასარჩენად; იყვნენ ქართული გალობის აღმდგენი კომიტეტის წევრებიც, რომელსაც ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე ხელმძღვანელობდა. მათი ღვაწლი იმდენად დიდია ქართლ-კახური საგალობლის შენარჩუნების საქმეში, რომ მას მეორენაირად „კარბელანთ კილო“ უწოდეს. „ეს უდიდესი განძი ძველად მონასტერში ინახებოდა, მაგრამ როდესაც რუსული პოლიტიკის წლებში მონასტრული ცხოვრება მინავლდა და ბერების რიცხვმა საგრძნობლად იკლო, ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა ქართული გალობაც. იგი შემორჩენილი იყო კარბელაშვილების გვარში. ამ გვარის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, ვასილ კარბელაშვილმა დიდი ამაგი დასდო ქართველობას და ქართლ-კახური გალობა ნოტებზე გადაიღო, რითაც ხელმისაწვდომი გახდა ყველა ქართველისთვის“, — ნერდა 1897 წლის 16 ივლისს გაზეთი „ცნობის ფურცელი“, მას შემდეგ, რაც მამა ვასილ კარბელაშვილმა 1897 წელს საკუთარი ხარჯით დაბეჭდა საგალობლების პირველი ნაწილი — „მწუხრი“. მამა ვასილმა 1898 წელს საგალობლების მეორე ნაწილიც — „ცისკარი“ გამოსცა. „ცნობის ფურცელი“ საგალობლების მეორე ნაწილის გამოცემასაც გამოუხმაურა: „საგალობლების ნოტებზე გადაღება, რომელიც ამ დროისათვის სრულიად ახალ მოვლენას წარმოადგენს, მეტად ძნელად გაჭირვებულ პირობებში კეთდებოდა — ცხადია, ასეთი წიგნების გამომცემელი ყველაზე ნაკლებად მოელოდა მატერიალურ ჯილდოს. მისი ნაქმეზებელი მხოლოდ საზოგადოებრივი სამსახური იყო. ამიტომ ასეთი ღვაწლი ყოველთვის მსხვერპლია სამშობლო ეკლესიის ტრაპეზზე შეწირული“, — აღნიშნავდა გაზეთი.

მამა ვასილი სხვა მიმართულებითაც იღწვოდა ქართული საეკლესიო საგალობლის შესანარჩუნებლად. მან დააარსა მომღერალ მგალობელთა საზოგადოება „სანთური“, რომელიც ქართველთა შორის გალობისა და სიმღერის გავრცელებას აღორძინებას ისახავდა მიზნად. მამა ვასილი საეკლესიო გალობის გასავრცელებლად, აქტიურად მოღვაწეობდა საეკლესიო-სამრევლო სკოლებშიც. საგალობლების სწავლება-გავრცელების მიმართულებით მამა ვასილს მოღვაწეობა რუსეთის უკიდურესი რეაქციის წლებშიც არ შეუწყვეტია.



პოლიექტოს, ვასილ, პეტრე და ანდრია კარბელაშვილები

წყებასა და დაკარგვას გადაარჩინეს, სწორედ მათ შორის იყო კარბელაშვილთა საგვარეულო. აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო კილოთაგან ჩვენამდე, სანოტო სახით, სრულადაა მოღწეული კარბელაშვილების გვარის ტრადიცია — „კარბელანთ კილო“. კარბელაშვილთა გვარი თითქმის სამი საუკუნის მანძილზე გადასცემდა თაო-

სის სასულიერო სემინარიაში, გალობისა და საეკლესიო წიგნთა კითხვის მასწავლებლად გადაიყვანეს. მისი თაოსნობით დაიწყო სემინარიაში ქართული გალობის აღდგენა. სამწუხაროდ, ამან დიდხანს არ გასტანა. 1872 წლიდან, რუსეთის რეაქციული პოლიტიკის გამტარებელი ეგზარქოსების მცდელობით, სემინარიაში მისი შტატი გააუქმეს და ქართულ ენაზე კითხვა და

განზრახ მკვლელობის მცდელობაში ზრადებულს სადაც დაზარალებულნიც იძომებებიან...

ზარზან ოქტომბერში, სამარ-
თალდამცველებმა ყინვისის მონას-
ტრის მორჩილი გიორგი ხუროშ-
ვილი დააკავეს და მას დავით
კიკვაძის განზრახ მკვლელობის
მცდელობაში დასდეს ბრალი. გიორ-
გი ხუროშვილი ბერად შედგომას
აპირებდა. რუს-ურბნისის ეპარ-
ქამ შუამდგომლობით მიმართა ქ-
თბილისის პროკურორს გიორგი
ღვინიაშვილს, რათა მიიღწეუნე და
კაცთმოყვარე აღმსარებელი პირო-
ვნებისთვის საპროცესო შეთანხმე-
ბა გაეფორმებინათ. ბრალდებუ-
ლის შეწყალებას ითხოვდა თავად
დაზარალებული დავით კიკვაძე.
ხუროშვილის დაცვის მხარე ად-
ვოკატი ნათია სირაძე გან-
სასჯელისთვის წაყენებულ მუხლს
უკანონოდ მიიჩნევს და 121 (დაჭრა)
მუხლით მის შეცვლას ითხოვს.
მიუხედავად ყველაფრისა, გიორგი
ხუროშვილი ცნობილ იქნა დამნა-
შავედ სისხლის სამართლის კოდე-
ქსის 19-108-ე მუხლით (განზრახ
მკვლელობის მცდელობა) გათვალ-
ისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის
და სასჯელის ზომად, 8 წლით
თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ნანა შიხელაური

გიორგი ხუროშვილი ბრალდებულის
სახით პასუხისმგებლობაში მიცემულ იქნა 2006
წლის 24 მარტს, მცხეთის რაიონული სასა-
მართლოს მოსამართლის ბრძანებით. მას
აღკვეთის ღონისძიების სახით, 2-თვიანი
პატიმრობა შეეფარდა და 2006 წლის 11
აპრილს ხუროშვილის ძებნა გააოცხადდა.
ის ბრალდებულის სახით, 2007 წლის 21
ოქტომბერს დააკავეს. საბრალდებო დასკუ-
ნის თანახმად, გიორგი ხუროშვილის დან-
აშაული შემდეგში გამოიხატა:

„2006 წლის 3 მარტს, დაახლოებით 20
საათზე, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი დავით
კიკვაძე სოფელ დილოშში, მის დეიდაშ-
ვილ ბეჟან ყურაშვილთან ერთად, შინ მიდ-
იოდა. გზაზე მას შეხვდა ასევე ნასვამ მდგო-
მარეობაში მყოფი გიორგი ხუროშვილი. მათ
შორის მოხდა ურთიერთშელაპარაკება, რაც
ჩხუბში გადაიზარდა. აღნიშნულით განწყ-
ენებულმა ხუროშვილმა, შურისძიების მიზნით,
განიზრახა დ. კიკვაძის განზრახ მკვლელობა.
მან თავისი დანაშაულებრივი განზრახვის
სისრულეში მოყვანის მიზნით, თან ნაქონი
დანა რამდენჯერმე ჩაარტყა კიკვაძეს მარცხ-
ენა მხრისა და ილიის არეში, რის შედეგა-
დაც მიაყენა დაზიანებები მარცხენა მხრის
წინა და უკანა ზედაპირზე და ილიის
ფოსოსთან. კიკვაძე გადაყვანილ იქნა ოთარ
ლუდუშაურის სახელობის კლინიკაში, სა-
დაც ჩატარებული მეურნელობის შედეგად
სიკვდილს გადაურჩა. სასამართლო სხდომაზე
დაკითხვისას განსასჯელმა ხუროშვილმა
წარდგინო ბრალდებაში თავი დამნაშავედ
არ ცნო და განმარტა, რომ მას კიკვაძის
მოკვლის განზრახვა არ ჰქონდა და დანა
თავდაცვის მიზნით, რამდენჯერმე უმისამარ-

თოდ მოიქცია. ამდენად, მან ვერ
გაიგო, დაიჭრა თუ არა კიკვაძე.
დავით კიკვაძის დაჭრის თაობა-
ზე მან რამდენიმე დღის შემდეგ
შეიტყო. მიუხედავად იმისა, რომ
განსასჯელმა ხუროშვილმა
უარყო კიკვაძის მოკვლის გან-
ზრახვა და განაცხადა, რომ იგი
იმყოფებოდა აუცილებელი
მოგერიების მდგომარეობაში,
საქმის ირგვლივ შეკრებილი მტ-
კიცებულებების ყოველმხრივი,
სრული და ობიექტური გამოკ-
ვლევის შედეგად ვერ დადას-
ტურდა განსასჯელის აუცილე-
ბელი მოგერიების ფარგლებში ყოფნის რე-
ალობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ხურო-
შვილის ჩვენება მიმართული იყო პასუხისმგე-
ბლობის შესუბუთებისკენ, რადგანაც დადგ-
ინდა, რომ ის არ იმყოფებოდა არც აუცი-
ლებელი მოგერიების და არც ძლიერი
სულიერი აღელვების მდგომარეობაში. მან
განიზრახა კიკვაძის მოკვლა, თუმცა მისი გან-
ზრახვა სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი
მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

დაზარალებული დ. კიკვაძის ჩვენებით,
ის მის სახლთან შემოხვდა გ. ხუროშვილს
და მის დაძახილზე — „მოდი აქ, ბიჭო“, —
შეჩერდა. მათ შორის საუბარი ჯერ ურთ-
იერთშელაპარაკებაში,
ხოლო შემდეგ ხელ-
ჩართულ ჩხუბში გადა-
იზარდა. ჩხუბის დროს
კიკვაძემ ხუროშვილის ხე-
ლში დანა შენიშნა, რის
გამოც განიზრახა, იქაუ-
რობას გასცლოდა, მაგრამ
შემდეგ ნაბორძიკდა, ძირს
დაეცა, თავი დაარტყა და
გონება დაკარგა. მან გან-
მარტა, რომ არ იცის,
როდის დაიჭრა, — და-
ნის დარტყმის მომენტი არ
დაუნახავს. თუმცა,
როგორც მოგვიანებით
გაირკვა, კიკვაძეს სამი
ჭრილობა ჰქონდა მიყ-
ენებული მარცხენა მხარეს,
ილიის არეში. სასა-
მართლო-სამედიცინო
ექსპერტიზის დასკვნით,
რომლის თანახმად დ.
კიკვაძეს აღენიშნებოდა
სამი ჭრილობა და ბლაგვი
ტრავმა სახის არეში, ჭრი-
ლობები მიყენებულია
რაიმე მხვლეულთა-მჭრელი
იარაღის მოქმედებით და
მიეკუთვნება სიცოცხ-
ლისთვის საშიშ, მძიმე
ხარისხს. სასამართლომ
შეკრებილ მტკიცებულებუ-



ბრალდებული
გიორგი ხუროშვილი

თა ერთობლივი ანალიზის
საფუძველზე დამტკიცებულად
ცნო, რომ განსასჯელმა ხურო-
შვილმა ჩაიდინა განზრახ მკე-
ლელობის მცდელობა, ე.ი. დან-
აშაული, გათვალისწინებული
საქართველოს სსკ-ის 19-108-
ე მუხლით, ის ცნობილ იქნა
დამნაშავედ და სასჯელის ზო-
მად განესაზღვრა 8 წლით
თავისუფლების აღკვეთა“.

გიორგი ხუროშვილს
დაცვის მხარეს, მის მიმართ
გამოტანილი განაჩენი უკანონ-
ოდ მიაჩნია და მის მიერ ჩად-
ენილ დანაშაულის სსკ-ის 121-ე მუხლით
გადაკვალიფიცირებას ითხოვს.

— რატომ არს შეუსაბამო გიორგი
ხუროშვილის მიმართ წაყენებული მუხ-
ლი, მის მიერ ჩადენილ დანაშაულთ-
ან?

ნათია სირაძე, გიორგი ხუროშვი-
ლის ადვოკატი:

— 2006 წლის 3 მარტს, დედის დღეს,
სალამოს საათებში, ჩემი დაცვის ქვეშ მყო-
ფს შეხვდა ნასვამ მდგომარეობაში მყოფი,
დაზარალებულად ცნობილი დავით კიკვაძე.
მათ შორის მოხდა სიტყვიერი შელაპარაკე-
ბა, რაც ჩხუბში გადაიზარდა. კიკვაძე თავს

**17 ოქტომბრიდან
იყიდავა**

2 პოსტერი

**დავა დრო
ოიხს გააზრებისა**

ნაშრომები

რუსული თეორიისა და პრაქტიკის

რუსული ავიაციის

დანაკარგობა რუსულ

ნავიგაცია და ავიატორი

არსენალი

ავიაციის

განსახილველი

რუსული

ავიაციის

დავა დრო

ოიხს გააზრებისა

რუსი მავანდობის

ოპერაციები სამართლებრივი

ავიაციის

კავშირის

არა მარტო

მავანდობის

ვერ აკონტროლებდა, ის ყელში სწვდა და ახრჩობდა ხუროშვილს, რომელიც იძულებული გახდა, მისგან თავი დაეცვა ანუ აერიდებინა ის შედეგი, რაც შესაძლოა, ხუროშვილის უმოქმედობას მოჰყოლოდა. მას რომ წინააღმდეგობა არ გაენია, დაზარალებული ისე იყო გამხეცვნილი, შესაძლოა, მოკვლა კიდევ. ხუროშვილმა რამდენჯერმე მოიქნია საკუთარი, პატარა ზომის დანა, რომელიც კიკვაძეს ილიის ქვეშ, ფერდის არეში მოხვდა და დაიჭრა. სამი წრილობიდან ერთი იყო 2 სმ-იანი, ორი კი — ნაკანრი. კიკვაძე 4 დღე ინვა კლინიკაში, წრილობაში დრენაჟი ედგა და ისე უშუშავებდნენ მას. გარდა ამისა, კიკვაძემ დაზიანება სახის არეშიც მიიღო. როცა ჩხუბი დამთავრდა, კიკვაძის თქმით, — ერთმანეთს დაეშორადით, ფეხი ქვეს ნამოვკარი, დავეცი და ცხვირი გავიტყეო.

— როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, შემთხვევის ადგილას დაზარალებულის დეიდაშვილიც იმყოფებოდა. ისიც ადასტურებს, რომ ხუროშვილს კიკვაძის მოკვლა ენადა?

— კიკვაძის დეიდაშვილი ამბობს — არ ვიცი, მით შორის რა მოხდა, ამის არც მოწმე ვარ და არც თანამონაწილე; როცა გზად ხუროშვილი შემოგვხვდა, მე ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, საპირფარეოს ვეძებდი, გავედი და ჩხუბიც მაშინ მოხდა. სინამდვილეში, კიკვაძის დეიდაშვილი, ბუყან ყურაშვილი ჩარეულა ამ ჩხუბში, თუმცა ეწერა მოუხერხებია მათი გამველება. მას არც ხუროშვილის სასარგებლოდ უნდოდა ჩვენების მიცემა, არც დეიდაშვილის დადანაშაულება, ამიტომ გამოსავალი იპოვა და პასუხისმგებლობას თავი აარიდა. კიკვაძე და ხუროშვილი დაახლოებით 20 წუთი ჩხუბობდნენ და შუუძლებელია, ამ პიროვნებას ეს ამბავი თვალთახედვის არიდან გამორჩეოდა. სასამართლომ მისი ჩვენება გაიზიარა.

— რის საფუძველზე დაიწყო მათ შორის უთანხმოება. ეს წარსულს ხომ არ უკავშირდება ანუ ჰქონდა თუ არა ხუროშვილის საიმი-სო მოტივი, რომ განზრახ მკვლელობა ჩაედინა?

— ხუროშვილს მკვლელობის არც მოტივი, არც მიზანი და არც მცდელობა არ ჰქონდა. რაც საქმეში დადასტურდა, ის იყო, რომ ხუროშვილი თავს იცავდა. მას სხვა საშუალება არ ჰქონდა. ერთადერთი, რაც აზრად მოუვიდა, დანის მოქნევა იყო. როცა გამოძიება დაიწყო, ექსპერტიზის დასკვნა არ არსებობდა ანუ არ იყო დადგენილი, დაზიანების ხარისხი მძიმე იყო თუ მსუბუქი. ამის მიუხედავად, გამოძიება 117-ე მუხლით (დაჭრა) დაიწყო ანუ გამოძიებამ დაადგინა, რომ აქ მკვლელობის მცდელობა არ არსებობდა, — იყო ჩხუბი, სადაც ერთმა დაჭრა მეორე. გამოძიების პროცესშიც მას არავითარი მტკიცებულება არ შემატებია იმასთან დაკავშირებით, რომ ხუროშვილს დანის მოქნევის დროს კიკვაძის მკვლელობის განზრახვა ჰქონდა.

— მაშ, რატომ გადაკვალიფიცირდა 117-ე მუხლი 19-108-ედ (განზრახ მკვ-

ლელობის მცდელობად)?

— ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, რატომაც, გამოძიება 19-108-ე მუხლით დამთავრდა პირველი ინსტანციის სასამართლოზე დაზარალებული ჩვენება შეცვალა, მან აღნიშნა, რომ გამოძიებაში არსებული ჩვენება მისთვის ბოლომდე ცნობილი არ იყო. იმ ჩვენებიდან მხოლოდ გარკვეული დეტალები დადასტურდა (კიკვაძეს ჩვენება არც ჰქონდა ნაკითხული). კიკვაძე წინასწარ გამოძიებაში წერდა, რომ დაინახა, თუ როგორ ამოიღო დანა ხუროშვილმა და დაარტყა მას. პირველი ინსტანციის სასამართლოში მან ეს უარყო და თქვა, — დანის მოქნევა არ დამინახავს და ისიც არ ვიცი, რა დროს დავიჭერიო. მეტიც, მან თქვა, — „მე ისიც არ ვიცი, დაჭრილი რომ ვიყავი, როცა საავადმყოფოში მიმიყვანეს და წრილობას მიმუშავებდნენ, ექიმებს ვუბნებოდი, სხულზე რა გინდათ, ცხვირი მაქვს გატყენილი, ის დამიმუშავეთ-მეთქი“. ამით კიკვაძემ დადასტურა, რომ არ დაუნახავს არც დანის ამოღება, არც მოქნევა და არც — დარტყმა.

— თუ კიკვაძემ ჩვენება შეცვალა, პასუხი რატომ არ მოსთხოვეს?

— როდესაც კიკვაძეს წინასწარ გამოძიებაში მიცემული მისი ჩვენება ნაუკითხეს, თქვა, — მე არც დანის დარტყმა დამინახავს, არც ტყვიერი მიგრძინა, მერე გავიგე, რომ დავიჭერიო. ეს ჩვენების შეცვლად კიკვაძეს არავინ ჩაუთვალა. მან ისიც განაცხადა, ჩვენება არც წამიკითხავს: გაირკვა, რომ ჩვენება გამომძიებელმა დანერა (ოქმი-თაც დადგინდა, რომ არ იყო კიკვაძის ხელით დანერილი), ხელი კი დაზარალებულს მოაწერიდა. დღეს ჩვეულებრივი ამბავია, როცა გამომძიებელი წერს ჩვენებას, დაზარალებული არ კითხულობს მას და ნდობის ფაქტორიდან გამომდინარე, ხელს აწერს. მერე აღმოჩნდება, რომ ბრალდების მხარე ჩამატებებს აკეთებს ჩვენებაში. უმეტეს საქმეებში (თითქმის 90%-ში), მონშეს არა აქვს ჩვენება ნაკითხული. როცა უკითხავენ, გაკვირვებულნი რჩებიან. მათ იციან, რომ ჩვენების შეცვლისთვის დაიჭერენ, ამიტომ, იძულებულნი ხდებიან გამომძიებლის დაწერილი ჩვენება გაიმეორონ. კარგი იქნებოდა, საქმეს აუდიოჩანაწერები ერთვოდეს. სხვანაირად ძნელია აღმოფხვრა ის უკანონობა, რომელიც ჯერ კიდევ გამოძიებიდან იწყება და სასამართლოში მთავრდება. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსამართლე კოჭლამაზიშვილმა განაჩენი მაინც 19-108-ე მუხლით გამოიტანა და აღნიშნა, რომ ის დაზარალებულის ჩვენებას და ექსპერტიზის დასკვნას დაყრდნობა ანუ მან ამ განაჩენით პირდაპირ თქვა თერზე — შავიაო.

— ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ წრილობა მძიმე ხარისხისაა, რაც გამოძიებამ სარწმუნოდ მიიჩნია. რატომ არ მოითხოვა ხუროშვილის მხარემ ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარება?

— ალტერნატიული ექსპერტიზა არ დანიშნეს იმის გამო, რომ ეს ფინანსებთან იყო დაკავშირებული. მისი ჩატარების

შემთხვევაში, დიდი ალბათობით დადგინდებოდა, რომ ეს დაზიანება არ მიეკუთვნება სხეულის მძიმე დაზიანებას. ესეც რომ არა, განზრახ მკვლელობის მუხლი სხეულის დაზიანებით არ დასტურდება, წრილობა ერთჯერადი მოქნევით არის მიყენებული. დაზარალებულმა ინსტანციაში და აპელაციამაც აღნიშნა, — ხუროშვილს ჩემი მოკვლა რომ ნდომოდა, ჩხუბის მომენტშიც მომკლავდა და მერეც, როცა დავეციო. მან კატეგორიულად გამორიცხა, რომ ხუროშვილს მისი მოკვლა უნდოდა და ჰქონდა ამის მცდელობა. ისიც თქვა, — შეიძლება გადამტყულებით მოვეცეცი ამ კაცს და ისიც იძულებული გახდა, თავდაცვის მიზნით, დანა გამოეყენებინა, ისეთი მთვრალი ვიყავი, თავს ვერ ვაკონტროლებდიო.

— ცოტა არ იყოს, შეუსაბამოა, მორწმუნე ადამიანი დანას რომ ატარებს, მით უმეტეს — იყენებს მას.

— ხუროშვილს მცირე ზომის დანა ჰქონდა, რომლითაც როგორც თქვა, ხან ვაშლს წრიდა, ხან — საზამთროს. მას დანა მუდამ თან ჰქონდა, მაგრამ ბოროტი განზრახვით როდი ატარებდა. იმ საღამოს ხუროშვილი ვაშლის ჭამით მიდიოდა გზაზე, დანა კი ხელში გაშლილ მდგომარეობაში ეჭირა.

— როდის და რა მიზნით წავიდა ხუროშვილი მონასტერში?

— ხუროშვილს ძმა ჰყავს ავარიამში დაღუპული. ამის შემდეგ გულჩათხრობილი გახდა, ხშირად დადიოდა მონასტერში და რწმუნის გაძლიერებას ცდილობდა. შემთხვევიდან მეორე დღეს ის ყინწვისის მონასტერში წავიდა, იქ ცხოვრობდა. მას დედამ შეატყობინა, რომ მისი ხელით კაცი იყო დაჭრილი. ხუროშვილი განიცდიდა მომხდარს (მისი თხოვნით, დედამისმა დაფარა კიკვაძის მკურნალობის ხარჯები), მაგრამ თავის მართლება არ დაუნყია, სიმართლე ალიარა. მან სრულიად შემთხვევით გაიგო, ძებნაში რომ იყო (ეს ოჯახმაც არ იცოდა). გადაწყვეტილი ჰქონდა, მონასტრიდან არ წასულიყო, ვინაიდან ბერად შედგომას აპირებდა. მისი თხოვნით, თბილისში ჩამოვიდა ყინწვისის მონასტრიდან ხუროშვილის მოძღვარი საბა, რომელმაც სამართალდამცველებს აუხსნა, რომ ხუროშვილი მორჩილებაში იმყოფებოდა, ქრისტიანულ წესებს ასრულებდა და მისი ჩამოსვლა შეუძლებელი იყო. რამდენიმე დღეში ხუროშვილს პოლიცია დაადგა მონასტერში და ძალით წამოიყვანა იქიდან. გამოძიებამ დაუსაბუთებელი განაჩენით გაამტყუნა ხუროშვილი, რაც დაცვის მხრიდან იქნა გასაჩივრებული, როგორც სააპელაციო, ასევე საკასაციო ინსტანციაში. ამჟამად საქმეს უზენაესი სასამართლო იხილავს. ვითხოვთ, რომ დანაშაულს მიეცეს სწორი კვალიფიკაცია, — განაჩენი გაუქმდეს და ის აუცილებელ მოგერიებად, 122-ე მუხლით დაკვალიფიცირდეს. საქმეში არსებული ყველა მტკიცებულებიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ხუროშვილს არ ჰქონდა განზრახ მკვლელობის მცდელობა და ამ მუხლით არ შეიძლება მისი დადანაშაულება. სასამართლოს



პროცესში, რუის-ურბნისის ეპარქიამ ნერ-ილით მიმართა ქალაქის იმუაზინდელ პროკურორს, გიორგი ღვინიაშვილს. ნერ-ილს ხელს აწერდნენ სამღვდელთა სხვადასხვა იერარქიის წარმომადგენლები და მოითხოვდნენ ხუროშვილისთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმებას. მით უმეტეს, ამის ყველა პირობა არსებობდა. თავად დაზარალებული დავით კიკვაძე ითხოვდა, — არ მინდა ამ პიროვნების დასჯა და თუ საშუალება იქნება, დარბაზიდანაც გაუშვითო. დღეს პროკურატურა საპროცესო შეთანხმებას იმ საქმეებზე აფორმებს, სადაც დაზარალებულები დღეში ათჯერ საჩივარს საჩივარზე წერენ. პროკურატურა, როგორც წესი, დაზარალებულის უფლებებიდან უნდა გამოდიოდეს. ამ შემთხვევაში უგულებელყოფილ იქნა დაზარალებულის უფლება და ახალგაზრდა კაცის ბედი მარტივად გადაწყვიტეს. თუ დაზარალებულის ჩვენება პირველ ინსტანციაში იყო ცრუ, მაშინ მის მიმართ საქმე უნდა აღძრულიყო; თუ არ იყო ცრუ და სასამართლომ გაიზიარა ის, ამ შემთხვევაში მუხლის გადაკვალ-იფიცირება უნდა მომხდარიყო. ვინაიდან ასე არ მოხდა, პროკურატურა ამ ხარვეზის გამოსწორებას იმით შეეცადა, რომ აპელაცი-აში მოიყვანა დაზარალებული და მესამე ჩვენება მიაკვირნა. მან აღიარა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო მოატყუა. ამის მიუხედავად, კიკვაძის მიმართ, ჩვენების შეცვლის გამო, არანაირი რეაგირება არ მომხდარა. კიკვაძესთან მივიდნენ ბერები და მათგან კურთხევა მიიღო, სიმართლე ეთქვა. გარდა ამისა, დაზარალებულის ცოლმა ხუროშვილს დას უთხრა, რომ წინააღმდეგ, როცა სააპელაციოში იყო გამოძახებული, დათო პროკურორმა ნახა და კატეგორიულად უთხრა — თუ არ იტყვი, რომ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება არის სწორი, დაგიჭერ და ხუთწლიანში გაგიშვებო. დაზარალებული შეშინდა და ჩიხში მოექცა. ის იძულებული გახდა, პროკურატურის დავალება შეესრულებინა. სისხლის სამართლის საქმეებში, სადაც დაზარალებული სრულად ასრულებს პროკურატურის „დაკვეთას“ ანუ ამბობს იმას, რაც სურს ბრალდებას, მან თუნდაც ათჯერ შეცვალოს ჩვენება, ამას რეაქცია არ მოჰყვება ანუ არ დადგება პასუხისმგებლობის საკითხი. მაგრამ თუკი დაზარალებული გულახდილად იტყვის, — გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება ჩემი ხელით არ არის დანერლი და საერთო ჯამში, სინამდვილეს არ შეესაბამებაო (როცა ყველაფერი განსასჯელის სასარგებლოდ ლაპარაკობს), — ასეთი დაზარალებული (მქონია შემთხვევა) პირდაპირ სასამართლოს დარბაზიდან წაუყვანიათ და ჩვენების შეცვლისთვის ორთვიანი პატიმრობა შეუფარდებიათ. ამის შემდეგ „აშუშავებენ“ დაზარალებულებს და ისინიც იძულებული არიან, პროცესზე იგივე გაიმეორონ, რაც გამოძიებაშია. ბოლოს მათ საპროცესო შეთანხმებას უფორმებენ და საბოლოოდ, პირობითს უსჯიან. აი, ასეთი სასამართლო სისტემა გვაქვს და თუ ეს ხარვეზები არ აღმოიფხვრა, ჩვენს ქვეყანას და მის მოქალაქეებს არაფერი ეშველება!

„კვიპროსული ზღაპრის“ ქართული შამოქვალი

თემურ ქეცბაია თანამედრო ქართული ფეხბურთის ყველაზე წარმატებული მწვრთნელი რომ არის, ამას მიმდინარე სეზონში მის მიერ განვრთნილი ფამაგუსტის „ანორთოსისის“ ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლა ადასტურებს. თან, ქართველმა სპეციალისტმა წარმატებას უცხოურ კლუბთან ერთად მიაღწია. ეს ფაქტი კი ქეცბაიას იმიჯს ერთიორად ზრდის, ვინაიდან ჯერჯერობით საზღვარგარეთ არც ერთ ჩვენებურს არ უჩვენებია მსგავსი შედეგი.




ნაჩრების მწვრთნელობაზე ქეცბაიას ლაპარაკი არ სურს...

ლაშა თაბაბარი

ევროპის მასშტაბით პროვინციული, კვიპროსული კლუბის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლა თავდაპირველად, სენსაციად აღიქვეს, მაგრამ ჯგუფში ჩატარებული ორი ტურის შემდეგ, „ანორთოსისმა“, ყველა სპეკტიკოსი დაადუმა. ფამაგუსტელები ჯერ სტუმრად გერმანიის „ვერდერს“ დაუზავდნენ, ხოლო საკუთარ მოედანზე საბერძნეთის „პანათინაიკოსი“ დაამარცხეს და პირველ ადგილზე დამკვიდრდნენ. ნიშანდობლივია, რომ ქეცბაია გალშია დაბადებულ-გაზრდილი, ხოლო ფეხბურთის თამაში მაშინდელ სოხუმის „დინამოში“ დაიწყო, „ანორთოსისი“ კი თურქების მიერ ოკუპირებულ ჩრდილოეთ კვიპროსიდანაა და ფამაგუსტელები აშუშადა დროებით, ნიჭო-

ზიაში არიან დაბინავებული... სსქართველოს ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი საზღვარგარეთულ კარიერას სწორედ „ანორთოსისში“ იწყებდა და მწვრთნელობასაც ფამაგუსტურ კლუბში მიჰყო ხელი. ვიდრე ქეცბაია ევროპის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში მიაღწევდა წარმატებას, კვიპროსის მასშტაბით, მან ჯერ ქვეყნის ჩემპიონატი მოიგო (ორჯერ — 2005 და 2008 წლებში), ხოლო 2007-ში თასსა და სუპერთასს დაეუფლა. ქეცბაიასთვის კვიპროსი მეორე სამშობლოა და ის, თუ რაოდენ დიდ პატივს სცემენ ამ ადამიანს ხმელთაშუა ზღვის კუნძულზე, არაერთ ქართველს საკუთარი თვალით უნახავს. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ ჩვენი ეროვნული ნაკრების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მოთამაშე, ფეხბურთიდან კვიპროსზე გადაცილეს. სამწუხაროდ, ქართველებს მაშინ ეს იდეა თავში არ მოსვლიათ.



ქეცბაია თბილისს კვიპროსის ეროვნულ ნაკრებთან ერთად, საქართველოს გუნდთან მატჩის წინ ეწვია და მას სასტუმრო „შერატონში“ ვესაუბრეთ. ცხადია, თავდაპირველად, ჩემპიონთა ლიგაში „ანორთოსისის“ გამოსვლას შევხეთ.

ფამაგუსტელთა თავკაცის აზრით, ბრემენის „ვერდერთან“ და საბერძნეთის „პანათინაიკოსთან“ ჩატარებული ორი თამაშით, მისმა გუნდმა ყველას უჩვენა, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში შემთხვევით არ მოხვედრილა.

თემურ ქეცბაია:

— ჩემმა ფეხბურთელებმა ყველას უჩვენეს, რომ ასეთ მაღალ დონეზე თამაში შეუძლიათ. მათ მეტოქეს საკ-

საპარკზი

უთარი ძალა და კოლექტიური დაცვის მაგალითი დაანახვეს. ისინი ადვილად არ ნებდებიან. მაგრამ მუშაობა უნდა გავაგრძელოთ. მომავალ მატჩებს თუ გადავხედავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ინტერი“ დიდი გუნდია და მას თუ ვერ მოვუგებთ, ეს სამყაროს დასასრული ნამდვილად არ იქნება. მილანში რალაც კარგი შედეგისთვის ნავალთ, მაგრამ წაგების შემთხვევაში, ამას ტრაგედიად არ აღვიქვამთ. მიმდინარე სეზონში, ყველას ვუჩვენეთ, რომ ჩემპიონთა ლიგაში შემთხვევით არ მოვხვედრილვართ. ვეცდებით, ნებისმიერ მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიოთ.

ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში ქართველმა მწვრთნელმა განსაკუთრებით, „ანორთოსისის“ დაცვის ხაზის კარგი თამაში გამოჰყო:

— უკანა ხაზის სწორმა მოქმედებამ, ჩემპიონთა ლიგაში ჩატარებულ შეხვედრებში წარმატება მოგვითანა. კარგი დაცვის გარეშე, აქამდე ვერ მოვალწევდით. დაცვის თამაშზე როდესაც ვლაპარაკობ, მხოლოდ მცველების ოთხეულს არ ვგულისხმობ, არამედ თავდამსხმელით დაწყებული, მეკარით დამთავრებული, თითოეულ ფეხბურთელზე მაქვს საუბარი. მსგავსი სურათი რომ მიგველო, ბევრი ვიმუშავეთ.

მიუხედავად წარმატებისა, ქეცბაია ვიფორიაში არ ჩავარდნილა და ვითარებას რეალურად აფასებს:

— ოთხი ქულა გვაქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისია შესრულებულია. ოთხი თამაში დაგვრჩა უძლიერეს გუნდებთან და დიდი მუშაობა დაგვჭირდება, რომ წინსვლა გავაგრძელოთ. „პანათინაიკოსთან“ გამარჯვებით, მესამე ადგილის დაკავების რეალური შანსი გვაქვს, მაგრამ დარჩენილი მატჩები გვიჩვენებს, რა დონეს შეგვიძლია მივალწიოთ.

ქეცბაიას აზრით, „ანორთოსისის“ წარმატების ერთ-ერთი მთავარი

მიზეზი ის გახლავთ, რომ ევროკავშირის სხვა ქვეყნების კლუბების მსგავსად, ლეგიონერების ლიმიტი კვიპროსულ გუნდებზეც აღარ ვრცელდება:

— თუ ადრე გუნდში ხუთი უცხოელი გვყავდა და დანარჩენები კვიპროსელები იყვნენ, ამჟამად ვითარება შეიცვალა, რის გამოც, ძლიერი ფეხბურთელების შექმნის საშუალება მოგვეცა. გარდა ამისა, ილბალიც ჩვენს მხარეზე იყო, რადგან შეიძლებოდა, საკალიფორნია ეტაპზე უფრო ძლიერი კლუბები შეგვხვედროდა. საერთოდ კი კარგი გუნდი გვყავს და ადვილად არავის არაფერს დავუთმოვთ.

ფამაგუსტელთა დამრიგებლის თქმით, ინგლისის „ნიუკასლში“ მისი სავარაუდო გადასვლის თაობაზე გავრცელებული ხმები სიმართლეს არ შეესაბამება და ქეცბაია სეზონის ბოლომდე „ანორთოსისში“ დარჩება:

— „ნიუკასლში“ გადასვლის თაობაზე გავრცელებული ინფორმაცია — ჭორია. ორი წლის წინ, „ანორთოსისის“ ასეთ წარმატებას ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, ამიტომ მსურს, გუნდში სეზონის ბოლომდე ვიმუშაო. შემდეგ რა იქნება, არავინ იცის.



საქართველოს ნაკრების თაობაზე ქართველი სპეციალისტი შემდეგი აზრისაა:

— ნაკრებში მთავარი მწვრთნელი შეიცვალა და გუნდიც ახალგაზრდადებდა. შედეგის მისაღწევად დროა საჭირო. იმედი მაქვს, რომ კუპერს მუშაობის საშუალება მიეცემა, რათა საკუთარი შესაძლებლობა წარმოაჩინოს. თუმცა უახლოეს მომავალში ფეხბურთელები თუ არ გაიზარდნენ, მხოლოდ მწვრთნელი ვერაფერს იზამს.

ქეცბაიას მიაჩნია, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები, რომელშიც თავად თამაშობდა, დღევანდელს კლასით აღემატება:

— მაშინ, საბჭოთა კავშირი ახალი დაშლილი იყო და ბევრ ფეხბურთელს ამ ქვეყნის ჩემპიონატში ჰქონდა ნათამაშები, რის გამოც, უფრო გამოცდილი იყო. შესაბამისად, ნაკრების მწვრთნელისთვის სათანადო ფეხბურთელების შერჩევა უფრო ადვილი გახლდათ. ცხადია, იმ გუნდს უფრო მაღალი კლასი ჰქონდა.

კითხვაზე, — შესთავაზა თუ არა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ მას ეროვნულ გუნდში მუშაობა, ქეცბაიამ პასუხის გაცემა არ ისურვა და ხაზგასმით აღნიშნა: მაგაზე საუბარი არ მსურს, რადგან ნაკრებს მწვრთნელი ჰყავსო...

კალიფორნია


იყიდება ისლანდია...

7 ოქტომბერს საიტის — Lovejoyantiquesemporium — ბრიტანელმა მომხმარებელმა ინტერნეტუქციონზე eBay გასაყიდად ისლანდია გამოიტანა... ლოტის აღწერილობაში ნათქვამია, რომ მის ღირებულებაში (საწყისი ფასი — 99 პენსი) კუნძული გრენლანდია და მომღერალი ბიორკი არ შედის! მყიდველმა ეს განცხადება მართლაც, უნდა გაითვალისწინოს, რადგან გრენლანდია დანიას ეკუთვნის... უჩვეულო ლოტი დიდი პოპულარობით სარგებლობს და 10 ოქტომბრისთვის უკვე 80 ფსონია დადებული. 9 ოქტომბერს ისლანდიის ფასი 250.000 გირვანქა სტერლინგი იყო, 10 ოქტომბრისთვის კი — 10 მილიონ გირვანქა სტერლინგს მიაღწია. საიტი ქვეყნის გაყიდვის მიზეზს არ ამხელს. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ისლანდია სერიოზულად დააზარალა. ხელისუფლებამ ქვეყნის 3 უმსხვილესი ბანკის ნაციონალიზაცია მოახდინა. ისლანდიაში ეროვნული ვალუტით — კრონით ვაჭრობა ფაქტობრივად, შეწყვეტილია.

ელექტრომობილების „შეიქმედება“

Renault

ფრანგული კომპანიის წარმომადგენლები ნელ-ნელა გააჩვენებენ „ელექტრომობილებს“ — მომენტს, როდესაც ეკოლოგიურად სუფთა, უხმაურო და პრაქტიკულ ელექტრომობილებს მივუხსნებით. მათი ჩანაფიქრით, ეს პროცესი უკვე 2011 წელს დაიწყება. ჯერჯერობით კი პარიზის ავტოსალონზე კომპანიამ წარმოადგინა ელექტრომობილი, რომელსაც Z.E. Concept ეწოდა. ეს მანქანა ერთ-ერთი სხვა პარიზული სიახლის ბაზაზეა აწყობილი. ესაა Kangoo be bop, მაგრამ „რენო“ მისგან უპირველეს ყოვლისა, თავისი კონცეფციით განსხვავდება. უხეშად რომ ვთქვათ, ექსპერიმენტული ელექტრომობილი Renault თერმოსია. Z.E. Concept-ის ძარას პანელი ორშრიანია, ისევე, როგორც ჩვეულებრივი თერმოსის. ლითონის ორ ფენას შორის არსებული ჰაერი სალონს სიცხეში გადახურვისგან, ხოლო ზამთარში — ტემპერატურის მკვეთრი დაცემისგან იცავს. გარდა ამისა, კონცეპტ-ავტოს ძარა თბოამრეკლი საღებავითაა შეღებილი, ხოლო ფანჯრები ტონირებული მწვანე პლასტიკისგანაა დამზადებული. ასეთი კონსტრუქციის ძარას მეშვეობით Z.E. Concept-ს სალონის გასაგრილებლად ან გასათბობლად, გაცილებით ნაკლები ენერგია ესარჯება, რაც ელექტროენერჯის ეკონომიას განაპირობებს. ამ ავტომობილს მუშაობის განსაკუთრებული ალგორითმი აქვს: დეფლექტორებიდან თბილი ან ცივი ჰაერი ათბობს ან აგრილებს არა მთელ სალონს, არამედ მხოლოდ მძღოლისა და მგზავრების ხელებს, ფეხებსა და სახეს. ამგვარად, მათ უკვე ეჩვენებათ, რომ სალონში თბილა, სინამდვილეში კი, მანქანის შიგნით მხოლოდ 15-17-გრადუსიანი ტემპერატურა ნარჩუნდება. კონდიციონერის სამოქმედოდ ძირითადად, არა ავტომობი-



ლის აკუმულატორები, არამედ ის ენერგია გამოიყენება, რომელსაც მანქანის სახურავზე დაყენებული მზის ბატარეები გამოიმუშავებს, რაც სვლის ხანგრძლივობასაც ზრდის. ეკონომიურობას ხელს უწყობს აგრეთვე დიოდური მასუქები, ელექტრომონოქრომული დისპლეი და თვით ელექტროძრავა, რომელიც 95 ცხ.ბ. სიმძლავრისაა. ხოლო მისი ბატარეების დატენვის ხარისხის შემოწმება მფლობელს ავტომობილის გარეთ ყოფნის დროსაც, ძარაზე დამონტაჟებული, მობილური ტელეფონის დამტენის მსგავსი, სპეციალური დისპლეების მეშვეობით შეეძლება. სხვა ტექნიკური მონაცემების შესახებ ფრანგები ჯერჯერობით ინფორმაციას არ ავრცელებენ, რაც არცაა გასაკვირი, რადგან 2011 წლამდე მათ ამისთვის საკმაოდ დრო აქვთ.

Ruf



გერმანულმა ავტოტიუნერმა — RUF, რომელიც „პორშეს“ მანქანების მოდერნიზებაშია დახელოვებული, მოდელის — 911 ბაზაზე ახალი ელექტრომობილი წარმოადგინა. ავტომობილი 204 ცხ.ბ. სიმძლავრის ელექტრომობილითაა აღჭურვილი. მანქანა 100კმ/სთ სიჩქარეს 7 წმ-ზე ნაკლებ დროში ავითარებს, ხოლო მისმა მაქსიმალურმა სიჩქარემ, წინასწარი გათვლით, 224 კმ/სთ უნდა შეადგინოს. ავტომობილი 96 ლითიუმ-იონური აკუმულატორითაა აღჭურვილი, რომლის საერთო წონაც 553 კგ-ია. ამ აგრეგატის ენერგია 250-300 კმ-ის გასაველადაა საკმარისი. მანქანის დატენვა ჩვეულებრივი დენის წყაროდან იქნება შესაძლებელი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კომპანია RUF შეკვეთებით მცირეხარისხის წარმოების დაწყებას არ გამოირიცხავს.

აირჩიე და შეიქმნე სახლიდან გაუსვლელად

ინტერნეტ მაღაზია **www.elva.ge**

ვიწინები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დახახელება	1 კვ. ღ. ფასი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБЗРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2



პრესის გაერცელების სააგენტო „ს.ს. ელვა-გე“
 ქ. თბილისი იოსებძის ქ. № 49
 ტელ: 42-43-40; 38-26-73; 38-26-74.
 ფაქსი: 38-26-74
 E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიამშვილმა

სკანერადი

					1 ზღვის ღმერთი ბერძნ. მით.	2 ლაშქარი	3 „ჩატრის ხს“ პროზაუ	4 მტაცებელი ცხოველი	5 დასახლებუ- ლი პუნქტი	6 არგენტინელი ჩოგბურთელი	
					მ	ს	ე	ბ	მ	ნ	
					7 თეთრ- კურმინიანი ვაზის ჯიშში	8 ძვირფასეუ- ლთა მტაცებელი	კ	ს	ფ	ს	რ
					9 ღარიბული სახლი	ა	ვ	თ	თ	ე	რ
					მ	ს	ფ	ვ	ფ	ფ	ვ
				ბ	ყ	ვ	ა	ნ	ა	შ	
10 მრავალშრი- ანი ფანჯრა	11 მაიმუნის სახეობა	12 გარეული ცხვარი			რ	რ	ი	ქ	13 სამხედრო გეგმის დიდი შეჯერითი	ნ	ხ
ნ	მ	ს	ქ	ე	14 თურქული აბანი	ს	მეფელი საბერძნეთი	15 ც	ს	ე	ა
ქ	ს	გ	უ	ნ	16 წიწილე- ბის სულოვნე- რად გამოსა- ჩეკ აბარატი	ა	17 საო- მამო კოპის ერთ- ერთი მხარე	18 გაერთიანება, კავშირი	ს	ნ	მ
19 ავღანეთის დედაქალაქი	20 საშუალო მცირე ნაწილი	21 ქალაქი საქ- ართველოში			რ	ნ	ქ	ქ	მ	ა	მ
22 ღმერთი	23 ქარბურთე- ლი დანა	24 ქართული ტყეობი			ნ	ნ	ნ	ნ	ს	ნ	ი
25 თბილისის ფეხბურთის ტოლი	26 თავთქაშე- ლის რაზმი	27 შენიშნის სეგმა			ს	ფ	ნ	ნ	ნ	ნ	ა
ნ	ხ	ნ	ნ	ა	ფ	ფ	ა	ა	29 მატონ- იზებული სახელი	ა	რ
30 ფულის ერთეული რუმინეთში	31 ზნე ხასიათი	32 ექსპე- რიმენტი			ნ	გ	ა	ნ	33 ეპრაული მოდელი	ნ	ნ
ნ	ნ	მ	ნ	ნ	ნ	გ	ა	ნ	ნ	ნ	ნ
34 დაბა სუბიექტი	35 ... პანინი	36 ამერიკის შტატი			ა	ე	ს	ს	ნ	ა	ა
ა	ნ	ნ	ა	ს	ნ	ე	ნ	ნ	ნ	ნ	ნ
37 ჭარბის ფიგურა	38 ესპანელი ფერმწერი	39 სამკაცრიანი ანსამბლი			ნ	ნ	ნ	ნ	ნ	ნ	ნ
ნ	ნ	ნ	ს	ა	ა	ა	ნ	ნ	ნ	ნ	ნ



ნიან ნომრის სკანერადის პასუხები

1. თურნალი; 2. ცაბაძე; 3. ლიმონათი; 4. სამიტი; 5. ნეკრასოვი; 6. სელაბი; 7. ვიკინგი; 8. კანდელაკი; 9. სათალი; 10. ნიკორა; 11. ათი; 12. აპათია; 13. სიბა; 14. პორტუ; 15. პინა; 16. დეკადა; 17. ლეი; 18. სინა; 19. ავგალანგი; 20. პაპა; 21. არია; 22. ფიცი; 23. ფიფა; 24. ავიცენა; 25. გამაში; 27. მიცი; 28. აბი; 29. გვრიტი; 30. დეუ; 31. ალაი; 32. ტინი; 33. ალტი; 34. ნადალი; 35. აკრობატი; 36. მატონი; 37. მიცი; 38. აბი; 39. გვრიტი; 40. ანკარა.

სურათებზე: ჟან კლოდ ვან დამი; დოლფ ლუნდგრენი.

გელით თუ არა წარმატება?

სამომავლო გეგმების დაწესებისას, სასარგებლოა, ადამიანმა წინასწარ შეაფასოს საკუთარი პოტენციური შესაძლებლობები. აქედან გამომდინარე, საინტერესოა იცოდეთ, თქვენი ბირადი მიდრეკილებები და შინაგანი მრწამსი რამდენად შეეწყობთ ხელს საქმიან წარმატებებში. ტესტში მოცემულ მოსაზრებებს დადებითი ან უარყოფითი პასუხი უნდა გასცეთ.



1. მიმაჩნია, რომ საკუთარი ძალისხმევის მეშვეობით, ადამიანს ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტა ძალუძს და არ მესმის მათი, ვინც გამოდებით სინელებზე წუნუნებს.
2. როცა რაიმე ამოცანის გადაწყვეტას მავალეზენ, სასურველია, თუ შესაფერის ინსტრუქციასაც მოაყოლებენ.
3. შემიძლია ვთქვა, რომ როცა რაიმეს ვთხოვლობ, უარს იმევითად ვიღებ.
4. როგორც წესი, გამყიდველებთან დავას თავს ვარიდებ, რადგან ვშიშობ, ვინმემ წვრილმან ადამიანად არ მიმიჩნიოს.
5. რიგში დგომისას, თუკი ვინმე ჩემზე წინ ურიგოდ ნასვლას შეეცდება, აუცილებლად გავცემ საკადრის პასუხს.
6. ჩემში ბევრად უფრო დიდ ემოციურ განცდას იწვევს წარუმატებლობის შიში, ვიდრე წარმატების იმედი.
7. უმჯობესი იქნება, თუ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას სახვალიოდ გადავებ: შესაძლოა, პრობლემა თავისთავად გადაიჭრას ან სულაც ვინმემ გადამინყვიტოს.
8. სამწუხაროდ, გაუთვალისწინებელ სიტუაციაში საკმარისად ხშირად აღმოვჩნდები ხოლმე, რადგან მოვლენების წინასწარ განჭვრეტა მიჭირს და ამიტომ, ვერც წინააღმდეგობისთვის ვეზადები სათანადოდ.
9. ჩვენს დროში, მიზანმიმართულ სწავლასა და სპეციალობის მიღებას გარკვეული თანხის მოგროვებაზე კონცენტრირება სჯობს, რათა შემდეგ ამ დანაზოგით საკუთარი საქმე წაშიწყობ.
10. ჩემი მიზნისკენ სწრაფვაში შესაძლოა, ხელი შემეშალოს, თუკი ვიღაც-ვიღაცები ჩემს შესაძლებლობებში ეჭვს შეიტანენ.
11. დანამდევილებით არასოდეს ვიცი, რა თანხა მაქვს ხოლმე თან, რადგან ფული ყოველთვის უწესრიგოდ მიყრია ჯიბებში.
12. თუკი ისეთ საქმეში მონაწილეობას შემომთავაზებენ, რომელიც მოკლე ხანში დიდი მოგების მოტანას მპირდება, თანხმობის მიცემამდე, შემოთავაზებულ წინადადებას საგულდაგულოდ ავწონ-დავწონი.
13. მსხვილი ფინანსური საქმის კეთებისას, წვრილმანებში ეკონომიის განევა დიდ სისულელედ მიმაჩნია.
14. თუკი შექმნილი ვითარება ხელს გიშლით დანაპირების შესრულებაში, მაშინ სიტყვის გატეხაც შეიძლება.
15. თუკი ამა თუ იმ საქმეში მონაწილეობის შემთხვევაში მოგებას მოკლე დროში არ გპირდებიან, ამ საქმეზე ხელის მოკიდება არც ღირს.
16. კარგ პროდუქციას რეკლამა არ სჭირდება.
17. დაგეგმვა — სოციალისტური სისტემის გადმონათობა.
18. მთავარია, სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობა და არა — გამარჯვება.
19. შემიძლია ვთქვა, რომ უცხო ადამიანებთან ლაპარაკის გაბმას ძალზე იოლად ვახერხებ.
20. პირველი მსხვილი მოგების დახარჯვას იმ ნივთის საყიდლად ვაპირებ, რომელზედაც უკვე კარგა ხანია ვოცნებობ და რომლის შექენის საშუალებაც აქამდე არ მქონდა.

დაავაზიით ქულანი დადებითი პასუხით დაინართ 1 ქულა — 1, 3, 5, 12, 19 პაითხვაში; ასევე 1 ქულა დაინართ უარყოფითი პასუხით — 2, 4, 6, 7, 8, 9, 11, 13, 14, 15, 17, 18, 20 პაითხვაში

ჯესტის შედეგები

10 ქულაზე ნაკლები: გამორიცხული არ არის, რომ წარმატების მოპოვება შეძლოთ, მაგრამ თქვენი დღევანდელი განწყობილება და მიდრეკილებები ამას ხელს ნაკლებად უწყობს. თქვენ არასაკმარისად ორგანიზებული ადამიანი ბრძანდებით, არც მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები გაქვთ; ამასთან მიდრეკილი ხართ ილუზიებისკენ. ასე რომ, საკუთარი წამოწყებების წარმატებით დასაგვირგვინებლად, სერიოზული მუშაობა და საკუთარი თავის სრულყოფა გესაჭიროებათ.

10-15 ქულა: საკმარისად კარგი საქმიანი პოტენციალის პატრონი ბრძანდებით და შეიძლება ითქვას,

ყველა შანსი გაქვთ წარმატების მოსაპოვებლად. მაგრამ ერთი რამ გაითვალისწინეთ, შეცდომებისგან დაზღვეული არავინ არის: ამიტომ, წარუმატებლობის შემთხვევაში, საკუთარი ემოციების მოთოკვა უნდა ისწავლოთ და სამომავლოდ საკუთარი შეცდომები ტყუის სასწავლებლად გამოიყენოთ.

15 ქულაზე მეტი: ყველაფრის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ბიზნესმენის გასაოცარი ნიჭით ხართ დაჯილდოებული. მაგრამ არ დაგავინყდეთ, რომ წარმატება მხოლოდ ნიჭიერებაზე არ არის დამოკიდებული, არამედ რეალურ სიტუაციაში ამ უნარის გამოყენებაზე.

ჭირის კოპი

(16 - 22 თქტომბერი)

ფაქტი:

უსაფუძვლო ეჭვიანობის გამო, საყვარელი ადამიანი არ გაანწყინოთ. თუ ფულის უაზრო ფლანგვისგან თავს შეიკავებთ, თქვენი მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება.

კუჩრი:

თუ ყველაფერს წინასწარ გათვლით და არ აჩქარდებით, ნებისმიერ საქმეს იოლად მოაგვარებთ. გირჩევთ, უქმე დღეები ოჯახის წევრებთან გაატაროთ. ბავშვებთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ.

ტყუპი:

კარგი იქნება, თუ ამ დღეებში იმ საქმეების მოგვარებაზე იზრუნებთ, რომელიც დიდი ხანია წამოიწყეთ. შესაძლოა, ამ კვირაში შეხვდეთ ძველ შეყვარებულს და მასთან ურთიერთობა აღადგინოთ.

კიჩხობა:

მოგზაურობა და დასვენება სულიერი წონასწორობის აღდგენასა და ახალი იდეების ჩამოყალიბებაში დაგეხმარებათ. კარიერაში წინსვლისათვის შესაძლოა, კვალიფიკაციის ამაღლება დაგჭირდეთ.

დოზი:

იმისათვის, რომ მატერიალური სტაბილურობა შეინარჩუნოთ, ხარჯების გაკონტროლება მოგიწევთ. თუ არ გინდათ, საყვარელი ადამიანი სამუდამოდ დაკარგოთ, მასთან კონფლიქტს თავი აარიდეთ.

უბედურობა:

შესაძლოა, ამ კვირაში გაიცნოთ ადამიანი, რომელთანაც რომანტიკული ურთიერთობა ნელა, მაგრამ სტაბილურად განვითარდება. სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებთ, კარგად დაფიქრდით.

სახსრობა:

ამ კვირაში ძალზე თავდაჯერებული იქნებით. გაგიჩნდებათ მოგზაურობის სურვილი. კარგი იქნება, თუ ზღვარგადასული დროის ტარებისგან თავს შეიკავებთ და უქმე დღეებს მეგობრებთან გაატარებთ.

მორიდგი:

კოლეგებთან ურთიერთობისას საკუთარ ინტუიციას მიენდეთ. ოჯახურმა კონფლიქტებმა შესაძლოა, ალკოჰოლის მიღებისკენ გიბიძგოთ. უქმე დღეები ბუნების წიაღში, მეგობრებთან გაატარეთ.

მზვიდდოსახე:

ძველი პრობლემების დარეგულირებისას სასურველია, ტრადიციული მეთოდებით იხელმძღვანელოთ. ეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ ბავშვებს, რათა მათ გამო პრობლემები არ შეგექმნათ.

თხილ ჩუხ:

ამ კვირაში პროფესიული წინსვლის შანსი მოგეცემათ. შესაძლოა, ოჯახის წევრების გადაჭარბებულმა ყურადღებამ თქვენი გაღიზიანება გამოიწვიოს. საყვარელმა ადამიანმა შესაძლოა, რომანტიკული საღამო მოგიწყოს.

მეჩუხუდი:

ეს დღეები მოგზაურობას დაუთმეთ. საყვარელ ადამიანთან განმორება ახალი სასიყვარულო თავგადასავლის წამოწყებისკენ გიბიძგებთ. კარგი იქნება, თუ საკუთარი იმიჯის შეცვლაზე იზრუნებთ.

თიფუფა:

გაიზრდება თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი, რაც ახალი საქმეების განხორციელებისკენ გიბიძგებთ. კარგი იქნება, თუ უქმე დღეებს ოჯახის წევრებს დაუთმობთ და მათთან ერთად ქალქგარეთ გახვალთ.

წინა ნომრის სულოკუს პასუხები

კარგად

იაკონური სანსაცია

7	1	5	9	6	4	2	8	3
4	6	8	2	7	3	5	1	9
3	2	9	5	8	1	4	7	6
1	9	7	6	5	2	3	4	8
8	4	6	3	1	9	7	5	2
2	5	3	7	4	8	9	6	1
9	8	4	1	3	5	6	2	7
5	7	2	8	9	6	1	3	4
6	3	1	4	2	7	8	9	5
3	8	7	2	4	1	6	5	9
9	6	5	3	8	7	2	1	4
2	1	4	9	6	5	8	3	7
1	2	9	5	3	4	7	6	8
6	7	3	1	9	8	5	4	2
4	5	8	7	2	6	1	9	3
7	4	2	6	1	3	9	8	5
8	9	6	4	5	2	3	7	1
5	3	1	8	7	9	4	2	6
6	1	7	2	8	4	9	5	3
8	9	3	1	5	6	4	2	7
2	4	5	7	3	9	8	1	6
4	8	6	5	9	3	2	7	1
1	5	2	6	7	8	3	9	4
3	7	9	4	1	2	5	6	8
5	6	4	3	2	1	7	8	9
9	2	1	8	4	7	6	3	5
7	3	8	9	6	5	1	4	2

მატიკა

5			9		7	6
	6		2		1	
2			6		9	
	3		2		6	
4		9				1
	7		5	1		4
	8		6			2
	2		3			8
3	9		7			4


სამუხე

		4		2		7
	7			3		8
	6		8	7		1
	3			1	9	5
1			9			6
6		5				1
7			3	2		5
	2		7			6
5		1			8	

დენი

6				7		
	2					1
3			5			9
	3					6
9			8			4
5		2		8		
	9		6			5
	1				2	
		7				8

ფოტოკუჩიონები



6⁹⁴/33



განათორიანებუნი ტელეკომი

სინსლა განათორიანებუნი ტელეკომისბან



თქვანი სინსლი ანანი ტელეკომი!

ბანსით განათორიანებუნი ტელეკომის აბონანტი და ისინებუნი ქვანსო

ჩვანი სინსლი 400000 აბონანტონს მთანი სანათორიანობის მანსუბით

ინფორმაციონსთონს და ჩაბინსტრუქციონსთონს დაჩაჩატი მოთახუ

100-100

www.utg.ge